

# האינדיבידואל

6

1978

# სესია

253

გამომცემის მართვით

6

ივნიანი

1978

თბილისი

საქ. კვ. ცხ-ის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერეული



- 3. ვლადიმერ მახაზაკიანი — ყოვლინმამლეპი მრწამსი
- პროზა, კოეზია
- 9. არჩილ სულაკაური — ლექსები
- 16. ლადო მთაწამელი — ზღვაჲ, მოთხრობა
- 48. იხა ორჯონიძე — ლექსები
- 51. რევაზ მუხომედიანი — მოთხრობები
- 67. ალუდა არაბული — ლექსები
- 69. უხანგი რიჟინაშვილი — სხლი, მოთხრობა
- ასფურცელას რეპული
- 93. გიორგი მებრძოლი — ლექსები
- 93. იმედი ხაბაძე — ლექსები
- 94. მთვარისა მუმიანი — ჯიჯილი, ლექსი
- 94. ანთონიძე მებრძოლი — ლექსები
- 95. ფოთა ამირხანაშვილი — ლექსები
- VIII კლემენტის უწყება
- 97. ნებატიშვილი ყოვლინმამლეპი ბრძოლა
- კრიტიკა
- 103. ჯარჯი ფხოველი — „ფოლკლორისთან სინხლის-ფიდი უაქარო ვეტი“
- 106. გურამ ბენაშვილი — დიდი ზეჯვარედიანი
- ხელოვნება
- 114. ოთარ ფიჩხაშვილი — თემო გოცაძის ნაწარ-მომბათა ზანოფინის ზამო
- 117. იოსებ მთაწამელი — ღიბი შექილამის სომცარი სან-სარო
- კოლეგია
- 120. ოთარ ნოღა — მხატვრული თარგმანების კო-ლეგია
- მეცნიერება
- 128. გურამ ანთონიძე, ზეჯვარედიანი — მხატვრული დამოწმების სომცარისთან. დასარტლო
- პროზა
- 138. არნოლდ გეგეძე — ზარემო დავითი ზანთლევა და მისი სომცარები
- კრიტიკა
- 147. ჯანსუღ ლეონიძე — „ფიჩხაშვილი ჩემს ვაჲს“
- 148. ვეჯარ კვიციანი — კრიტიკოსი ახალი წიგნი
- 149. რევაზ მხატვრული — კოეზიის მრწამსი
- 150. ზალთარ არაბული — კიბის ზიტი
- 151. ირაკლი გულიანი — „...თიბათის ცა სომცარ დისფიდი“
- 152. რეჯო კვიციანი — კრიტიკოსი ახალი ნაწარმი სომცარი
- 153. არჩილ გოგელიანი — ბრძოლა სკოლარ თანთან სბიტი, იმედიანი, კარედი
- 157. ბათუ მელიანი — ანთონიძე ანთონიძე ანთონიძე დანახსიათება, ფრაზები
- 158. კულტურული ცხოვრების კრიტიკა

მთავარი რედაქტორი  
გურამ მანუჩარიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ვახუა ანთონიძე,
- გურამ მანუჩარიანი,
- გივი მანუჩარიანი,
- რევაზ მანუჩარიანი,
- გიორგი მანუჩარიანი,
- ნოდარ მანუჩარიანი,
- მედიკალინიკის,
- მედიკალინიკის,
- იოსებ ორჯონიძე,
- მთაწამელი
- (მთ. რედაქტორი)
- მთავარი რედაქტორი
- ჯანსუღ ლეონიძე,
- ნოდარ მანუჩარიანი,
- ბათუ მელიანი,
- ბათუ მელიანი,
- რეჯო მანუჩარიანი.

## ყოვლისმკლეველი მრწამსი

**ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის** ორმა, მართლაც შესანიშნავმა, ბრწყინვალე ლიტერატურული სტილით დაწერილმა მოგონებებმა — „მცირე მიწამ“ და „აღორძინებამ“ — მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ჩვენი დროის, ამ საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის კალამს ეკუთვნის.

ამას წინათ, საქართველოს პარტიულ აქტივზე სამართლიანად აღინიშნა, რომ ამ წიგნებს ჩვენამდე მოაქვთ დროის სუნთქვა, მისი დინამიკა და რიტმი, მისი წუხილი და სიხარული.

ლეონიდ ილიას ძე „მცირე მიწის“ პირველსავე აბზაცში შენიშნავს: „ომის დროს დღიური არ მიწერია, მაგრამ 1418 ქარცეცხლიანი დღე და დამე დაუფიქრებია. იყო ეპიზოდები, შეხვედრები, ბრძოლები, იყო ისეთი წუთები, რომლებიც, ისევე როგორც ყველა სხვა ფრონტელს, არასოდეს არ წამეშლება მეხსიერებიდან.“

ეს შეეხება ლ. ი. ბრეჟნევის მეორე ნაშრომს „აღორძინებასაც“, შეუძლებელია ადამიანმა დაივიწყოს სამამულო ომის დღეები. მრისხანე, დაძაბული, ჰეროიკული დღეები, რომელნიც ადამიანისაგან მოითხოვდნენ მთელი მისი არსების, სულიერ, ფიზიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალურ ორჯანიშებულობას.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი გვიზატყვის ომს, მის ყოველდღიურობას, საბ-

კოთა ადამიანების თავდადებას, სამშობლოსადმი მათ უღრმეს სიყვარულს, ასეთივე თავდადებით საბჭოთა ხალხი შეუდგა დანგრეული, დაღწეული სახალხო მეურნეობის აღდგენას და ამ მომენტშიც მებრძოლთა პირველ რიგებში ჩვენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვხვდებით, თავის თავზე ის არაფერს ამბობს, მაგრამ მკითხველი საომარი ამბების თხრობის ლოგიკიდან ამასაც კარგად ამჩნევს. „აღორძინებაშიც“ ხომ ფაქტიურად ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე.

ცნობილია, რომ ლეონიდ ილიას ძემ ცხოვრების შესანიშნავი, დაძაბული, არც თუ ვარდებით მოფენილი გზა განვლო. მუშის შვილი სულ ახალგაზრდა, ჰაბუკი ეზიარა კომუნისმის დიად იდეალებს და, იმ დროიდან, აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო ხალხის სამსახურს მოანდომა და ანდომებს.

ჩვენს ქვეყანაში წამოიზარდა, დავაუკაცდა, დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დააღვა თაობები, რომელთათვის სამამულო ომის, ჩვენი ქვეყნის აღორძინების დაძაბული წლები ჟამთა სვლის ერთი მომენტია, ისტორიაა, რასაც ისინი გეტულობენ სწავლის პროცესში, ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან, თეატრიდან, კინოსურათებიდან, ომის მონაწილეთა მემუარებიდან, მხედართმთავრების მოგონებებიდან. მრავალი მათგანი ცხოვრებას გამოეთხოვა, მათმა მოგონებებმა ნათლად წარმოგვიდგინეს იმ მეტად რთული დღეების სურათი.



ამ არც თუ ისე მცირე რაოდენობის ლიტერატურიდან ცხოველი ტემპერამენტით, ღრმა დაკვირვებით, აზრის სიღრმით აუცილებლად გამოირჩევა ლენინი ილიას ძის წიგნი „მცირე მიწა“, სადაც ავტორი საბჭოთა ადამიანის გმირობაზე, თავდადებაზე დიდა სიყვარულით, რევოლუციური მებრძოლი ტემპერამენტით მოგვითხრობს. ასევე ცოცხლად, საინტერესოდ, საქმის ღრმა ცოდნით „აღორძინებაში“ მოთხრობილია ის მართლაც ტიტანური ბრძოლის ეპიზოდები, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ გაიშალა არა მარტო უკრაინაში, არამედ ყველგან, განსაკუთრებით კი იმ რაიონებში, რომელთაც გადაუარა მძვინვარე სტიქიონმა.

იყო შედარებით პატარა უბანი, წერს ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა „მცირე მიწა“ შეარქვესო. ის ოდენობით მართლაც მცირე ყოფილა, ოცდაათ კვადრატულ კილომეტრზე ნაკლები. ჩემი ადგილი იქ იყო, შენიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, წინა ხაზზე, ნოვოროსისკის სანაპიროში, კობტად რომ შეჭრილიყო ცემისის უბეში, „მცირე მიწის“ ვიწრო პლაცდარმზე.

მეც, ომის რიგით მონაწილეს, კარგად მახსოვს იმ სუსხიანი დღეების ნოვოროსისკი, დაცარიელებული ქუჩები, მოსახლეებისაგან დაცლილი სახლები. ქალაქ ზღვიდან გადმოსცქეროდა „სახლი ქორით“, ეს სამსართულიანი სახლიც თითქმის უპატრონო იყო, მის სახურავზე ფრთებგაშლილი ქორიცი, ეს-ეს არის აფრინდებო, ცაში ავარდებო, რომ ხალხს მოუთხროს ობოლი ქალაქის მწვარე დღეების ამბავი. მართლაც რომ არსაიდან ხმა, არსით ძახილი, ამ დროს დაბლიდან ქალის ხმა მომესმა, „მოდით, წვერს გაგპარსავო“. ჰონორარის მაგივრად, ორი მოზრდილი შავი პური და შაქარი მივეცი. ამ ჰონორარმა ისე ააღელვა ეს ქალი, რომ კინაღამ ფეხებში ჩამივარდა, როგორმე მადლობა რომ გამოეხატა. დღემდე ვერ დავივიწყე იმ ქალის სახე, ისე, როგორც არ მავიწყდება სტალინგრა-

დის ნანგრევებზედ ქცეული ქუჩები და პატარა „კალისკა“, სადაც მიცვალებული, უპატრონო ბავშვი იწვა; ბლოკირებული ლენინგრადი, ხალხისგან დაცლილი ქალაქი, სადაც ქუჩებზე დინახავდით ჯანდაცლილ ადამიანებს, რომელთა თვალები არაფერს აღარ გამოხატავდნენ.

მაპატროს მკითხველმა ეს წიადსვლები, ისე კი რომ იგრძნოს, ვანიცადოს, თუ რას წერს ლ. ი. ბრეჟნევი, ის ბნელი დღეები უნდა მოიგონოს ადამიანმა.

ლეონიდ ილიას ძე ცოტას, მეტად ძუნწად წერს თავის თავზე, მხედართმთავრობაზე. მისი წიგნის გმირები რიგითი ჯარისკაცები, ოფიცრები არიან, რომელნიც ურთულეს პირობებში ადამიანის შეგნებისათვის წარმოუდგენელ გმირობას იჩენდნენ.

ომში მარტოოდენ გმირები როდი იბრძოდნენ. მრავალმილიონიან არმიას ში მხდალი ადამიანებიც მოიპოვებოდნენ. მეთაურებისა და პოლიტმუშაკების უპირველესი ამოცანა იყო გაემხნეებინათ უკლებლივ ყველა ჯარისკაცი, მხდალიც და გმირიც, საკუთარ მაგალითზე აღუზარდათ ისინი. ასეთი მაღალი რანგის ხელმძღვანელი პოლიტმუშაკი იყო ლ. ი. ბრეჟნევი. ობიექტური თხრობით კარგად ჩანს, რომ ლეონიდ ილიას ძე იქ იყო, სადაც ყველაზე უფრო უჭირდა სარდლობას. თითქმის არაფერი მომხდარიყოს, ისე აღწერს ავტორი ერთ ეპიზოდს, სადაც ის ჩაცმული, შეიარაღებული, ცურვით გადაუტრია დაღუპვას.

„მცირე მიწაში“ ლ. ი. ბრეჟნევი მოგვითხრობს: „ჩვენი სენიერი ნაღმს წააწყდა მე და ლოცმანი ერთმანეთის გვერდით ვიდექით და აფეთქებამ ორივე ერთად აგვისროლა ზევით.“

ტკივილი არ მიგრძენია. დაღუპვაზე არ მიფიქრია, ეს ნაღია. ყოველგვარი სიკვდილი მინახავს, და ჩემთვის აქ ახალი არა იყო რა, და თუმცა ნორმალური კაცი სიკვდილს ვერასოდეს ვერ შეეჩვევა, მაგრამ ომი გვაიძულებს ყოველ



წუთს გვანოვდეს, რომ ჩვენც შეიძლება ასეთი ბედი გვეწიოს. ზოგჯერ წერენ, კაცს ამ დროს თავისი ახლობელი აგონდებო, მთელი ცხოვრება თვალწინ გაუფლავებო და იგი ასწრებს რაღაც მთავარს ჩასწვდეს საკუთარი თავის შესახებო. შესაძლოა ასეც იყოს, — შენიშნავს ლეონიდ ილიას ძე, — მაგრამ მე იმ მომენტში მხოლოდ ერთმა აზრმა გამიელვა: ოღონდ ისევ გემბანზე არ დავეცე-მეთქი“. უბრალო და ამავე დროს, როგორი ჭეშმარიტად მართებულო, გულწრფელი თხრობაა. კარგადაა ნათქვამი, ნამდვილად დიდი ადამიანისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არისო.

ლეონიდ ილიას ძე განაგრძობს: „პიტლერი, რომელმაც გადაწყვიტა ზღვაში გადავეყარეთ, ფრონტის ამ უბანზე რისკს არ მოერიდა. მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა. მაშინ მე-18 არმიის სამხედრო საბჭომ, პრაქტიკულად კი მე, შევადგინე მიმართვა-წერილი მცირეშიწელებისადმი. ამ წერილმა სანგრები და ბლინდაეები მოიარა. მებრძოლებმა თითები გაიჭრეს და სისხლით მოაწერეს მას ხელი. მოგვიანებით ერთი ასეთი წერილი ი. ბ. სტალინს გაუუგზავნე, რომ სტოღნოდა; როგორ იბრძოდნენ მეომრები.“

„მტრისთვის გამოვლევით ერთ მტკაველ მიწას ქალაქ ნოვოროსიისკთან, — ნათქვამი იყო წერილში, — ჩვენ „მცირე მიწა“ ვუწოდეთ. პატარაა იგი, მაგრამ ჩვენი, საბჭოთაა. იგი მორწყულია ჩვენი ოფლით, ჩვენი სისხლით, და ჩვენ არასოდეს და არავითარ მტერს არ დავუთმობთ მას...“

ლეონიდ ილიას ძე ბევრს წერს „მცირე მიწაში“, „აღორძინებაშიც“ თუ როგორ უნდა სცე პატივი რიგით ჯარისკაცსაც, მუშასაც. გვიგო ის, რაც მათ აწუხებთ ან პირიქით, ახარებს, აღაფრთოვანებს.

ვინც შესცოდავსო, — ბრძნულად წერს ლეონიდ ილიას ძე, — პარტიული, ადმინისტრაციული და ბოლოს, იურიდიული — ყოველგვარი პასუხი უნდა

მოეთხოვოს, მაგრამ „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევლახოთ ადამიანის თავ-მოყვარებობა, დავამციროთ მისი ღირსება“ (ხაზი ჩვენი ვ. მ.)

როცა „მცირე მიწაზე“ წერს, ლეონიდ ილიას ძე შენიშნავს, ის ერთი მტკაველი მიწა იყო და ამ ერთ მტკაველზე კარგად მოჩანდა ადამიანთა ავ-კარგი, მათი თვისებები, ზრახვები, ოცნებები.

ლეონიდ ილიას ძე წერს: „მასხენდება, ჩვენ ერთად შევიარეთ რუმინელთა ერთ-ერთ ბლინდაეში... ძალიან ცხელოდა, და ლესელიძეს, მე, ზარელუასა და ლუკინს გვინდოდა ცოტა ხნით მაინც ჩრდილს შევევარებოდით. მაგრამ ბლინდაეიდან ისმოდა რაღაც შარიშური, განუწყვეტელი ტაკა-ტუკი, ოღონდ სულ ჩუმად. მე ვთქვი:

— ეს ალბათ საათიანი მექანიზმაა. ეტყობა, ბომბი ჩაუღვიათ. მოლით, გავიდეთ აქედან.

და ჩვენ ჰაერზე გამოვვდით, ბლინდაეს მოვშორდით... ლუკინიც იქვე, სულ ახლოს დაწვა. შორს ცვივოდა ბომბები, მთელი ნაპირი ქვიშის ბარხანებში გახვეულიყო. აფეთქებათა გრუხუნი რომ მიწყდა, წამოვდექით. აზნავს დაუძახე:

— ლუკინ! ლუკინ!  
დუმს. მივედით — და მკვდარია. არც ერთი ნაკაწრი, არაფერი არ ეტყობოდა. პაერის ტალღას მოეკლა“.

და ლეონიდ ილიას ძე დასძენს, კარგად უთქვამს პოეტსო:

მეგობრის ღიმილს ვერ  
მოკლავს ტყვია,  
ვით არ მოკვდება სიტყვა  
მართალი,  
რა ვუყოთ, თუ ერთ სანგარში  
არ ხართ,  
თუ წაქვს ვეღარ სვამს შენი  
მათართ.

გონებით ყველაფერი მესმოდაო, შენიშნავს ლეონიდ ილიას ძე: „ბრძოლაა,

ვლადიმერ მაჰაჰარიანი  
ყოველსამაგვიანე მრავასი



და მსხვერპლი გარდაუვალია, მაგრამ გულში აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. თვითონ ვწერდი წერილებს ქერივებს, ჩემი ერთი მუჟა მიწა აყრია ამხანაგების საფლავებს, ჩემი ავტობატის ცეცხლის ხმა გაისმოდა სამგლოვიარო სალუტის ზალში“.

„რა თქმა უნდა, — წერს ლეონიდ ილიას ძე, — სიკვდილის შიში ჩვეულობა ადამიანისათვის, ეს ბუნებრივია. მაგრამ კრიტიკულ მომენტში გადაწყვეტილება თითქოს თავისთავად მოდიოდა და მთელი წინა ცხოვრებით იყო მომზადებული. მაშასადამე, არის რაღაც მიჯნა, რაღაც წამი, როცა პატრიოტი მეომრის გულში საშობლოს წინაშე ვალის შეგნება შიშის გრძნობასაც ახშობს, ტკივილსაც და სიკვდილზე ფიქრსაც. მაშასადამე, გმირობა ანგარიშმოციემული მოქმედება კი არ არის, არამედ იმ საქმის სამართლიანობისა და სიდიადის რწმენა, რომლისთვისაც კაცი შეგნებულად სწირავს სიცოცხლეს“.

„1944 წლის 11 თებერვალი — წერს ლეონიდ ილიას ძე — ჩემთვის მწარედღე იყო. მოსკოვში ვგზავნიდი მძიმედ დაავადებულ არმიის სარდალს. ექიმებმა მითხრეს: დიდი იმედი არა გვაქვსო. ათი დღის შემდეგ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე გარდაიცვალა.“

ფრონტზე კაცი მალე იცნობა, ხელად გამოჩნდება, ვინ რად ღირს. ლესელიძე ერთ-ერთი უნიჭიერესი მხედართმთავარი იყო, რომელიც საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს განასახიერებდა. მკაცრი და დაუნდობელი მტრის მიმართ, კეთილი და გულისხმიერი ჰეგობრებისადმი, ნამუსის კაცი, სიტყვის კაცი, მახვილი გონების კაცი, ზალისიანი და მამაცი — ასეთი ჩამრჩა მეხსიერებაში ჩემი მებრძოლი მეგობარი და თანამოსაგრე კონსტანტინე ლესელიძე. — წერს ლეონიდ ილიას ძე.

„მომდევნო ხანაზე, — შენიშნავს ამხანაგი ბრეჟნევი, — ბევრი რამ შემიძლია გიაშობთ, შემიძლია მთელი წიგნი დავწერო... მაგრამ დღეს მინდა ერთ-

ხელ კიდევ აღვნიშნო ერთი რამ: მცირე მიწის ხსოვნა, მცირე მიწაზე მდებარე ბული წრთობა და გამოცდილება თან გაგვეყვა მე და ჩემს თანამებრძოლებს უკანასკნელ გასროლამდე. მებრძოლთა მგზნებარებას, უსაზღვრო მამაცობას, პატრიოტიზმს დაემატა სიდინჯე, მოწიფულობა, ზუსტი ანგარიში, ომის ცოდნა, და ყოველივე ამან გამარჯვებამდე მიგვიყვანა“.

არ შეილება მღელვარებით არ წააკითხოთ ლეონიდ ილიას ძის ამ ბრწყინვალე საომარი ჩანაწერების დასკვნითი აზრები, სადაც იგი დიდი შთაგონებით წერს: „ბედნიერია პოლიტიკოსი, ბედნიერია სახელმწიფო მოღვაწე, როცა შეუძლია მუდამ ის ილაპარაკოს, რასაც ნამდვილად ფიქრობს, აკეთოს ის, იღვწოდეს იმისათვის, რაც ნამდვილად სწამს. როცა მშვიდობის პროგრამა წამოგაყენეთ, როცა ბევრ საერთაშორისო შეხვედრაზე ომის საფრთხის თავიდან აცილების ინიციატივები გამოვიჩინეთ, მე იმას ვაკეთებდი, იმას ვესწრაფოდი, იმას ვამბობდი, რაც ღრმად და ბოლომდე მწამს, როგორც კომუნისტს.“

და ალბათ, სწორედ ეს არის მთავარი დასკვნა, დიდი ომის გამოცდილებიდან რომ გამოვიტანე.

ალბათ ყველამ ბეჯითად, რამდენჯერმე უნდა გადაიკითხოთ, შეითვისოს ის აზრები, ის ფიქრები, რომელნიც თავის „მცირე მიწაში“ მოგვითხრო ლ. ი. ბრეჟნევიმა.

„აღორძინებამ“, ისე როგორც „მცირე მიწამ“, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, დაბეჭდვისთანავე მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. იმასაც აღნიშნავენ, რომ „აღორძინება“ და „მცირე მიწა“ კარგად გააზრებული და ბრწყინვალედ დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოებებიაო. კერძოდ, ფრანგული პრესა აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ ნოველისტიკას შეუძლია იზეიმოს, რომ ასეთი ლიტერატურული ღირსებების ნაწარმოებები, ჩვენი დროის უძლიერესი სახელმწიფოს და პოლიტიკურ



პარტიის მეთაურის კალამს ეკუთვნისო. მართლაც დაუშრეტელი ენერჯის ადამიანი ყოფილა ბრეჟნევი, თუ მას რჩება დრო ასეთი დახვეწილი ნაწარმოებების შექმნისო. ევროპისა და ამერიკის პრესა ამ ნაწარმოებთა მაღალ ლიტერატურულ ღირსებაში ერთსულვანნი არიან. სხვა საკითხია, რომ ისინი არ იზიარებენ ლ. ი. ბრეჟნევის კონცეფციას. მართლაც და საკვირველზეა იქნებოდა, მავალითად, ჰერსტის გაზეთებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსწონებოდათ ეს წიგნები.

დროის ის მონაკვეთი, რომლის შესახებ „ალორძინებაში“ საუბარი, მეტად თავისებური, რთული და მძიმე იყო. საშინლად დაზარალებული იყო საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი. ეს გარემოება ზევითაც აღინიშნა, როდესაც „მცირე მიწის“ შესახებ ვსაუბრობდით. აქ ციფრების მოტანა საჭირო არ არის. ისინი კარგად არიან ცნობილადსავლეთის ბრიყვი მოღვაწენი ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი ამ საუკუნეშიც ვერ აღსდგებოდა. ცოტა მოგვიანებით უინსტონ ჩერჩილი წერდა, მე მეგონა, რომ რუსეთი მართო ომს კი არ წააგებდა, ის საერთოდ გამოირიცხებოდა დიდ სახელმწიფოთა რიგებიდანო. ამერიკელებსაც ასე ეგონათ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველაფერი ის რასაც ლ. ი. ბრეჟნევი „მცირე მიწაში“, „ალორძინებაში“ მოგვითხრობს, სულ რაღაც 35-40 წლის წინათ ხდებოდა.

ლეონიდ ილიას ძე ზაპოროჟიეში ხელმძღვანელ პარტიულ პოსტზე დაინიშნა. ეს ომის დამთავრების პირველ დღეებში მოხდა. მან იქ აი რა ნახა: „მთელი ქალაქი ნანგრევებად იყო ქცეული. სახელმწიფო კომისიამ დაიანგარიშა: ზაპოროჟიეში დანგრეული იყო ათასზე მეტი დიდი საცხოვრებელი სახლი, ოცდაოთხი საავადმყოფო, სამოცდაათობმეტი სკოლა, ორი ინსტიტუტი, ხუთი კინოთეატრი, ორას ოცდაცხრამე-

ტი მაღაზია. ქალაქი დარჩა უწყლოდ, უსათბობოდ, უელექტრონოდ“.

ლეონიდ ილიას ძე აღნიშნავს, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოლქში ცუდ მომენტში გამაგზავნა, თავს იჩენდა არათრგანოზებულობა, დაიწყო ცივი ომი, რომელიც გავრცელდა თითქმის ორი ათეული წელი. ეს არ ყოფილა არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა, როცა კაპიტალისტური ქვეყნები იმედს ამყარებდნენ რა ჩვენს სიძნელეებზე, ცდილობდნენ თავიანთი ნება-სურვილი თავს მოეხვიათ ჩვენთვის, ჩარეულოყვნენ ჩვენს საშინაო საქმეებშიო. მარტივი ანგარიში იყო: სულერთია საბჭოთა კავშირი თუმიცა გვთხოვს ამ მანქანებს და ამ ფოლადის ფურცლებს, კომუნისტები ვერაფერს გააწყობენ, გვეახლებიან და დაგვიჩიობენო... სინამდვილეში კი რა მოხდაო? — განაგრძობს ლეონიდ ილიას ძე, — დავილუბეთ? შევდრკით? შევაჩერეთ წინსვლა? არა! თავიანთ პოლიტიკაში შეცდომა დაუშვეს ზღვის ვაღმელმა ბრძენებმა. ამის შესვენება დღეს საჭიროა, რადგან სასარგებლოცაა და აქტუალურიცა, — შენიშნავს ლეონიდ ილიას ძე.

ლეონიდ ილიას ძე გვიხატავს მართლაც რომ ტიტანურ შეშართებას, რომელიც საბჭოეთში გაჩაღდა. საბჭოთა ხალხმა, პარტიის მთავარსარდალ სტალინის მეთაურობით მოსპო, გაანადგურა გერმანული ფაიზშიო, — აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი. თუ რა დაუჯდა ეს ჩვენს ხალხს, ცნობილია, ამაზე ლეონიდ ილიას ძე დაწვრილებით წერს „მცირე მიწაში“.

ლეონიდ ილიას ძე იგონებს, „1948 წლის 25 ოქტომბერს დამით მოიბრინა ჩემთან გენერალმა ზარელუამ და გამადგვიდა — რა სასიხარულოა — დნებროპეტროვსკი გაათავისუფლეს! ჩვენმა ჯარებმა იერიშით აიღეს დნებროპეტროვსკიცა და დნებროდერჟინსკიც! მოსკოვი სალუტს აძლევს! ლ. ი. ბრეჟნევი

ვლადიმერ მაჰაპარიანი  
ყოფილი საგარეო მინისტრი

წარმოშობით ხომ იქაურია. „იმ დროისათვის უკვე შეჩვეული ვიყავით გამარჯვების სალუტებს, მაგრამ ეს ჩემთვის განსაკუთრებული იყო“.

ერთ ვარჯიშობასაც აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ომის დროს კი არა, დღევანდლობას შეეხება. „ისინი, (ამერიკელები — ვ. მ.) გულმოდგინედ ჩქაბლავენ, ცდილობენ დაუმალონ თავიანთ მკითხველებს და მსმენელებს ის ისტორიული პირობები, რომლებშიც ვიყავით ჩვენ, და რომლებშიც იყვნენ ისინი. ამ მათი სიტყვით, „პატიოსან“ შეჯიბრებაში კი ერთი მხარე, რომელსაც ოკეანე იცავდა მტრის შემოსევებისაგან, ყოველ ომში მდიდრდებოდა, ხოლო მეორე განუწყვეტელ პროვოკაციებს განიცდიდა. იტანდა ომისა და ნგრევის უმძიმეს ტვირთს, იძულებული იყო, მრავალ დარგში ყველაფერი თითქმის თავიდან დაეწყო ხოლმე“.

დიდი ყურადღების ღირსია ერთი მომენტიც, რომელსაც ხაზს უსვამს ლეონიდ ილიას ძე. ეს არის მუშაობაში, ხელმძღვანელობის სტილში ფართო დემოკრატიზმის დანერგვის აუცილებლობა. ლეონიდ ილიას ძე ყველას ურჩევს, კადრებსაც, რიგით მუშაეებსაც: მოეთათბირეთ, ჰკითხეთ ხალხსო, ყური უგდეთ, რას გვთავაზობენ, რას ფიქრობენო ისინი.

ადამიანისადმი ყურადღება არ ნიშნავს, კუდში სდით ჩამორჩენილებს, ობივატელებს. ლეონიდ ილიას ძე წერს, რომ მოითხოვდა იმ ხალხის თანამდებობიდან გათავისუფლებას (სხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მოუწყობლად), ვინც საქმეს შლიდა შეზღუდულობის გამო. „კაცმა რომ თქვას, ზოგიერთი გვეცოდებოდა კიდევ, მაგრამ არ შეიძლება იყო კეთილი სახელმწიფოს ხარჯზე“.

ხოლო მათ, ვინც გამოიჩინა მუშაობის უნარი, ვისიც საოლქო კომიტეტს

სჯეროდა, უნდა ეგრძნობთ ეს ნდობა“.


ლეონიდ ილიას ძის ეს მღვდელმთავრებისეული გამოცდილებით ნაკარნახევი, ნაზრევი დიდი თეორიული და პრაქტიკული მუშაობის, მოქმედების, სტილის მინიშნებაც არის. „მცირე მიწა“ და „აღორძინება“ ღრმად უნდა შეისწავლოს ყველა საბჭოთა ადამიანი.

„მცირე მიწა“, „აღორძინება“ გამსჭვალულია ადამიანისადმი უღრმესი პატივისცემით. ლეონიდ ილიას ძეს ღრმად სჯერა საბჭოთა ადამიანისა, კეთილი სიტყვისა და ასევე კეთილი საქმისა, სჯერა რომ ეს დიდი მიწა, რომელსაც საბჭოეთს ვეძახით, სადაც ერთ დიდ ძლიერ ოჯახში, მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები სახლობენ, ერთი მიზანი, ერთი საქმე, ერთი სურვილი, ერთი ოცნება აერთიანებთ — მშვიდობიან პირობებში ახალი სამყაროს, ახალი ცხოვრების, კომუნისმის მშენებლობა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომელიც 1418 დღე-ღამე ომობდა, ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსებასა და მომავალს იცავდა, 1964 წლის ოქტომბრიდან, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, მის პოლიტიუროსთან ერთად ბრძნულად ხელმძღვანელობს ჩვენს დიად მრავალეროვან სახელმწიფოს, მას კარგად, ნათლად აქვს წარმოდგენილი, როგორც დღევანდელი დროის ამოცანები, ასევე მომავლის არანაკლებ დიდი, დიადი პრობლემები.

პოლიტიკურ ლიტერატურას შეუძლია იამაყოს, რომ ასეთი ნაწარმოებები ჩვენი დროის უძლიერესი სახელმწიფოს და პარტიის მეთაურის კალამს ეკუთვნის.

ამგვარ დასკვნას გააკეთებს ყოველი ადამიანი, რომელიც ყურადღებით, გულდასმით წაიკითხავს, შეისწავლის „მცირე მიწას“, „აღორძინებას“.





გადაიკარა,  
გადაიკარა,  
ჩემმა ცამ ლურჯად  
გადაიკარა...  
ისე წავედი,  
ისე მოვედი,  
თითქოს იყო და  
არა იყო რა.

მე წავალ ისევ,  
მე მოვალ ისევ,  
შშობლიურ ღრუბელს  
დავიდგამ კარვად,

მაგრამ ნურასდროს  
იკითხავ მიზეზს  
დღეს აქ რატომ ვარ,  
ან რატომ არ ვარ.

წავალ თუ მოვალ,  
ისე თუ ესე  
მე სიკვდილამდე  
აქ ვარ დაბმული,  
რადგან მოკვდავთა  
ღონიერ მხრებზე  
დგას უკვდავება  
ჩემი მამულის!

შენ,  
ერთადერთო ჩემო მამულო,  
სულ შენგანა მაქვს,  
რაიმე თუ მაქვს.  
მომეცი ნება,  
რომ ვიხმაურო,  
როგორც ბალახის ფესვებმა, ჩუმაღ.

მომეცა ნება,  
მკერდზე დახლილი  
ქარები შენზე ზრუნვით დავცალო  
და ჩემი სულის უხმო ძახილით  
სულ გაგაყრუო მთელი სამყარო.

ოღონდ დავიწყებ ისევ თავიდან:  
ეს სული შენი დაგეშილია;  
ისე დიადი და უკვდავი ხარ,  
რომ სიკვდილისაც არ მეშინია!

წ ი მ ა რ ა

დაშეძებს და სადაც გულით  
ვმგულები,  
იქ არა ვარ...  
დამიკარგავს სალამური,  
სად მომავნოს წიქარაშა.

ნეტავ მზე ვის ესალმება,  
მთვარის სარკმელს ვის უღებენ?  
რას ყვირიან ეს მამლები,  
ეს ძაღლები ვის უყვებენ?

ქვეყნის ჩარხზე ლესავს ხანჯალს  
დედინაცვლის დრო და ჟამი...  
იმ ცეცხლისგან ფერფლი დარჩა,  
იმ სეფდისგან დარჩა კვამლი.

შემომესმა ზამთრის სუნთქვა,  
ძველი წყარო დამშრობია.  
როგორც უკვე ერთხელ უთქვამთ:  
მეც მოვდივარ ბავშვობიდან.

მეც მოვდივარ ბავშვობიდან,  
ალალ-ალალ მოვაბიჯებ,

გაზაფხულის წვიმა მინდა,  
რა იქნება,  
მომანიჭე!

ქარი დაჰქრის საღამური,  
დრომ ნებვივრად იქარავნა.  
დამეკარგა საღამური,  
სად მომნახოს წიქარამა,  
იქ ვარ,  
სადაც ის არ მეძებს,  
სადაც მეძებს,  
იქ არა ვარ!

## სინუმი

ვერცხლის ჩანჩქერი  
ჩაიწრიტა ბრმა ქაოსებში  
და მთების იქით  
მოსწყდა მთვარის ბოლო აკორდი.  
სიბნელე ისე  
მომაჩერდა ღრმა გაოცებით,  
ველარ გავიგე:  
დამივიწყა თუ მოვაგონდი.

უკვე არ ვიცი:  
ვის ვახსოვარ,  
ვის დავავიწყდი,  
გზას ვის ვუნათებ  
ცხელი გულით და ვის ვაბრმავებ...  
მე კიდევ მოვალ,

ანდა სულაც აქვე დავიცდი,  
ვიდრე ქვეყანა  
ხმაურს ურცხვად არ დამაბრალებს.

ო, მიკიოტო,  
ბოლმასავით სულში უზიხარ  
ღვთაებრივ დამეს  
და იქიდან სიზმრებს უკივი...

წყნარად!  
სინუმი  
ერთადერთი არის მუსიკა,  
განთიადისას  
რომ მომიხმობს ოქროს ბუკვიით...

ხმელი ფოთლები  
ყრია კიბეზე,  
ლურჯი,  
წითელი,  
სველი და გრილი.  
შემოდგომის მზე  
თვალეებს იბეცებს,  
და ველარ აგნებს  
სახლისკენ ბილიკს.

თითქოს ყელამდე  
სავსე სიკეთით  
მუხნარი სადღაც  
აქვე იწყება.  
მიტოვებული  
ნესტში კიკეთი  
თვლემს და ამაოდ  
მზეს ვეფიცვება.

I. მამის აჩრდილი

ღმერთო,  
რა ხდება ელსინორაში?!

სასახლის ცივი კედლის ბზარიდან  
ქარში გამოდის მამის აჩრდილი  
მთლად შეჭურვილი თავით ფეხამდე,  
თითქოს საომრად მოემართება  
და კვლავაც ძალუძს,  
რომ მსუბუქ ხელით  
მტერს მოუქნიოს მძიმე მახვილი...  
მაგრამ შეხედე:  
გაფითრებული,  
შეძრწუნებული შვილს უხმობს ქარში  
და გულუმბრყვილოდ სიმართლეს ანდობს;  
ანდობს სიმართლეს მაშინ,  
როდესაც  
ქვეყნიერებას დიდი ხანია  
სიმართლის არსი დაევიწყებია...  
აბა, რა არის მამის აჩრდილი

თუნდ შეჭურვილი თავით ფეხამდე  
ბასრი ხმლითა და ცლვარე ზუნით?  
ანდა საიდან უნდა იცოდეს  
სვედაშრეტილმა,  
უხორცო ლანდმა,  
თუ რა მოჰყვება თქმას სიმართლისას?  
ამიერიდან ყველა ტკივილი  
უარყოფილი სიყვარულისა,  
ყველა სიმძიმე უკუღმართობის,  
უღირსისაგან შეურაცხყოფის,  
ფარისევლობის და გულცივობის,  
ლალატის,  
შურის,  
რაიც ხორცშესხმულ  
ადამიანთა ძველი ხვედრია, —  
უნდა იტვირთოს სამრალო პრინცმა...  
ღმერთო,  
რა ხდება ელსინორაში?!

2. დრო და სიტყვა

საუკუნე განვლეთ,  
დრო გვაგებებს კითხვებს...  
— მანდ რას ეძებთ, ჰამლეტ?  
— სიტყვებს,  
სიტყვებს,  
სიტყვებს!  
დრო ყველაფერს დაშლის,  
არ აყოვნებს დიდხანს.  
როგორც ელვა დაშნის,  
გაბრწყინდება სიტყვა.  
მაინც სიტყვის წიაღ  
ცეცხლზე  
წვეთავს  
აზრი.  
დავიწყებას მიაქვს  
დენთით სავსე კასრი.  
გჳერა,

თუ არ გჳერა,  
სიზმარულ ბოდვის,  
ჩვენ არ ვიცით ჳერაც,  
აფეთქდება როდის,  
და, რაც ერთხელ ითქვა,  
მარად  
ნათელს  
ერთვის.  
პირველ იყო სიტყვა,  
სიტყვა იყო ღმერთი.  
ეს ტალანცი განვლეთ  
და დრო პასუხს ითხოვს...  
— მანდ რას ეძებთ, ჰამლეტ?  
— სიტყვას,  
სიტყვას,  
სიტყვას!

ამ კაცმა,  
ვისი მემკვიდრეა,  
იცის;

და ისიც,  
რისი მემკვიდრეა,  
იცის.



ამ კაცმა,  
ვისი პატრონია,  
იცის;  
და ისიც,  
რისი პატრონია,  
იცის.

ამ კაცმა,  
ქვეყნად თუ ვის ტოვებს,  
იცის;  
ან რას ტოვებს და ვის უტოვებს,  
იცის!

**დაპარტული დღე**

ეს დღეც ნაწყენი ბავშვებით  
გამებუტა და წავიდა.  
მიმწუნრზე წამოგეწიე,  
არ გამიჩერდა წამითაც.

დღე გამიფრინდა ჩიტვით,  
ვერ მოვასხენე სათქმელი;

ვერ დავადვინე მაჭარი,  
ქვეყნს ვერ დავხურე სარქველი.

ვერ მოვიშორე ტკივილი,  
ვერ გავიცინე გულითა.  
მხოლოდ ქუჩები დავცვითე  
უაზრო სიარულითა.

**სოფია — 77. შვიგოღვოვა**

(ბულგარული დღეობა)

ჩვენ ისევე შევხვდით,  
ნიკოლა კინჩევი!\*  
მე წინდაწინვე ვიცოდი, თუმცა,  
რომ შევხვდებოდით და მიხაროდა.  
ამ სიხარულმა დღეს მაგრძნობინა,  
თურმე რამდენი-ხანი გასულა,  
რამდენი დღე და რამდენი დამე  
აღარ სწვევიხარ თბილისის ქუჩებს...

ახლა მე აქ ვარ,  
შენს სამშობლოში...

ნიკოლა კინჩევი,  
მშვენიერია შენი ქალაქი!  
ნიკოლა კინჩევი,  
დიდებულაა შენი ქვეყანა!

მე არ გამშვიდებს,  
არც გეფურები...  
მე ვაღიარებ!  
და, რასაც ვამბობ,  
ის მისხალ-მისხალ

გამომწვარია გულის ქურაში.

რა კარგად მახსოვს შენს თვალებში  
გაწოლილი ეჭვის ზმანება:  
თითქოს შეხვედრის დღე და საათი  
ვერ გაუძლებდა დროსა და მანძილს,  
თითქოს ჩვენ გვეცვა სტუმარ-მასპინძლის  
ვალმოსახდელი გაცვეთილი,  
ქველი სამოსი,  
რომელსაც უმალ გვის გახაყართან  
გავიხდიდით და მოვიშორებდით:  
მე — მასპინძლისას,  
შენ კი — სტუმრისას.

ჩვენ არ ვიცოდით,  
რომ სწორედ მაშინ მივაგენით  
მეგობრობის ანკარა წყაროს,  
უშრეტ სათავეს,  
რომელიც მერმე მდინარედ იქცა.

რა კარგად მახსოვს შენს სახეზე  
ალბეჭდილი წუხილის დაღიც,  
გაურკვეველი და ბუნდოვანი,

\* ნიკოლა კინჩევი — ცნობილი ბულგარელი პოეტი, ქართული პოეზიის ანთოლოგიის მთარ-გმნელი და შემდგენელი.



როგორც ბურუსში  
მიმაჯალი ლანდი კაცისა...

ნიკოლა კინჩევ,  
ახლა მე აქ ვარ,  
შენს სამშობლოში!  
ძველი დიმილით  
ვაკვირდებით ერთმანეთს ისევე,  
ეგრძნობ,  
როგორც ვცდილობთ,  
აღმოვაჩინოთ  
ის,  
რითაც ერთხელ  
დავიმახსოვრეთ აქამომდე  
ჩვენ ერთმანეთი.  
უკვე გამჭრალა შენს სახეზე  
ახალგაზრდული წუხილის დალი  
და იმის ნაცვლად  
აღგებუდვია ნათელი სიბრძნე.  
მე უცებ მივხვდი,  
სხვა სივრცეებს დაუფლებიხარ  
და შემომცქერი  
დაუნჯებული ოსტატის მზერით,  
რომელმაც უკვე სული და გონი  
გაწვრთნა,  
გაწაფა და გამორანდა...

მე მოვეფინე  
შემოდგომის სოფიას ახლა,  
როგორც შენ ერთ ღროს  
მოეფინე თბილისის ქუჩებს.

უსაქმოდ არც მე დაეხეტებო,  
ყოველდღე სადღაც მიმჩქარება:  
ეს კი უკვე აღარ მგვონა,  
თუ ბულგარეთში მეტყობდა ვინმე:  
— ვიჩქაროთ, არჩილ!

გვაგვიანდება,  
მთელი დარბაზი გაივსო ხალხით  
და შენს გამოსვლას ელოდებიან...  
ყოველდღე სადღაც მიმჩქარება,  
მელოდებიან ან ეელოდები...

— წაშლენ ნიყავი სილვიასთან...\*  
მისმა მუკულემ გამომიარა  
სასტუმროში და მეც წაყვავი.

როგორც კი შეეფდო სადარბაზოში  
ფეხი,  
მაშინვე გაიგვინე  
სადღაც მღეროდა „ცისფერი ტრიო“,  
სადღაც,  
სულ მაღლა...  
და ყოველი საფეხური  
მახანობდა მშობლიურ კანტებს.  
გულში სიამით მეღმიებოდა,  
რამეთუ მივხვდი,  
ეს სილვიას ხელწერა იყო.

გმადლობთ, სილვია!  
ოქვენ ზედმიწევნით  
კეთილი და გონიერი ხართ.

ხედავ,  
სიმღერას  
რამხელა გზა გამოუვლია?!  
მოუღწევია სოფიამდე  
და სოფიის ახალუბანში  
შინაურულად დამგვიდრებულა.

გვიანობამდე ვსაუბრობდით  
და გუსმენდით ძველებუდგარულ  
საგალობლებს,  
რომელთა ხმები მე ახლაც მესმის,  
მესალბუნება,  
მამაღლებს ცამდე  
და კეთილ ფიქრებს მიღვიგებს გულში...

მაგიდაზე დგას  
„საფერავი“ და „რქაწითელი“.  
ღვინო,  
რომელიც  
ბულგარელმა გლეხმა დაწერა.

ნიკოლა კინჩევ,  
გამაგებინე,  
ეს როგორ ხდება?!  
სხვამ თუ არა,  
შენ მაინც იცი!  
სხვას თუ არა,  
შენ ხომ გინახავს კახეთის ზვრები,  
გაგვივლია ალაუნის ველზე  
და ალავერდის ტაძარი თვალიწინ

\* სილვია — ბულგარულ და საბჭოთა მწერლების ურთიერთობათა განყოფილების ვამპე



მოულოდნელად აფრენილა,  
როგორც წერო აჭრილა ცისკენ...  
ალაზნის ველი  
„საფერავისა“ და „რქაწითელის“  
საშშობლოა,  
აქ გაუდგამთ  
პირველყოფილი ფესვები მყარად  
და ქართულ მეზურეს  
ოფლით და სისხლით უხარებია...

ვაზი სიმღერა ხომ არ არის,  
შეისხას ფრთები  
და გაფრინდეს სხვა ქვეყანაში,  
როგორც ფრინველი მგალობელი?!  
ვაზს უნდა მიწა საკუთარი  
საუკუნეთა მანძილზე გლგხის  
სისხლით და ოფლით  
ნაპოხი და ნაფხვიერები!

ნიკოლა კინჩევ,  
მე მიხარია,  
რომ ჩემმა ვაზმა  
შენს მამულში გაიდგა ფესვი.  
ეს იმას ნიშნავს,  
რომ ეგე მიწა და მიწა ჩემი  
ბედით,  
ცხოვრებით  
ისტორიის დიდ სივრცეებში  
ერთმანეთის თანაბარია.  
და ჩემმა ვაზმა,  
ფაქიზმა და მიწეზიანმა,  
ხეტიალი და დამკვიდრება  
რომ არ უყვარს სხვის ქვეყანაში,  
რადგან მოწყენა ეძალება,  
ფოთოლი სცივია  
და უნაყოფოდ ტოვებს სიცოცხლეს,  
შენს დიდ მამულში გაიდგა ფესვი  
და ხარობს,  
როგორც ალაზნის ველზე.

ნიკოლა კინჩევ,  
მადლობა უთხარ,  
უდიდესი ჩემი მადლობა,  
ბულგარულ მეზურეს,  
ვინც „საფერავი“  
გაახარა თავის მიწაზე,  
დაწურა ღვინო,

მომაწოდა და მათქმევინა  
ბულგარულ მიწის სადღეგრძელო,  
მისი ბარაქის და სიუხვის სადიდებელი!

ღმერთო,  
რამდენი ვილაპარაკე!  
ხედავ,  
ამშლია საღერღელი,  
ვეღარ ვჩერდები,  
თუმცა კვლავ ბევრ  
დამრჩენია საღაბა... 1

ჩემო ფერნანდა,  
დაო და რძალო,  
რას იხამ,  
უნდა აიტანო ასეთი ყბედი  
ძმა,  
მეგობარი...  
ნიკოლა წუხელ  
ალბათ ისევ გვიან დაბრუნდა,  
ან ადრე როგორ დაბრუნდებოდა,  
როდესაც ამდენს ვლაპარაკობ.  
მაგრამ, ფერნანდა,  
დაუნდობლად გადიან წლები,  
ვინ იცის,  
კიდევ როდის შევხვდებით?  
ან შეიძლება,  
სულაც არ შევხვდეთ,  
მხოლოდ შორიდან  
მივაწვდინოთ ერთმანეთს ხმები.  
ამიტომ ვცდილობთ,  
ეთქვათ უფრო მეტი,  
ვიღრე ამბობენ  
ყოველდღიური შეხვედრებისას...

ჩემო ფერნანდა,  
შენს სიკეთეს,  
კდემას და სულის უნაზეს რხევებს,  
რაც სიმღერად იღვრება მერმე,  
მე ვუფრთხილდები...  
ამიერიდან  
სუსტი მავით უნდა ატარო  
ჩვენი და-ძმობის მძიმე ბორკილი,  
რომელიც ჩემმა წინაპარმა,  
დიდმა ოსტატმა გაჭედა შენთვის.

\* ფერნანდა — ბულგარელი პოეტი ქალი, ნიკოლა კინჩევის მეუღლე.

აჰა, დამინდო ამინდის ღმერთმა,  
და მომივლინა  
წემოდგომის ოქროს დღეები,  
რომ გამაბრუნოს სიყვარულით,  
მზით,

მიწის სუნით...  
დროი: ღმერთი კი ძველებურად  
უნდობარი და უღმობელია:  
განშორების ტკივილით მავსებს...

ო, რა უდროოდ  
ყვიის მამალი,  
დალეწა სიზმრის  
ფერადი მინა-  
ვლელავ და მთვარე  
ოთახში დამაქვს,  
მთვარეს ბავშვივით  
მკლავებზე ძინავს.

არ ვიცი,  
საით  
უნდა წავიდე,  
ვის შევანერო  
ხელში ეს მთვარე...  
საგრამ ფანჯარა  
გაიღო წამით  
და ჩვილი მთვარე  
გაფრინდა გარეთ.

ო, რა უაზროდ  
ყუფუნ ძაღლები,  
ფლეთენ ღამეულ  
მყუდრო სარეცვლს  
და ჯერ არ ვიცი,  
პირქუს,  
დაღვრემილ  
ჩემს თავს მე თვითონ  
როგორ გავექცე.


უცებ მოჭგვარა  
ღამეს ღიმილი  
და ახლა უკვე  
მეც გული მწყდებდა,  
რომ აღარ ისმის  
მამლის ყივილი  
და მაწანწალა  
ძაღლების ყუფა...


გარდამსდა გარდასახდელი,  
ანი,  
ბანი და  
განი და...  
საჩინო იქმნა ყოველი  
მთელი სიგრძით და განითა.

ვიცან, გალაკტიონ, შინში აქაუნა.  
გალაკტიონ ტაბაძე

ჩემმა დაზრდილმა ლეკვებმა,  
მდიეს,

მდიეს და  
მდიესო,  
ხანი არ მომცეს შვებისა,  
არცა რა მაპატყესო,  
ცოცხალს რომ ვერა დამაკლეს,  
სამარის კართან მძლიესო,  
როცა ქვა გულზე დამადეს,  
უკვდავად მიმიჩინესო.





**რ** მომრც კი ფეხის ხმა გასცდა, ზაალმა კარი გამოაღო და დერეფანს გაჰხედა. იატაკის სივრცე დაგებულ ხალიჩაზე ვიღაც მიაბიჯებდა და თან თავისთვის ბუტბუტებდა.

კაცმა გრძელი დერეფანი გალია, ბოლომდე მივიდა და უკან გამობრუნებული იმავე ნაბიჯით ისე წამოვიდა, ბუტბუტი არ შეუწყვეტია.

ნაბიჯი თანაბარი, ღონიერი და სალდათურის მინამსგავსი იყო, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად მიჰხედებოდა, მის პატრონს სამწყობრო მარში მხოლოდ სადღესასწაულო აღლუმზე ან რადიო-ტელევიზორში თუ მოესმინა.

ბუტბუტი თანდათან მოახლოვდა და ბოლოს გამოიკვეთა:

— სამას ორმოცდაშვიდი, სამას ორმოცდარვა, სამას ორმოცდაცხრა, სამას ორმოცდაათი, გამარჯობა! სამას ორმოცდათორმეტი, სამას ორმოცდაცამეტი, სამას ორმოცდათოთხმეტი, სამას ორმოცდათხუთმეტი...

კაცმა ისე ჩაიარა, არც პასუხისათვის დაუცდია, არც ნაბიჯი შეუწყვეტია და არც თვლა შეუწყვეტია. — მხრლოვ ერთხელ გამოჰხედა მისალმებისას და წავიდა.

ზაალმა შეკრულ მხრებსა და ჩახმულ, დანაოქებულ კეფას თვალი გააყოლა და ღია კარში გაირინდა.

კაცი დერეფნის ბოლომდე მივიდა და აქეთ კვლავ იმავე ნაბიჯითა და სიჩქარით წამოვიდა. მოახლოვდა, მოახლოვდა და ისევე აშკარად გაიგონა:

— სამას ოთხმოცდაორი, სამას ოთხმოცდაათი, სამას ოთხმოცდახუთი, სადაური კაცი ხარ, კაცო! სამას ოთხმოცდარვა, სამას ოთხმოცდაცხრა, სამას ოთხმოცდაათი, სამას ოთხმოცდათერთმეტი...

კაცმა ახლაც ისე გაიარა, არც პასუხისათვის დაუცდია, არც ნაბიჯი შეუწყვეტია და არც თვლა შეუწყვეტია. შეკითხვისას მხოლოდ ერთხელ გამოჰხედა და წავიდა.

„ახალი დამსვენებელი იქნება“ გაიფიქრა ზაალმა და გარეთ გაიხედა. განთიადის ბურუსში წვიმის ფარდა ძნელად განიჭვრიტებოდა. აივნის მონაკაზე ირიბად წამოსული წვიმის მსხვილი წვეთები უაბაყუბით ეცემოდა და მცირე-მცირე შადრევანთა უთვალავი ნაშხეფი მტკავლის სიმაღლეზე აჰქონდა.

ზაალმა აივნის კარი გამოაღო და გარეთ გავიდა. ნოტიო სივრილე უმალ მიელამუნა სახესა და ხელებზე. ზღვიდან ამდგარი ნისლი მთელ ეზოს მოსდებოდა და ხეთა კენწეროებიც კი არ იძებნებოდა. მუქარუს ასფალტზე ოდნავ ზოჩანდა მანქანის მოხაზულობა. ეს უეჭველად მისი იყო, რადგან ყოველ დამით მხოლოდ მას შემოჰყავდა მანქანა ამ ორ პალმას შუა. დანარჩენები, ალბათ, ეზოს კედელში, ორმოციოდე ნაბიჯ იქით, ტყის პირად იდგნენ ბურუსში გასუსტუნნი.

ეზო პლაჟის მხრიდან დაუცავი იყო. უცხოს ადვილად შეეძლო შემოსვლა. მას შემდეგ, რაც წინა მანქანაზე ნიკელები აუძრეს და სარკეც მოჰპარეს, უმეთვალყუროდ დიდხანს ვედარსად აჩერებდა. მართალია, ყარაულმა ყველანიირად სცადა იმ ორი პალმის შუადან განდევნა, მაგრამ ყარაულს კი არა, თვით დასასვენებელი სახლის დირექტორსაც არ შეეპუა:

— რა გქნა, ძმაო, თუ გინდა, ჩემი მანქანიანად გამაგდე აქედან, თუ არა, აქ დამაყენებინე. ღამის თორმეტ საათზე აღრე არ შევიყვან მინდა და დილის შვიდ საათზე გამოვიყვან. მინდა თვალწინ მქონდეს. ღამდამობით გადმოვხედავ და გულს დავიმშვიდებ.

არცა ტყუოდა. მთელი ოცი წელი ცდილობდა „ვოლგის“ ყიდვას, მაგრამ დღემდის ვერ ეღირსა ამ ერთი თვის წინ კი მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ პატივი დასდო, მათთვის გამოყოფილი შვიდი „ვოლგის“ ფონდიდან ერთი მას მისცა და, როგორც იყო წელში გამართა კაცი. მართალია, არც რალიო მუშაობდა, არც მისახვევ-მოსა-

ფევეების თვალის საპაჭუნებელი წყარო, კარებები მიღრეცილ-მოღრეცილი ჰქონდა, საბარგულის საფარებელი თხევადი მონგრეული, ხოლო კაპოტს მარცხენა მხარე შუა ადგილას ისე ჰქონდა აწეული, როგორც გარეულ ტახს ზედა ყბის საეშვარი, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა, როცა მოტორი ახლდა დიდებულ: ჩაჯდებოდი და, საითაც ვინდა, იქით წავიყვანდა. ერთი თალია ავტომობილაში გაიქაჩა: ამ აფრავში ფულს რომ სრულს მანდვეინებთ და კაპიკს არ მიკლვებთ, სადაური სამართალიაო, მაგრამ გამყიდველმა აუხსნა: „ეს ზავოდსკოი ბრაკია, რა ჩემი ბრალოა, მამაჩემი კი არ აკეთებს ოჩხამურში და იქიდან კი არ მიგზავნის. მაღლობის მაგიერია? — საუუეთესო აგარჩეინე“. გამყიდველზე აუგის თქმა მართლაც არ ეგებოდა, — ოთხმოც მანქანაში გამოარჩეინა და გამოატანა. ბიჭვინთა დიდი ქალაქი არ არი, მაგრამ მაინც საკურორტო ადგილია, ვინ იცის, რა რჯულის, ზნისა და ენის კაცი არ ირევა აქ. დილით რომ გამოვიდეს და მანქანა ისე არ დაჰხვდეს, როგორც სადამოთი დატოვა, ხომ შეიშლება ჰქუიდან? ან იქნებ სულაც აღარ დაჰხვდეს?..

ქარმა წამოუბერა, წვიმა კიდევ უფრო დააირიბა და მოყურაიდეს სახეცივი წყლით გაუწუწა. ზაალი ღერეფანში შებრუნდა და ისევ ის კაცი დაიწახა. დიდი გულმოდგინებით მოდიოდა და ნაბიჯებსაც კვლავ საქმიანად ითვლიდა:

— ხუთას თერთმეტი, ხუთას თორმეტი, ხუთას ცამეტი, ხუთას თოთხმეტი, გარეთ სად ვაპდისხარ ამ წვიმაში, კაცი! ხუთას ჩვიდმეტი, ხუთას თვრამეტი, ხუთას ცხრამეტი, ხუთას ოცი, ხუთას ოცდაერთი...

ზაალი ერთხანს უცქეროდა, ყოველ ნაბიჯზე როგორ ირწეოდა უცნობის თითქმის დაკუთხული, გაჭიმული ტანი და მერე თავის ოთახში შევიდა. დარ-

ლადო მინაშვილი

ზღაგაფი

ჩენილი დრო რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ქართული თარგმანის კითხვას მოანდომი. დორეს დიდებული ილუსტრაციები აღრეც არაერთხელ ენახა. ბიბლიის, ღვთაებრივი კომედიისა და დონ-კიხოტის გენიალურმა ილუსტრატორმა კიდევ ერთხელ აუქავა ხელი საფუნჯედ, მაგრამ არანაკლები ხიბლი თავად თარგმანმა მოჰგვარა. კარგა ხანია, ასეთი ქართული არ წაეკითხა. ეს იყო საოცარი ნიმუში ხელოვნების სიყვარულისა, კატორღული შრომისა და „მოქმედის“ თავყანისცემისა თავისი ენისა და ერისადმი. უძილო ღამეების ქაოსში ხელახლა გაცოცხლებულყო მადლი სულხან-საბასი და ისეთი დოზით შეხავებოდა ახალქართულს, პროზაში იშვიათად რომ გამოსულიყო ოსტატის ხელიდან. საოცარია, ჩვენი ახლანდელი მწერლები რატომ აღარ წერენ ასე ლამაზი ენით, ესოდენ რომ შვენის ქართულ პროზას? ახლა ენას ისე რიგად აღარ აქცევენ ყურადღებას და ქართულ რეცენზიებსა თუ კრიტიკულ წერილებში იშვიათზე იშვიათად თუ შეხვდები კაცს, ენას რომ იწონებდეს ან იწუნებდეს. ენა კი, ისევე, როგორც ფერი მხატვრისათვის, ერთი უმთავრესი ფენომენთაგანია მწერლისათვის.

კითხვამ ისე გაიტაცა, რომ, როცა სასადილოში ჩავიდა, ოლიფანტეს საუზმე უკვე მოეთავებინა. იგი კი ამ საყოველთაო საკრებულოში ყველაზე გვიან შემოდიოდა.

მივიღა, მიესალმა და გადარჩენა მიულოცა.

ამ ერთი კვირის წინ ოლიფანტეს წნევამ ძალიან აუწია. ძლივს მოასწრეს ექიმის გამოძახება და საავადმყოფოში გადაყვანა.

ოლიფანტე იურისკონსულტად მუშაობდა მხატვართა კავშირში. სამოცდაშვიდი წლის კაცი ჰაბუკივით ჯომარდი, მსმელი და დარდიმანდი იყო. მაღალი, უცხიმო ტანი ისევე გამართული დაჰქონდა. დინჯს, დარბაისელს და თავაზიანს დასასვენებელ სახლში ქალები ბუზებ-

ვით ესვეოდნენ. როგორც კი მისი სველ მყოფობა გაიგეს, მაშინვე ზაალს უჩნდნენ და სთხოვეს: საავადმყოფოში წავიყვანეთ. რაკი მათთვის გრძელსა და უცნაურ სახელს მთლიანად ვერ ამბობდნენ, ზოგი „ოლიფას“ ეძახდა, ზოგი „ალიფას“ და ზოგიც „ალიფასს“. ზაალსაც მეტი რა გზა დარჩენოდა, ყოველდღე რამდენიმე გზობას აკეთებდა დასასვენებელი სახლიდან საავადმყოფომდე და იქიდან უკან.

— რა იყო, შე გაჭივრებულო, რამ დაგაგვიანა, კაცი ვერ გასწრებს ხოლმე აქ შემოსვლას.

— გაჭივრებულო კი არა, გაჭირვებულო, ოლიფანტე!

— ა, აგერ ოცდაათხმეტი წუთია ვზივარ და არ ჩანხარ.

— თუთხმეტი კი არა, ხუთმეტი, ოლიფანტე. ყოველ წინადადებაში რაღა უშვებ შეცთომას, შე კაცო!

— შეცთომა კი არა, შეცდომა, შე გაჭივრებულო, ახლა შენ მასწავლი ქართულს?

— განგებ დავამახინჯე, აბა თუ მიზხვდება-მეთქი.

— მაგის მოფიქრებას დრო უნდა, დასაგვიანებლად ქეა საპატიო.

— მაგისთვის კი არ დავიგვიანე, — დავილაღე, ოლიფანტე. მთლად შოფრად მაქციეს ამ შენმა „ნაშები“: გადაზიდე-გადმოზიდე, გადაზიდე-გადმოზიდე. დღეში ხუთ გზობას მაინც ვაკეთებდი აქედან ბაზრამდის და ბაზრიდან საავადმყოფომდის. აბა, ის ცინცხალი ყურძენი, ვაშლი, მსხალი და ადრეული მანდარინი რომ მოგდიოდა, ვისი მანქანით მოგდიოდა?

— კაი, კაი, წაი, ახლა, შექვამე რაცხა და მერე წამიყვანე სოჭში. გვეიაროთ პატარა, იქნებ საყიდელი იყოს რაღე.

— ავადმყოფმა მომიხელე, გამორჩი და მკლავ, ოლიფანტე? თუ შენი „ნაშებისათვის“ რამის ყიდვას აპირებ, წინასწარ უარს გეუბნები.

— რას ეიტენე ახლა ეს „ნაშები“,

სად მცალია მაგადთვის, შვილიშვილებს ვუყვიდი რაცხას.

— ჰოი, რა უმადური კაცი ჰყოფილხარ, ოლიფანტე, მაგათ თავი გადღედეს შენთვის, — გადაგარჩინეს და შენ უბრალო, ჩვეული ჯენტლმენობაც კი არ გინდა გამოიჩინო.

— წაი, წაი, ახლა, მიხედე შენს საქმეს, შენ არავინ გკითხავს ჩემს ჯენტლმენობას.

ზაალმა გაიღიმა, ოლიფანტეს მხარზე ხელი დაარტყა და გაბრუნდა.

— კარგი, აბა, წავალ. რაში გენადვლებით მე და ჩემი მანქანა.

ოლიფანტეს მაგიდის გასწვრივ სქელი მოქანდაკე იჯდა. მოქანდაკემ საოცრად განიერი მკერდი და ვეება მხრები კიდევ უფრო აიფუხა და ზაალს მეგობრულად გაუღიმა.

— გუშინ ვართაპეტინი და სერეზბრიაკოვი წაგიყვანიათ ლიძეაში და მანდარინი გიყიდიათ. თუ აღარ იწვიმებს, დღეს ვერ დაგვდებთ პატივს მე და ვერას? — ვეება ფაფრიანი თავი ცოლისაკენ მიაბრუნა და დიდი, მრგვალი სახე სახე მთვარესავით გაბადრა.

ზაალს გულს შემოეყარა. ეს მოქანდაკე და მისი სჯულიერი მეუღლე მოსგლისთანავე გაიცნო. ლიფტის ღია კარში განზე გადგა და გზა ამ წყვილს დაუთმო, მათაც თავაზიანობა გამოიჩინეს და თავის მხრივ განზე გადგნენ. ამასობაში ერთი დამლაგებელი ორ უცნობ დამსვენებელთან ერთად შევიდა ლიფტში და კარი მიიკეტა. და, როცა მეორეჯერაც იგივე განმეორდა, მესამედ ქალმა იბირველა: ლიფტში შესაწრო და თავაზიანი მამაკაცებიც შეიყოლა.

მეცხრე სართულამდე კარგა მანძილი იყო.

ზაალმა თვალი კაციდან ქალზე გადაიტანა და ერთხანს ინტერესით უცქერდა მის მიმქრალ სილამაზეს. ქალს შოლტივით ტანი ისევ სწორად ეჭირა, მაღალი ყელი აედერა და რაღაცნაირად მოწყენილი, გულგრილად იცქირებოდა. მხოლოდ მკერდისა და სახის ოდნავ მჰკნარ, უფერულ კანზე შეატყობ-

დით ხანდაზმულობას. მაინც სასიამოვნო საყურებელი იყო.

ქმარმა ყურებამდის გაიღიმა და ელამი თვალი ემშაკურად ჩაუბატუნა:

— აფსუს, რა სამწუხაროა, რომ ლიფტში მარტონი არ შემოხვედით! „მესამე ზედმეტი“ ხომ არ გვეთამაშნა?

ქალს თვალბესა და ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაურბინა და ლიფტიც გაჩერდა.

მას შემდეგ სადაც შეჰხვდებოდნენ, მუდამ სიამოვნებით ესალმებოდნენ, ხოლო, ერთხელ კინოს ბილეთები მათთვისაც რომ აიღო, სულ მოითაფლნენ.

— რას იტყვი, სულეიმან-ზადეც თუ წამოვა?

ზაალს რა უნდა ეთქვა? მანქანა ახალი იყო და, ღვთის წყალობით, ბენზინიც იშოვებოდა. ხელების გაშლითა და ნაძალადევი ღიმილით ანიშნა: მაგას რა ემჯობინება, თუ სულეიმან-ზადეც წამოვაო და იმ მაგიდისკენ გააბიჯა, სადაც დიდ-დიდი მათლაფებით ცალცალკე იდგა ხოლმე მუხუდოში არეული კომბოსტოს სალათა, მოხარშული ქარხალი და სტაფილო, ბოლოკის ნათალი, ძმრის გრაფინი და ზეთით სახე ჩაიდან. მის შემხედვარეს საკმელებით დატვირთული შვედური მაგიდა აგონდებოდა. დამსვენებელნი აქაც ისე, როგორც ფინეთში ტურისტები, ერთბაშად ეცემოდნენ თევზებით და ისე მოუთმენლად ელოდნენ კოვზის ხელში ჩაგდებას, როგორც საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოშვებულნი.

მაგიდაზე ახლა მხოლოდ ცარიელი ჭურჭელი და ბოსტნეულის მიმოფანტული ნარჩენები ეყარა.

აქამდე ვინ რას გაუშვებდა?

მაგიდიდან რომ გამობრუნდა, ისევ იმ ცოლ-ქმარის მეგობრულ მხერას წააწყდა.

„არა, არ უნდა წავსულიყავი ლიძეაში. რა დროს მანდარინია ახლა? — ჯერ ისევ მწვანია. არადა, ამ ვართაპე-

ლადი გრძელაშვილი  
ზღაპარი



ტიანმა და სერბრიაკოვმა აიხირეს: „სანამ რუსეთში გასატან მანდარინს გზებს შეუქრავენ, მანამდის ვიციდით და ჩუმად გავიტანთო. ჟერ არა გვეგონია, მანქანები გაჩხრიკონ, მატარებელში კი მოვხერხებთ დამალვასო“... ამით კი წაყვები, მაგრამ ახლა ესენი სხვებს ეტყვიან, ისინი სხვებს და... ესეც შენი დასვენება! მესამე კვირაა, ბანაობას ვინ ჩივის, ტანზედაც კი ვერ გაიხადა, რომ მზეს ცოტა ხანს მიინც დაენახვოს.

თავის მაგიდასთან მარტო ძმა დაჯვდა. ძმამ კომბოსტოს სალათიანი თეფში მიუწია.

— მოვასწარი და შენთვისაც ავიღე. დღეს ეგრე რად დაიგვიანე?

— ძალღული ამინდია. — ზაალმა ხელი აიქნია და მაგიდიდან ბუხები დააფრთხო. დასასვენებელ სახლს იქით, ორას-სამას ნაბიჯზე საფრინველზე ფაბრიკა იყო. ყოველდღე ათასობით ქათამი იკვლებოდა, იბღვებოდა და ნაწლავდებოდა. ნარჩენების სიბინძურეზე მომრავლებული ბუხები აქამდე სწვდებოდნენ და სასადილო დარბაზს ავსებდნენ.

— ერთი კვირაა დარჩა და აქედან ისე წავალთ, მზე თვალს აღარ გეჩვენებს.

— მართლა მაგარი მოწყენილობაა. ერთი რიგიანი ქალიც არ გამოჩნდა, კაცმა გული გადააყოლოს.

— ქალების მეტი რა არი? — აბა გაიხედ-გამოიხედე!

— მე ყურძენზე გელაპარაკები და არა ქიშმიშ-ჩამიჩხე. ამით რომ ვუყურობ, სარდაფის სუნი მცემს. ეტყობა, ეს ჯამათი საკუთარ სიფათზე უფრო მეტ საღებავს ხარჯავს, ვიდრე მოღბერტთან სხვათა პორტრეტებზე. — ნიკომ ფანჯარაზე მომდგარ ბურუსს გაჰხედა. — ნახე, როგორ ერთბაშად აცოვდა? არა, ძმაო, არ ღირებულა ოქტომბერში ზღვაზე წამოსვლა.

— თუ ამ მარაქაში მოგწყინდა, ვადი ბიჭვინთაში, უამრავი კორპუსებია.

— გუშინ კინემატოგრაფისტებთან წამოყვანა ბეჯანმა: წამო, გოგოს გამოგაგებ და შინ მოგვერიო. მუსიკა უკრავდა, ცეკვები იყო. ოჲ, ეს დედაბრები,

ეს დედაბრები! ისეთი სიჩაუქრობით ფრიალებდნენ კავალრებთან, ისე ხტოდნენ და ხუნტრუცობდნენ, გული ამერია. მაინც საიდან მოიყარა თავი ამდენმა შიშველმა როკამმა? რომ შეგეხედა, ვალბურგის ღამე გეგონებოდა.

— აბა, ეგეთ კაცს, როგორც შენა ხარ, ქალი როგორ გაეკარება? ქალი ბუნებით ეშმაკთან წილნაყარია. ეტყობა, ქვეცნობიერად გრძნობენ, რა შეხედულებისა ბრძანდები მათზე და იმიტომაც გაგირბიან.

— არა, მე მაინც მიკვირს, ასეთ ტენებს ამ ასაკში როგორ ინარჩუნებენ. ჩვენმა ქალებმა, ჰა და ჰა, ოც-ოცდაათ წლამდე გაუძლონ. მერე კი სისქეში მიდიან და მიდიან! არა, თავიანთი ტანის მოვლა არ იციან ჩვენმა ქალებმა!

— ისე წამოხვედით, რომ ვერავის გაჰკრა კბილი ბეჯანმა?

— ერთი იგეთი ოცი-ოცდაორი წლის გოგო გამოიბა ბუქსირზე, ბაღდადის ხალიფის ჰარამხანიდან გამოქცეული გეგონებოდა.

— შენა?

— მითხრა, შენთვის გამოვიჭირეო. წადი, ცოტა ძეხვი და კონიაკი იყიდე და მერე ჩემთან ამოდიო.

— მერე?

— მერე არაფერი. როცა ძეხვიცა და კონიაკიც გათავდა, მაღლობა გამომიცხადა: ეხლა კი დავგებოვ. უკვე გვიანია და ეს გოგოც მალე უნდა წავიდესო.

ზაალი ბეჯანს მხოლოდ შორიდან იცნობდა. იგი ქსოვილების დეკორატიულ გაფორმებაზე მუშაობდა და ფერწერისა და ქანდაკებისაგან ცოტა შორს იდგა. როგორც კი ამ სახლის ეზოში ფეხი პირველად შემოღდა, წინ ეს ბიჭი შემოეყარა. ბეჯანმა შინაურულად მოიკითხა და გახარებულმა ზურგზე ხელი მოუთათუნა:

— მანქანა შენი და გოგოები ჩემი, ძმაო!

ზაალი აქ „სრული დასვენებისათვის“ ჩამოვიდა. თითქმის წელიწად-ნახევარს გაგრძელებულმა ბინის რემონტმა, —



მასალების უმოგნელობა და ნაშრომის ცეცხლის ფასად ყიდვამ, ოთახებისა და დერეფნების გადაკეთ-გადმოკეთებასთან დაკავშირებულმა ათასნაირ ინსტანციებში წაწაღმა და მათთან დავამ, კერძო ხელისნების მატყუარობამ, მათთვის თავზე დგომამა და უამრავმა წვრილმან-მსხვილმანმა გაუთვალისწინებელმა ხარჯებმა ძარღვები აუწწწა. ექიმმაც ურჩია: თუ კიდევ რამის გაკეთებას აპირებდა სახვით ხელოვნებაში, ამ ერთ თვეს ფუნჯსა და ფანქარს არ ვაპყარებოდა. თუმცა არც ახალგაზრდობაში ყოფილა დიდი მექალთანე, მაგრამ აქ, ზღვის პირას! მინც მომხიბლავი წინადადება იყო: ცოტას ვილაყებ და გავერთობიო.

ჩავიდნენ შუა ბიჭვინთაში და მანქანა სასაუზმესთან გააჩერეს.

თალის თავზე კამარაშეკრულ სელაპებსა და მათ შუა თავდაყირა წამოსულ მობზანაგებებს რომ გასცდნენ, ფილაქინიან სანაპიროს აუყვანენ,

— ეს ცეცას კორპუსია, აქ კი უცხოელები ისვენებენ ხოლმე. ამას წინათ პოლონელები იყვნენ. პოლონელ ქალებს ქალი არ სჯობია. კარგი ჯინსები ჰქონდათ. მოვასწარი და ერთი ვიყიდე. აი, ფირმენია. ეხლა გერმანელები არიან. შარშან ძალიან კარგი გერმანელი გოგო მყავდა. იცი, ჩანგალზე როგორ მიდიან? — ერთს აპხედავ, დაუწრუპუნებ და თვალის დახამხამებამი შენთან გაჩნდება. აი ეხლა უყურე!

აივნებზე თითქმის ყველა ასაკის ქალები და კაცები გამოფენილიყვნენ. ზღვიდან წამოსულ ნიაფწაწაღას უშვერდნენ შუბლსა და თან დაბლა მოსვლინეთ ათვალეირებდნენ.

ბეჟან- გაჩერდა და აივნებს დაავიროდა.

აივნებიდანაც შენიშნეს და მათაც ჩამოაპხედეს, მაგრამ ადგილიდან ფეხი არავის მოუცვლია.

— აი, ნახე თუ ის ორი ხუთ წუთში აქ არ გაჩნდება!

ზაალმა ახედვით კა აპხედა, მაგრამ წრუპუნე არც თავად ბეჟანისთვის და-

უძალეობა და არც რომელიმე მანდლო-სანზე შეპყარდნია გული.

— წამო, მედვამდე გავიაროთ. ეგერი ისევ აქ დავგვხვდებიან, — ღმერთმანა, არსად არა ჩანან გამქცევები.

დელაგრუსას შედეგისაგან განსხვავებით, რომლას ტალას ფონიც ისევ ჩაშვებუნელებულია, როგორც სული ქმრის ღალატით შეურაცხყოფილი ქალისა, იმ ქალისა, რომელიც თრ უმწერო არსებას, თავის სისხლსა და ხორცს მიძველ ხახვლიანი ხელით გააეებული მიაწოწილებს სასიყვდილოდ, აქ, ამ ქვიშაიანი სანაპიროს შლამში იდგა მედვა, — ქართველი ქალი, რომლის სატყვარიც განისვენებდა ძვირფას ქარქაშში, ხოლო მისი უკვდავი სულივით ბღელვარე მოსასხამის კალთა და ძირს დაშვებული მძლავრი მარჯვენა სიყვდილის ცივი სუნთქვისაგან იფარადა ორ პატარა ბიჭს, იმ ორ პატარა ბიჭს, რომელნიც ძემდეგ ჰყვიანი მოქანდაკის მშვენიერი ჩანაფიქრით ალგეის პირას უნდა დამღვარეყვნენ მამა-პაპეული მძ მე ხმლით ხელში, სამშობლოსა და ერი სადარაჯოდ.

უკან დაბრუნებულეებმა ისევ ჩამოუარეს კორპუსებს. სანაპიროზე და პლაჟზე უკეთესი საზოგადოება ჩანდა.

— ე, ხომ არ გინდა?.. ესა?.. არც ესა?.. ვაპ! შენი მოსაწონი ქალი მამ აღარც აზიას უშობია და არც ევროპას!

გერმანელების კორპუსს რომ მიუახლოვდნენ, ზაალმა სანაპიროს ფილაქინის პირას პატარა საქანელაზე ჩამომჯდარი ქალი დაინახა. ქალი მარტო იყო. იჯდა თავისთვის, სევდიანი თვალი ზღვისთვის მიეპყრო და ოდნავ ქანაობდა. დახვეწილი, ინტელიგენტური ნაკვთები, მოგრძო სახე, თხელი, ჩამოქნილი ცხვირი, ნაზი კანი და ისეთი მშვიდი გამოხედვა ჰქონდა, ზაალი ერთბაშად მოხიბლა მისმა რომანტიკულმა განმარტოებამა და ჯიშინაობამ.

თავის ფიქრებში გართული ქალი,

ლადო მრალაშვილი  
ფლანგა



ბოლო, უმანკო ბატყის გამოხედვით ისე ეხამებოდა სანაპიროზე მოსიერზე მხატვრის განწყობილებას, უცნაური სი-  
ახლოვე იგრძნო მარტოსულისადმი. მხო-  
ლოდ გულფულდრო თაგზედი თუ გაბე-  
დავდა მისი მყუდროების დარღვევას,  
მის განმარტობულ, ლამაზ სევდაში  
შეჭრასა და იმ ვალავნის მოშლას, რომ-  
ლის იქით მისი სული დასახლებულიყო.  
ხოლო თუ თავად ინებებდა დიდი ქალა-  
ქის უხეშ სინამდვილეს, აუტანელ ხმა-  
ურსა და კვამლითა და მანქანების გამო-  
ნაბოლქვით გაგუდულ ჰაერს გამოქცე-  
ულ უბრალო მხატვართან ამ საღამოს  
გატარებდას, ზალი ღორი იქნებოდა თუ  
მას სხვა რამეს შეჰკადრებდა, გარდა  
იმისა, რომ მის მუხლებთან წამოწოლი-  
ლიყო, დაღლილი თავი კალთაში ჩადო  
და სიმყუდროვესა და სიჩუმეში გაუ-  
თავებლად ესმინა სანაპიროს ჭრელკა-  
ბა ქვიშის ნაზად მლოკავი ტალღების  
შმაშური. არაფერი არ სურდა მეტი,  
ოღონდ მასთან ერთად ყოფილიყო და  
მისი ლამაზი თითები შეცურებულყო-  
ვნენ მის კალთაზე დაყრილ უხეშ თმებ-  
ში.

— გერმანელ ქალებს ქალი არ სჯო-  
ბია. ცეცხლივით არიან. შარშან ერთი  
გერმანელი გოგო მყავდა... საით იყუ-  
რები? თ! ამ მადონას უცქერი? წამო-  
დი, დიდი არაფერი ჩანს. ვაჰ! მაინც  
თვალი იქითა რჩება! გინდა წამოვიყვან-  
ო? — ეხლავე დავეწრებუნებ.

ქალს არც ქანაობა შეუწყვეტია და  
არც ზღვის შორეული სივრცისათვის  
მოუცილებია მზერა. თავლისფერ თვა-  
ლთა კილოები ისე მოეწკურა, ისე ნირ-  
შეუცვლელად იყურებოდა, თითქოს მის  
წინ ორი უტიფარი ახმახი კი არა, უს-  
ხეულო, გამჟვირვალე არსებანი მდგა-  
რიყვნენ.

— გუბენ ტაგ, ფროილაიმ — ბე-  
ჯანმა პუსარივით ქუსლი ქუსლს მიუტ-  
ყაპუნა, წელში მეტროტელივით მოი-  
ხარა, თვალები ააქუქუნა, საზე გაიცი-  
სკროვნა, პირის ნახევები ყურებამდე მი-  
იტანა და მსხვილი, მეჩხერი კბილები  
გაღმოფინა.

„ფროილაიმს“ ყურიც არ შეუღრმობია  
ტია. იჯდა თავის საქანელაზე, უმზერდა  
თავის სამზერს, მისდევდა თავის სა-  
ფიქრალსა და თავისთვის ნელა ქანაობ-  
და.

— ბონეჟურ, მადმაზელ!

ზაღმა უხერხულოა იგრძნო მრავ-  
ლისმთქმელი დუმილის პირისპირ.

— გუდ მორინგ, პრინცესა!

„პრინცესამ“ წინ ჩახერგილ კაცს ისე  
აპხედა, როგორც ოდესღაც დიოგენმა  
მაკედონელს.

ბეჯანს ის თავისი გაცისკროვნებულ  
ღიმილი სახიდან არ მოუშორებია, ისე  
დახარჯა ამის შემდეგ „ბუნენოს დიას,  
სენიორიტა“ და „ღობრიი ვეჩერ, ბა-  
რიშნია!“ ბოლოს უკრაინულად უთხრა  
„ღობრი ვეჩერ დივჩინა“.

ქალმა კაცს კვლავ შეპხედა. ოღონდ  
ახლა გამოცოცხლების ნატამალი იგრ-  
ძნობოდა მის გამოხედვაში.

— თქვენ უკრაინულად ლაპარაკ-  
ობთ? — თქვა რუსულად.

— მე ყველა ენაზე ვლაპარაკობ სიყ-  
ვარულის სახელით.

ქალის თვალეებში ოდნავი ღიმილი  
გამოკრთა.

— ძალიან დიდი ტვირთი გიკისრიათ  
ერთ კაცს. მართლა იცით უკრაინული?

— ვფიცავ ვენერას, ასეთი რუსული  
მხოლოდ ლენინგრადში მომისმენია!  
ნუთუ უკრაინელი ბრძანდება მადმაზე-  
ლი?

„მადმაზელის“ ტურებს ღიმილი და-  
ეკიდა.

— ხარკოვიდან ვარ.

— ოო, სამი წელი ვკითხულობდი  
ლექციებს ფილოსოფიაში ხარკოვის  
უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულ-  
ტეტზე.

— მართლა? საოცარია, მე სწორედ  
მაგ უნივერსიტეტის ეგ ფაკულტეტი  
დავამთავრე და არასოდეს მინახიხართ...  
თუმცა, თქვენ რომელ წლებში იყავით  
იქ? მე ლენინგრადელი ვარ და ქმარს  
გავყევი ხარკოვში ამ ცხრა წლის წინ.



— ოო, ხომ გითხარით, აბ. შევცდები-მეთქი. ლენინგრადადღეს ას ნაბიჯზე ვიცნობ. ბევრი კარგი ნათელი ღამეები მახსოვს ლენინგრადისა, როცა ასპირანტურაში ვსწავლობდი ანთროპოლოგიის კათედრაზე. თუმცა, რა დროს წარსულის გახსენებაა, ანდა ჩემი იღბლიანი თავგადასავლები ვის რაში სჭირდება, როცა კაცობრიობის ნახევრის რჩეულთა შორის საუკეთესო ასე მართხვლა ფერიასავით ზის მოწყენილი? თუ ნებას მომცემთ, დღეს მე ვიქნები თქვენი ფრაონი, რათა ყველა სურვილი ერთბაშად შეუსრულდეს მზის საქანელიდან მიწაზე ჩამომხდარ ნეფერტიტს.

„ნეფერტიტმა“ ღიმილით შეათვალიერა თავს წამომდგარნი და თავი გაიქნინა.

— მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია. თუმცა მჯერა, რომ სასიამოვნო იქნებოდა თქვენს საზოგადოებაში გატარებული დღევანდელი საღამო.

— განა რა გიმლით ხელს, ძვირფასო ნიმიტა?

— წუხელ გვიან დავწევი და ცუდადღაც მიძინა. ახლაც თავი ისევე მტკივა. ქალის პასუხი ისეთი უშუალო და კეკლუცობის გარეშე იყო ნათქვამი, ისე ლამაზად გადაისვა თავისი მშვენიერი ხელი არანაკლებ მშვენიერ თმაზე, რომ ზაალს ზედმეტად მოეჩვენა შემდგომი ჩაცემა და ძალდატანება.

— თუ ნებას მომცემთ, ვიკითხავდი, მადამ: რას მივაწეროთ თქვენი დღევანდელი თავის ტკივილი და დაღლილობა?

— დღეს გაუთავდათ საგზურები ჩემს მეგობრებს და წუხელ გამოსათხოვარი საღამო გვქონდა. დილას წავიდნენ ყველანი. — თქვა ქალმა და ხმაში ნაღველი გაერია.

— აი, თურმე რატომ გამოსჭვიოდა თქვენს თვალბში მსოფლიო სეკდა. მაგრამ არაფერია, დღევანდელი თქვენი მეგობრები გუშინდელზე უკეთეს საღამოს გაგიმართავენ და დავიწყების ქარი წაიღებს მთელი დღევანდელი

დღის მოწყენილობას. აბა, მომეციეთ ხელოვნური ცოდვილი მიწაზე ჩამოსასვლელი!

— მაპატიეთ, მაგრამ ნამდვილად არ შემიძლია.

— აჰ, ამის პატიება არ შეიძლება. როგორ, თქვენ მთელ ღამეს საკუთარი თავის ამარა იყოთ და მე ლოგინში მშვიდად ვფიქროვადე? აბა, მომეცი თქვენი ღვთაებრივი ხელი!

— ღმერთმანი, ნამდვილად არ შემიძლია!

— არა, ასე ვერ დაგტოვებთ თქვენი თავის ტკივილის ანაბარა. — ბეჯანი დასწვდა, ხელში ხელი ჩაავლო და მსუბუქად, მაგრამ მტკიცედ მოსწია.

— ო, ო, რა ჯიუტები ხართ ეს მამაკაციები. — ქალი უწადინოდ ჩამოვიდა საქანელიდან, ნელა გამოჰყვა კაცის ჩავლებულ ხელს და თან ლამაზი, ზარმაცი ღიმილი გამოიყოლა.

ბეჯანმა მანქანაში ჯერ ნაშოვნი განძი ჩასვა და მერე თითონაც გვერდით მიუჯდა.

ზაალმა მოტორი ჩართო, წამით გადაჰხედა ცარიელ წინა სავარძელს და სარკე საჭიროზე მეტად ჩამოსწია. დროდადრო შეავლებდა თვალს და გუნება სულ უფრო და უფრო უღუშულებოდა: სარკეში აშკარად ჩანდა, როგორი ცერემონიებითა და „სუფთად“, „ჯენტილმენურად“ ელაციცებოდა ბეჯანი ქალს. ქალი არაფერს იმჩნევდა და ყოველ ხუმრობასა თუ ანეკდოტზე, რომელიც ისე ხმადაბლა იყო ნათქვამი, ჩანდა, შოფრის ყურისთვის არ იყო გამიზნული, კეთილმოსურნედ იღიმიებოდა. რამდენჯერმე კი ისე გაიცინა, ერთხელ არ შეუხედავს გვერდით მჯდომისათვის.

შუა გზაზე ბეჯანმა შოფერს მხარზე ხელი დაჰკრა და ყელი გამოუწია.

— თუ ძმა ხარ, სასურსათო მალაზიასთან ერთ წუთს გამიჩერე.

ზაალს ცუდად ენიშნა ეს თხოვნა, მაგრამ მაინც გააჩერა.

ლალო მგელაშვილი  
ზღვაზე

ბეჟანი მობრუნდა და თან ფილა შოკოლადი, ერთი ბოთლი შამპანური და ორი ბოთლი ლუდი მოიყვალა.

ზაალმა ფილოსოფოს-ანთროპოლოგის დაბრუნებამდის ერთი ორჯერ შეჭხედა ქილს სარკეში, ქალმაც შემოჭხედა, მაგრამ, მაინცდამაინც ბევრი ვერაფრის მოქმედი იყო ეს შემოხედვა. ტუჩებზე ადრინდელი ღიმილის კვალი ჯერ არ წაშლოდა, თვალებში კი ისევ სანაპიროდან გამოყოლილი სევდის ცრიატი უღიმდამებდა. ისედაც სიტყვაძუნწ შოფერს ახლა მთლად შეჰკვროდა კრიკა. ზრდილობის გულისთვისაც კი, საყიდლებზე წასულის დაბრუნებამდე დროის ვაკუუმის შესავსებად, სიტყვა ვერ დაძრა.

როცა დასასვენებელი სახლის ეზოში შევიდნენ და მანქანიდან გადმოვიდნენ, გუნება უკვე მთლად მოშხამული ჰქონდა.

— ჩემთან ამოდი, ერთი ხუთი წუთი წავისაუბროთ, — ბეჟანს ქალისათვის ხელი გაეყარნა, მხრით ზედ მისწებებოდა და კიბეზე ისე აპყავდა, თითქოს სანაპიროზე ზაალის გულისთვის არ წასულიყო, ანდა, „პრინცესა“ თუ „მადმაზელი“ მის სახელზე არ წამოეყვანოს.

ქალს ლაბადა მკლავზე გადაეკიდნა და ღინსის შარვალში გამოკრული, ჩამოქნილი ნაკვთიანი ტანი უბრალოდ, პრანჭვა-გრეხის გარეშე, ისე მიჰქონდა, ზაალმა ინანა: როგორ ბრყევულად ჩავუვადე ეს ანტიკვარი ამ ურცხვ დონჟუანს ხელშიო.

ბეჟანი ვახშობამდე არ გამოჩენილა. ვახშამზე გვიან მოვიდა დაღლილი, მოთელილი და კმაყოფილი. თავის მაგიდასთან მსხდომთ მოყირკებული კაცის იერით ესაუბრებოდა, ამობერილ, ოდნავ ჩასისხლიანებულ თვალებს ატრიალებდა და მსუქანი, ატკრეცილი ლოყები ოფლისა თუ ჭინისაგან საცხწამ-მულავით უპირილებდა.

ზაალი დაინტერესდა, ცარიელი სკა-

მი მოძებნა და მათ მაგიდასთან ჩამოჯდა.

— რატომ არ ამოხვედი? — უსაყველურა, — გელოდებოდიო.

— რა ჰქენი? — ცალკბად, ძლივძლივობით ჩიხხრიალა.

— რა უნდა მექნა? — ო, რა არი, ბიჭო! — ნაღდი ქალია.

ზაალმა ველარ აიტანა ურცხვი გამოხედვა და ლირწი ღიმილი. გულის სიდრემმდე დაენანა შებიღწული სილამაზე და სასაღილოდან გავიდა...

— ბეჟანისაგან სხვა რის უნდა მოელოდე? — უთხრა ძმასა და თავზე წამომდგარ ოფიციატს აშხედა: ჩაი არ მინდაო.

— შენ საით წახვალ? — ჰკითხა ნიკომ, როცა სასაღილო დარბაზი დატოვეს. — მე პინგ-პონგის რიგში ჩავდგები.

გრძელსა და განიერ დერეფანში ბუხარელი ტამბულათ ჰამიდი და კახახი ტურილ-ბაი მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდნენ. წელამდე გამიშვლებულიყო ტურილ-ბაი და მოპირდაპირეს ხელში ჩოგნის გეზად დაქერას ასწავლიდა. თან ისე ლამაზად ურტყამდა „ტოპკებს“, მისი აღება პროფესიონალსაც გაუჭირდებოდა.

ზაალმა ერთი თალია საბილიარლოში დააპირა შესვლა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ვესტიბიულში გავიდა დერეფანში სამი განუყრელი მეგობარი გადაეყარა: ლიტველი ლორა ლაუნიუსკაიტე, მოსკოველი ელზა აპრამოვნა და თბილისელი ექიმი ფატი. შუახანს მიტანებულ ფატის საკმაოდ შემორჩენოდა სილამაზე და ზაალს ისე არ ჩაუვლიდა, არ მოეჭაინაურებინა:

— ყველაზე თავაზიანი და ლამაზი მამაკაცი მთელ დასასვენებელ სახლში!

— სამ გრაციას ჩემი უმჯობესი სალამი!

ხალხის მთავარი ბირთვი ვესტიბიულში ტრიალებდა. ზოგი ტელევიზორს მისჯდომოდა და დილის გადაცემებით ერთობოდა, ზოგი ტელეფონის ჯიხურთან ნარდს აგორებდა და ზოგიც კა-

დრაკის მოთამაშებებს დასდგომოდა თავზე ლიფტის მოშორებით. მხოლოდ შუა აზგილი იყო მოცარიელებული და ახლოს არავინ არ ეკარებოდა.

ზალი ახლოს მივიდა და გაოცდა: ვესტიბიულის მთელი იატაკი წყლით იყო სავსე. წელში წახრილი ორი დამლაგებელი შიგ კუჭყიან ტილოებს აღბობდა და ვედროში სწურავდა.

— ეს რა ამბავია, არნოლდ ოსვალდოვიჩ? — შეეკითხა წინ შემოყრილ ესტონელ ზღვის პეიზაჟისტს, რომლის მოლბერტსაც დარში თუ აედარში თითქმის სანაპიროს ყოველი ფიჭვის ძირში ნახავდით.

— ჩვენც ისევე, როგორც ქართველები; ერთმანეთს მამის სახელებით არ მივმართავთ. პატივცემულო ზაალ. ხოლო, რაც შეეხება ვესტიბიულის ორ დამლაგებლიან ლამაზ პეიზაჟს, როგორც გამოირკვა, ამ დასასვენებელი სახლას მშენებლებს უნდა ვუმაღლოდეთ. ახედეთ მაღლა!

ჭერზე მიკრული დეკორატიული ფილები რამდენიმე ადგილას წყალს ჩამოეყარნა. შავი ღრმულები და რკინის მილები მოჩანდა მთელ გაყოლებაზე. აქა-იქ კარგა მაგრად გამომბალიყო მკრთალი-ცისფერი ჭერი და ზედ წყლის მსხვილი წვეთები ოფლივით ეყარა.

— ესეც მალე ჩამოინგრევა. მაინც საიდან მოდის ამდენი წყალი?

— უეცარ აცივებასთან დაკავშირებით გათბობა გაუშვეს დამსვენებელთა თხოვნით.

— ზედა სართულები მგონი ჯერაც არ მოუთავებიათ.

მოპირდაპირე მხრიდან მკლავი-მკლავში გაყრილი ბაქოელი საბირ აჰმედოვი და ერევნელი მათევოს ვართაპტიანი მოდიოდნენ. დროდადრო ერთმანეთს აწყდებოდნენ და შეუჩერებლად ხითხითებდნენ.

— ერთი ის მოჰყევი ზაალჯან, ფანტომასი, როგორი შევიდა ორთაქალის აბანოში თათარ მექისესთან და იქიდან

როგორიღა გამოვიდა. — ჩაბეჭრდა მთევოსი.

საბირი და მათევოსი მოსვლისთანავე წიყიდნენ ვილაც გენერლის ქალიშვილის გამო. სანამ ესენი კინკლაობდნენ, გენერლის ქალიშვილი მაგდის ჩოგბურთის თამაშობდა ტურნილ-ბაისთან და, სკამო წარმატებითაც. მერე ორივემ ხელი ჩაიჭნია და განუყრელ ძმაკაცებად იქცნენ. კარგი ბიჭები იყვნენ და ზაალს ძალიან მოსწონდა ორივე.

— შენ უთხარი კიეველ ზარუმბას, რომ ლიძავაში მე წავიყვანეთ?

— რა, არ უნდა მეთქვა? ვაჰ, მე ვუთხარი და ეხლა თუ გინდა, ენა ამომგლიჯე ზაალჯან! მოხდა რამე?

— არა, რა უნდა მომხდარიყო. მაგათაც აეშალათ მანდარინის ყიდვის საღერღელი.

— ვაჰ, შენც უთხარი, გადაიღებს და წავალთოქო. ამ ნისლსა და წვიმაში კარგი პატრონი ძაღლს არ გაავადებს გარეთ. ზაალს გაეცინა და ლიფტისაკენ წავიდა.

ერთხანს დელაქრუას აფრიკულ დღიურებსა კითხულობდა თავის ოთახში, მერე კი გაუხდელი მიწვა საწოლზე და სადილობამდე თბილისში დარჩენილ ცოლსა და ქალ-ვაჟზე ფიქრობდა. ახლა თუ თბილისშიც დაიწყო შემოდგომის წვიმები, სახელოსნოში წყალი ისევ ჩამოვა... მთელი წელიწადია, ქალაქის საბჭოსა და რაიადმასკომს ჭირი მოსჭამა და კარზე ტალახი აუყენა, მაგრამ გავიგონიათ?! — ვინ მოიცალა მისთვის?

— გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ. სადა გვაქვს მაგდენი თუნუქი, რომ თბილისში ყველა სახლი შევარემონტოთ? — იბღვირებოდა საყოფაცხოვრებო განყოფილების გამგე და სახეზე ეწერა: «ვაჰ, რა ვახდა, რომ ვერ მოვიშორე?»

— აი, საბუთი! ერთი ტონა თუნუქი გამოყო მარტო ჩემთვის ქალაქის საბჭომ. სად არის თუნუქი?

ლადო მიალავშილი  
ზღაგაზი



— თბილისში უამრავი სახლო სიტყვა-მონტო, გაანაწილეთ.

— თუ გაანაწილეთ, სად არი ჩემი წილი?

— იქნებ იმ თუნუქში თქვენი წილი არ იყო?

მერე ის მოხსნეს და საყოფაცხოვრებო განყოფილებას სხვა გამგე დაუნიშვნეს.

— აი, საბუთი, თუნუქი მეკუთვნის. არც ქალაქის საბჭო და არც რაიადმანსკომი რემონტის გაკეთებაში არ მონაწილეობია. ოთუზბირი დამიჯდა, ვალეზში ახლაც ყელამდე ვარ ჩაფლული, მაგრამ თუ თუნუქს მომცემთ, არ შეგაწუხებთ და მაგასაც ჩემი ფულით გადავხურავ.

— არ არის თუნუქი!  
ამასობაში წვიმა მოვიდა, სახელოსნოში ჩამოვრთა, ახლად გაკრული შპალერი ააძრო და გავის კარნიშო, რომლის გაკეთებაც მეტრი თხუთმეტი მანუთი დასჭარავს. კვლავ სელოსნობა, ძირს დასცა.

— თუნუქი, ჩემი თუნუქი მინდა!

— თუნუქი მეც მინდა, მაგრამ სად არის?..

ზღვაზე წამოსვლის წინ კიდევ შეიარა, აღმასკომის მდივანმა უთხრა: მაგასაც ვხსნივით. ახლა, ალბათ, უკვე მოხსნეს და ახალი ზის იმ სკამზე.

— თუნუქი მინდა, ლამის წყალმა წამიღოს!

— თუნუქი მეც მინდა, მაგრამ სად არის?..

არა, სკამი უნდა გამოიცვალოს!..

სადილის წინ ნიკო შემოვიდა, ლამბაქიდან ტოლჩა აიღო და ზედ წაბლი დაყარა.

— ჰამე, ბაზარში ვიყავით მე და ქართუმა.

— ჰინგ-პონგი აღარ ითამაშე?

— ჩემი ჯერი რომ მოვიდა, ტურილიზის ჩოგანი გამოვართვი. გამოვართვი და გენერლის გოგომაც მიავდო თავისი ჩოგანი, — შენ ჩემი პარტნიორი არა ხარო, მიავდო და მეც მივავდე, — წადი, შენი შემხვეწნიც-მეთქი!

— გენერლის გოგოსთან ბუქანი, ეგ რაფერს გახდა, შენა რას მიპოვებ?

— დიდი ვინმე გვინია ეგ შენი ბუქანი, ცარიელი ლაყაფია!

— თქვეს ამყოლ გოგოებს ლაყაფის მეტი კი არა უნდათ რა. თავიდან ლაყაფია აუცილებელი. ვინც ლაყაფის კაცი არ არი, კია ჩემსავით.

— ნინიკო და ლელა შემხვდნენ ბაზარში. შენ გიკითხეს, რატომ აღარ გამოგვიართო.

— ვინ ნინიკო და ლელა?

— აი, ლიძევაში თხილამურით რომ დარბოდა წყალზე. მოდი, დღეს გავუაროთ. თქვეს, „ფაცხაში“ აღარ წავიყვანთო.

ზაალმა წაბლი აიღო და ვაკენიტა. ეს ორი გოგო ბიჭვინთაში ჩამოსვლის მესამე დღეს შემოჰხვდათ გზაში.

ზაალმა მანქანა გაუჩერა.

უარი არ უთქვამთ ჩაჯდომაზე. ჩიოდნენ. შთოლი ამ ზღვისპირეთის კორპუსები ჩვენი ინსტიტუტის დაპროექტებულია და არავის აღმოაჩნდა ერთი პატარა ოთახი, რომ ორი კვირით მოგვაქირაონო. ინჟინრები ვართ, დაპროექტების ინსტიტუტში ვმუშაობთ, ალახიბიში ვისვენებთ და იქიდან დავდივართ ლიძევაში ზღვაზეო.

გოგოები დალილები ჩანდნენ და ზაალს დაენანა ისინი.

„ცოტათი ვიცნობ ჩვენი დასასვენებელი სახლის დირექტორს, იქნება ჰქონდეს რამე, მოვსინჯავო“, — შეჰპირდა.

დირექტორმა უარი უთხრა.

გოგოები მანქანიდან გადმოვიდნენ: მაშინ შინ წავალთო.

ნიკო გაიქაჩა: შინ მანქანით მიგიყვანთო.

ბიჭვინთის იქით, საფრინველ ფაბრიკის იქით, ალახიძის თავში, ზღვის პირას, მანდარინების ბაღში, კვიპაროსების, კედრებისა და კაკლის ხეების ძირას, პატარა, ერთსართულიან სასტუმროში ერთი ოთახი ამ გოგოებს ეკავათ. ძალიან ლამაზი და მყუდრო ადგილი იყო, მაგრამ ლიძევიდან მართლაც შორი გახლდათ.

ზაალმა უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ გოგოებმა შეიპატარაეს: ახალი ხორცი გვაქვს და ახლივე შევეწყავთ, ნუთუ სასადილოს ერთფეროვანი საქმელი ყელში არ ამოვივიდათ?

ნიკომ თქვა: „ფაცხაშიც“ აქვთ კარგი მწვადი, ზედაც კალმახი ცინცხალ-ცინცხალი, შინ როგორ გავწვალვებთ ასეთ კარგ გოგოებსო.

ზაალს ახალი თევზი და თანაც კალმახი, ძალიან სწამდა.

„ფაცხაში“ ჯერ მთელი საათი ალოდინეს, მერე კი სანახევროდ გაცივებულ ღომი, წიწყისა და ჯრნჯოლის მწნილი, ყველი და მწვანილი მოართვეს. ბოლოს ორი ბოთლი საფერავი, მწვადი და კალმახიც მოიტანეს. კალმახი ხუთი ცალი იყო, თითო ციდა სიგრძე ექნებოდა და გემრიელიც გახლდათ, მაგრამ მწვადი ისეთი მაგარი გამოდგა, ძალღი კბილით ვერ გაჰგლეჯდა. ერთი გასინჯვით კი გასინჯეს და მერე ყველამ თავი მიანება.

ფულის გადახდისას ორმოცდახუთი მანეთი რომ უნაგარიშეს, სახტად დაჩა. კი გაეგო, რომ ბზიფის „ფაცხაში“ მუშტარს დაუხოვავად ფცქვინდნენ, მაგრამ თუ სულსაც ართმევდნენ, არ იცოდდა.

ჩუმად სხოთვა: აბა, ერთი თავიდან მიანგარიშეთო.

მიტანამაც დაიწყო:

თევზი 1 კილო — 10 მანეთი.

ხორცი 1 კილო — 14 მანეთი...

ზაალმა მწარედ გაიცინა და საანგარიშოს ხელი დააფარა: კარგი, საჭირო აღარ არისო. და არც იმაზე შესდევნია, ხუთი ცალი ციდა თევზი ნამდვილად თუ იქნებოდა ერთი კილოგრამი, ანდა კილოგრამი მწვადი თუ იმ თევზზე დაეტეოდა.

„ოღონდ ეს იცოდეთ: — ჩუმადვე დაუმატა, — ორმოცდახუთი მანეთი საშუალო მოსამსახურის ნახევარი თვის ხელფასია. და ვაი იმას, თუ შინ ოთხი სულიცა ჰყავს სარჩენი...“

— ჰა, რას ჩაფიქრდი, წავიდეთ? — „ფაცხაში“ აღარ წავიყვანთო.

— ლელო,  
ლელო, —  
შე პირბნელო,  
არ გერჩინა,  
ფეხით გველო?

წაიღიდინა ზაალმა.

— ჰა, წავიდეთ? ხომ ხედავ როგორი ამინდია, აქ რა უნდა ვაკეთოთ?

— მანქანის გასაღებს მოგცემ, წადი.

„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“,

— ორ გოგოსთან მარტომ რა უნდა ვაკეთო?

— „ერთი მეზღვაური და ოცი ქალიშვილი,“ — რასაც ორის ერთად ყოფნის დროს გააკეთებდი.

ნიკო დაიბოღმა და საათზე დაიხედა.

— ადვი, ჩავიდეთ, სადილის დროა. მეზღვაურობას კი, რომ გადაიღებს, მაშინაც მოვასწრებ.

ვესტიბული მოეწმინდათ და გაესუფთავებინათ. ლილო-ჭრილოსავით მოჩანდა გამომბალი და მიმონგრეული ჭერი. მოსეირნე ხალხი ამ ადგილს მაინც გაუბოდა, ხელახლა არ ჩამოინგრეს და თავში არაფერი დაგვეცესო.

ზაალმა გარეთ გაიხედა და თავი სინანულით გადაიქნია: „ვოლგა“ ისევ ორ პალმას შუა იდგა გარინდული. სახურავზე წაღმა-უკუღმა ცეკვავდა წვიმა.

— ნისლი აკრეფილა, მანქანა კი ისევ იქა დგას. ეხლავე მოვალ. — და გარეთ გავარდა.

უკან დაბრუნებულს კარებთანვე შემოხვდა ქოლგიანი „ისიკ-ყული“. პატარა კაცუნა იყო: ცხვირი მინიატიურული, ტუჩები აგრეთვე მინიატიურული და ლამაზი, უწარბო სახეზე უწამწამო თვალები ესხა, გამოხედვა კი საოცრად მიმნდობი და ბალღური ჰქონდა. უცნაურ ჩვეულებას არასოდეს არ დალატობდა: მაშინ, როცა სხვები მოკლესახელოებიანი პერანგებით დადიოდნენ, მას კოსტიუმზე მუდამ ლაბადა ეცვა, ცალხელში ღია-ყავისფერი შლაპა ეჭირა,

ლადო მრალაზვილი  
ზღვარი



ცალ ხელში—განუყრელი შავი ქოლგა. მუდამ სიცოცვეს უჩიოდა და სასადილო-შიც კი ამ ატრიბუტების გარეშე არ შედიოდა. საკმაოდ ენამრავალი იყო და თუ ხელში ჩაგივლებდათ, მერე, ძნელად დაუსხლტებოდით. თავისი ნახატების ალბომი თან წამოედო და შემთხვევას არ გაუშვებდა მის საჩვენებლად. ნიჭიერი კაცი ჩანდა. ტბა ისიკ-ყული იყო მისი მხატვრობის მთავარ თემა და ეტყობოდა, პირდაპირ აღმერთებდა: „ისიკ-ყული დილით“, „ისიკ-ყული შუადღისას“, „ისიკ-ყული საღამოს“, „ისიკ-ყული შშის ჩასვლისას“, „ისიკ-ყული წვიმაში“, „ისიკ-ყული ქარში“, „ისიკ-ყული ზამთარში“ „ისიკ-ყული ზაფხულში“, წლის ყველა დროსა და, ვინ მოთვლის, კიდევ რა და რა დროს. ზაალი განსაკუთრებით მოსწონდა, რადგან ზოგიერთებევით მასთან საუბარს არ გაუტბოდა. ნაცნობობის პირველი დღეებიდანვე შერქმეულ მეტსახელ — „ისიკ-ყულსაც“ მიეჩვია და მისგან სულ აღარ ესამუშებოდა.

— გუშინ დავამთავრე „ალგები ისიკ-ყულის პირას“, — სახელოში მისწვდა და აუდევნა. — ძალიან მინდა გაჩვენოთ. მგონი, კარგი გამოვიდა. აჯობა კიდევ „შველუმფრენსა და ისიკ-ყულს“. მხოლოდ მეთევზის ქოხი და სარებზე გაფენილი ბადეა ცოტა ფუნჯავსაკრავი. მთების ფონი კი დიდებულია. პირდაპირ დიდებულია. აი, ნახვთ და მოგეწონებათ: აქეთ-აქით ავარდნილი პიტალოები, ხოლო ხეობით დაშვებული მყინვარი თითქმის ტბამდე მოდის. რამდენი ესკიზი გავაკეთე! ბოლოს ამაზე შევჩერდი. ნახვთ და ჩატკებით. აი, ნახვთ და თქვენ თითონ ჩატკებით.

— სადილზე უარს ამბობთ, კუგულტინ? — ზაალმა მზარზე ხელი გადასდო. — რამდენადაც ვიცი, უმადობას არ უნდა უჩიოდეთ. ხომ არ აჯობებდა, ჯერ ცოტა რამე ჩაგვეფინა სტომაქისათვის, ხოლო გამჭვირვალე და გემრელი ისიკ-ყული მერე დაგვეყოლებინა?

— ოჰო, ჰო, ჰო, რა ხუმარა ხართ, ზაალ-ბაი! მართლა კარგადა თქვით. კა-

რგი, ჯერ სადილი და მერე ისიკ-ყული. აბა, წავიდეთ, თორემ ბოსტნეულია დაღვინდა დაგვხვდებათ თქვენს „შველუმფრენს“. — ცუხცუხით მიპყვებოდა ფეხდაფეხ, დროა დრო სახელოზე წასწვდებოდა და თან ღიმილით წარამარა შეჰყურებდა ქვევიდან.

სადილის შემდეგ ოლიფანტემ აიხიარა: რაკი სადმე გასასეირნებლად ამინდი არ ვარგა, ბაზარში წავიდეთ აჯიკის საყიდლად.

ნიკომ მხარი აუბა: მოდი, ბარემ მალაზიებსაც ჩამოვუაროთ, იქნება ჩემს სარგო კოსტიუმს სადმე გადავეყაროთ.

ზვიად დარსაველიძე და ზაზა შვანგირაძეც აპყვნენ: ბაზარში ხინკალი ვჭამოთ და ზედაც ლუდი დავაყოლოთ.

ზაალმა ხელი ჩაიქნია და მანქანა დაქოქა: ვინც შუამდე შეტობა, ის, როგორც ეტყობა, ბოლოშიც უნდა გავიდესო.

სანამ ოლიფანტე ბაზარში აჯიკას არჩევდა, მანამდე ხინკალიც მოიტანეს.

ხალხით გატენილ, პატარა, უსუფთაო სახინკლეში ყოფნას, გარეთ, წვიმაში ამჯობინეს ჭამა.

ცარიელი დახლი შეარჩიეს და ზედ ოსმივარავარდნილი ლანგარი და ქაფქაფა ლუდით სავსე კახები შემოდგეს.

იღგენ დახლის ფიცრის სახურავს შეფარებულნი, ჭამდნენ ხინკალს, ზედ ლუდს აყოლებდნენ და თან „ბამიდან“ ახლად დაბრუნებულ ზვიად დარსაველიძის „ნია გრუზინსკიას“ ამსახველ ჩანახატებსა და ესკიზებს აქებდნენ.

ნიკომ პირველი ხინკალი დაიგემოვა თუ არა, მეინახენი შეათვალიერა.

— ეს ხინკალი კი არა, პელმენია! მართო არაქანის მოსხმა აკლია, — და ძმას მიუბრუნდა. — ფორმა აქვს ხინკლისა, თორემ ნაღდი პელმენია. ამით ხინკლისა რა იციან? — ხინკალი თელავში უნდა იჭამოს. ისიც ან ნადიკერის ძირას „აბსაიტში“, ან ზუზუმბოზე და ან რუის-პირში.

— ქვემო ალვანში, — „ლეწეში“

ცულ ხინკალს აკეთებს აბრამი? — ჰკითხა ზაალმა.

— აბრამი კარგი ოსტატი იყო ხინკალისა. ამას წინათ ვიყავი და იქ აღარ დამხვდა. მითხრეს: ახმეტაში გადაიყვანეს რესტორნის ღირექტორადო.

ზაალს გაეცინა.

— უცნაური ჩვეულება კი გვაქვს: როგორც კი კარგი მწველავი ან მეღორე გამოჩნდება, მაშინვე თვალი დაწინაურებაზე გვიპირავს. მერე დავსვამთ იქ, სადაც მისი ადგილი არ არი. და ის ადგილიც გვეკარგება, სადაც დავსვით და ის კაი მწყემსი და მწველავიც. აი, ნახე თუ მაგ ბიჭს რესტორანში არ გააფშამაკებენ და არ გააფუჭებენ. მერე კმაე ახმეტაში ნამდვილი ხინკალი!

მიუხედავად ასეთი პრელუდიისა, ბიჭებს მაინც უკან არ დაუხევიათ და ის ლანგარი მოაცარიელეს.

ბაზრიდან გამოსულებმა მალაზიები-საკენ გასწიეს.

ქუჩაში, უნივერსიტეტის შესასვლელის წინ და უკან ორი „მოსკვიჩი“ იყო გაჩერებული. ზაალმა უკანა „მოსკვიჩს“ გადაურბინა და წინას მიუყენა უკან.

— რას სჩადი, ბიჭო, მალაზიაში შესასვლელს კეტავ, ეგ წინა „მოსკვიჩი“ ავტონისპექციისაა, ვერ ატყობ?

— აბა, მამ სად ვაგაჩეროთ, ყველგან რკინის მოაჯირია.

— ჩვენ რა გვიშავს, ჩქარა მოაშორე აქედან, სანამ დაგვინახვენ.

მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ავტონისპექციის მანქანიდან მილიციის ფორმიანი ზორბა ბიჭი გადმოვიდა.

— ახლა ამ წვიმაში ეგ შარი გვინდოდა?

— თქვენ გადადით, ამას მე მოვუვლი.

— რას მოუვლი, ახლა ეგ ერთ სამანეთიანს მაინც აგაღლეტს.

— თქვენ გადადით, რასაც ამაღლეტს, ის მე ვიცი.

— შენ რა, ჩხუბს აპირებ?

— რაღა ღროს ჩემი ჩხუბია, რამდენი ხანია, რაც ოფოფები დავაფრინე.

მანქანაში მსხდომნი გადმოვიდნენ და მალაზიისაკენ გაიქურწნენ.

მილიციის ფორმიანი მოვიდა, გაიჭიმა და ხელი საფეთქელთან მიიტანა.

— ავტონისპექტორი ჭამკამიძე, თქვენი საბუთები!

პირტიტველა ბიჭი იყო. არც ისე დიდი ხნის გამოსული ჩანდა გზაზე სამუშაოდ. თავისი მანქანა ამ ადგილას იმ ვარაუდით დაეყენებინა, გასაჩერებელი ადგილი არ დარჩენილიყო სხვისთვის, ხოლო თუ მის უკან გააჩერებდნენ, მაშინ საბარგული ნაწილობრივ ჩაჰკეტავდა გზას.

ზაალს თითქოს ავტონისპექტორის ნათქვამი არც გაეგონოს, კარის შუშა ჩამოსწია და უთხრა:

— თუ ძმა ხარ, ცოტა წინ გადააყენე შენი მანქანა.

— თქვენი საბუთები, მოქალაქე!

— ხალხი მიდის-მოდის, ხედავთ, გზა ჩავეკეტე, ცოტა წინ წასწიეთ მანქანა.

ბიჭი ისევ გაიჭიმა, ისევ საფეთქელთან მიიღო ხელი და ხმა კიდევ უფრო დაიმკვახა:

— ავტონისპექტორი ჭამკამიძე! მართვის მოწმობა და მანქანის პასპორტი მიჩვენეთ, მოქალაქე!

ზაალმა ფანჯარაში თავი გაყო.

— როგორ, ძმობილო, ვერ ატყობ, რომ სხვა ნომერზე მოხვდი?

— ახლა რომ მაგ ნომრებს ავიხსნი, მაშინ მოგცემ კაი ნომერს.

— იცი, რას გეტყვი, ჩვენი ძმა, მოდი, მშვიდობიანად დავცილდეთ ერთმანეთს. ამ ჭალარამ არ მოგატყუოს. ჩემისთანა კაკლის გატეხვას, ცოტა უფრო შენზე მაგარი ჯეილის კბილი უნდა. გადააყენე წინ მანქანა, თუ არ გინდა ისეთ ადგილას მიგიყვანო, სადაც წესრიგის დამრღვევებს ყურებს უწევენ ხოლმე.

ბიჭმა შეჭხედა ზაალს, რაღაცას მიჭხედა, უცებ შებრუნდა, მანქანა წინ წასწია და იქიდან აღარც გადმოსულა. წელანდელივით ახლაც შიგ ისე მიიმალა,

ლალო მამლასვილი  
ზღვაზე

როგორც თბობა თავისი ვაზმული ქსელის კუნჭულში.

როცა ზაალი მადლიაში შევიდა, ზაზა უკვე ფეხსაცმელს ირგებდა.

— კარგადა მაქვს ეს.

— ლამაზიცაა. — თავს უკანტურებდა ოლიფანტე.

— ვისია? — ჰკითხა ზაზამ გამყიდველს, — ფორმა იტალიური აქვს.

— დამიწყო ახლა ამან იტალიური. ყველაფერი, რაც ლამაზი და კარგია, იტალიური კი არაა, — ჩვენია, ოტეჩესტვენი.

— ეუჰ! გეხადე, გეხადე, შე გაჭივრებულო! — ორ კვირაში შემოგებდღვენება მაგი.

— რა გინდა, ძმაო, მშვენიერ ფეხსაცმელს ჰყერავენ ეხლა ჩვენები.

— რად მინდა მაგის მშვენიერება, — ორ კვირაში ძირი ცალკე წვა და პირი ცალკე, ა, აგერ, მესამე წელია, მაცვია ჩეხური ტუფლი.

— რა გაცემვს ერთსა და იმავე ტუფლს სამ წელიწადს, ოლიფანტე? ეს ტუფლი იმ ანგარიშით არი შეკერილი, რომ ფეხსაცმელმა თავი არ მოგაბეზროს. ყოველკვირა თუ არა, ორ კვირაში მაინც ერთხელ იცვალ.

— მაღე, ალბათ, ჩეხებიც გაიფუქებენ ხელს, ოლიფანტე, ამოდენა მომრავლებული და გაორმაგებული მოსახლეობა რა პროდუქციამ უნდა დააკმაყოფილოს.

მადლიაში შემოსული ზაალი შენიშნეს და უმაღვე მოტრიალდნენ.

— დაგაძრეს სამამანეთიანი?

— სადაური ფეხსაცმელია?

— იტალიური მეგონა, ჩვენი გამოდგა და ვაბრუნებ. შენ ხომ არ აიღებ?

— ნახე, რა კუკლაა.

— რაო, ხუთამდე ხომ არ აუწია? — წინათ მანეთსაც სჯერდებოდნენ.

ზაალმა ხელი ჩაიქნია:

— უსისხლოდ მოვრიგდით. წიკო რა იქნა? — რამე უბედურება არ შეაჩეხონ.

წიკოს ლეგა ტრიკოს კოსტუმში წამოეცვა, სარკესთან ბრუნავდა და თან გა-

მყიდველს მარჯვენა სახელოს ბდა:

— ეს რა, — მწნილის ამოსაღებად დაამოკლეთ?

როცა მადლიდან გამოვიდნენ, ის ავტონისპექტორი იქ აღარ დაჰხვდათ.

წვიმას მოეკლო და ახლა მხოლოდ ჟინკლი მოდიოდა. ასფალტზე დაყენებულ ტბორებში გამავალი მანქანები შეხეფებს ტროტუარამდე უწევდნენ.

ზაალმა თავისი მუღმივი მუშტრები დასასვენებელი სახლის კიბემდე მიიყვანა, მერე მანქანა დღის სადგომზე დაყენა, დაკეტა და ირგვლივ შემოუარა. მთელი მანქანა თავით-ფეხამდის ტალახით იყო გაუწუწული. შიგნით, სალონიც ტალახიანი ფეხებით მოეთხვარათ.

„თუ არ გაირეცხა, ამით ქუჩაში აღარ გაისვლება. გარეცხვაზე კი კარგა ხანს უნდა იწვალ. გაკრიალებულში ყველას უყვარს ჩაჯდომა, რეცხვას დავიწყებ თუ არა, ქორდაცემული ვარიებივით იფანტებიან.“

ვასშის შემდეგ საბირსა და მათევოს კინოს ბილეთები აედოთ ძმებისათვის.

— მე ვერ წამოვალ, კუგულტინს დავბირდი ახალი სურათის დათვალიერებას. ლურწმებიანი ისიკ-ყული ხომ ჰქონდა. ახლა ალკებიანი ისიკ-ყული დაუხატია.

— ყელამდეც ჩაფლულა იმ თავის ისიკ-ყულში, რა ახატვინებს ერთსა და იმავე ტბას, მაგ საღებავების მკამელს? მესმის, სევანი იყოს, — ისიკ-ყული რა დასახატია?

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! კასპიის პატრონთან ასეთი სიტყვა არ დაიხარჯება. — აიმირიზა საბირი.

— კასპიასთან თითი მომიკავია, ძმაო, მაგრამ, რამდენადაც ვციცო, კასპიას სხეებიცა და უფრო დიდი პატრონებიც ჰყვანან. ზღვებთან საქმე არა მაქვს, შენ ტბა მითხარი მე, ტბა!

— ეგ ტბა-ზღვები მერე გაიყავით, თუ დავანებეს, ახლა კი სჯობია კინოში არ დაიკვიანოთ.

— შაშინ შენი ბილეთი წაიღე და,

როცა დაათვალიერებ იმ წყეულ ნახატს, შემოდი, ადგილს შეგინახავთ.

— ვერ წამოვალ.

— წამოდი, დროს მაინც მოჰკლავ. კარგი კინოა, ბახ! ბახ! ჯამუშები, მზვერავეები, რამე...

— ამოვიდა ყელში ერთი და იგივე. მხოლოდ სხვა და სხვა ხერხებსა და საშუალებებს ხმარობენ იმათ დასაქერად, თორემ წინასწარ თქვენც იცით და მეც ვიცი, რომ ბოლოს მაინც უნდა გათოკონ.

მათევოსმა ხელი ჩაიქნია, გაბრუნდა და საბირიც თან გაიყოლია. ხუთიოდე ნაბიჯის შემდეგ მოტრიალდა და მიახაზა:

— წადი იმ შესს ისიკ-ყულთან, თან სულემან-ზადე გაიყოლე და ტაშბულათი და ტურილ-ბაძე არ დაივიწყო. მე რე ყელზე თითომ თითო ფუთიანი ქვა ჩამოიკიდეთ და პირდაპირ თავით გადაეშვით იმ თქვენს ამოსაშრობ ისიკ-ყულში.

ზაალმა საბილიარდოსკენ გასწია.

არც ისეთი დიდი მოყვარული გახლდათ ამ თამაშისა, რომ რიგში ჩამდგარიყო. ერთხანს უცქირა და ისევ უკან გამობრუნდა.

დერეფნის მოსახვევში ოთხი თუ ხუთი სათამაშო მოწყობილობა იდგა, სადაც შუქნიშნებით ტანკებთან, თვითმფრინავებთან და ხომალდებთან ბრძოლა შეიძლებოდა. საკმარისი იყო სამშაურნიანი ჩაგედო მისთვის განკუთვნილ ჭრილში, რომ უცებ ტანკები, თვითმფრინავები და ხომალდები მინის ქვეშ თუ მინაში იწყებდნენ მოძრაობას. მოთამაშე უმიზნებდა მათ და, როცა მიზანში ამოიღებდა, სავანგებო ლილას აჭერდა თითს. მაშინვე გამოვარდებოდა შუქის ყუმბარა თუ ტორპედო და თუ მოარტყამდი, ხმაურით ფეთქდებოდა ტანკები, გემები და თვითმფრინავები.

ზაალს განსაკუთრებით საზღვაო ბრძოლა მოსწონდა. ეს სათამაშო მან ჯერ კიდევ ამ ექვსიოდე წლის წინ ნახა ფინეთში. ახლა ყოველდღე ახურდებოდა

ბდა ფულს სამშაურნიანებად და სტორბედო პულტთან წარამარა იდგა. გორც კი ჭრილში ფულს ჩაუშვებდა, მაშინვე ეკრანზე მინიატიურული საზღვაო ხომალდები იწყებდნენ გამოსვლას. მდინარეზე საბანაოდ მიმავალი იხვის ჭუჭულებივით მწყრავად მიემართებოდნენ ნელი რონინით მეორე კიდისკენ. მიზანში მორტყმისას რომელიმე გემი აფეთქდებოდა თუ არა, უმალ შეიცვლიდნენ მიმართულებას და ახლა მეორე კიდისკენ წამოვიდოდნენ. თითო ჩადებდაზე ათი გასროლა იყო. თუ ათივეს მოარტყამდი, მე რე უკვე მეორე ჯერი უფულოდ გეძლოდათ. რამდენჯერ სცადა ზაალმა, რამდენი არ იწვალა, მაგრამ ცხრას ვერც ერთხელ ვერ ააცილა. თითქმის ყოველ დღე მოდიოდა და სპორტული ჟინით ცდილობდა ერთხელ მაინც აეთავებინა „ახარი“, — ათივე ჯერ მოერტყა.

ახლა პატარა ბიჭი ჩაპტერნოდა სამიზნე პულტს და მარჯვედ ურტყამდა მიზანში. ბიჭი თორმეტ-ცამეტი წლისა იქნებოდა, მაღალკანჭა, ხმელი და გრძელთმიანო. ხუთჯერ სცადა ბედი და ვერც მან გადააცილა ცხრას.

გარშემო მდგარი ხალხი თავიანთ რიგს უცდიდა, მაგრამ ბიჭისთვის მაინც ხელი არ შეუშლიათ ჟინის მოკვლავში. ბიჭი კი ჯიუტად განაგრძობდა სამშაურნიანების ჩაყრას, სანამ მთლად არ გამოეღია. მე რე ტანზე ასხმული ყველა ჯიბე მოიჩხრიკა და რა ხურდას ვეღარსად მიაგნო, მაშინლა მოათვალიერა მაყურებელთა სახეები.

ახლოს მდგარმა სერებრიაკოვმა მთელი მუტა სამშაურნიანები გაუწოდა.

ბიჭმა ახხედა კეთილად მოლიმარ კაცს, ერთხანს დაკვირვებით უცქირა, თითქოს მისი სახის დამახსოვრება სურსოდა და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მე ფულს არავისგან არ ვიღებ. კარგა ხანია საკუთარი ფული მაქვს და

ლალო მიალაშვილი  
წიგანი



აქ იმდენი წამოვიღე, რამდენიც საჭიროდ ჩავთვალე. თუ გამიჭირდა, პაპაჩემს გამოვართმევ. — და წავიდა.

ზალმა ღიმილით გააყოლა თვალი გამართული ნაბიჯით მიმავალ ბიჭს.

— ძალიან ამაყია. მთელი დღე აჭბ დგას და ესვრის ნიშანში. მეორეჯერ შევთავაზე ფული და არც ერთხელ არ აიღო. ვინდა რიგი დაგითმო? მიდი, ესროლე. დღეს ბლომად გადავხაზურდავე სამშაურთანები. აი, შუაზე გავყოთ. — ახლა ზაალს გაუწოდა მუჟა სერებრი-აკოვმა.

— ფული თითონაც მაქვს. რიგს კი ვერ წავაგართმევ. შენ ჩემზე არანაკლებ მიგდის სული პულტთან დასადგომად.

ზაალს ფული რომ შემოეხარჯა, თამაშს თავი მიანება და თავის ნომერში ავიდა. შალის მაღალყელიანი ჯემპერი და ლაბადა ჩაიცვა და ძირს ლიფტითვე დაეშვა. გარეთ ყინულს არ დაეკლო და არც მოემატებინა, ოღონდ ნიაგი გაძლიერებულიყო და წვიმის წვრილი, მსუსხავი წვეთები უკვე კიბის თავს აქეთაც ახხამდა. საყელო აიწია, ეზოში ჩავიდა და ნელა გაუყვა ზღვამდე გაჭირლ ფილაქნიან ბილიკს. ბილიკი ახლანაკეთები იყო და შიგადაშიგ კიდევ აკლდა ოსტატის ხელი. ნაცრისფერ ზოლს აქეთ-იქით შივად გალუმპული ბზის, რცხილის, მურყნისა და ხეთა ვარჯებამდე ასული მაცვლის ბარდების შივად გალუმპული კედელი მისდევდა. ტყის ზოლის დასასრულთან ფილაქანი თავდებოდა და ზღვის დიდ-დიდი ღელვების დროს გამორიყული წვრილი ქვიშა აღმართივით ადიოდა პლაჟის დასაწყისამდე, წყლის უსასრულო ზედაპირიდან ამდგარ სიცრიატზე ჩანდა, როგორ იღუნებოდა და ირწეოდა ტყის იქით აყრილი, ქარზე გაწოლილი ლერწმების რაყა.

პლაჟზე სულიერი არ ქაჟანებდა. ზღვას ოდნავ მოემატებინა ღელვისათვის და მშვიდი ტალღების თეთრქაფიანად, არშია იკლანებოდა სანაპიროს გასწვრივ. მყუდროებას მხოლოდ მოლოკილი ადგილიდან უკანვე ჩათრე-

ული უჩინარი ქვიშის მოივანასაგონი ჩხრილი და ლერწმების ჩუჩუნებათა ღვევდა.

ზაალმა ლაბადის საყელო უფრო მკიდროდ შემოიტმასნა და პლაჟს გაუყვა. სველ ქვიშასა და შლამში ფეხი ღრმად ეფლობოდა და სიარულს უძნელებდა. ნელი ბუქნა-ბუქნით მიდიოდა. თავი დაეხარნა და ნიკაპი მკერდისათვის დაებჯინა. — ირიბად წამოსული ყინულის ცივ ნემსებს სახეს არიდებდა. შორს, კონცხის წვერზე, ფიჭვის იღუმალი ტყის იქით მრუმედ იცარებოდა კორპუსთა კენწეროებიდან ამომავალი შუქი. ნაპირს ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით დამეული ზღვის ზედაპირი ცრიატებდა. — ეს, ალბათ, გემი გადიოდა ან შემოდიოდა ნავთსაყუდელში.

ზაალი კინემატოგრაფისტა პლაჟამდე მივიდა და უკან გამობრუნდა. ეზოში ახლა უკვე სახეში კი არა სცემდა, კისერში უძვრებოდა. საყელო უფრო მკიდროდ მიიხვეტა ყელთან და ნიკაპი უფრო მაგრად დაიბჯინა მკერდზე.

უეცრად მთელი ზღვა პროექტორის შუქმა გადასერა. იქ ერთხანს იფათუბა და მერე წუთით ყურესაკენ გადმოინაცვლა. მოსეირნემ ახალა შეამჩნია ზღვის პირას მჯდარი მეთევზე. იჯდა ჩაცუქული, ორივე ხელით ანკესის ჯოხი ჩაებლუჯნა და მისციებოდა სადღაც დასაკარგავში ჩაგდებულ ნემსკავს.

„ეს ამათი, — აფხაზების ნოღარი იქნება. ეტყობა, ისე გაერთო, რომ ამ ყინულშიაც კი შინ მისვლა გადაავიწყდა. და მაიმის სიმღერა გაახსენდა:

მებაღურის ზადე შერცხვეს,  
მონადირის საგზალით,  
ვენაცვალე გუთნისდღას, —  
მუცლი აქვს მაძარიო...

ნოღარი ზაალის დისწული იყო. კარგ ადგილზე მუშაობდა, მაგრამ იმის მავიერ, რომ წიგნებს მისჯდომოდა, რათა ახალგაზრდა კაცი ცხოვრების კიბეზე უფრო მაღალ საფეხურზე აწეულიყო, როგორც კი თავისუფალ დროს მოიგდებდა, მაშინვე ანკესითა და ქიაყელების

გროვით მდინარეზე გარბოდა. იმდენად თავგადაკლულ მეთევზედ ჩამოყალიბდა, რომ თევზაობაში მეთევზე-სპორტსმენების უფრო მეტი დაოსტატებისათვის წიგნის წერასაც კი შეუდგა.

ზაალს ეს ამბავი არ ეამა და უთხრა: „შენი ყოფილი თანაჯურსელები უკვე ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ, შენ კი ისევ პატარა ბიჭვიით ერთობი. ჰობი-ჰობია, იდეალი-იდეალი. ჰობის ანაბარა ჩემი მტერი დარჩეს!“

თავისი ცხოვრებით კმაყოფილი და უიდელო კაცი არააობად მიაჩნდა მულამ. ჰაბუკობიდან ჰქონდა აკვიატებული, დიდი ტილო დაეხატნა: უღრან ტყეში ანკარა ნაკადული. ნაკადულს დიდი, კამკამა მორევი გაუჩენია. მორევეს ცალი მხრიდან დიდრონი ხეები და ბუჩქნარი მოსდგომია. მორევეთან მოსულა რქა-ჯანგიანი ლამაზი ხარ-ლალი, ბუჩქნარიდან ფრთხილად გამოუყვია თავი და გაღმა ნაპირისკენ მალულად იცქირება. გაღმა ნაპირი ბუსნოთია დაფარული. მწვანე მოლი გასდევს გაღანად შემოვლებულ ტყემდე. მოღზე ქალის ტანსაცმელი ყრია, ხოლო თვითონ ქალი მორევიდან იმ წამს ამოსულა. ვაშლილი თმები გაუწურია და ამ დროს შეუგრძენია მორევეს გაღმა ვიდაცის ფარული მზერა. შეუნიშნავს რა ლამაზი ხარ-ირემი, ცალი ხელი ჭიპს ქვევით ლედვის ფოთლის მაგიერ მიუფარებია, ცალითაც ჩამოშლილ თმებს მკერდზე იფენს. თმები მაინც მთლიანად ვერ მალავენ დიდებული მკერდის სისაცხეს და შავი თმის ტევრის სისშირეში აქა-იქ დამპარმავებლად ელავს მათი სითეთრე. ირემი მთლად დაუტყვევებია ენით უთქმელი სილამაზის სიშისვლეს და გაქვავებული, კრიჭამეკრული შესცქერის იდუმალი ტყის წიაღში მოულოდნელად გაჩენილ უცნაურ ელდას. ქალი დაუბამს მშვენიერი ირმის ხარბ, მამაკაცურ მზერას და დიდრონ, უძირო თვალთაგან გადმოღვრილ უნაპირო ვნებას მუხლებში ძაბუნი ჩაუღვრია. შეშინებული უცქერის ირემს და მის მზერაში უკიდევანო სიმორცხვე,

უმწეობა და თანაც ჩუმი, უნიტევეტი, მისთვის ჯერაც შეუცნობი, თავისკენადაც მისი მამრის მომხმობი, დაუოკებელი ძახილი იმალება...

მხატვართა შორის კარგ ოსტატად ითვლებოდა ზაალი, მაგრამ ორმოცდახუთი წლის თავზედაც ვერ შეჰბედა დახატვა.

„ამ თემის გაფუჭება არ შეიძლება. საღ მე და საღ ეს კლასიკური სურათი. ამას აღორძინების ხანის ფუნჯი უნდა და თანაც დიდი პეიზაჟისტი. ოდესმე, როცა კიდევ უფრო დავვოსტატდები, შეიძლება მაშინაც ვცადო.“

ყინელმა თხელი თმა დაუსველა, მერე წვეთებდა შეიკრა, ლაწვებზე დაცურდა და ნიკაბთან გაინასკვა.

ერთი თალია მეთევზესთან მისვლა გადასწყვიტა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და შინისაკენ გასწია.

ტყის პირას მდგარი მანქანა ჩვეულებრივ ორ პალმას შუა გააჩერა და კორპუსში შევიდა.

ვესტიბიულში ხალხი ისევ ირეოდა. ტელევიზორით რეკლამას უჩვენებდნენ: ნაირფერი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ბრწყინავდა დახლებზე და თაროებზე.

ნაცნობებთან შეხვედრას თავი აარიდა და ლიფტში შევიდა.

როცა თავის სართულზე გამოვიდა, დერეფანში დილანდელი კაცი დაინახა.

კაცი ისევ იმ აღრინდელი ნაბიჯით მოდიოდა და კვლავ ითვლიდა:

— ხუთიათას ხუთას შვიდი, ხუთიათას შვიდას რვა, ხუთიათას შვიდას ცხრა, საღამო მშვიდობისა, კაცო! ხუთიათას შვიდას თერთმეტი, ხუთიათას შვიდას თორმეტი, ხუთიათას შვიდას ცამეტი... — და მისი ბუტბუტი თანდათან დერეფნის სიგრძეში ჩაიძირა.

ახლაც ისე წავიდა და ჩააარა, საღმის პასუხისთვის არ დაუცდია. სიტყვებსაც ისეთი სხაპასხუპით ამბობდა,

ლალო მგელაშვილი  
ზღვანო



როგორც ნაბიჯის სიჩქარეს შეეფერებოდა. ზაალს არც ის გამოჰპარვია, რომ მისალმება ერთ ნაბიჯად ჩათვალა და თვლა არ დაურღვევია, ისე გადაახტა ხუთიათას შვიდას ათს. ერთხანს თვალი გააყოლა ამ უცნაურ კაცს და მერე თავის ოთახში შევიდა.

ჩაწვა ლოგინში, მაგიდის ლამპა აანთო და „გარგანტუა და პანტაგრუელის“ თარგმანის კითხვა განაგრძო.

ისევ შეიგრძნო „სილბო და სიტფო“ „ქართულისა ენისაჲ“ და მხატვრის მახვილ ყნოსვას კვლავ მისწვდა სუნი სტამბისა, ახლად გამოხული წიგნისათვის ესოდენ დამახასიათებელი. იგი მისთვის თავისი საღებავების სუნს ეთანაბრებოდა და ისეთივე მიმზიდველი იყო, როგორც შებინდებისას ვენახიდან დაბრუნებული დაღლილი მეზვრისათვის თონიდან იმწამს ამოყრილი კახური პურის სურნელი.

ნიკო შემოვიდა, აივნაზე გავიდა, მაგიდაზე დახორავებული ვაშლებიდან ორი შეარჩია და აბაზანაში შეიტანა. მერე იქიდან აღრენილი შემობრუნდა და ჯიბის დანა დააძრო.

— ეს რა უბედურებაა, კაცო, მამ ამოდენა სახლში წყალი არ უნდა იყოს? შუადღისას მოუშვებენ ერთი საათით შუადღისას მოუშვებენ ერთი საათით, და საღამოთიც ერთი საათით. თუ მისაწყარი, ხომ დაიბან ხელ-პირს, თუ არადა, მეზღვაურივით უნდა დაისველო ორი საათი და ამოსვა თვალებში. არ მიყვარს, ეს ოხერი, გაფცქვნილი ვაშლის ჭამა. ვაშლი ქერქიანად უნდა იჭამოს, — ქერქიანა რკინა!

— შენ თუ კიდევ რკინა გინდა, მაშინ საწყალმა „ისიკ-ყულმა“ მთელი რუსთავის ქარხანა უნდა შეჭამოს.

— შენ მაგ „ისიკ-ყულს“ ვერე ნუ უყურებ. მაგისთვის როდისმე ხელი ჩამოგირთმევია?

— როგორ არ ჩამომირთმევია.

— ჰოდა, არ დაჰკვირვებინხარ — ხელს რომ ჩამოგართმევს, მარწუხივით გიჭერს თითებს. აჰა, დაიჭი! — და გაფცქვნილი ვაშლი მიაწოდა.

— გრაფინშაი წყალი, ეგ მეორე შენთვის გაირეცხე.

— უჰ, შენი რჯული არ იყოს, რაკაცი ხარ, ცოტა ადრე ვერ მითხარი? — და გრაფინს მისწვდა.

ნიკო თან ვაშლს თქლემდა და თან უყვებოდა:

— ვერაფერი შვილი კინო იყო. საბირმა და მათევისმა ბოლომდე ვერ გაუძღეს და გარეთ გამოვიდნენ. უფრო ადრე გენერლის გოგომა და ტურილბაიმ მიატოვეს. მე „თავის“ გვერდით მოვხვდი და ვერაფრით ვერ დავინსენი თავი. რადიოსავით გამომიჭედა ყურები. შენზე მელაპარაკებოდა: „დიდი, კეთილი ზაალი“ ეს რამდენიმე დღეა ზედაც აღარ მიყურებსო.

თავი ერთ მოსკოველ ქალს შეარქვეს. უცნაური აგებულებისა იყო: შავი თვალები თავივით წვრილი ჰქონდა, სახე ჩვეულებრივი, თითქმის მსუქანი, ტანზე კი ისეთი გამხდარი იყო, ნეკნებს ჯემპერს გარედან დაუთვლიდით. მოვიდა თუ არა, მაშინვე ზაალსა და ნიკოს მიეკედლა, რადგან დამსვენებელთა არც ერთმა ჯგუფმა არ მიიკარა „მიზეზისა სხვისა, სხვისა და სხვისა.“ არც მაინცადამაინც ულამაზო ეთქმოდა, მაგრამ, რაღაც უცნაურად ვერავისთან ვერ ჰპოვა საერთო ენა თუ სხვებმა ვერ ჰპოვეს ეს ენა, ადვა და ძმებს მიეკედლა. ზაალი ერთხელ ბადმინტონს ეთამაშა. ერთხელაც პლაჟზე ხის საწოლები მოათრიეს, ზედ საბანაო ხალათი გაშალეს და კარტი გაახურეს სამთა. და ეს საკმარისი გამოდგა, მარტოხელა ქალს ხშირად მათთან ახლო ყოფნა სდომებოდა.

— მიდი, უთხარი რამე, — ვესტიბიულში რომ დადიხარ, თვალს მზესუმზირასავით გაყოლებს.

— აბა, რა უნდა ვუთხრა, ლოგარიტმების ცხრილზე ველაპარაკო თუ აინსტიანის ფარდობითობის თეორიაზე? მათემატიკა სკოლაშიც არ მიყვარდა. ამინდი კი, ხომ ხედავ, ამ დღეებში როგორი წავიდა, — ბადმინტონი დერეფანში ვეთამაშო?

— მერე რა, რომ მათემატიკოსია? იცი, რა ნაკითხი და განათლებული ქალია? მიდი, დაელაპარაკე, უთხარი რამე, ცოდვას, გაუხარდება.

— შენ თუ ფიქრობ, რომ მე აქ ვინმეს გასართობად ვარ ჩამოსული, ძალიან სცდები. ხოლო თუ ეგრე გეცოდება, რატომ შენ არ მიდიხარ მასთან?

— კაცო, მაგას მე კი არა, შენ მოსწონხარ. მე, ხომ იცი, ვაკნაჭული ქალები თვალში არ მომდიან.

— მე სადღა მნახე, რომ მაგათ გულისთვის ველად გავიჭერი?

— შენი საქმისა შენ იცი, ძმაო, მე კი ძალიან მეცოდება. ეს ამინდებიც იგეთი წავიდა, ზღვაზე ველარ გავედით. ლამის ფეხით სიარულსაც გადავეჩვიო. — ადგა, ვაშლები ისევ შემოიტანა, გარეცხა და ერთი ზაალს მიაწოდა.

— აღარ მინდა, შენ ჭამე. — ერთხანს, თავქვეშ ხელებზეწყობილი იწვა გატრუნული, მერე ძმისკენ გადმობრუნდა და იდაყვზე წამოიწია. — მოდი, ნიკა, ლავ, ხვალ თუ ამ ჟინქლს არ მოუმატა, ჩვენი კუნძული დავათვალიეროთ.

— რომელი კუნძული?

— რომელი და, — ჩვენი, აი, ეს კუნძული, სადაც ვცხოვრობთ.

— ეს კუნძული კი არა, ნახევარკუნძულიც არ არი. კონცხია უბრალოდ ზღვაში შეჭრილი.

— ჰოდა, რაც არი, დავათვალიეროთ. ზღვის ნაპირს ხომ არ გავცოლივართ. რობინზონ კრუზოსავით ავდგეთ ხვალ დილით, საუზმის შემდეგ ფეხით გავუყვეთ სანაპიროს, ჩავიდეთ ბიჭვინთაში და იქიდან ავტობუსით დავბრუნდეთ უკან.

— არ გეშინიან, რომ სადმე ზღვის პირას, უიარაღონი, კაციჭამიებს გადავეყაროთ?

— ზაფხული უკვე გასულია. ახლა კაციჭამიები თავთავიანთ საწყობებსა და კაბინეტებში იქნებიან ჩასაფრებულნი.

— კარგი, წავიდეთ. ეხლა ქარუმასა ვნახავ, იქნება ისიც წამოვიდეს, მაინც სიარულის გიყია. — ადგა და გავიდა.

დილით ზაალმა აბაზანაში ცხელი წყალი დააგროვა და იბანავა. აბაზანადან გამოსულმა ისეთი სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს წუხანდელი ღამის ფიქრები ოჯახსა და სახლ-კარზე ერთბაშად ჩამოირეცხაო. ფანჯრიდან გარეთ რომ გაიხედა, გუნება კიდევ უფრო გამოუკეთდა: წვიმას მთლად გადაელო, ნისლი აკრეფილიყო და ჰაერი ისეთი გამჭვირვალე გამხდარიყო, სახლის კუთხიდან დაწყებული, გაგრის სანაპირომდე დაშვებული შორეული მთები, გეგონებოდათ, წუხელ ვილაც ყოვლისშემძლე გოლიათს დასასვენებელი სახლის ახლო გადმოუზიდავსო. „გინახათ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?..“ და, მართლაც, ღმერთო, რა ფერები იყო! მუქ-მწვანე მანდარინის ბალები რილო-ჭრილოდ ენაცვლებოდნენ ხმობაში შესულ ლეგა-ნაცრისფერ სიმინდის ყანებს, დაბლარ ვენახთა ლილისფერი კვადრატები მიმოხნეულიყო შიგადაშიგ. ზურმუხტის გორაკებს აქა-იქ ნაწვიმარზე გამოსული სოკოებივით ამოსვლოდათ ახლად გამოშვარი კირისფერი სახლები. მათათა კალთების ნაწყვეტებში ხასხასებდა შემოდგომის სათიბების სილურჯის ზღვრამდე მისული სიმწვანე. უფრო იქით აღერდივით დაგრებილიყო მუქი-აასამნისფერი პირდაბანილი მთების ჯაჭვი. ხოლო მათ ზევით მაგნოლიის ყვავილზე თეთრი ხუჭუჭა ღრუბლები ისე დაყრილიყვნენ მინანქარვით ქათქათა თოვლით აღესილ დაკბილულ მწვერვალთა შორის, როგორც მუინვარის ძირში საცთხნავად მიწოლილი ბატკნების ნოტოები. ძირს კი, დასასვენებელი სახლის ეზოდან თვალსაწიერამდე, საფირონისფერ ზღვის ქობებს რძისფრად ევლებოდა სანაპიროთა მშვიდად მლოკავი ტალღების არშია.

„ახლა თუ ისიც-ყულს არა სძინავს და ამ სურათს უყურებს, ნეტა თუ ისევ თავის ტბაზე ფიქრობს!“

ლალო მრალაშვილი  
ზღვაზე

დილის სიგრილემ შეაქრქოლა და თოხაში შევიდა. ლოვინი მიალაგა, ფეხთ ჩაიცვა და უცებ, ყურდაცქვეტილი დერეფნის ხმაურს დაუდარაჯდა. მერე დერეფნის კარი გამოაღო და თვალი ჰკიდა: ათიოდე ნაბიჯზე გუშინდელი უცნაური კაცი იდგა და ნიკოს ელაპარაკებოდა.

— რის თბილი წყალი, რომელი ზღვის აბაზანები, — სისულელეა ყველაფერი!

— მითხრეს, გავრაშიაო. ჯერ დამეზარა: რა მეჩქარება, წინ მთელი თვე მაქვს-მეთქი, მერე წვიმები დაიწყო და მეგონა, რომ გავცივდებოდი. ესლა კი სულ რამდენიმე დღედა დამრჩა. რა არ ვცადე, რა წამალი არ ვიხმარე, მაგრამ არაფერმა არ მიშველა. შარშან რომ მენჯში არ წავსულიყავ, წელს შეიძლება ვერც კი მევლო.

— გეუბნები, ყველაფერი სისულელეა-მეთქი. არავითარი წამალი და ენჯი-მენჯი! თორმეტი წელი დახუთული ვეგდე: ექიმებო, სანატორიუმებო, ექიმბაშებო, კურორტებო, გარეული და შინაური წამლებო, მაგრამ საქმეში ხარ? მიმიფურთხებია თბილი წყლისათვის! — თბილი წყლით თავსაც არ ვიბან. აი, მე გასწავლი: იშოვნე ერთი ტილოს ნაჭერი, — უხეში ტილოს ნაჭერი, ტომრებს რომ კერავენ. ერთი მეტრის სიგრძისა მაინც უნდა იყოს. დილით ადრე გაიხადე ტანზე, სულ გაიხადე...

— გამარჯობა თქვენი. — მივიდა და მიესალმა ზალი.

— გაგიმარჯოს! — თქვა გუშინდელმა კაცმა და განაგრძო: — მერე აიღე ეს ტილოს ნაჭერი და მთელი ტანი კისრიდან მოყოლებული ფეხის ქუსლებამდის იმით გაიხეხე.

— სველი ტილოთი?

— არა, კაცი, პირდაპირ მშრალი ტილოთი. აბა, წამოდი, მე გაჩვენებ, თანა მაქვს წამოღებული.

— წამოდი შენც. — მიუბრუნდა ნი-

კო ზაალს. — ეს ჩემი ძმაა. ეს კი ქარუმა, ძველი მეღვინე.

— ძალიან კარგი. აბა, წამოდი. თავისი თოხის აბაზანაში ქარუმა თვალის დახამხამებაში გადედისობილდა და ძმებს ადამის კოსტუმით მოევლინა.

საშუალო ტანის კაცი იყო, კარგად ჩასმული და მკერდგანიერი. მზრის თავებზე დელტისებური კუნთები თვალსაჩინოდ ამობურცოდა. გულ-მკერდისა და მუცლის ფარის დიდი კუნთები ცხიმს ჯერ კიდევ ისე ვერ დაეფარა, რომ სიმსუქნეში დამალულიყო. კარგად გამოკვეთილ თქმოს თავისა, ბარძაყისა და წვივის ორთავა კუნთებში ახალგაზრდული ძალოვანება იგრძნობოდა. მაგარ კისერზე დადგმული თავის დაკუთხულ ყბებში ჩალაგებული კბილები ტაბუხის თავსაც კი გახრავდა. სწორ შუბლს იქით გადავარცხნილი შეთხლებული მაგარი თმები უკან მავთულის სიმებივით გადასჭიმოდა. ხოლო სახე მოსამცვრევად შემორჩენილი კუმის მტევანივით ჰქონდა დამკვრახული.

— ბოდიშს არ ვიხდი. იმაზე მეტი არა მაქვს რა, რასაც თქვენ თავად მოინაკლისებთ. ქალი კი არავინ გვირევიო. აი, უყურე! — პირსაბანთან გადაფენილი ერთციდა სივანის უხეში ტილოს ნაჭერი აიღო და კისრიდან მოკიდებული ხეხვა-ხეხვით ფეხის ქუსლებამდე ჩააცურა. — აი, ეგრე უნდა დაიწითლო ტანი. განსაკუთრებით ის ადგილი უნდა გაიხეხო, რომელიც გტკივა. მერე აიღებ უფრო რბილ, მეორე ტილოს. აი, ეგეთს. — ის დალო და სხვა ასეთივე სიგრძის შედარებით რბილი ნაჭრის ტილო აიღო. — ცივ წყალში დაასველებ, კარგად გასწურავ და ახლა იმით გაიხეხავ მთელ ტანსა და განსაკუთრებით იმ ადგილს, რომელიც გტკივა. მერე გაიმშრალე პირსახოციით და ჩაიცვამ. სულ ეს არი. აბა, მერე ნახე თუ იმიანი კიდევ მოგეკაროს! ამას გარდა, თუ გინდა, რომ ჯანმრთელი იყო, უნდა იარო. ფეხით უნდა იარო ბევრი. დღე-



ში ათი კილომეტრი მაინც უნდა გააკეთო. ჩვენ ამ მანქანებმა დაგვაბეჩა და დაგვაგლახა. ხალხი გადაშენების გზაზე დააყენა. წინათ სად იყო ამდენი ავადმყოფი და დავრდომილი. წინათ კაცი თუ მოკვდებოდა, ერთბაშად მოკვდებოდა, რადგან ექიმი იშვიათი ხილი იყო. ახლა კი უამრავი ხალხია საქიმო, რომელთაც ექიმი არა სჭირდება. — ჩაიცვა და ბოდიში მოიხადა. — დასაყოლებელი არაფერი მაქვს, მაგრამ ღვინოს კარგს დაგაღვინებთ. ხილი ბიჭმა სულ გაათავა.

ნიკომ უარი თქვა ღვინის დაღვინაზე და არც ზაალს გამოუდგია თავი.

— თუ აუცილებლად მიგაჩნიათ ღვინის დაღვინა, სხვა დროს დავლიოთ, ბატონო ქარუმ. ახლა კი ჩავიდეთ სასადილოში და ვისაუზმოთ. მერე მანდა თქვენი რჩევა ყურად ვიღო და აქედან ზღვის პირპირ ბიჭვინთაში ჩავიდეთ ფეხით.

— ბიჭვინთაში მეც სიამოვნებით წამოვიდოდი, მაინც ბაზარში ვაპირებ წასვლას. მოიცა, ბიჭს ვავალვიქებ. — ქარუმა ოთახში შევიდა და ისევ ნალე გამობრუნდა. — წასულა. მეც არა ვთქვი, აქამდის. ლოგინში როგორ გაჩერდა-მეთქი.

— ვინ ბიჭია? — მაღალი, ხმელხმელი ბიჭი?

— ჰო, ის არი. ჩემი შვილიშვილია.

— სკოლას აცდენინებთ?

— მე რას ვაცდენინებ, თითონ გამოაპანდურეს.

— როგორ თუ გამოაპანდურეს?

— ეშმაკის ნაგლეჯი როა. სკოლაში დაავალეს: ყველა მოწაფემ თითო ვედრო ყინი უნდა მოიტანოსო. ეგ ადგა და ყურძნის მაგივრად კარტოფილი მიიტანა.

ნიკომ სიცილისაგან სული ძლივს მოითქვა.

— განგებ გააკეთა?

— ეშმაკმა იცის მაგისი თავი, გაუგებ რამეს? ჰოდა, გამოაპანდურეს: კარტოფილი კი არა, ყურძენი მოიტაო.

— როგორ სწავლობს?

— **მა ვიცი, — ყველანაირი ნიჭი** ბი აქვს, განსაკუთრებით არაფერში გამოუჩენია თავი. ლაპარაკი კი ივეთი იცის, გეგონება, ერთხელ დაბერებულა და ისევ გავეილებულაო. ეხლა ადგა, საგზური შუა გამიყო და აქ გამომყვა: მელიოდონ, სანამ ყურძენს არ მივიტანო. დღეს მეოთხე დღეა და ლამის გამაშეშმშიშოს კაცი. არაფერს არ მიგონებს, სულ თავის ქუთაზე დადის. ვადაეკიდა ის რაღაც ეშმაკური სათამაშოა და გააქრო ფულის ქექილი.

— ალბათ, ეხლაც იქ არი, იმ სათამაშოსთან. აბა, ჩვენც წავიდეთ, ნიკოლაე.

საუზმის შემდეგ ძლივს დააჯერა ზაალმა სულიემან-ზადე და ზარუმბა: ბიჭვინთიდან დაბრუნების შემდეგ წაგიყვანათ ლიძეაში მანდარინის საყიდლოდ და ოთხნი გაუყენენ ზღვის პირას.

ბიჭი უკან მოდიოდა. ფერად კენჭებს არჩევდა, თხელ ქვებს წყალზე სიბრტყე ისროდა და თან ითვლიდა, წყალზე რამდენჯერ აიკენწლებოდა. ზღვა ოდნავ დელავდა და, როცა რომელიმე ტალღა ფეხზე მისწვდებოდა, გრძელი სკუპით გახტებოდა განზე.

პირველად სწრაფად მიდიოდნენ, სველ შლამსა და ქვიშაზე ძნელი იყო სალდათურა ნაბიჯის გადადგმა. ქარუმა მაინც არ იშლიდა და ცდილობდა ნაბიჯისათვის სიგრძე არ დაეკლო.

— კაცი რომ ორმოც წელს გადასცდება, უკვე გადაითავჭევეებს. მერე სიარულთა იმისი წამალი. ყველაზე კარგი — ნადირობა და მოგზაურობაა. ათასი ისტორიული ძეგლი და ლამაზი ადგილები გვაქვს დასათვალიერებელი.

— რაც სანადირო იყო, ბატონო ქარუმ, სულ გავვლიტეთ განუკითხავად. და ეს ქლექა იმდენად გულმოდგინედ ჩავატარეთ, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენი მწერლები ვაიძულეთ, გახეთში დაბეჭდილი ერთი წერი-

ლალო მრალაშვილი  
ზღვაზე



ლისათვის ასეთი სათაური მიეცათ: „რატომ არ ვაღივებ“ შიშვენი“. ხოლო, რაც შეეხება მოგზაურობას, მაგასაც მგონი აქვს თავისი მიზეზი. და აქედან ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იმ ჩვენი ისტორიული ძეგლების უპატრონობა და მოუვლელი მდგომარეობა. მათმა ნახვამ სიამოვნება უნდა მოგვგაროს და არა უსიამოვნება. განა რა გუნებაზე უნდა დადგე იმის მნახველი თუ ტყემ როგორ გადაუარა რუისპირის თავში, სოფლიდან ერთი კილომეტრით დაშორებულ წმინდა შიოს მონასტერს. ამ მუქვეს-მეშვიდე საუკუნის ძეგლს, რომლის კედლის მხატვრობა, დიდებული ფრესკები წარწერებით დღემდე შეუსწავლელია. სახურავი დაენგრა, ფრესკები გაიცირა და სანახევროდ წაიშალა კიდევ. რამდენი ამისთანა საქართველოში? ლამაზი ადგილებიც უყურადღებოდ არი მიგდებული. ამ ლამაზ ადგილებსაც მოვლა-პატრონობა და გამოყენება უნდა. პერსპექტივები უზარმაზარი გვაქვს, მაგრამ ჩვენ გვიჩვენია კიდევ ერთი სახაშით მეტი გქონდეს, ვიდრე ესთეტიური ტიპობისათვის გავიღოთ ხარჯი. ჩვენ ეს ერთი ხანია, სტომპი მოგვექცა თავს ზევით და ამიტომაც არი, საკუთარ ცხვირს იქით რომ ვეღარ ვხედავთ ვერაფერს. რის მოგზაურობა, რა მოგზაურობა, ტყეში და ისტორიული ძეგლების ეზოში მხოლოდ საქეიფოდ შევდივართ. ამიტომაც არი, რომ ახლა ხშირად კრილოვის ბატებივით წინაპრებს ნაოფლარიჯად ვამაყობთ ხოლმე. ხოლო ახალს თუ ვაკეთებთ რამეს, — ზღვაში წვეთია.

— მე რომ გეითხო, ტყეც საქაროა, ისტორიული ადგილებიც და სახაშეც. ნაბახუავეზე ხანს არაფერი სჯობია. ერთი ეგ არი, ცოტა უნადგლო და თავის ნათქვამა, საღიხია ვართ. უფროს-უმცროსობა დავიწყებული გვაქვს და ახალთაობას ხომ ვერაფერს ვაგებინებ. აგე, თითის ტოლაა და თუ ჰკუაში არ დაუჯდა შენი ნათქვამი, ყურსაც არ გაიბღერტავს.

უეცრად ქარუმა შედგა და თანამგზავრებს გამტყნარებულმა შეპხედლაძეებმა შეჩერდნენ და თავადაც გაცემა აესახათ თანამგზავრის მოულოდნელ შეჩერებაზე.

— ჰხედავთ? — წლებს მაინც თავისი მიაქვს. — დანანებით ჩაიქნია თავი ქარუმა.

ნიკომ რაღაცა იაზრა და ჯიბეები მოიხსრიკა.

— ნუ გეშინია, ფული იმდენი მაქვს, სამივეს გვეყოფა.

— ფულს ვინა ჩივის, კაცო... თითქმის ნახევარი გზა გამოვიარეთ... აფსუს!

— რა მოხდა, ბატონო ქარუმი? — ახლა ზაალიც დაინტერესდა.

— ნაბიჯების დათვლა დამავიწყდა. აი, ლაპარაკს შევყევით და ვერ დავთვალე, რამდენი ნაბიჯი გადავდგი აქამდე. ფუჰ! ესლა კი ვატყობ, რო დავბერებულვარ. განა არა, ამ მამაძალის მამას რამდენჯერ დავებარე მოსკოვში: ნაბიჯმომი ჩამომიტანე-მეთქი. „ვერ ვიშოვნო“, ყოველთვის იგერ ბრუნდებოდა იქიდან. ჩველთან ხო არ იშოვება და არ იშოვება. ამბობენ, ვითომ ბალტიისპირეთში შეიძლება იყოსო, მაგრამ იქ ვინ გავგზავნო? ან ვინ იცის, იქ მაინც თუ არი ნამდვილად? ამ ხუთიოდე წლის წინ საფრანგეთში ვიყავი. პარიზში რამდენიც ვინდა, იმდენი იყო, მაგრამ ფული არ მეყო. იცი, რა კარგია? — როცა სადმე მიღიხარ, ჩართავ და ისიც: წიკ-წიკ, წიკ-წიკ! — ყოველ ნაბიჯს თვლის. კაცი რო ხანში შევა, დღეში ათ კილომეტრამდის მაინც უნდა გაიაროს ფეხით.

— ქარსა და ავდარშიც?

— ქარსა და ავდარშიც. გაცდენა არ შეიძლება. თუ ერთხელ გაცდინე, მერე მორჩა! — დაგეზარება და გათავდა. აქ რო ჩამოვედი, ხო როგორი ავდრები იყო, ერთი დღე არ გამოცდენია. ჩვენი სართულის დერეფანი ორმოცდაცხრანაბიჯანახევარია. ნახევარი ნაბიჯი არ ითვლება. იქით და აქეთ ასრომოცდაროჯერ უნდა გაიარო, რო ხუთი კილო-

მეტრი გამოვიდეს. დილით ხუთი და საღამოთიც ხუთი — დღეში ათი კილომეტრია.

— მე მგონი, დახურული დარბაზის პირობებში ათი კილომეტრი ცოტა მეტი იქნება ღია ცის ქვეშ გავლილ მანძილზე, ბატონო ქარუმი.

— ეგ არაფერი. მთავარია, არ დააკლო, თორემ თუ გადააქარბებ, რა უშავს.

— როგორ იგებ, ქარუმი, ნაბიჯებით ზუსტად რამდენ კილომეტრს გაივლი?

— გაზომილი მაქვს. ჩემი ერთი ნაბიჯი სამოცდათორმეტი სანტიმეტრია.

— ყველა ნაბიჯი როგორ იქნება სამოცდათორმეტი?

— თითქმის ყველა სამოცდათორმეტია. საშუალოდ მინც ეგრე გამოდის. ათას სამას ოთხმოცდაცხრა ნაბიჯი — ერთი კილომეტრი და რვა სანტიმეტრია. ეხლა ეს ათზე გაამრავლე: მივიღებთ ცამეტათას რვაას ოთხმოცდაათ ნაბიჯს. ესე იგი, ათ კილომეტრს. რვა სანტიმეტრსაც თუ ვიანგარიშებთ, ორას სამოცდაჩვიდმეტი მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრით მეტი გამოდის. ეს ორას სამოცდაჩვიდმეტი მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი გინდ იქით იყოს და გინდ აქეთ, არაფერია. მთავარია, ათ კილომეტრს არ დააკლდეს.

— მერე? — ყველას ნაბიჯი ხომ ერთი არ არი?

— რა თქმა უნდა, არ არი. ყველამ თავისი გადადგმული ნაბიჯი უნდა გაზომოს და იგრე იაროს.

— მე მგონია, პაპაჩემო, შენ შენი გადადგმული ნაბიჯი ცოტა აღრე უნდა გაგეზომა. ეხლა უკვე გვიანია. და, თუ გინდა, მეტსაც გეტყვი: ყოველმა კაცმა თავისი ნაბიჯი გადადგამაღდ უნდა გაზომოს.

— ერთი ამას უყურე, ამ გაფუჭებულ მამაძალს, ამასა, არ დამიწყო ფილოსოფოსობა! რომელ გაუზომავ ნაბიჯზე ჩამინისკარტე: როდის იყო, რო გაუზომავ ნაბიჯებს ვდგამდი?

— ეგრე მალე დაივიწყე? არ გახსოვს, ის შენი აშენებულ-გაკეთებული

ღვინის მარანი ვის ჩააბარე? ეხლა შენ ისინი დაბულრანაობენ, ვინც შენ ქვეშ რად მიიწვიე, მარტო ვეღარ ვუძღვები და ხელს წამახმარებენო. მერე იმათ აშკარად თუ მალვით თითონ იგდეს ხელთ ყველაფერი და შენ კი პენსიაზე დაგაცურეს. ეხლაც საქმეს შენ გაკეთებინებენ, იმ ღვინოზე კი თითონ ითბობენ ხელს. შენ აქ მოდექი და ზომე ნაბიჯები. — ბიჭი ახლო ჩატუცქულიყო და ფერად კენჭებში საუკეთესოებს არჩევდა.

— მოკლედ, ამის გასაგონად ვერაფერს ვერ იტყვი. იტყვი და მაშინვე გაგიტრიზავებს. ლამის სული ამამხადოს, ამ მამაძალმა, ამანა. — ქარუმა დაიხარა და ნაბირზე გამორიყული ჯონის ნატეხი აიღო. — აბა, ერთი მანდ დამიცადე! მაგ ენის გულისთვინ ამოგჭიტლაცეს სკოლიდან!

ნიკომ ხარხარი ძლივს შეიკავა. ზაალი ჩაფიქრებული გაჰყურებდა გაქცეულ ბიჭს.

მზე უკვე ფიჭვის კენწეროებს ასცილებოდა და იქიდან უშენდა ზღვასა და ხმელს თავის ოქროვან სხივებს. ჰაერი შემთბარიყო და სველ ქვიშასა და შლამს უკვე ორთქლი ასდიოდა. ზაალმა უკან მოიხედა და შენიშნა, როგორ ნელ-ნელა ივსებოდა პლაჟი მობანავეებით. ამდენი ხნის ნამარხულევთ, ეტყობოდათ, წუთითაც არ უნდოდათ მზის ერთი რიგიანი შემოხედვის დაკარგვა.

— ბალღია, მალე ჩავარდება ჭკუაში. ჩვენ, უფროსებს, სშირად გვავიწყდება ხოლმე, რომ ერთ დროს მაგათ ტონსწორებიც ვიყავით. — უთხრა ზაალმა ქარუმას, რომელიც კვლავ გაქცეული ბიჭის გზას გაჰყურებდა წარბშეყრილი.

— რა ბალღი, რის ბალღი, ზოგჯერ იგეთ რამეს მეტყვის, საგონებელში ჩამაგდებს ხოლმე. ვანა მოგერიდება რამეს? — არც უფროსი იცის და არც უმცროსი.

ლალო მრეაღვილი  
ზღვასა

— რას იზამთ, ბატონო ქარუმე, ესლა ცოტა სხვანაირი თაობა წამოვიდა. ტელევიზორისა და ატომის ხანამ ყველაფერი თითქმის ყირაზე დააყენა. ტექნიკამ გაასწრო კაცის ფსიქიკური ნორმების თანამედროვე ყაიდაზე მორგებას და, ეტყობა, უფროს თაობას უმცროსი თაობისა ზოგი რამ ჯერ არ გაეგება.

— აი, ეშმაკმა დასწყევლოს მაგისი თავი და მაგისი ნორმები! მინც რამ დამავიწყა დათვლა? მიახლოებით რამდენი მეტრი იქნება ჩვენი სახლიდან აქამდის?

— აბა, რა გითხრათ, ორ-სამ კილომეტრამდის იქნება.

ქარუმას გაჯავრებულ სახეს თანდათან ღიმილი მოეფინა.

— მე სანტიმეტრებიც კი გაანგარიშებული მაქვს და შენ კილომეტრებს მეუბნები?

— მოდი, დღეს როგორმე დაუთვლელად გავიდეთ იოლას, ბატონო ქარუმე, ხვალ კი ოთახის კარიდანვე დავიწყით დათვლა.

ქარუმამ ხელი ჩაიქნია, გოხი წყალში ისროლა და თავისი გამოზომილი ნაბიჯით გააბიჯა.

წინ წასული ბიჭი ტყის პირას შეჩერებულიყო და აღტაცებული ათვალთვლებდა ფიჭვის ფესვებს. მართლაც მშვენიერი სანახავი იყო ეს ფესვები: ტყის პირიდან პლაჟასაკენ სამი, ერთმანეთს თითო მეტრით დაშორებული, შიგ ძირში გადაჭრილი ფიჭვის ფესვები მჭკრებზე წაწეულიყო. მიწამდე მოსწორებულ კუნძებს ბალახის მეშვეობით ნიადაგი ისევ შერჩენოდათ, ქვევით კი მძლავრ ღელვას ქვიშა გამოეცალა და ფესვები გაეშისვლებინა. ეს ფესვები ტყის პირიდან ზღვისკენ რაც უფრო ეშვებოდა, მით უფრო გრძელდებოდა. ისინი განზე კი არ გატოტილიყვნენ, არამედ ზევიდან ქვევით შევულად ეშვებოდნენ. ისე ხშირი იყო ეს ფესვები, ფიჭვის კუნძებიდან ისე მოდიოდა და ძირს, ქვიშაში ისე ჩადიოდა, თითქოს რვაფეხები კი არა,

დაუთვლელფეხება, ზღვის უცნაური შიშველკანჭება ცხოველები ტყეში პარულან და მერე იქიდან ერთიმეორის მიყოლებით უკანვე ზღვაში ბრუნდებიან უჩუმრად.

ზაალს თვალი მოსტაცა ამ სილამაზემ და ახლოს მივიდა...

— მოგწონს?

— ლამაზია.

— შეგიძლია დახატო?

— ხანდახან ვხატავ კიდევ.

— ამას თუ დახატავ?

— ამის დახატვა გამიძნელდება.

— სკოლიდან მართლა გამოგავადეს?

— შენ მოვიტყუე. ზღვაზე მინდოდა წამოსვლა.

— თქვენები რომ გაიგებენ?

— უკვე გაგებული ექნებათ.

— ჰერე?

— მერე დავბრუნდები და ისევ ვივლი თუ ყურძენზე აღარ ჩამაცვიდებიან.

— მართლა კარტოფილი მიიტანე?

— მივიტანე.

— კი, მაგრამ თუ ყურძენი მოგთხოვს, კარტოფილი რად უნდა მიგეტანა?

— თელავში ვაზის ხეივანი ყველას კი არა აქვს. მე არც ვენახი მქონდა, არც ხეივანი.

— რამდენადაც ვიცი, თელავში არც კარტოფილს თესავენ.

— კარტოფილი ბიძაჩემმა ჩამოგვიტანა თეთრწყლებიდან. რაცა მქონდა, ის მოვიტანე. რა ვქნა, მოპარვით ვერავის მოვპარავ. ჩემი ორი ამხანაგი გადაიპარა ვარდისუბნელების ვენახში. პატრონმა დაიჭირა, ვედროები წაართვა და კარგადაც მიტყიპა ორივენი. მერე საბჭოში მიჰყავდა თურმე. ბიჭებს ტირილი დაეწყით. იმ კაცს შეებრალა და გაუშვა.

— რა თქმა უნდა; ქურდობა ბინძური ხელობაა. შენ უფრო სწორად მოჰქცეულხარ, მაგრამ განა მიუტანლად ვერ ეტყობდი, რომ ყურძენი არ გქონდათ?



— თვალსაჩინოების მეთოდით ვიმოქმედე. — გაიცინა ბიკმა.

ნახევარი კილომეტრი კიდევ გაიარეს და ფიჭვის ტყიდან თითქმის ზღვის პირამდე დაშვებულ წარაფს წაადგნენ. ერთმანეთში გადახლართული კვრინჩხი, მყაუნა და მყვალაი ვიწრო ზოლად სჭრიდა პლაჟს. ჩვენი მოგზაურები წარაფის ბოლოში გავიდნენ და პლაჟის მეორე მხარეს აღმოჩნდნენ. აქედან უკვე მოჩანდა მედვას ქანდაკება. პლაჟზე ვილაც მოხანავეს, ეტყობოდა, ბანაობით გული მოეჭვრებინა და ახლა იქვე, შლამზე თეთრი ქვებით Москва-ს დაწერას ამთავრებდა.

ქარუმა მისვალმა და ჰკითხა: წყალი ცივი ხომ არ არიო.

კაცმა უთხრა: ნორმალურიაო.

— შენც ერთი, მოსკოველს ეკითხები ზღვის სითბოზე. მაგისტვის, ალბათ, ეს წყალი აღუღებელიც არი. აბა, ხელი ჩაყავ, ყინულებით მოგიჭერს. — თქვა ნიკომ და სველი ხელი შარვალზე შეიმშრალა.

— მისკოვში მინახავს: ზამთარში ყინულს ამოსჭრიან, ჩახტებიან შიგა და ბანაობენ. — დაუდასტურა ზაალმა.

— ციმბირელები უფრო მაგრები არიან. აი, მორქებს რომ ეძახიან. ჩავლენ ყინულიან წყალში, იბანავენ, მერე ამოვლენ მაღლა და, როგორც ჩვენ ცხელ ქვიშაზე, ივრე ისინი თოვლზე წვებიან და ტიტვები მზეს ეფიცებიან.

— მეც მინახავს. ტელევიზორით აჩვენებდნენ. — დაეთანხმა ქარუმმა.

— აი, ბიჭვინთის კორპუსებიც გამოჩნდა.

— ახლო ყოფილა. რამდენი კილომეტრი იქნება ნავმისამელამდის, ბატონო ქარუმ?

— აბა, რა ვიცი, გაზომვა უნდა. მოდი, დღეს რაც არი-არი, ხვალ გავზომოთ. ხვალ კი ამ მამაძალს შინ დავტოვებ და თავგზასა და სათვალავსაც აღარ ავკვირვებს.

— რომ არ დარჩეს?

— დარჩება. დღეს ბაზარში ფულს

ბლომად დავუბურავებ სამშაურთან ბად და დარჩება.

ბაზრიდან უკან ფეხით დაბრუნდნენ.

სულეიმან-ზადესა და ზარუმბას ვესტიბულში ვეღარ გაეძლოთ და ეზოში გამოსულიყვნენ ზაალის შესახვედრად.

— რად დაიგვიანეთ? — ფაფრიანი თავი გვერდზე გადახარა მოქანდაკემ და ზაალს გვერდიდან შეჰხედა. — ჩვენ უკვე ბანაობაც მოვასწარიო. აბა, მივდივართ ლიძავაში? სიტყვა-სიტყვაა, უარს ვეღარ იტყვიოთ. ვერაც ახლავე გამოიცვლის ტანსაცმელს და ჩამოვა.

— „ისიკ-ყული“ გეძებდა. წუხელ ნახატის ნახვას შეჰპირებოხარ და აღარ მისულხარ. — დაამატა სულეიმან-ზადემაც.

— ჰო, მაგასთან წუხელ პირშავად გამოვედი. არა უშავს, დღეს თუ ლიძავადან აღარე ამოვედით, შევევლი „ისიკ-ყულთან“.

— როგორ თუ აღრე? — განა მანდარინი ასე ძნელი საშოვნელია?

— რა თქმა უნდა, — ჯერ ხომ შემოუსვლეღია, მკვახე. შემწიფებულს კი მოძებნა და პოვნა უნდა. ამას გარდა, ყველა კი არ გენდობა და მოგყიდის, — იმათაც ემინიოთ.

და მართლაც ლიძავადან მხოლოდ ვანშობის დროს დაბრუნდნენ.

ზაალმა პალმებშუა შეიყვანა მანქანა და იქ გააჩერა.

— ახლა შიგ ჩაკეტავდით, მაგრამ მეშინია, ვინმემ ვერას გულისთვის მანქანაც არ მოიპაროს. გარეთ იმ პირობით გიშვებთ, რომ აღარავის უთხრათ, თუ მანდარინი მე გაყიდვინეთ.

მაგრამ მეორე დღით, სანამ ჩვენი მოგზაურები გუშინდელ რეისს დაადგებოდნენ, ზაალს წინ „სამი გრაცია“ გადაუდგა.

— პატივცემულო ზაალ, რატომ ფიქრობთ, რომ ჩვენ, ჩრდილოელები მანდარინის მოძულენი ვართ? — მშვენი-

ლადო მჩაღაშვილი  
ზღვაზე



ერ ქურა კულულებს ეკალუცად არხვე-  
და ლორა.

ზაალს გულს შემოეყარა, მაგრამ თა-  
ვდაც ღიმილად დადნა.

— საიდან დაასკენით, რომ ასე ვფიქ-  
რობ?

— თქვენი გუშინდელი საქციელი-  
დან. ღიმილად ისე გაიბარეთ, კაციშ-  
ვილმა თვალი ვერ გკიდათ.

— დაფ-ნალარით არ წავსულვარ, მაგ-  
რამ არც საჩუმათოდ ჩამიღენია. მთხო-  
ვეს და გავყე.

— ახლა ჩვენ რომ ვთხოვით? თუმ-  
ცა ვერას მომხიბვლელობას ვერ და-  
ვიკეცხნით, მაგრამ მაინც...

— როგორ გეკადრებათ. თქვენ რომ  
არა, ხომ გადაშენდებოდა ხელოვნება.

და დაასკენეს: მანდარინზე სადილის  
შემდეგ წასულიყვნენ.

ამ დღით ქარი კვლავ გაძლიერდა  
და ღრუბლებიც წამოიფოფრნენ. მზე  
ხან დიმალებოდა და ხანაც ისევ გამო-  
აჭყეტდა თავის ცეცხლოვან თვალს.  
სანაპიროზე მაინც სუსხი იდგა. ზღვაც  
უკვე დეღავდა. პლაჟზე ჩამწყარივე-  
ბული მეთევზეები უკვე შორიდან ის-  
როდნენ ანკესებს. მობანავეებს ფიცი-  
რის ტახტები ლერწმოვანებში შეეთრი-  
ათ და იქ ემალებოდნენ ქარსა და სიგ-  
რილეს.

ზაალი ისე ჩაითრია ქარუმას ნაბიჯე-  
ბის თვლამ, რომ სანამ წარაფამდე არ  
მივიდა, არც თანამგზავრის ნაბიჯები-  
სათვის მოუცილებია თვალი და არც თა-  
ვად შეუწყვეტია თვლა. მოედანზე გა-  
საწვართელად გამოსული რეკრუტი-  
ვით ასწევდა ფეხს და ცდილობდა ქა-  
რუმასავით გადაეხიზებინა.

დასასვენებელი სახლის კიბიდან წა-  
რაფამდე ოთხიათას ექვსას სამოცდათე-  
რთმეტი ნაბიჯი იყო.

— დაენიშნოთ? — იკითხა ნიკომ.

— რა დანიშვნა უნდა: აი, წარაფი. —  
თქვა ზაალმა და წარაფს შემოუარა.

პლაჟის მეორე მხარეს გავიდნენ და  
შედგნენ. ზღვის ტალღები გუშინდელი  
თეთრი ქვეებით ნაწერს მისწვდომოდა  
და წაეშალა. ზაალმა გაიხედა და ახლა

შუა პლაჟზე დაინახა ის წარწერა, ახლანდელი  
ლა უკვე ორი მობანავე ჩალიჩობდას  
ამკარად გააჩრია:

Москва. Омск.

— კაი მყუდრო ადგილი კი შეუგუ-  
ლებიათ.

— ნეტა როგორ ბანაობენ ამ სიცი-  
ვეში?

— ბანაობით კი იბანავებენ, მაგრამ,  
ეტყობათ, რომ არ შესცივდათ და გახუ-  
რდნენ, თან საქმიანობენ კიდევ.

— მოდი, ჩვენც დავწეროთ რაბე.

— რა უნდა დაწერო? — შენც ცხრა  
მთის იქიდანა ხარ ჩამოსული!

— მეტი საქმე არა გაქვთ? წავიდეთ,  
თორემ თვლა დამავიწყდა.

და წავიდნენ.

შუადღისას, როცა უკან დაბრუნდნენ  
და გავლილი მანძილი დაიანგარიშეს,  
თორმეტიათას სამას თერთმეტი ნაბი-  
ჯი გამოვიდა.

— ხედავ? — ათი კილომეტრი არა  
ყოფილა. რვაათას რვაას სამოცდასამი  
მეტრი და ოთხმოცდათორმეტი სანტი-  
მეტრი გაგვივლია. ათ კილომეტრს ათას  
ას ოცდათექვსმეტი მეტრი და რვა სან-  
ტიმეტრი დაგვაკლდა, — საოცარი სის-  
წრაფით ანგარიშობდა ქარუმა. — მაგ-  
რამ არა უშავს, საღამო ხანზე ავანაზ-  
ლაურებთ. ოღონდ გუშინდელი დღე კი  
დასანანია. თუმცა, შეიძლება გუშინ-  
დელი დანაკლისი დღეს შეავსოს კაცმა.

ღილით, როგორც კი ჩაიცივა და გა-  
რეთ გამოვიდა, ზაალი მიჰხვდა, რომ  
წვივ-ბარძაყის კუნთები სტკიოდა.

— ეტყობა, მიხამა. — უთხრა საუზ-  
მეზე ძმას.

— გადაჩვეული ხარ ფეხით სიარულს  
და ერთბაშად იმოდენა მანძილის გავ-  
ლამ თავისი ქნა. არაფერია, მიეჩვევი  
და ტკივილიც გაქრება. ეგრე იცის  
ხოლმე პირველად.

როცა პლაჟზე „სალაშქროდ“ გავიდ-  
ნენ, ბიჭი ისევ აედევნათ.

— გუშინდელი სამშაურობანი სულ  
დახარჯე?! — გაუკვირდა ქარუმას.

— კიდევ დამრჩა ცოტაოდენი. —  
ხურდა ააჩხარუნა ჯიბეში ბიჭმა.



— მაშ ჩვენ რაღას აგვეტორღი-  
ლე? წადი და დღესაც იმყოფინე. სახ-  
ვალიოდ კიდევ გადაგისურდავებ.

— მე არავის არ ვეტორღილები.  
თქვენ თქვენი გზა გაქვთ და მე ჩემი.

— რატომ უშლით, ბატონო ქარუმ?  
დაე, წამოვიდეს. თავისთვის ერთობა.  
ჩვენ ხელს სულ არ გვიშლის.

— ჯანდაბას მაგისი თავი, წამოვიდეს.  
ოღონდ ეს თავისი მწკლარტე ენა დეი-  
მოკლოს.

— ენა ისედაც დამოკლებული მაქვს.  
თორემ შენი ყოველი ნათქვამ-ნაქანარი  
რომ საქვეყნოდ გამოვიფინო...

— აი, აპა! ხომ გითხარით, მგზავრო-  
ბას ჩაგვაშხამებს-მეთქი, დაიპარგე აქე-  
დან შე მამაძაღლო, შენა! ერთი დავი-  
ნახო ჩემ კვალზე გავლილი.

— არც ვაპირებ შენს კვალზე გავ-  
ლას. მე უფრო მაგარი ნიადავი და  
ტყის პირი მირჩევნია.

— არც მთლად სულელია ეს ბრიყ-  
ვი. ჩვენ მართლაც იგეთ ადგილზე დავ-  
დივართ, სადაც ფეხის წვერი და ქუსლი  
ადვილად ეფლობა. ნაბიჯის გადადგმი-  
სას ზომასზე მეტად იჭიმება კუნთები და  
ამიტომაც გტკივა. მაგრამ არაფერია,  
მიეჩვევი და გაგაიადვილებდა. მერე  
იქნება ჩემზე მარჯვედ იარო.

— მანქანის ბრალია ყველაფერი.  
ჩვენ ეს მანქანომანია მოგვიღებს ბო-  
ლოს. კიბოს შემდეგ, მეოცე საუკუნის  
ყველაზე დიდი ავადმყოფობა — მანქა-  
ნაა. და, როგორც ეტყობა, მალე, ალ-  
ბათ, პირველ ადგილზედაც დადგება. ეს  
განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველე-  
ბისთვის არი ნიშანდობლივი: მანქანა-  
ში ჯდომა და სუფრაზე ზომას ვადაცი-  
ლებული სმა! თუმცა ამ ბოლო დროს,  
თითქოს რაღაცას მივხვდით და სმასაც  
ვუკელით. მანქანას კი ალბათ, ადვი-  
ლად ვერ შეველევი. ეს მარტო აუცი-  
ლებლობით კა არ არა ნაკარანხევი,  
ჩვენი ცრუ პამპლაუქობისა და ფუჭი  
პატივმოყვარეობის ზუსტი საზომიც  
გახლავთ.

— მაგას მართლაც შენი საქციელიცა

მოწმობს. რამ წამოვიყვანა დასასვენებ-  
ლად მანქანით?

— სისულელე ჩავიღინე. გარაჟის  
უქონლობამაც მაიძულა. ქურდებისთვის  
დიდი მისატყუარია ეზოში უბატონოდ  
დაყენებული მანქანა.

— მთლად შოფრად გაქციეს. დღეს  
ვინ უნდა წაიყვანო მანდარინზე ლიქა-  
ვამი?

— მორჩა, არავის აღარ წაიყვანა!  
ერთხელაც იქნება, წაგვასწრებს ვანზე  
და მეც შარი მომედება.

— ეე, ეგეთი სიმღერა ბევრჯერ გამი-  
გონია. მანქანა გაქვს? — გეტყვიან და  
უარს ვერ ეტყვი.

— მართლაც ეგრეა, ბატონო ქარუმ.  
ახლა ოლიფანტე მყავს შეჩენილი; სოჭ-  
ში წავიდეთო.

— რამდენი დღეა დაგრჩა?

— ოთხი დღე.

— ამ ოთხ დღეს ფეხი აჩნად ვადგა.  
დღეში მინიმუმი ათი კილომეტრი ისევე  
კაცად გაქციეს. ვინცა გთხოვს უთხარია:  
ტაოტი აქვს გატეხილითქო.

— მაგას ესლა აღარავინა ჭამს. ესლა  
მანქანა ყველამ იცის. — თქვა ნიკომ.

— ჯანდაბას მაგათი თავი, ადექი და  
უბრალოდ უთხარია: არა მცალკანთქო.

ბიჭი ისევე მისდგომოდა ფიჭვის ფეს-  
ვების უცნაურ რვაფეხებს და კვლავ  
ახალი გულმოდგინებით ათვალევტებ-  
და. ლაბადის საყელო ცალი ხელით  
ეჭირა და მოძლიერებულ ქაჩა ზურგ-  
შექცევით ეღვა.

— მთებზე ჩამოეთოვია. კიდევ იმი-  
ტომ აგრილდა უცებ.

— ქარი ზღვიდან უბერავს, ეგრე მა-  
ლე არ უნდა მოეთოვა.

— ესლა ბანაობაც აღარ შეიძლება.

— ზოგს ეგეთი ამინდი ვერაფერს  
დააკლებს. აგერ, გაიხედე, წარაფებთან  
ისევე ბანაობენ.

მართლაც წარაფებთან ის ორი გუ-  
შინდელი მობანავე დროდადრო ხან გა-

ლალო მრეაღვილი  
ზღვაზე



მოჩნდებოდა და ხან ისევ წარაფს მოეფარებოდა.

— ხედავთ, ზღვა როგორ ღელავს? ტალღები წარაფებამდე სწვდება. ეხლა თუ ფეხთ არ დავიხადეთ, ვერც გავალთ წარაფებს იქით.

— არ შეიძლება, ტყის პირას გასასვლელი არ იყოს. აი, ის ბილიკი, ბიჭი რომ მიდის, იქ უნდა გადიოდეს.

როცა წარაფებს იქით გავიდნენ, ორი მობანავის გარდა, ორი სხვაც დაინახეს. ერთი ტალღებში ქვევს კრებდა, ერთი ტყის პირას ეზიდებოდა და ორს წარწერა გამოჰყავდა პლაჟის ბოლოს — შემადლებახე.

— ხედავთ, ღელავს შუა პლაჟზეც წაუშლია წარწერა.

— ზღვა და ადამიანი!

— ადამიანი ეგრე ადვილად არ დასთმობს. ხედავთ, სად აუტანიათ ის წარწერა?

— თავიდანვე უნდა მოეფარებინათ, იქ უკვე ზღვა ველარ მისწვდება.

— თუ ქვებს ღრმად ჩასვამენ და გარედანაც ქვის გალავანს მოავლებენ, ზღვა გინდაც მისწვდეს, მაინც ველარაფერს დააყლებს. ცხონებულმა მამაჩემმა იცოდა: კაცი კაცს ვირის დაბმავი მიეხმარებო. მოდი, ჩვენც ვუშველოთ. — თქვა ქართუმამ და ფეხთ დაიხადა.

ძმებს მაინცადამაინც დიდი ენთუზიზმი არ გამოუჩენიათ, მაგრამ მაინც მივიდნენ პლაჟის თავში მყოფებთან და რამდენიმე ქვაც მიიტანეს.

— ქვეყანახე რაც შექმნილა, სიჯიუტესა და მონაღობას შეუქმნია. აბა, ერთი ჩვენი წვლილიც შევიტანოთ ამ საქმეში და იერე ვნახოთ, ზღვა თუ კიდევ რამეს დააყლებს.

რაც ძმობას უწინება,

ვერც მტრობას დაუგრვეიას!

ლიდინებდა ქართუმა და დაწერილ სიტყვებს გარშემო დადი ქვებთან მჯიღრო გალავანს ავლებდა. — მოდი, შემამაძალო, შენ რაღასა დგებარ განზე!

— მახათი იშოვნე, პაპაჩემო უხელო კი აშენდება ქვეყანა!

— აი, ხომ ხედავ, როგორი გაფუჭებულია? — ყველაფერი მზამზარეული უნდა მიართვა. აი, შენ თუ კიდევ გაგატარებ ჩემ გვერდით და იმასაც ვნახავთ.

— შენ თავად რა ხეირი ნახე შენს გვერდით სიარულში? მე თუ გამიშვებენ, სხვათა დაუხმარებლადაც კარგად ვივლი.

— აი, ეშმაკებში იარე და ქაჯებში, შექვის ნატეხო, კაი უმაქნისი შენა ხარ! მიდი, ნიკალავ, იმ ბიჭს ქვები გამოართვი.

ნიკო წავიდა და ქვების შემგროვებელს ქვები გამოართვა.

— ჩვენებური ყოფილა, — აფხაზი. როგორ ეტყობა, რომ ზღვაზეა გაზრდილი!

— ზღვის პირას დაბადებულები სულ ზღვაზე არ იზრდებიან? — თქვა ქართუმამ და გალავანის მესერს უკანასკნელი ქვა ჩაუსვა.

„დამწერნი“ შემობრუნდნენ, ქერა წვერ-ულვაშში ჩაიღიპეს და ყველას სათითაოდ ჩამოართვეს ხელი.

ქართუმა განზე გადგა და საერთო ნაოსტატარს დააკვირა:

Москва. Омск. Магадан. — ეწერა ქვ-ს მესერს შუა.

— თავიდანვე აეგრე უნდა გაგვეკეთებინათ. აბა თუ ეხლაც უზამს რამეს ზღვა ამ თქვენს ნაწერს. — ქართუმამ ფეხთ ჩაიცვა და წამოდგა. — აბა, ეხლა გზას ბარაქა დავაყაროთ.

დამხვდურებმა კიდევ ერთხელ გადაიხადეს მადლობა და სთხოვეს: ჩვენც გვეწვიეთ როდისმე, არც ჩვენა ვართ სტუმართმოძულენი.

მოგზაურნი შეჰპირდნენ, როდისმე გვეწვიეთო და გზას გაუდგნენ.

სადილილის ტამს, როცა შინ დაბრუნდნენ, ოლიფანტე გაათრებულნი დაჰხვდათ.

— სიღ იყავი, შე გავჭირებულო, ეგაა, სიჭში წასვლა? რაფერ დამაძალატე დღეს, რავა ვერ დიეტე ამ სახლში!



— ნეტა მართლა წამოგყოლოდი სოჭში, ოლიფანტე, ფეხები ჩემი აღარ არი. არ მეგონა თუ ეგრე საშინელი სასიარულო იქნებოდა ზღვის პირი.

და, მართლაც, ახლა უკვე წვიგ-ბარ-ძაყის კუნთები კი არა, მთელი ტერფის მყესები და, განსაკუთრებით შუა-გული სტიკოდა. ისე რომ შინ როცა მივიდა, სასადილო მაგიდამდე ძლივს მიადწწა. მარცხენა ფეხის ტკივილი კიდევ გასაგები იყო, რადგან ამ ხუთმეტრიან ფწოს წინ ტროლეიბუსიდან ჩამოხტომის დროს ეღრძო და დღესაც მთელი კოჭის ირგვლივებით ჩამავებულნი ჰქონდა, მაგრამ მარჯვენა ფეხი ისე საშინლად სტეხდა, მხოლოდ დიდი ნებისყოფით იკავებდა თავს, რომ არ ეყვირნა.

— ახია შენზე, მოგიხდება მაგი. შენ ხომ იცი, ჩემი დალტი სამშობლოს დალატს უდრის.

— სხვა დროს წავიდეთ, ოლიფანტე. როგორც კი ფეხი მომირჩება, იმ წუთში — გედირამ!

საღამოთი, როგორც კი ცხელი წყალი დაიფლდა, იბანავა, ჩაწვა ლოჯინში და გაყურდა. ეგონა, „ისიკ-ყული“ მაინც მოაკითხავდა, მაგრამ შესცდა. — ეტყობა, ზაალის უყურადღებობა ეწყინა კუბგულტანს. ტკივილი მაინც არ მოეშვა და ისე ჩაეძინა, სახვლიოდ ფეხზე დადგომის იმედი არ ჩაჰყოლია.

ვათენებისას ძმამ მოაკითხა:

— ჩამოდნა შენი ლოდინით ქარუმა. რა არი, ეგრე როგორ ვაგიტკბა ძილი და ლოჯინი? ადექი, დღევანდელი ათი კილომეტრი პლაჟზე გველოდება.

რის ვაივაგლახით ჩავიდა სასადილოში. საუზმის შემდეგ, როცა პალმებიდან ტყის პირას გაიყვანა მანქანა, პედლებზე ფეხის მიბჯენისას მიჰხვდა, რომ ძალიან გადაღლილიყო. იფიქრა, მიუჩვევლობის ბრალიაო და პლაჟზე გავიდა. აქ უკვე ქარუმა და მისი შვილიშვილი ელოდებოდათ. ბიჭი განზე გამდგარიყო და ლერწმების პირას ნახულზე მდგარი პოინტერივით გასუსულიყო.

ზაალმა თავს ძალა დაატანა და კოჭლობა არ შეიმჩნია.

— ხომ არა სჯობდა, ჩვენი დღევანდელი „რეისი“ გადაგვედო?

— როგორც კი ერთს გამოსტოვებ, გათავდა, მერე ძველ ფორმას ველარასოდეს დაუბრუნდები. აბა, დავიძარით.

ჩაპირქუშებული ცა მაკლავუნასავით დასწოლოდა ზღვასა და მყარს. ჩამოძენძილი ლევა ღრუბლები თითქმის წყლის ზედაპირზე მილოღავდნენ და ლეკვთა დედასავით მიათრევდნენ წვიმის თქეშით სავსე ძუძუებს. მოძლიერებული ქარი მგზავრებს კინაღამ უკანვე ისროდა. ატორტმანებული ზღვა ისე დგანდგარებდა, თითქოს ქვეყნის წალეკვა განუზრახავსო და ვეება ტალღათა ლეგიონები განუწყვეტლივ სცელავდნენ მთელ პლაჟს ლერწმინამდე. ზათქითა და ზრიალით ეხათქუნებოდნენ სანაპიროს ქვიშას კლდესავით ყალუხე ამდგარი ზვირთები და მერე უკან მობრუნებულნი, შემხვედრი ზვირთების დაჯახებაზე მარაოსავით იშლებოდნენ შეფეხად ქვეულნი. ზღვა კვლავ ერთიმეორეზე გზავნიდა ტალღათა ახალ-ახალ წყებებს და მათაც თავზე თეთრ ქაფად მოქცეული მრისხანე ქორები კახაკის ჩუბებივით მოჰქონდათ წინ წამოადებული.

ზაალს ახლა წვივებზე მეტად ტერფები სტეხდა. ძლივს მიაბიჯებდა სველ ქვიშაზე გაშლილ ქაფქაფა ზვირთთა შლეიფების გასწვრივ.

მხოლოდ ბიჭი იყო აღტაცებული აჯანყებული სტიქიის ცქერით და ფიქვინამდე თვალი არ მოუწყვეტია ბორჯნეული ზღვისთვის. სამ გადაჭრილ ფიჭვთან ისევ შედგა და მათ შორის დროდადრო მოფუთფუთე ნაკადებს დააკვირდა, რომელნიც ახალი ტალღის შემომატებამდე მლაშე წყლით შავად გალუმბულ ფესვთა ძირებთან ჩუჩუნ-ქრიალით დნებოდნენ და უჩინარდებ-

ლალო მგაღაჟილი  
40330



ბოლნენ ქვიშის უხილავ ლაბირინთებში.

პლაქს მალლა ფიჭვნარს ბილიკი მიუყვებოდა. ბილიკს იქით მავთულის ბადე შემოერთყათ ტყისთვის. ბიჭმა სასიარულოდ ბილიკი იუხერხულა თუ თავისუფლად განავარდება მოსწყურდა, მავთულის ბადეში სადღაც შესაძვრომი იპოვნა და უმალ შიგნით მოექცა.

ზაალს კვლავ ეფლობოდა ფეხი სველ შლამში. მყესების ტკივილი თანდათან ძლიერდებოდა. პირველად ისე მოეჩვენა, თითქოს ფეხი შუაზე წყდებაო. მერე გახურდა თუ მიეჩვია, ტკივილმა თანდათან იკლო და ბოლოს ყრუდლა შეიგრძნობოდა.

— რამდენი წლისა ბრძანდებით, ბატონო ქარუმი? — და დაუმატა: — გვონებ უხერხული არ უნდა იყოს მამაკაცისათვის ასეთი კითხვა.

ქარუმა მობრუნდა და წამით თვალი ჰკიდა ზაალის გატანჯულ სახეს. მეღვივნეს აზრადაც არ მოსვლია, თუ რა ნებისყოფის დაძაბვად უჯდებოდა მხატვარს დღევანდელი „რეისი“.

— სამოცდათექვსმეტისა. — და ახლალა შენიშნა, ბიჭი რომ არ მოსდევდათ უკან.

ზაალი ერთხანს შედგა გაოცებისაგან, მერე გაიჩინებულ კისერსა და მკვრივ კეფას თვალი აარიდა და თავადაც მავთულის ბადის იქით გაიხედა.

— მანდ რამ შეგიყვანა, შე მამაძლო?

ბიჭი ფიჭვებს შორის ჩამოცვივნილ ხმელ წიწვებზე მიკუნტრუშებდა და თან ძირს ნაყარი გირჩებიდან საუკეთესოებს არჩევდა.

— მამუკავ! არ გესმის შენა?

— რა არი, პაპაჩემო! — შენც ხომ არ მოგენტრა ტყეში სიარული? მაგრამ შენი შესაძვრომი რომ ამოქოლილია? — ზევიდან გადმოფრენისათვის კი ყავლი გაგივიდა.

— ბიჭო, ამ ტყის პატრონებს რომ მანდ ვინმეს შესვლა ან გამოსვლა სდო-

მებოდათ, ღობეს კი არ შემოავლებდნენ.

— ამ ტყის პატრონი მე ვარ და შიგინდა შევალ და გინდა გამოვალ.

— ეს ტყე შენი კი არა, სახელმწიფოსია. სატყეომ კი იმიტომ შეღობა, რომ შენისთანა მუტრუქებმა შიგ არ იჩინდრიკონ.

— დედამიწაზე ყველაფერი ადამიანის სასარგებლოდ არი გაჩენილი. ეს ტყეც ჩემია, ეს ზღვაც და ეს ცაც.

— გაუგებელო! მამა გიცხონდა, მთელი სააფხაზო და სამურზაყანო მამაშენ ფანცქალას ერგო ცოლის მზითვეში გამო ეხლავე, გამოეხირე, თორემ თუ მოვატანეს შიგა, გავიხარია, ჩაგავლებენ ყურში ხელს.

— ყურში ხელის ჩავლებას ვინც მიჩვეულია, მე მგონი, ისევ იმას ჩაველებენ, თორემ მე ეგრე ადვილად ყურს არავის ვუჩვენებ.

— ამასთან რამის თქმა არ შეიძლება. ჰხედავ? — ისევ მე გადმამკრა, ჩემი მოჯამაგირეობა გამახსენა. აი, ჯანდაბამდის იარე და დოზანამდის, კი ბალღი შენა ხარ. გამოდი, ბიჭო, ხომ ხედავ, რო მანდ არც გზაა და არც კვალი.

— მაგ ბილიკზე თქვენც ძლივს მილოლიალობთ, აქ კი თავისუფლად შეიძლება სიარული. ხოლო თუ ეხლა არ ეტყობა გზა-კვალი, მე რომ გავივლი, მაშინ დაეტყობა.

— ბებიაშენის გამომცხვარმა, შენ თუ გაიარე, ვითომ სათაფლიაზე გავივლია დინოზავრივით. მალე გამოასწარ და გამოიტა ეგ შენი ნადავლი გირჩები, თორემ იქნება ყურთან ერთად ეგეც დაჰკარგო. — გაედრახა ახლა ნიკო.

მაგრამ ბიჭს პასუხი აღარავისთვის უღირსებია, გასცდა ფიჭვებს და ახლა ვიწრო ყალთალზე შევიარდა.

— ო, რა ჯიუტია, ეს მამაძლო! სულ იმ ცხონებულ ერთ ჩვენ დიდ წინაპარს ამსგავსებენ. კრწანისთან დაზვერვაზე წასულს აღა-მამაძალ ხანის ჯარის ჩასადრებული მეწინავენი წამო-

უფრინდნენ. ამხანაგებს დასკვივლა: არიქა, გაასწარით, ამთ მე დავიჭერო! ცხენს შუბი დაუტყეს და მოუტკლეს. მერე, დაქვეითებულმა, ხმალიც რომ გაუტყდა, ქამრიდან მათრახი იძრო და, სანამ აპკაფავდნენ, იმ მათრახით დაუხეთქა თავპირი სპარსელებს.

წარაფთან შედგნენ და დროდადრო ტალღებში ჩაყურყუმელავებულ კვრინხისა და მაცვლის ბარდებს გაჰხედეს.

— ეგეთი ღელვა ჯერ არ მინახავს. ჰხედვ, სადამდის უწევს წყალი? — თქვა ნიკომ და წარაფს იქით გავიდა.

— ვაჰ! ხო ვითხარით ერთობლივსა და ძმურ ნაკეთებს ვერც ზღვა წაშლის და ვერც ქარი-მეთქა, აბა, გაიხედეთ! — შედგა ქარუმა და სხვებიც მიახედა.

მაღლა, ტყის პირას, პლაჟის თავში თეთრი ქვევით შემორაგული გუშინდელი წარწერა ისევ ბრწყინავდა ქვიშაზე:

**Москва. Омск. Магадан.**

აგუგუნებული ტალღები თითქმის ყოველ დარტყმაზე ცდილობდნენ მისწვდნოდნენ, რათა პირისაგან მიწისა აღეგავათ ადამიანთა ნახელავი, მაგრამ გლავანამდე მისულნი ძალას კარგავდნენ და შერცხვენილ-დამარცხებულნი გამწარებული შიშინით მიიპარებოდნენ ქვიშაში.

როცა ფილაქანზე ავიდნენ, ზაალს თითქოს გაუადვილდა სიარული, მაგრამ, როგორც კი ავტობუსის გაჩერებამდე მივიდა, მაშინ გაახსენდა, რომ ოთახში წყლის ონკანები ღია დარჩა და თუ წყალი მოუსწრებდა, მთელი ოთახი და, ალბათ დერეფანიც ზღვად იქცეოდა.

ნიკო მიჰხვდა ძმის გაკირვებას და ქარუმას უთხრა:

— მოდი, ავტობუსზე დაჯდეს და სასწრაფოდ გავარდეს, თორემ მთელი კორპუსი თავზე დაენგრევით დამსვენებლებს.

— თუ მართლა დარჩა, მაშინ რაც მალე წავა, უკეთესია. — ვერ მიჰხვდა ქარუმა.

და ზაალმა გახევებული ფეხები აგუტობუსში ძლივს შეიტანა...

სამ დღეს არ ამდგარა ზაალი ლოგინიდან.

სამ დღეს ამოჰქონდა ნიკოს სასადილოდან მეცხრე სართულზე საუზმე და სადილ-ვახშამი.

სამ დღეს მისი ოთახი დამსვენებელთა საკრებულოს იყო დამსგავსებული. მხოლოდ მეოთხე დილას მივიდა დერეფნის კარამდე და გამოაღო.

— ათას ხუთას შვიდი, ათას ხუთას რვა, ათას ხუთას ცხრა, გამარჯობა, როგორა ხარ, კაცო!? ათას ხუთას თორმეტი, ათას ხუთას ცამეტი, ათას ხუთას... — ქარუმას კვლავ სალდათურად მიჰქონდა დერეფნის ბოლოსაკენ თავისი შეკრული ტანი.

და ზაალი მიჰხვდა, რომ გარეთ წვიმდა.

ხვალ უთავდებოდათ ძმებს საგზურები და ხვალ დილითვე ბრუნდებოდნენ თბილისში.

თუ ხვალამდე არ გადაიღო, წვიმაში მოუწევს სიარული.

ტერფები მოისინჯა და მყესების მუშაობას დაუკვირდა. ტკივილი ისე რიგად აღარ აწუხებდა და შესძლებდა მანქანის ტარებას. საკვირველია, მაგრამ, რატომღაც წვიმაში კიდევ მოსწონდა სიარული.

მხოლოდ ერთი დღეღა ჰქონდა მარაგში დასასვენებლად.

ერთი დღის შემდეგ კი ისევ დიდი ქალაქი და დიდი ორომტრიალი.

თუ ახლა თბილისშიც წვიმს, ნეტავ თუ ჩამოვა წვიმა მის სახელოსნოში?

— თუნუქი! ერთი ტონა თუნუქი მერგება სახურავისთვის!

— თუნუქი მეც მინდა, მაგრამ სად არი?

— აარა! — სკამი უნდა გამოიცვალოს!

ზაალმა დერეფანი გადასკრა და ფანჯარაში გაიხედა.

გარეთ უსაშველოდ წვიმდა!

მე დიდი ხანია  
სიკვდილით ვისჯები  
და მალე შენს ნადვებს  
მეც მივემატები.  
მაისის მიწურულს  
მომგარე ბიჭები,  
როცა მოვერცხლილი  
ჰყვავიან ფშატები...  
სულ მალე ცხოვრების  
ხმაური მიწყდება  
და მე და მამული  
პირისპირ დავრჩებით  
და რა დაშავდება,  
თუ დავავიწყდები,  
ვით მშობელს ტკივილი  
შვილების გაჩენის.  
გაიგლის არც დღე და,  
გაიგლის არც ხანი,  
მიწად მშვენიერი  
ჩამოვლენ ბინდები

და მოსავლინებლად  
სიცოცხლის ახალის  
ის უბერებელი  
ისევ აღტკინდება...  
მე იგი მიყვარდა  
მკვიდრით და წარსულით,  
მე იგი მიყვარდა  
შენით და იმედით  
და ჩემმა სიცოცხლემ  
სიმწრით რომ გასრულდა,  
იქნებ გაგახაროთ  
ყველა რაიმეთი...  
იქნებ მოგატონათ  
დღენი სულისანი,  
რომელთ მოძახილი  
შენს გულშიც გაისმის,  
ვინაც გაგიარათ  
და ვერც კი იცანით,  
ერთხელ, გაზაფხულზე,  
მიწურულს მაისის...

თოვს.  
გზად დაღლილი  
მოდის ფანტელი,  
მიწამდე კიდევ  
რალაცას მღერის...  
ფერად კუნელის  
და კურკანტელის  
ელავს სარკმელში  
სინათლის ღერი.  
შეცვტერი როგორ  
მეფდება ბნელი,  
ვით იკლებს ღბინი

და სადაც არი —  
შენი მართალი  
და გრილი ხელი  
განშორებისას  
ჩამორეკს ზარებს...  
დუმს გაზაფხულის  
ხმა სანატრელი  
და ყელში დამის  
ცრემლი გროვდება.  
თოვს.  
მშვენიერი მოდის ფანტელი,  
რომელიც აღარ განმეორდება.

შენ მსაყვედურობ,  
რომ ნადვლიანი  
მომიდის მუდამ  
სიტყვა, სტრიქონი,

აღარ ჰყვავიან  
ჩემს ხელთ იანი,  
და სიხარულიც  
ვერ მოვიგონე..

შენ მსაყვედურობ,  
რომ მენანება  
გადაწყვეტილი  
შუაში წამი,  
და გაუგებარს  
სხვისთვის ზმანებას  
გადავაცოლო  
სიცოცხლე ლამის...  
შენ მსაყვედურობ,  
რომ მე არ ძალმიძს  
დავფარო ცეცხლი  
სამოსით თალხით —

ვიდრე დავთმობდე  
მზესა და კალამს,  
მოვიგო გული  
კირკიტა ხალხის...  
სიყვარული კი, —  
დაუმაღავი! —  
არც ნაბარავი!  
არც ნასუფრალი!  
ფრიალებ, როგორც  
ქარში ალამი,  
ვით დროშა  
ქვეყნის — თავისუფალის!...

მინდოდა მეთქვა შენთვის,  
მუდამ მცირედი მსურდა,  
მტკვარს რომ არაგვი ურთვის,  
მშურდა, ყოველთვის მშურდა...  
მწყუროდა... ახლაც მინდა  
თვალი შევაგლო ზადენს,  
გამოგეთხოვოთ მშვიდად  
ვიდრე სიტყვისა თქმამდე...  
მინდა აქ გული დამჩქეს, —  
სიკვდილს მიუგუდო ძვალი,  
მადლი უფალს და გამჩვენს  
მწარე ხვედრისთვის ქალის!  
ყელზე ვეზვევი არაგვს,  
ვკრთი, ვით ფოთოლი წყავის,  
(ვისაც სამშობლო არ აქვს,  
უნდა მოიკლას თავი!)

მე ვხედავ, ვხედავ  
ჩავდივარ რასაც,  
და კარგად ვიცი  
ზაფხულის ბოლოც,  
შეახებ თითებს  
ჟანგიან რაზას,  
შემოიხედავ საკანში მხოლოდ...  
მე ყველაფერი  
წინასწარ ვუწყვი  
და სველი ფიჩხით  
კოცონს ვაჩაღებ,  
და შემოდგომის

ფოთოლთა ყუნწით  
თავს იქცევს ქარი —  
ძველი ყაჩაღი...  
თითქო მე სულაც  
არ მაწუხებდეს,  
თითქო შორიდან  
ვიყო მხილველი...  
ან მოწამლული  
დღის მარწუხები  
ვითომცდა ჩემთვის  
იყოს პირველი...

წახვედი.

უკან არც მოიხედე.  
 არც გული დაგწყდა,  
 არცა თვალები...

მისურვებია

ყველა სიკეთე,

რომელსაც უდგას

სული წვალებით...

პირდაპირ სახლში

სინათლის ციმციმს

დაღამებული

სარკმლიდან ვუმზერ...

(მე არც იმ ლოდის

აწევა მიმიძიშს,

რომელიც უნდა

დამადონ გულზე!)

გზა მშვიდობისა,

მგზავრო, კეთილო,

მომიხილე და

წახვიდე უნდა...


თუმც მცირე ხანი

ამ გამოკვეთილ

გულს ეჭრიალა —

ბავშვივით მსურდა!..





## ს ი კ ვ დ ი ლ ი

**ქ** ალაშის პირველი მექუდე მიხეილ მოსეს ძე ზონენაშვილი თავისი სახლის აივანზე ქურღივით, უხმაუროდ ავიდა, ჩემოდანი კი ბეზევე დატოვა, ქუდი, რომელიც აქამდე რატომღაც ხელში ეჭირა, დაიხურა, სკამი ფრთხილად გამოსწია, დაჯდა და სიბნელეს მიაჩერდა.

წლეულს ოქტომბერში აღრე აცივდა. თბილისიდან მატარებელი შვილის ნახევარზე ჩამოდიოდა და მიხეილს არ უნდოდა თავისი ოჯახის წევრები ასე აღრე გაეღვიძებინა.

მექუდეს ეგონა, რომ აივანზე მარტო იყო, მაგრამ ღრმად ცდებოდა. მამამისი მოსე ზონენაშვილი იქვე, აივნის ბოლოს გრძელ სკამზე იჯდა და შვილის მოსვლა მაშინვე შენიშნა, მაგრამ დაჯდომა აცალა, სული მოათქმევინა.

— შენ ხარ? — სიბნელისთვის თვალი არ მოუცილებია მოხუც ებრაელს.

— მე ვარ, მამაჩემო, მე ვარ.

— რა ჰქენი? — მოსეს წლებისგან დაწნეხილი, გაბზარული ხმა ჰქონდა.

— მომცეს.

— შენი?

— კი.

— ევასი?

— ევასიც, მამაჩემო.

— ბავშვების?

— ყველასი.

— წასულხართ, აბა.

— მივდივართ, დაგენაცვლე, მივდივართ.

— მოსე წამოდგა, მისი მაღალი, წვეროსანი, ბიბლიური ლანდი შვილს თავზე დაადგა.

— ე ჩემი ძვლები? — მოხუცს ხმა უთრთოდა. ასეთი რამ მოსე ზონენაშვილს დიდი სულიერი მღელვარების უამს ემართებოდა.

მიხეილი სღუმდა.

მოსემ წონასწორობა დაჰკარგა. აქამდე მას ცოტა იმედი კიდევ ჰქონდა, იქ-

ნებ ვიზა დაუგვიანონ, ან გადაიფიქროს, ან ცოლისძმის ნასამართლეობამ შეუშალოს ხელი. ახლა ეს იმედიც გაპქრა. მიდიან!

— ე ჩემი ძვლები, შვილო? — გაიმეორა მამამ.

— შენ ასე არ ისურვე, შე სულგანათებულო? მაგას არ ვტირით მთელი ოჯახი? არ გდომებდით არც ერთი. შენგან არ ვისწავლე? როცა ასს უნდა და ერთს არ უნდა, ის ერთია გიყი, ხოლო როცა ერთს უნდა და ასს არ უნდა, მაინც ის ერთია გიყიო.

— კაი, მე გიყი ვარ, მარა მე ხიდის გიყი ხომ არა ვარ, ბიჭო, მე — შენი მამა — გიყი ვარ და თუ იცი, რა უნდა მამა — გიყს, მიტოვება?

— არა.

— მოვლა უნდა და პატრონობა, ასეა ეს.

— ახლა ყველაფერი გვიანაა, — მოპირდაპირე სახლის ფანჯრებში აცეკვებულ ჩრდილებს ჩააცივდა მიხეილი.

— ხეირს ნახავ ვითომ იქანა?

— ვინ იცის...

— „ვინ იცისთვის“ მიდიხარ და ცეცხლს აქრობ ჩემს კერაზე? — გაბრაზება დაეტყო ხმაში უფროს ებრაელს.

— მავზოლემ არც აქანა ამიშენებდნენ. რაც აქ ვიყავი, ის ვიქნები იქანაც. ხალხი ხომაა, ჰაერ ხომ გამიყოფენ. აქაც ქულს ვკერავდი და იქანაც ქულს შევკერავ.

— ვის უნდა შენი ქული იზრალში?

— ვისაც ქული არა აქვს და თავზე სცივა.

— ენა არ იცი და გზა-კვალი, ნიფხავს ვერ იყიდი, რომ დაგჭირდეს.

— ვაჭრობის ენა ყველგან ერთია, დაგენაცვლე. ციფრებს წერენ თურმე იქანაც. ავღგები, პატარა ქალაქს და კარანდაშს ჩავიდეძ ჯიბეში და იოლად გავალ.

— რაი?

— ჰო, მამის სული არ წამიფყდეს. შევალ მაღაზიაში, მოვკიდებ ერთ ნი-

ფხავს ხელს, გავშლი ქალაქს და მივაჩეჩებ იმ ნოქარს.

— მერე?

— მერე ის რომ დამიწერს ათ დოლარს, მე დაუწერ ხუთ დოლარს, ის რომ ჩამოვა რვა დოლარზე, მე ავალ ექვს დოლარზე. ის რომ ჩამოვა შვიდ დოლარზე, მე... არა, ექვს დოლარს ფხვს არ მოვუცვლი.

— არ მოუცვლი და დარჩები უნიფხვოდ! — გაეცინა მოსეს.

— არ დავრჩები, სხვა მაღაზიაში შევალ.

— კაი დაგემართოს, აგიწყვია საქმე. — ამოიოხრა მოსემ.

მიხეილ ზონენაშვილი თავს იმხნევებდა, თორემ არც თვითონ იცოდა კარგად, რა ელოდა, როგორ წავიდოდა მისი საქმე. ეშინოდა იმ მოთხილამურის შიშით: მოხვევა-გაჩერებაც კი რომ არ ასწავლეს და პირდაპირ სლალომის ტრასაზე შეაყენეს, ან გადაჩრება ან არა, ან ფხვს მოიტეხავს ან (უკეთეს შემთხვევაში) სამარცხვინო ჩაგორება ელის. მაგრამ რაცაა ესაა. უკან დასახევი გზა აღარ არის.

— იმ შაბათს გითხარი, მისი არ იყოს: რაღაცა უკეთესს უნდა ელოდე, შენი საქონ-საცხოვრებელი სასწორზე რომ შედო. ხომ ნახე, რა ეწერა სოფლის გაზეთში — უბინაოდ, უპატრონოდ დარჩენილი ემიგრანტები ჩემოდანზე სხედან და ტირიანო.

— გჯერავს მაგი შენ? ისაკის ბიჭის წერილი ხომ წაგიკითხე, სამოთხეში ვართო.

— შე გამჩენგახარებულო, გაზეთის არ დევიჯერო და ისაკის ბიჭის დევიჯერო? ისაკის ბიჭს რაც პეპლები აქ ჰყავდა თავში, ის ეყოლება იქნაც.

— ეს ამბავი ნამღერია, მამაჩემო. გინდა ასე უბერე და გინდა ისე. მე ჩემი თავი გამოტირებული მყავს, მე რომ მეორე კაცს აღარ დამადგამენ მხრებზე, კარგად ვიცი, — მიხეილი ღინჯად, გამშრალი ხმით ლაპარაკობდა, — მაგრამ მაინც მივიღივარ. ქვეყა-

ნა მიღის და მივდივარ. ჩემთვის კი არ მივდივარ. ქუდს ძაფი და კალაპოტი იქაც უნდა. აქ თუ ხუთ მანათად ვკერავ, არც იქ მომცემენ მეტს. მარა მე, შენ კარგად იცი, ჩემი შვილებისთვის მივდივარ.

— შვილებისთვის?

უქიმერიონს ერთბაშად მოეფინა ულამაზესი, მტრედისფერი ნათელი.

— ჰო, შვილებისთვის. ჩემი ნაგრამი თავის ქვეყანაში იცხოვრებს. თუ ჰკუთვნათ, ჩემი შთამომავლობა ჩემი მადლიერი იქნება. მე, მე დავაბრუნე ისინი სახლში ათასწლოვანი ხეტიალის მერე.

— რომელ სახლში?

— ისრაელში, მამაჩემო, სამშობლო დიდი სახლია. რა ჰკუთა აქვს ახლა ვიღაცა დეპარტამენტის მოხელე გულში ჩამიხუტებს და მომეფერება თუ არა. რა მნიშვნელობა აქვს დროებით კარავში მომათავსებენ თუ დიდგვარის ქარვასლაში, ღმერთი თავის გაჩენილს გლახად არ დაკარგავს.

— ბაბუაშენი იტყოდა, ერთ წყალში ტანს ორჯერ ვერ დაიბანო. ის სამშობლო, ჩვენ რომ გამოვედით, აღარ არის. თავს ნუ ვიტყუებთ.

— არის, ჩვენ ჩავიტანთ. დაბრუნების იმედი რომ გვქონდა, იმიტომ ვინახეთ ამდენ ხანს ჩვენი ღმერთი და ჩვენი ენა. შენზე კარგად ეს ვინ იცის, მამაჩემო. შენი ნასწავლი ლოცვებით მივდივარ.

— ლოცვა ბევრს გიშველის!

— ცოტას ხომ მიშველის, დანარჩენს მე წავეხმარები ჩემს თავს. წილებზე ფხვს დავიდგამ, ღლე და ღამე ვიმუშავებ. კაცის მოკვლას და თოფის სროლას ნუ დამავალბენ და ყველაფერს ვიზამ.

— არც მაგას ავაცდენენ. იაკობის ბიჭი ჩასვლისთანავე ჯარში გაუწვევიათ.

— არა, რავა დაუძახებდნენ, რავა აკადრებდნენ! სავალდებულო სამსახური აქაც არის და იქაც. შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე ორმოცდაათი წლის გულისმანკიან მექუდეს, ავტომატს არ მანდობენ. ამ ჩემ გოგოებს ჯარი არ ეხება.

მოსე წავიდა და თავის ადგილს

დაჭდა. ყურებში ერთბაშად შემეფიქრა გაღვიძებული ქალაქის ხმაური.

— ესე იგი, შვილების გულისთვის მიდიხარ? — ფიქრობდა მოსე და თითქოს კორკიმლის ახალამოყრილი, ნაზი ფოთლებით დარხეულ ნიავს მისკენ მოჰქონდა შვილის ჯიუტი ფიქრი.

— ჰო, მამაჩემო, შენც შვილისთვის უნდა წამოსულიყავი.



კიბეზე ნაბიჯების ხმა რომ მოისმა, მიხეილი წამოხტა, ჩემოდანს ხელი სტაცა და სახლში შეარბენინა. ცოტა ხანში ფარდა გადასწია და მოსულს დააკვირდა, მოსეს თავისი ძმისშვილი ეზეკია ზონენაშვილი ესაუბრებოდა.

— რაღაცას დგამენ ახალს, რა ვიცი, ვითომ არა უშავს. ის თეატრი სადაა, რომ იყო. მე მგონი, თვითონ ხალხსაც აღარ უნდა კაი თეატრი. ეს ძველები ქე დაბერდნენ, ახალი თუ ნიჭიერია, თბილისში გარბის. დევილალე. ამდენმა სტუმარმა მომკლა. სტუმარი — დირექტორი, სტუმარი — კომპოზიტორი, სტუმარი — დრამატურგი, ცალცალკე ყველა კაია, მარა აქ გამჩერებელი რომ არავინ არის? თეატრი კაი პიესაა, პიესა არ გვაქვს.

— რა არ გაქვთ? — მიხეილ ზონენაშვილი ხალათის დილებს იკრავდა. ეზეკიას ხელი ჩამოაორთვა და მამამისის გვერდით მოკალათდა წელში შესაშურებლად გამართული.

— არაფერი, აგერ პიესაზე ვამბობდი — საწყალი კაცის ხმით თქვა ეზეკიამ.

ეზეკია ზონენაშვილი ორმოცი წლის განმავლობაში დრამატულ თეატრში დასის გამგედ მუშაობდა. თეატრი ფანტიკურად უყვარდა. მთელს ქალაქში უსპეტაკესი კაცის სახელი ჰქონდა დაეარდნილი. მის ვადაბმულ, შავ წარბებს, ხშირ ჭალარა თმას, მეტყველ,

რავა მითხვალაჲ  
მითხროვაჲი

კეთილსა და ფართო თვალებს რომ შეხედავდი, ეზეკიას ოდნავ სუსტ, მორჩილ ხმას რომ გაიგონებდი, კაცის ცნობის უნარით ცოტათი მაინც თუ იყავი დაჯილდოებული, მაშინვე მიხვდებოდი, რომ ეზეკია დაქუხებისთვის, სხვათა თავზე წამოჯდომისთვის გაჩენილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ თეატრში ასე მოკრძალებული მდგომარეობა ეკავა, ყველამ იცოდა, რომ ზონენაშვილის გარეშე თეატრს არსებობა გაუჭირდებოდა. ეზეკია გაჭირვების ტალკვესი იყო. მხოლოდ ეზეკიამ იცოდა, რომელ პრემიერას რა ბედი ელოდა. მხოლოდ ეზეკიამ იცოდა, სად მიაგდო გუშინ მსახიობმა რეკვიზიტი, რომელსაც დღეს მთელი თეატრი ეძებდა. ეზეკიაზე ერთგულ კაცს თეატრისათვის სანთლითაც ვერ იპოვიდით. მისთვის სამუშაო საათები არ არსებობდა. დაფაჩუნობდა თეატრისათვის შეწირული კაცი ორმოცი წლის განმავლობაში როგორც შეკვლევებზე ბერი ტაძარში და თავისი უხმაუროდ დახარჯული სიცოცხლის, თავისი აუნაზღაურებელი სიყვარულის საფასურად ჩვენგან არაფერს ითხოვდა.

— წაილო ვინმემ? — უხალისოდ ჰკითხა მიხეილმა. ისე, სიტყვის მასალად, თორემ თეატრი (და მით უმეტეს პიესა), მოსეს ვაჟს სრულებითაც არ აინტერესებდა. მექუდეს, ღმერთო შეგცოდნე და, მაინცდამაინც არც ეზეკია ზონენაშვილი უყვარდა, მარიფათს მოკლებულ, არაპრაქტიკულ კაცად მიაჩნდა.

— პასპორტები აგიღია, — თითქოს ახალ ამბავს ეუბნებო, ეზეკიამ მისთვის სრულიად უჩვეულო რიხით უთხრა.

— კი, ერთ კვირაში იქეთ გეყოლებით.

— შენს თავს ეყოლე კარგად. ჩვენ რაღას გვეყოლები, მე და მამაშენი გამოღმა ვრჩებით.

— შენ რავა?

— რა რავა? — თითქოს შარზეაო, აიმრიზა ეზეკია.

— არ გადაწყვიტე?

— რაი?

— წასვლა.

— სად?

— იზრაელში.

— გადასაწყვეტი რა მქონდა. მე კაი ხანია გადავწყვიტე და გავათავე კიდევ.

— ეზეკია, ვითომ ახლა შენ ყველაზე ჰკვიანი ხარ იმ ხალხში, ვინც წასვლა ამჯობინა? — არ დაუთმო მიხეილმა.

— ყველა თავის ჰკუთთ ცხოვრობს.

— აბა რას ჯიუტობ, მითხარი, რა ჯორზე შეჯექი, შენ მაინც არა ხარ ოთხმოცი წლის, მამაჩემივით.

— ოთხმოცი რა შუაშია!

— რა და, რატომ ღუპავ ამ შენს ოჯახს. მთელი ნათესავები იქეთ ვიქნებით. გული მაინც არ დაგწყდება?

— ყველას თავისი გზით გაუმარჯოს გამჩენმა. ჩემი წასვლა არ შეიძლება — მტკიცედ თქვა ეზეკიამ.

— რა არ შეიძლება? ვინ ხარ ამნაირი? შენნაირი ხალხი კი არა, პროფესორები მიდიან.

— ბიძაჩემო, გააჩუმე ეს შენი ლეკვი. — კბილებში გამოსცრა ეზეკიამ. იგი ასე აღელვებული არავის უნახავს.

— ლეკვიო?! ვინაა შენი ლეკვი, შე ღვთის გლახა! მიპასუხე, რას მიაღწიე ამნაირს? რომელი ჩინ-ტემლაკები გრჩება აქანა?!

— ბიძაჩემო! — ნესტოები დახეთქვაზე ჰქონდა ეზეკიას: — უთხარი ამ ბოთეს, მაგან რა იცის, რა არის თეატრი, რა არის ხელოვნება!

— შენ იცი მარტო! — გამომწვევად თქვა მიხეილმა.

— შენ ვის მოაკლდები, შენ ვის აზარალებ. შენნაირი მექუდე ქუთაისს ათასი ჰყავს.

— შენნაირ არტისტს ვერ იშოვის საქართველო!

— ისიც არ იცი, თეატრში რას ვაკეთებ, არტისტი ვარ მე?

— მით უმეტეს.

— ბიძაჩემო, უთხარი რამე, ნუ ვა-  
დამრევს!

მოსე ლაბარაკში არ ერეოდა, ყველა-  
ფერი ესმოდა, მაგრამ მოკამათიებს  
თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ქუჩაში  
მიმავალი ხალხი უფრო აინტერესებდა.

— შენნაირმა ხალხმა დაგეწია ასი  
წლით უკან! ჩემნაირმა მექუდემ შეინა-  
ხა ებრაელობა, თვარა შენ... შენ მთელი  
ცხოვრება სხვის საქმეს აკეთებ. ისიც  
არ იცი, ვისთვის ცხოვრობ ამ ქვეყანა-  
ზე, ვის თეატრს ემსახურები.

— თეატრი არ ასხენო, შე ბნელო მე-  
დუქნევე! — ეზეკია ცახცახებდა.

— შენ შიშის გამო შეეფარე იმ თე-  
ატრს, შენს ცხოვრებაში მანეთის რისკი  
არ გაგიკეთებია. თუ გაგიჭირდა, თე-  
ატრს კი არა, მამაშენს გაპყიდი!

ეს კი მეტისმეტი იყო. ეზეკიამ სკამს  
წამოავლო ხელი, მაგრამ მიხეილი კა-  
ტის სიმარლით გაუჩინარდა კარებს  
იქით.

— ხოცავთ ერთმანეთს?! ბიძაშვი-  
ლების კვლა დეიწყეთ უკვე? — ვიშვი-  
შებდა მოსე და ეზეკიას ემუდარებოდა,  
ეს სკამი დაუშვი, არ გაგიტყდეს, გაყი-  
დული აქვს უკვე, პატრონმა ამ საღამოს  
უნდა წაიღოსო.

ეზეკიამ სკამი დაუშვა, შემოტრიალ-  
და, ხელები აღაპყრო და დაიყვირა: —  
ღმერთო! ჩვენს შორის მტყუანს... —  
მაგრამ ამ ღროს მოსე საშინელი ღრია-  
ლით ეცა ხელებში და ძირს დააშვებინა.

— არ დასწყევლო! ნუ დამიწყევლი.  
ისედაც არეულ ჭკუაზე ჰყავს ღმერთს.  
გზაზე დგას ეს უბედური! აპატიე, ჩემო  
ეზეკია, აპატიე, დაგენაცვლე. ჩემი  
ქვეიანი ეზეკია არა ხარ შენ?!

ეზეკია წავიდა, იმის ფიქრით, რომ  
ამ კიბეზე მიხეილის და მისი ოჯახის  
გასაცილებლადაც არ ამოვიდოდა.

წასვლის დღე გაცილებით უფრო ძნე-  
ლი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდნენ.

ერთბაშად გამოჩნდა ათასი ისეთი  
აუცილებელი საქმე, რომ ერთ დღეში

კი არა, გამგზავრება ერთი წლითაც კომ-  
გადაევალებინათ, მაინც ვერ მოასწ-  
რებდნენ.

მიხეილმა სახელოსნოში ჯერ კიდევ  
გუშინ გამოანთავისუფლა თავისი კუ-  
თხე. ანგარიშები გაასწორა. რაც რამ  
ჰქონდა, თვით ნემსამდეც კი, აბგაში ჩა-  
ალაგა, ყველას გამოეშვებოდა და წა-  
მოვიდა. შინ მოსულს მოსემ გაუწყალა  
გული. — რას მოგიხვეტია ეს ხარახუ-  
რა, წაღებით მაინც არ წაიღებ, იქ კა-  
ლაპოტების და ნემსების მეტს რას იშო-  
ვი. ვერ დაურიგე ამხანაგებსო?

— ეგება დაგჭირდეს რამეში, მამა-  
ჩემო. რატომ გადავყაროთ ტყვილა?!

— რაში უნდა დამჭირდეს ბიჭო?  
ორად ორი ქუდი მაქვს და სიკვდილამ-  
დე მეყოფა. თუ ჭონობას ვისწავლი აწი  
მე, შენი ჭკუით!

ამ დილით დარცხვენილი მიხეილი  
ისევ გამოჩნდა თავის ყოფილ სამსა-  
ხურში. აბგიდან სამუშაო იარაღებს  
იღებდა და სათითაოდ არიგებდა. ვი-  
საც მიუახლოვდებოდა, ხელს ჩამოარ-  
თმევდა, საჩუქარს მაგიდაზე დაუდებდა  
და გამოტრიალებოდა. საამქროში პა-  
ნაშვიდური სიჩუმე სუფევდა. მიხეილ-  
მა ვედარ გაუძლო ამ ცერემონიალს,  
ცრემლები წასკდა, თვალეებზე ჭრილი,  
უჯრედებიანი ცხვირსახოცი მიიფარა  
და კარი გაიჯახუნა.

სახლში ენით აუწერელი გაწამაწია  
სუფევდა.

სამგზავრო ფუსფუსს ბოლო არ  
უჩანდა.

მიხეილის მეუღლე, ქალბატონი ევა,  
მომჭირნე და თადარიგისი ქალი იყო,  
მაგრამ ამყამად ნერვიულობისგან ყე-  
ლის ძარღვები დაჰბერგოდა და აწით-  
ლებულ ლოყებზე წამდაუწუმ ხელს  
იტაკუუნებდა.

ჩაალაგებდა ჩემოდნებში ბარგი-ბარ-  
ხანას, ცოტა ხნის შემდეგ ამოყრიდა,  
ახლა სხვა რამეებს ჩაალაგებდა, მერე  
ისევ ამოყრიდა და იყო ერთ ამბავში.

რედაქცია მიხეილსა  
მოთხოვნები



— ამაში რა არის? — ჰკითხავდა მიხეილი.

— წიგნებია ბავშვების.

— რაი?

— წიგნები.

— ამოყარე, გელაპარაკები! წიგნები მინდა ახლა მე? წიგნების მეტი არ მრჩება არაფერი?!

— რა გაღრიალებს! მოდი მაშინ და შენ ჩაალაგე. უწიგნო და უბედური შენი თავი არ გეყოფა? არა, უსწავლელი დავტოვებ, შენმა მშემ, ძღაბებს.

— იქანა სხვა სწავლა! ვერ გაგაგებინე, შე ცოცხალაშენებულო! ვის რათ უნდა იქ შენი ისტორია და „საზოგადოებათმცოდნეობა“, — ეს უკანასკნელი მიხეილს ჩემოდნიდან უკვე ამოეღო და ხელში ეჭირა. უნდა გამოგტყდეთ, ასეთ სახელმძღვანელოს იგი პირველად ხედავდა.

უფროს ქალიშვილს, ჯულიეტას, მოსწყენოდა ეს უსაფუძვლო მზადება, ყველაფერზე ხელი ჩაეჭნია და გულზე კატახუტებული სკამებშუა მიმოდიოდა.

უმცროსი — მერვეკლასელი მანანა ჭიშკართან თავის ორ თანაკლასელ გოგონას გადახვეოდა და გულამომჯდარი ქეთინებდა.

მოსე თავის ჩვეულ ადგილას აიგანზე იჯდა, ხელებით ჯოხს დაყრდნობოდა და ნახევრად ღია თვალებით სივრცეს გაპყურებდა. მან მხოლოდ ერთხელ აიღო თავი, ჯულიეტას ხელით უხმო და ხმის კანკალით, ძლივს გასაგონად უთხრა:

— დამთხვეულ მამაშენს უთხარი, ალბომი გადაარჩიოს. თქვენი სურათები დამიტოვოს, სხვა არაფერი მინდა.

მიხეილმა უცებ ჩალაგება შესწყვიტა, ჩემოდანს გადააჯდა და მოსეს მიაჩერდა.

ჩემოდნებში არაფერი ეტეოდა. ყველაფრის წაღება უნდოდათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. სპილენძის ტაშტი სამჯერ ამოუჯდო ბოლჩიდან ქმარმა, მაგრამ ევამ სამჯერვე უკან ჩააბრუნა.

... მოსე ზონენაშვილი დიღხანის ბაქანზე შესაფუთავად გამოტანდა დაკებასავით და საღორიას ტყისკენ კვილით მიმავალ მატარებელს შეჰყურებდა.

იგი მარტო დარჩა.

სადგურზე უამრავი ნათესავი ტრიალებდა, მაგრამ მატარებელი რომ წავიდა, ყველამ თავისი გზა მონახა. მოსე არავის გახსენებია, ხელი რომ ჩაევილო და სასოწარკვეთილი მოხუცი სახლამდე მიეყვანა.

ქუჩაში ჯოხის კაკუნით, მთვარეულივით მიბარბაცებდა.

„ახლა ფიქრის დრო, იცოცხლე, ბევრი მაქვს, იქნება მეც უნდა წავსულიყავი. ჩემი აქ დარჩენა სჭირდება ვინმეს? ვის რაში სჭირდება ბებერი მოსე ზონენაშვილი. არა, ჩემო ღმერთო, შენ არ მარჩიე. არ დამაძაღე, დაგენაცვლე და, მართალიც ხარ. ამხელა ტვირთი რომ ამკიდე, ჩემი რა იმედი გქონდა, შე სულგანათებულო? რომ ვერ შევძლო, რომ გამოიჭირდეს? მორჩა. აწი მე ჩემ შვილს და შვილიშვილებს ცოცხლად თვალს ვერ შევავლებ. ამხელა ტვირთი რის ფასად მომანიჭე, შენს სახელს ვენაცვალე? ამ ცის და მიწის ფასად? ამ ძველი ჯაჭვის ხიდის ფასად? ამ ძმასავით თანშეზრდილი მწვანე ბაზრის და ნაცნობებით სავსე ქუჩების ფასად? იქაც ხომ იქნებოდა ცა და ქვეყანა, ქუჩები და ბაზარი, მარა იქ შენ არ იქნებოდი ის მოსე, რაც აქა ხარ: მყიდველ-გამყიდველის მომრიგებელი, ჩხუბში გამზავებელი, დაბნეულისთვის ჭკუის დამრიგებელი. იქ სხვა მოსეები ხეირობენ. ამ სახელს და გამავლობას, ამ ქალაქში რომ მაქვს, ორმოცი წლის სიცოცხლეს რომ დამარჩეს იქ, ვერ მივალწევ. არა, მე არ გემდური, კაი ჰქენი, ღმერთმანი. მე ამ მიწის ბელტი ვარ. მადლობელი ვარ, ღმერთო, მე აქ უნდა მოვმკვდარიყავი!“

სალოცავში შეიარა, მის დანახავზე ხის ჩუქურთმიან კართან ფუტკრებივით მოზუზუნე ებრაელები უეცრად



დადუმდნენ, უკუდგნენ და მოსეს გზა დაუთმეს.

მოხუცს ეს უეცარი დადუმება და გზის დათმობაც ცუდად ეჩინა.



დილით კულაშიდან შორეული ნათესავი, მეწვრილმანე ისინკა ციციაშვიდი ჩამოვიდა.

აივანზე მოსეს მოჰყრა თვალი და აღაპარაკ-ლაპარაკით ამოიარა კიბე, მკვრამ მოხუცმა ხმა რომ არ გასცა, იფიქრა, სძინავსო და გამართულად მკდომარეს სკამის ზურგზე მიუჯაკუნა.

სტუმარს გულმა რეჩხი უყო. წინიდან შემოუარა და თვალებში ჩახედა.

მკვდრის ღიად დარჩენილი თვალები მრისხანედ და მონდომებით შორს იცქირებოდნენ.

## ფ ს ი ზ ე ლ ი

ზუსტად რვა საათი არ იქნებოდა და არც ბევრი ავლდა, როცა კაფე „შამპინიონში“ საეჭვოდ გამოწყობილი ორი კაცი შემოვიდა. საეჭვოდ ჩაცმულთ იმიტომ ჰგავდნენ, რომ მოდიდან ამ ორი-სამი წლის წინათ გამოსული კოსტიუმები ეცვათ. „შამპინიონი“ კი ახალგაზრდული კაფე იყო და თუ კაცს მოესურვებოდა ჩაცმულობით მაინც არ გამორჩეულიყო კაფეს ხმაურიან სტუმართაგან, ჯინსის შარვალი და მკერდზე უცხოურწარწერიანი, ტანზე შემოტმასნილი მოკლესახელოებიანი „მაიკა“ უნდა ჩაეცვა.

საეჭვოდ ჩაცმულმა შავსათვალნიანმა მამაკაცებმა შემოსვლისას შეეცარს რაღაც გადაულაპარაკეს, შეეცარსა ტელეები გაასავსავა და თავი გააქნია. დარბაზი მოათვალეირეს და აუზში ჩასასვლელი კიბის თავზე მრგვალ მაგიდას დაადგეს თვალი. ვინმემ არ დაგვასწროსო და ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ მაგიდისაკენ. ერთდროულად გამოსწიეს სკამები და დასხდნენ თუ არა, კიდევ ერთხელ საეჭვოდ მიმოიხედეს. ერთმა მათგანმა მენიუ გაშალა და კითხვას შეუდგა, მაგრამ მეორემ ბოდიშ მოუხდელად გამოართვა, დაკეცა, გვერდზე გადადო და კვლავ ოფიციანტს მიუბრუნდა. საეჭვოდ ჩაცმულნი დიდხანს და სერიოზულად უხსნიდნენ რაღაცას ოფიციანტს. ოფიციანტი ჰორევეულობდა. ბოლოს მაინც გატყდა, უბის

წიგნაკი ამოიღო და წერას შეუდგა. შეკვეთა რომ მიიღო, ახირებულ სტუმარებს თვალი ჩაუკრა და მოხდენილი, ლამაზი ოფიციანტი ქალისათვის დამახასიათებელი ტანის რხევით გაუჩინარდა. შავსათვალნიანებმა ერთმანეთს გადახედეს და შვებით ამოისუნთქეს.

ოფიციანტი შორს არ წასულა. იქვე კარადის უკრა გამოსწია, თეფშები და დანა-ჩანგალი ააჩხრიალა და სუფრას რომ შლიდა, იღუმალებით მოცულ მონხმარებლებს დაუფარავად გაუზიარა საკუთარი აზრი ადამიანის ჯანმრთელობაზე სიცხიანი დღეების ზემოქმედების შესახებ. შავსათვალნიანებს კამათი არ დაუწყიათ, მათ თავიანთი საზრუნავი აწუხებდათ და ამიტომაც მომტანი ქალის მარტივ აზრებს უსიტყვოდ დაეთანხმნენ.

მომხმარებლებთან გაშინაურების ნაცადმა ხერხმა (რაც საბოლოოდ სათანადო გავლენას ახდენს დანახარჯის ანგარიშზე) რომ არ გაკრა, ოფიციანტმა ერთბაშად მოიწყინა, კონუსისებურად დაკეცილი ხელსახოცები ცხვირწინ ააცალა სტუმრებს და წელანდელზე უფრო ლამაზი ნაბიჯებით გაემართა ბუფეტისაკენ.

„შამპინიონის“ მასპინძლობის იმედზე დარჩენილმა უცნობებმა ერთხელ კიდევ მიმოიხედეს. ერთმანეთს, თითო-  
**რევაზ მიწველავი**  
**გომთხრობავი**



ქონს ესალმებიანო, თავი დაუქნიეს და ერთდროულად მოიხსნეს შავი სათვალეები. ახლა კი მთელს კაფეს თავისუფლად შეეძლო მათი დათვალიერება.

ერთს ლაშა ერქვა, მეორეს — ფარნა. განათლებით ფილოსოფოსები გახლდნენ. სპეციალობით სამსახური რომ ვერ ეშოვათ, ამ ოცი წლის წინათ ერთად დაეწყათ მუშაობა წყალთა მეურნეობის სამმართველოში ინსტრუქტორ-ორგანიზატორის თანამდებობაზე. შერჩენოდნენ ამ ადგილებს. მათი არც დაწინაურება უცდია ვინმეს და არც ჩამოქვეითება. განუყრელი მეგობრები სამმართველოს მდულარე ცხოვრებაში მინცდამინც არ ერეოდნენ. განმარტოებით ყოფნა უყვარდათ. შესვენებაზე ლაშა და ფარნა ერთად იდგნენ სოსისისა და ჩაის რიგში და ამ ყუათიანი სადილის შემდეგ ერთად აბოლებდნენ „ბელომორკანალს“ გრძელ, ვიწრო დერეფანში. ფილოსოფოსებს თავიანთი სასაუბრო, თავიანთი სამყარო ჰქონდათ. სამსახურებრივ მოვალეობას თითქოსდა იმიტომ ასრულებდნენ მორჩილებით, რომ ცოლ-შვილი ერჩინათ. კრებებზე არასოდეს სიტყვით არ გამოდიოდნენ და არც უნაპირო ენთუზიზმით აწუხებდნენ ხელმძღვანელ ამხანაგებს. სამმართველოში ისინი ბევრს არ უყვარდა, რადგანაც ეჩვენებოდათ, რომ აქაოდა, ფილოსოფოსები ვართო, ცოტა ამპარტავნულად იქცეოდნენ და სხვებს ზემოდან დაჰყურებდნენ.

ლაშა, მაღალი, გამხდარი არცთუ უღროოდ გამელოტებული კაცი იყო. ფართო, შავი თვალები და თუთიყუშისებური ცხვირი ჰქონდა. ლაპარაკის დროს ცოტა ენას უკიდებდა. წამდაუწყებ ილიმებოდა და გაქლიბულივით მიღეულ ნაცრისფერ კბილებს აჩენდა. სუსტმაჯებიან გრძელ ხელებს ხან ძვლების რაჩხუნით დაწყობდა მაგიდაზე, ხან კი ისე უიმედოდ ჩამოყრიდა, რომ იფიქრებდით, ეს იყო და ეს, აწი ეს კაცი ხელების მაღლა ამწევი აღარ არისო. უხეში, შავი უღვაშები ცხვირის

ნესტოებიდანვე ეზრდებოდა, მეცნიერული კვილესავით ხმამაღლა ლაპარაკობდა და მარცხენა წარბს ისე ლამაზად ათამაშებდა, რომ დამლაპარაკებელი ძალაუნებურად (და ცოტა შიშითაც) მის წარბებს თვალს არ აშორებდა. თავზე, ზამთარ-ზაფხულ, კეპიანი თეთრი ქუდი ეხურა, თუ რაიმე აუცილებლობა არ მოითხოვდა, ლაშა კეპს თავიდან არ იშორებდა. სიმართლე გითხრათ, უიმკვოდ ლაშა გაცილებით არასიმპათიური ჩანდა თავისი უთავბოლოდ შერჩენილი თითო-ოროლა თმისა და მზედაუყვრელი, ავადმყოფურად თეთრი თავის კანის გამო.

ფარნა პირმრგვალი, ცისფერთვალეობა, საშუალოზე ოდნავ დაბალი გახლდათ. მუდამ დაღლილი კაცის გამომეტყველება ჰქონდა. საუბრის დროს ხელისგულებს ერთმანეთს გამალებით უსვამდა და წამდაუწყებ ამთქნარებდა. პალსტუხი თავისთავად ურიგო არ ეკეთა, მაგრამ ისე უშნოდ ჰქონდა განსაკვეთილი, რომ იფიქრებდით დღეს პირველად უკეთია და ისიც იმიტომ, რომ შესანახი ადგილი არა აქვსო. ხანდახან ტუჩზე ხელს აიფარებდა და ისე საიდუმლოდ ეტყუოდა ლაშას საოცრად ჩვეულებრივ რადაცას, რომ ეს უკანასკნელი ბრაზდებოდა, რა იყო აქ დასამალი და ყურში სათქმელიო. წეკოსგან გაყვითლებული თითები უთრთოდა და ამიტომაც ისინი ერთთავად მუხლებზე ეწყო. თუ გააბრაზებდნენ, ხმას არ აუწევდა, მაგრამ მარცხენა მხარეს კისრის ძარღვები ებერებოდა და სახეზე წითლად გამოაყრიდა. ყველაზე უკეთ მაშინ გრძნობდა თავს, როცა ზომიერად ნასვამი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად არ სვამდა, მეორე დღეს თავის ტკივილი იცოდა და სუნთქვა ეკვროდა. სხვა მხრით არავითარი ახირება არ შემომჩნევია მისთვის, ერთი პატიოსანი კაცი იყო.

თუ ზემოთ სადმე არ მითქვამს ახლა ვიტყვა, კაფე „შამპინიონის“ შუაგულში აუზი ელვარებდა. მინის ფსკერიდან სხვადასხვა ფერად განათებული წყალი



იქაურობას ზღაპრულ ათინათს ჰყენდა. მაგიდები აუზის გარშემო ორ სართულად იყო განლაგებული. აუზის გვერდით, მინის ფანჯრების გასწვრივ, ესტრადა და პატარა საცეკვაო მოედანი მოჩანდა.

კაფეში, როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობა იყო. მიმტანები აკრობატთა სიმარჯვით დააფრიალებდნენ ჭრელყვავილებიან სინებს მაგიდებს შორის. შავკოსტუმიანი ადმინისტრატორი ქალი, რომელსაც მეტი სოლიდურობისათვის მკერდზე შრომის ვეტერანის მედალი ეკიდა (სხვათა შორის, ამოდ გარჯილიყო, სოლიდურობა და სიმკაცრე ისედაც არ აკლდა), შემოსასვლელთან იდგა და აბეზარ მომხმარებლებს იგერიებდა. იგი საკმაოდ თამამად და დამამცირებლად ექცეოდა იმ პირებს, ურიგოდ რომ აპირებდნენ „შამპინიონში“ მოხვედრას. იქაც ტყუილბრალოდ იშლიდა ნერვებს. რიგში მდუმარედ და მრისხანედ მდგარი, იმ გაგანია სიცხეში ერთუროს ერთგულად და მონოლითურად მიკრული სტუმრები ურიგოს და უბედურს თვითონაც კარგად გაუსწორდებოდნენ — ცოცხალი თავით არ გაატარებდნენ.

რვა საათი შესრულდა თუ არა, სამზარეულოს ფარდიდან ექვსი ფრაკიანი ახალგაზრდა გამოვარდა. ესტრადაზე ყვავებვით შეფრინდნენ, თავთავიანთ ინსტრუმენტებს დააცხრნენ და საბოლოოდ განდევნეს „შამპინიონის“ დარბაზიდან სიჩუმე და მყუდროება.

სექსტეტი ისე ყურისწამებდად გრიანდებდა, თითქოსდა იგი „შამპინიონის“ სტუმრებისათვის კი არა, ქუჩაში თავიანთ რთულ საქმეებზე მიმავალი მოქალაქეებისათვის უკრავდა.

ჯაზის პირველივე აკორდები ჰაერში რომ გაიბნა, ჩვენი ნაცნობები მიხვდნენ, რომ არცთუ სახარბიელო ადგილი შეერჩიათ. ისინი ესტრადის ზემოთ, კიბის თავზე ისხდნენ და ენერგიული მებარაბნის „მუსიკა“ ზედ გულის კოვზზე სცემდა ორივეს.

— მოგივიდა მშვიდობა! — თქვა და რხამ.

— რა გიყო ახლა, ცოტა ხანს ვიჯდეთ და წავიდეთ. დღესაც მშვიდობა ნუ დამაძინებ, თუ კაცი ხარ.

— არ მინდა. არაფერი არ მინდა აქაური. მე ვთქვი, ვივანშემებ წესიერად. რა შემაჭმევს ლუქმას ამ ბრაგუნ-პრუწუნში. შენი ბრალია, შენ აიჩემე „შამპინიონი“!

— გაფუძლებთ ცოტა ხანს. გუშინ რომ ვიყავით, იქ უარესი არ იყო? მეცხრამეტე სართულზე საათ-ნახევარი ერთი ცალი კამფეტის და კოქტეილის რიგში რომ ვიდექით. მერე ადგილი რომ აღარსად იყო ფეხზე ჩამოწყვეტილებმა მშვიდ მუცელზე კოქტეილი რომ დავურტყით და მთელი დამე ჭინჭყელები რომ მივიღია ტანში, ის სჯობდა?

ფარნას გუშინდელი საღამო გაახსენდა და უსიამოვნოდ გააქრკოლა.

— ამხელა ქალაქში არ არის არსად, კაცო, ისეთი ადგილი, ორმა კაცმა წყნარად, მშვიდად რომ ივახშმოს?

— ივახშმე მერე, ვინ გიშლის. ცეკვას კი არავინ გაძალებს.

— კაცო, ეგება არ ვარ ცეკვა-გრილის ხასიათზე.

— აბა რის ხასიათზე ხარ?

— არ შეიძლება კაფეში შემოვიდეთ კუთხეში დასაჯდომად, სამუსაიფოდ?

— ფარნა ჩემო, როცა საღამოს რესტორანში ან კაფეში შედიხარ, სწორედ საორკესტრო განწყობილება უნდა გქონდეს. თუ ჩუმი მუსაიფი გინდა, ბაღში დაჯექი და იმუსაიფე. თუ ვახშამი გინდა და სხვა არაფერი, შედი სასადლოში ან სასტუმროს ბუფეტში და ივახშმე. და სხვათა შორის, კულტურული ხალხისთვის ესეც გარკვეულია — რვა საათის შემდეგ მარტო მივლინებით ჩამოსულები და დიაბეტიანები ვახშმობენ.

— ნეტავი შენ თუ გჯერა, რასაც ლაპარაკობ. რესტორანი და კაფე დასახვენებლადაა გამოგონილი, თვარა ადა-

რევაზ მიხველავი  
გონთხრობები



მიანების ნერვების მოშლა სხვაგანაც კარგად შეიძლება. აქ, ამ აუზის ირგვლივ, ლურჯი მკრთალი სინათლისა და ფეხაკრეფით მოსიარულე ოფიციანტების მეტი არაფერი არ უნდა იგრძნობოდეს. სხვათა შორის, ჭამა ჯაზის ღრიალში არ შეიძლება.

— ვისაც ცეკვა უნდა?

— ვისაც ცეკვა უნდა, — კევა მოიფხანა ფარნამ. — მათთვის ქვევით, ჰოლში ან გვერდით მეორე დარბაზში უნდა იყოს საცეკვაო არენა. მჭიდროდ დახურული კარების იქით იგრილოს ორკესტრმა. ცეკვა მოგესურვება: ადგები, გახვალ, იცეკვებ და რრცა ცეკვა მოგწყინდება, ისევე მოუბრუნდება შენს წყნარ ადგილს. თუ რამე უნდა დადლილ კაცს საღამოობით, ეს არის სიმშვიდე. არა ვარ მართალი?

— წომ გითხარი, ვინ გადალებს აქ შემოსვლას, თუ დადლილი ხარ პარკში დაჯექი და გედების სრიალს უყუტე.

— კი გამოსავალია, ჩემმა მზემ. ამ ერთნაირობამ, ამ ცუდად გაგებულმა მასობრიობამ წელში გამტეხა. არ შეიძლება ყველამ ერთად იცეკვოს, ერთად ისაროს, ერთად იდღესასწაულოს. ნუ წამართმევ მე მარტო დარჩენის სიამოვნებას.

— ვინ გართმევს. ამ კაფეში ჩვენ მოსაწყვევი ბარათებით კი არ მოვსულვართ.

— გუშინდელი სასტუმროს ადმინისტრატორისა არ იყოს — ექვსკაციანში რომ კინლამ შეგვსახლა, ერთ და ორადგილიანები არა გვაქვსო. როგორ შეიძლება, ლაშა, სასტუმროში ექვსსაწოლიანი ნომერი იყოს. რატომ ვამცირებთ ერთმანეთს ასე? რატომ ვზრუნავთ ასე ენერგიულად იმისათვის, რომ ინდივიდი გავადლოთ ჩვენი არსებიდან?! რატომ ვზრუნავთ იმისათვის, რომ ორი კაცი მარტო არ დარჩეს ერთმანეთთან წყნარად და თავისუფლად სამუსაიფოდ?

— რა უშნო დასკვნების გამოტანა იცი, ფარნა. რამ აგამღვრია, შეე კაცო,

ასე. შენ ისე დაგისუტლდა ნერვები, რომ თვითონ აუკრძალე შენს თავს მშვიდად ცხოვრება. რევიზიაზე ჩამოსული კომისიის წევრივითა ხარ, ყველაფერს მუშტრის თვალთ ამოწმებ. ყველაფერში იდეალურს ეძებ. პატარა მიზეზს იპოვი და მთელ დღენიაზე ხარ აღრენილი. იცხოვრე სხვებივით ჩვეულებრივად და უშფოთველად, შეე კაცო შენს თავს რიგითის, წევრის, უბრალო კაცის იარლიყი თუ არ მიაკერე, გაგიპირდება ცხოვრება.

ორკესტრმა ხმას უმატა და მეგობრები თუმცა ყურში ჩაჰყვიროდნენ ერთმანეთს, მაინც ძლივს აგებინებდნენ. ცეკვით არავინ ცეკვავდა, მაგრამ ორკესტრს თავისი პროგრამა ჰქონდა და ერთგულად ასრულებდა. ილაპარაკეს ამინდზე, ფეხბურთის მსაჯებზე, ავტონისპექტიაზე, ცენტრალურ გათბობაზე, სანატორიუმის საგზურებზე და ამასობაში მოხდენილმა ოფიციალტმა ქალმა ვახშამიც მოიტანა. ფარნას და ლაშას უფრო სერიოზული საქმე გაუჩნდათ, ვიდრე მათი უსისტემო საუბარი იყო. ამიტომ სერიოზულად ჩაუღრმავდნენ ვახშამს და სამუსაიფოდ კარგა ხანს აღარ სცხელოდათ.

კოტა რომ შენაყრდნენ, ფარნას ისევ აეშალა ლაპარაკის საღერღელი. სიგარეტს თავი მოუსრისა, მოუკიდა და ისე ღრმად მოქაჩა, ლაპარაკისას კარგა ხანს ამოსდიოდა პირიდან თამბაქოს ბოლი.

— ამ ბოლო დროს მეჩვენება, თითქოს ვიღაცა, სხვა განაგებს ჩვენს სიხარულს, წყენას, მუშაობას, გართობას. იგი გვეკარნახობს იდეალური კულისებიდან — როდის რა უნდა ვაკეთოთ. მოეხასიათება — გვამღერებს, მოესურვება — გაგვაჩუქებს. ყოველდღე ველო — აი, დღეს მაინც დაამთავრებს ის ვიღაცა ჩვენს აღზრდას, უკვე სრულფასოვან მოქალაქეებად ჩაგვთვლის და გაგვიშვებს — მეთქი ჩვენს ნებაზე.

— რას ჰქვია, ჩვენს ნებაზე! — ბოლო ლექსმა ჩაიღო ლაშამ პირში და ქალაქის ხელსახოცი ჩამოიხსნა.



— დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის მიგვიშვებს. მოგვეცემს უფლებას მის დულუქზე არ ვიცეკვოთ. ჩვენ-ჩვენი პატარ-პატარა ჩანჩქერები გვეჭონდეს და ჩვენ-ჩვენი კალმახები ვათამაშოთ.

— დადლილი კაცის ფილოსოფიაა. შენი ნათქვამი იმდენად ყალბი და მოვონილია, რომ საკამათოც არ არის, თორემ სიამოვნებით დაგიწყებდი კამათს.

— ვერაფერ კამათს ვერ დამიწყებდი, შენ კამათის უნარი კარგა ხანია დაკარგე. ხანდახან რომ აზრებს ვუცვლით ერთიმეორეს — შენ ეს კამათი ნუ გგონია. მოწყენილობის გასაქარვებლად გამოუფეგონებთ ხოლმე ჩვენს თავს სალაპარაკოს და არა ჭეშმარიტების დასადგენად. ჭეშმარიტება კარგა ხანია აღარ გვაინტერესებს — არც მე და არც შენ.

— ამ ხალხს? — ხელები გადააჯვარდინა ლაშამ და ჰერს ახედა.

— ამ ხალხზე მე ლაპარაკიც არ მინდა. ამ დარბაზში ახლა ადამიანურად გამოწყობილი ცხვრები სხედან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ მათგანს შეიძლება სამი უმადლესის დიპლომი ედოს ჯიბეში, ისინი ფილოსოფიურად თითქმის აღარ აზროვნებენ.

— რას ეძახი შენ „ფილოსოფიურ აზროვნებას“.

— ერთხელ მაინც რომ დაუსვამ კითხვას შენ თავს — რა ხარ, ვინა ხარ, რისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე.

— იქნებ მათ გულში ერთხელ უკვე უპასუხეს ამ კითხვას და ყოველდღიურად ამ „ფილოსოფიით“ თავს აღარ იწუხებენ.

— არ დაიჯერო. ისინი ცხოვრებამ მანქანებად აქცია. მუშაობენ, სწავლობენ, ცოლ-შვილს უვლიან, კრებებზეც სიტყვებით გამოდიან, მაგრამ არ ცხოვრობენ.

— რომელიღაც ბულვარული გაზეთის ჩვენზე გაბრაზებული ჟურნალისტის სიტყვებით ნუ მელაპარაკები. ეს

ხალხი ძალიან კარგად ცხოვრობს ძალიან კარგად იცის, რა უნდა აკეთდეს

— ვითომ? — თვალბეჭედი ათასი ეშმაკი ჩაუსახლდა ფარნას და ალტაცების დასაფარავად თითები თითებში გაუყარა — გინდა დაგარწმუნო; რომ „შამინინონში“ ახლა ადამიანები კი არა, ცხვრები სხედან? ამით საკუთარი თითქმის აღარაფერი აქვთ, წამხედურობით ცხოვრობენ. გინდა? ავიღებ ხელში ამ სალამოს დირიჟორობას და ამ ხალხს რასაც მოვისურვებ, იმას ვაუკეთებინებ.

— წავიდეთ აქედან, შენ დღეს რაღაც ვერა ხარ დაწყობილი. თავს გაიბითურობ და მეტი არაფერი გამოვა ამ შენი ორიგინალიდან.

— შენ რა გინდა, შენ იჯექი და მიყურე! — ისე დამედებულად თქვა ფარნამ. რომ იფიქრებდით, უმადლესი ჭეშმარიტების გასაღები ამ კაცს ჯიბეში უდევსო.

ამის შერე რაც მოხდა, ქვეყანამ იცის და იქნებ არც კი ღირდეს მოსაყოლად. მით უმეტეს, რომ ფარნას უღირს საქციელზე მეორე დღეს მთელი ქალაქი ლაპარაკობდა და ამხანაგურმა სასამართლომ ერთი კვირის თავზე ეს დანაშაული რომ განიხილა. მხედველობაში მიიღო წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქტორ-ორგანიზატორის სუფთა ბიოგრაფია (საზოგადოებრივი თავშეყარის ადგილზე ფარნამ პირველად დაარღვია წესრიგი) და ფილოსოფოსი ამჯერად საყვედურს დააჯერეს. ამ ამბიდან კარგა ხანი გავიდა და ჩვენი მოუზომავი „გაცხადებით“ ფარნას, რომელიც ბევრ რამეზე ახლა ალბათ სხვაგვარად ფიქრობს, იქნებ გულიც კი ვატიკნოთ, მაგრამ ნოველა რითიმე სომ უნდა დამთავრდეს.

ორკესტრმა თავისი მორიგი ნაეჭვო ღირებულების „იმპროვიზაცია“ რომ დაამთავრა, ფარნამ ტაში დასცხო, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ სექსტეტის ეს ნომერი (იმ სალამოს შესრულებ-

ბული ნომრებიდან) ტაშს ყველაზე ნაკლებ იმსახურებდა.

დარბაზიდან ფარნას ჯერ გაუბედავად წამოეშველნენ, ხოლო შემდეგ ისე ერთსულოვნად დასცხეს სტუმრებმა, რომ ტაშის გრიალში თეთრხალათიანი მზარეულები და მზარეულის თანაშემწეები გარეთ გამოეფინენ.

ლაშა იჯდა და ილიმებოდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ორკესტრი უკრავდა, მაგრამ არავინ ცეკვავდა, ფარნა წამოდგა, იქვე გვერდით მივიდასთან მივიდა, გრძელკაბიან შავვრემან ქალს თავი დაუკრა და საცეკვაოდ გაიყვანა. მალე ფარნას სხვებმაც წაჰბაძეს და პატარა მოედანი მოცეკვავეებით გაივსო.

ლაშა იჯდა და ილიმებოდა.

ნახევარი საათი არც გასულა, ფარნამ ისევ გამოიწვია ის ქალი და საცეკვაოდ ესტრადასთან კი არ ჩაიყვანა, არამედ იქვე, კიბის თავზე დაატრიალა. მალე კიბის თავზე პატარა მოედანი (ოფიციალტები რომ ძლივს უვლიდნენ გვერდს ერთმანეთს) მოცეკვავეებით გაივსო. ფარნამ ლაშას მოხედა თვალი ჩაუკრა და თავის მოცეკვავე პარტნიორი საცეკვაო მოედნისაკენ წაიყვანა. სხვებიც მიჰყვნენ და კიბის თავი ხელად დაცარიელდა.

ლაშა იჯდა და ილიმებოდა.

მალე ფარნა ისევ გავიდა საცეკვაოდ. ცეკვის დროს ნელ-ნელა დაიწყო ვახდა (ლაშას თვალები გაუფართოვდა და გაქცევა დააპირა) ჯერ ჰალსტუხი მოიხსნა და მოისროლა. მერე პიჯაკი ჩამოკიდა საქსოფონის ტუჩზე, ორკესტრის

გრიალში პერანგი ბოლომდე ჩაიხსნა და ისე განაგრძო ცეკვა. მოცეკვავეთა შორის რამდენიმემ უკვე მიჰბაძა ფარნას, ზოგიერთებმა კი ფარნას ინიციატივა შემოქმედებითად განავითარეს და პერანგს ღილები სრულიად დააგლიჯეს. ლაშა იჯდა და ილიმებოდა.

ორკესტრი ღრიალებდა. „შამპინიონში“ უჩვეულო გამოცოცხლებამ დაისადგურა.

ფარნამ ერთი გამოხედა თავის მეგობარს და თავისი ფილოსოფია კიდევ უფრო რომ გაემაგრებინა, აუზში გადახტა. ორკესტრის გრიალსა და სტუმრების ღრიანცელში ფარნა წყალში ეგზალტურ ცეკვას განაგრძობდა: იგრინებოდა, ყვიროდა, მკლავებს დამდურულივით ათამაშებდა, სხვებსაც იხმობდა წყალში საცეკვაოდ, მაგრამ ამაოდ. დარბაზი, რომელიც აქამდე აღფრთოვანებული იყო ფარნას გამომგონებლობით, აღარ გაჰყვა წყალში საცეკვაოდ. თვით მისმა პარტნიორმა ქალმაც ზურგი შეაქცია და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

მერე ორკესტრი ერთბაშად გაჩუმდა და გაოგნებულმა ლაშამ დაინახა, როგორ ეხმარებოდა წითელქუდა მილიციელი გალუმპულ ფარნას აუზიდან ამოსვლაში.

ფარნა ოპერატიული მანქანისაკენ რომ მიჰყავდათ, ლაშა მილიციის მუშაკს გვერდით მისდევდა და რაღაცას უხსნიდა, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელს, რასაკვირველია, მისი არ ესმოდა. მილიციელს მხოლოდ ერთი რამ უკვირდა: — რატომ იყო წესრიგის დამრღვევი ასე ზედმოწვევით ფხიზელი.

## დ ა რ დ ი

— თქვინი რომელია? — ჰკითხა კარლო კილურაძეს ბორდოსფერთმიანმა, ცისფერთვალემა, ლამაზმა ქალმა, რომელსაც ხელში ბავშვის მოსასხამი და ბოტები ეჭირა.

— კუთხეში, სკამთან რომ დგას.

— მწვანეშარვლიანი? რა კოხტა ბიჭია!

— არა, ჭრელსვიტრიანი.

კარლო ისე დეღავდა, რომ არც კი შეუღმნევია, როდის დაჯდა ეს მომხიბვლელი ქალი მის გვერდით. სოცია-



ზღვევის აგენტი უყურადღებო კაცი არ იყო და სხვა დროს ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა; თუ უცნობი გულცივი აღმოჩნდებოდა, კარლო თავისას მაინც ეცდებოდა, მაგრამ ახლა კილურაძეს სხვა ცეცხლი სწავდა. პიონერთა სასახლის გრძელ დერეფანში, ხის ლურჯ მერხზე ჩამომჯდარ მშობლებს იგი სხვა თვალთ უტყუროდა. კონკურენციის უძველესი კანონი კარლოს თავის თავზე ასე მწვავედ არასოდეს გამოუცდია. ცეკვის წრეში ჩაწერის მსურველი ბევრი იყო. ამ პატარა ანგელოზთაგან ქორეოგრაფ ტრისტან მანჯგალაძეს ხელოვნებისათვის დაბადებული რამდენიმე ბავშვი უნდა შეეჩრჩია.

— თქვენი გოგონაა თუ ვაჟი? — ისე, ზრდილობისათვის ჰკითხა კარლომ გვერით მჯდომს.

— გოგონა, აბა თუ გამოიცნობთ, რომელია? — თვალეზი ააქუთუნა ქალმა.

„გამიჩნდა საქმეო“, გაიფიქრა კარლომ და უხალისოდ დაუწყო დარბაზს თვალღებვა. აგერ დგას მისი გოჩა, მისი იმედი. სახლში დიდი რომ ეჩვენებოდა, აქ, ამ ბავშვებში, ერთიციცქნა ჩანს. თანაც რა უმწეოა. სხვები ვერცხლისწყალივით იცვლიან ადგილს, გოჩას კი ჩაუვლია სკამისთვის ხელი და დგას. მამამისისკენ ისე საწყლად გამოიხედავს ხანდახან, თითქოს თვალეზით ეუბნება: „შენ რა გითხრა მამაჩემო, სად მომიყვანე, რა მჭირდა ამგენის გამოსაცდელი მეო“.

მიღებით უსათუოდ მიიღებენ. გოჩასთან აზრიანი და ნიჭიერი აქ ვინ იქნება, ნეტავ ჩქარა დამთავრდეს ეს მძიმე წუთები. შენ წაიყვანე, კაცი ხარ და უყურადღებას მოგაქცევენო. ზედაც ვინ გიყურებს. მშობლებს შიგნით არ გვიშვებენ და არაფერი. წამოეყვანა თვითონ. კაცი რომელია ახლა აქ, ჩემს გარდა.

ერთი სიტყვით, კარლო კილურაძე ამ ახალ ამპლვაში თავს უხერხულად გრძნობდა.

— ვერ მიხვდით? — გამოაფხიზლა ცისფერთვალეზამ. „ნეტავი შენ, თანაშის ხასიათზე ხარ“, — გაიფიქრა კარლომ.

— ახლავე, ქალბატონო, ჯერ ვეძებ, ბიჭია?

— ხომ ვითხარით, გოგონაა. — გაბუტული ხმით შეახსენა ლამაზმა დედიკომ.

— ოჰ, უკაცრავად, მე ბიჭებში ვეძებდი, თქვენი შვილი, ქალბატონო, მე თუ რამე მესმის, ეს წითელფეხსაცმიანი ჩიტი უნდა იყოს.

— რომელი? წითელფეხსაცმიანი იქ ორია, — დატკბა ქალი.

— წინ რომ მიდის, ბანტიანი.

— სწორია! — ტაში შემოჰკრა ქალმა. მშობლებმა მოიხედეს.

კარლოს შერცხვა და თავი ჩაქინდრა. გამოსცნობი აქ, კაცმა რომ თქვას, არა იყო რა, გოგონა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა დედამისს.

დარბაზში დოლი აბრაგუნდა.

ცნობისმოყვარე მშობლები წამოხტნენ და კარს მიცვიდნენ, მაგრამ წყალგადასხმულივით უკანვე გამოტრიალდნენ და თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. კარში მდგომმა ქორეოგრაფის თანაშემწემ თავი გამოჰყო და გამოაცხადა: „მშობლებს ვთხოვთ კართან ნუ გაჩერდებით, თორემ იძულებული გავხდებით შევწყვიტოთ კონკურსი. ნუ გეშინიათ, ნიჭს არავის დაუჟკარავთ, ჩვენთვის ყველა ბავშვი ერთია!“ თანაშემწემ პასუხისმგებლობა თავის თავზე სულ ტყუილად აიღო. ტრისტან მანჯგალაძე მას ბევრს არაფერს ეკითხებოდა. ამ მზარდი ქორეოგრაფის მოვალეობა გახლდათ კარში მდგარიყო და აღტყინებული მშობლებისათვის გზა გადაედგო.

— რა ხდება შიგნით, ქალბატონო? — მიუბრუნდა კარლო ცისფერთვალეზამ მზეთუნახავს, რომელიც ეს-ეს იყო, კარზე მორიგი შეტევიდან მობრუნდა და

**რეზა მისთაძე**  
**მოთხრობები**

უკმაყოფილო ბუზღუნით მოკალათდა ძელსკამზე.

— ათ-ათად ამწკრივებენ. ჩემსას, როგორც გადავთვალე, მესამე ჯგუფში უწევს, თქვენი, შეიძლება, ამის შემდეგ გავიდეს, უფრო ახლოსაა. აღარ შემიძლია ამდენი ნერვიულობა, ა, ნახეთ, ხელები გამიცვიდა.

კარლომ თითებში მოიძმწყვდია ქალის თეთრი, ფუნჩულა ხელი და მანამ არ გაუშვა, სანამ თვით ცისფერთვალე-ბას არ გაახსენდა, რომ უცხო მამაკაცთან, ასეთ მდგომარეობაში ყოფნა სხვა თვალისათვის ცოტა უხერხული იყო.

„ახლა გადასებთ მამაჩემო და დედაჩემო, — ფიქრობდა კარლო კილურაძე, — რანაირად გავგზარდეთ ეს ოთხი შვილი. მე ერთი კინკილა ბავშვისთვის ვერ მომივლია, ამის გამძლები ვარ მე? ყელი გამიშრა დარდისაგან. ჯერ სირცხვილი სირცხვილად. ამხელა კაცი ვგდივარ და იმაზე ვიხეთქავ გულს, მოეწონება თუ არა ტრისტან მანჯგალაძეს ჩემი შვილი. კაი, ჩემი თუ გინდა, ნიჭიერია და მიიღებენ, მარა სხვები? ყვავსაც თავისი ბახალა უყვარს. ყველას თავისი ჰგონია ქვეყნის უკეთესი. არ გინდა ამგენის ბოღმით საესე თვალებს შეჭხედო, როცა გამოაცხადებენ—კილურაძე მიღებულია, ხოლო ამას და ამას უარი ეთქვაო? რა დააშავეს ბავშვებმა? აქ ცეკვაზე კი არაა საქმე. დღევანდელი აქ დამარცხებით საკუთარი შვილისადმი და საკუთარი თავისადმი რწმენას ჰკარგავ. რაეარ ჰკუაზე მივა ის მშობელი სახლში, ცხოვრებაში პირველად რომ გამოიყვანა არენაზე თავის პირმშო და პირველ დღესვე რომ დაუბრაკეს. აქ ძაღლების გამოფენა კი არ არის. თუ მედალი ვერ მიიღო, მეორე დღესვე რომ გაყიდი და უკეთესი ჯაშისას შეიძენ. აქ ჩვენ ჩვენი შვილებით ვართ მოსული. ტრისტან მანჯგალაძეს ალბათ ყელში აქვს ამოსული ბავშვები. რა ცივი ნმით უღრიალა წელან კედელთან თიკნებივით მობუზღულებს. აქეთ გამოლითო, ერთი აბა ჩვენ გვკითხოს? ესენი ჩვენი ბარტყებია, ყველაზე სუფ-

თა, ყველაზე ძვირფასი, რაც კაცს გააჩნია ამ ქვეყანაზე. ტრისტანის დარღობა და წაჯიკავება მინდა ახლა მე? იმნაირს წავუჯიკავებ, რომ დედამისმა ველარ იცნოს!“. — კარლომ თვითონვე იგრძნო, რომ ნერვებს აჰყვა და ღრმად შეტოპა, ამიტომაც უკან დაიხია და სხვა არხში გადააგდო ფიქრთა მდინარება.

— ნუ იტიმები გლახათ, — უსაყვედურა თავის თავს, — არა, ახლა, რაკი შენი შვილია, ხელის გულზე დისვაშენ. ნუ გეშინია, კიდევ თვალებს გადმოუქაჩვენ და თავშიც კარგად წაუტყუაუნებენ, როცა საჭიროა. წინასწარ რად ითხრი თვალებს თხუნელასავით. ჯერ გითხრა უარი ვინმემ? ჯერ სადა ხარ! არ განსოვს, საბავშვო ბაღში მიღებაზე შენმა ცოლმა ცა და ქვეყანა რომ ააწრიალა? შენ მაშინ თავი არ შეგიწუნებია. ვერ მოიცალე, ა იჯექი ახლა და იწვნიე რას ნიშნავს შვილი, ამნაირ დღეში ბევრჯერ აღმოჩნდები. ჯერ პატარაა, წამოიზარდოს და მერე ნახე. თუ მეტი ვაქვაცი არ ხარ და მეტი თავდაპერა არ შეგიძლია, რად გინდოდა შვილი? ყოფილიყავი ქვეყნის სასაცილო „ხალასტიაკი“, რაეარც იყავი ოცდათვრამეტ წლამდე“.

სოცდაზღვევის აგენტმა თავი შეაკანკალა ამ უსიამო ფიქრთაგან რომ განთავისუფლებულიყო. ბოლოს თავისი თავი დაარწმუნა: „მიღებით ჩემს შვილს კი მიიღებენ, მაგრამ მე ახლა იმაზე ვწუხვარ, გამარჯვებული სახით აქედან როგორ გავიდე, ამ უსათნოესი დედების შურით ავსებულ თვალებს სად დავემალო, დამარცხებული მშობლები ხომ უსათუოდ იფიქრებენ, კაცია და ჩააწყო, ალბათ, თავისი შვილის საქმეთ“.

— ოჯახობამ არ მომასვენა თორემ კი არ მინდოდა ჯერ მაგის ცეკვა, — კონკურსში გასვლა განადღებულ კაცის იერთ უთხრა კარლომ მუჰის სარკით გართულ მეზობელს.

— რატომ, რამდენი წლისაა? — სარკე ჩანთაში ჩადო და საკეტი დაატკაცუნა ცისფერთვალეებამ.



ხინოსია




მინს ნარკოტი



განსივნი




დაბადობა



ჩემი  
მეუღლე




მართი ცხოვრების ქრონიკა




თეატრალური  
მხატვრობა




გ. გ. გ. ბარათაშვილი



წიგარა



ღამის ბუზაბი





დაისი

ადამ და ევა





თეთრი სიზმარი



— ექვსისაა ჯერ, გაისად ნოლ ჯგუფში მიდის. მეშინია, არ დაიჩაგროს ადენი დატვირთვით.

— არა, რატომ? — ყოვლისმცოდნის იერი მიიღო ქალმა, — სწორედ რომ დროა. — საერთოდ, ცეკვას ბავშვი, რაც ადრე ისწავლის, უკეთესია. მერე საბალეტო სკოლაში არ გაუჭირდება. ჩემიც ექვსისაა.

— თქვენი დიდა ტანად, ქალბატონო, და ჩემი რაღაც დაკოინებულვიფთაა.

— ჩემი მამისკენაა. მამა ჰყავს მალაღლი.

კარლოს ძალიან აინტერესებდა, ვინ იყო და რა მოხელე იყო ამ მშვენიერი ქალის ქმარი, მაგრამ ამ ხაზით საუბრის გაგრძელება ეუხერხულა და ისევ ბავშვების მომავლის ნაცად თემას დაუბრუნდა.

— საბალეტო სკოლაშიო, თქვენ ბრძანეთ?

— დიახ.

— ბალეტინად აპირებთ თქვენი ქალიშვილის გაზრდას? — სინანულგარეული ხმით, დინჯად ჰკითხა კარლომ.

— აბა რა, როგორ, თქვენი არ გაჰყვება ცეკვას?

— არა, ქალბატონო, გოგოსთვის კიდევ ჰო და ბიჭს ბალეტში ვერ მივიყვან. ეს ერთი მყავს, სხვაც რომ მყავდეს, კიდევ ჰო. ბალეტისთვის გავაცდენ ბავშვს?

— თქვენ რა იცით, რას იზამს. იქნებ ისეთი ნიჭი აღმოაჩნდეს, რომ ქვეყანა გაათცოს. ნიჭს წინ რა დაუდგება! იქნებ დღეს თქვენი შვილის სახით დიდი მოცეკვავე იზადება! — პათეტიკურად თქვა ქალმა.

კარლო, ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა, ნეტავ ფეხი მომტეხოდა და აქ არ მომიყვანა. ვაითუ, ბალეტის მოცეკვავე გამომივიდეს და დაველუპო ბავშვიო.

მართალია, ამ საუბრიდან მკითხველს კარლო კილურაძე ჩამორჩენილი კაცი ეგონება, მაგრამ დაბეჭდვით ვარწმუნებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბალეტის საკითხშია კარლო, ცოტა არ იყოს,

გაუნათლებელი, სხვა მხრივ, მისი მდგომარეობის შესაფერისად, კულტურულად ცაა და განათლებულიც.

ცისფერთვალემა ვერ ისვენებს. ადგება, კართან მივა, ერთხანს მომავალ მოცეკვავეებს ათვალეირებს. თავის გოგოს მოუხმობს, ცხვირს, მოსწმენდს, თმას გადაუფარცხნის, ერთ-ორ გასამხნევებელ სიტყვას ეტყვის, წელს ქვემოთ ხელს მოუტყაპუნებს და ისევ არენაზე დააბრუნებს. მერე ხელების ფშვენტით ვიდაცას გამოელაპარაკება, ამასობაში თითქოს რაღაც აუცილებელი საქმე აქვსო, კარლოსაკენ გამოიქცევა და გვერდით მოუსკუპდება.

კარლოს თავი ისე ღრმად დაუხრია, თითქოს გრძელ, გამჭვირვალე ცხვირს უბეში მალავდეს. ერთმანეთზე გადაბმულ ხშირ შავ წარბებქვეშ შემუდრულ თავლისფერ თვალებს ხანდახან მზერავივით, თავის აუწყევლად მოავლებს იქაურობას, მერე ისევ თავის წალამის-მსგავსად თხელ და მოქნილ თითებს დაუბრუნდება.

როცა, მცირე შესვენების შემდეგ, დილი ახალი ძალით აბრაგუნდა, მზე-თუნახავმა ხელი სტაცა — ახლა თქვენი ბავშვის რიგიაო, ჩაჰყვირა და გოგნებული კარლო დარბაზისაკენ გაარბენინა.

ქორეოგრაფის თანაშემწის კატეგორიულ უარს ყურადღება არ მიაქციეს, ნახევრად ღია კარში ჩადგნენ და ყურადღებად იქცნენ.

გოჩამ მამამისი შენიშნა, გაუცინა და ხელი დაუქნია.

— რატომაა ასე გამხდარი? დაინტერესდა ცისფერთვალემა მშობელი.

— არ ჰვამს არაფერს — განზე გაიხედა კარლომ, რადგანაც ეს ყურადღებიანი დედიკო წინ, საკმაოდ საშიშ მანძილზე ედგა და მისი რბილი, საყვარელი თმების სურნელი პირდაპირ ტვინში სცემდა.

— აციხე ბავშვმა ასე ხანდახან. ჩემი

რედაქტორი ვიზიტორი  
მომხმობა

გოგო ზამთარში სუქდება და ზაფხულში ისე გახდება ხოლმე, რომ ლოყებში ლანდი გასდის.

ვერც მოზარდის გასუქება-გახდომის თემით დაინტერესა ქალმა კარლო, ლამაზი ყელი გაბუტულივით მოიღერა და კვლავ დარბაზს დაუბრუნდა.

ტრისტან მანჯგალაძემ „შემდეგი ათი“ გამოიყვანა, ხაზზე ჩაამწკრივა, თვითონ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია, მედლოეს ხელი აუქნია და შეშინებულ პატარებს ილეთი უჩვენა. ილეთი, კაცმა რომ თქვას, ძნელი არ იყო. ქართულ ცეკვის რიტმზე გაშლილ მარჯვენა მკლავით და მკერდთან მოხრილი მარცხენით ცეკვის ხვალინდელ ჯადოქრებს წრეზე უნდა ევლოთ.

— მივიღოთ ყველამ საწყისი მდგომარეობა! — ბრძანა ქორეოგრაფმა და დოლს ისევ აუქნია ხელი — სამამდე რომ დავეთვლი, დავიწყებთ!

„საწყისი მდგომარეობა“ ყველამ მოხდენილად ვერ დაიჭირა. მარჯვენა ხელის საკითხი შედარებით იოლად გადაწყდა, მარცხენა კი ზოგს მაღლა ეჭირა ზოგს კი ნაშურდულები ბედურას ფრთასავით ჩამოეგდო ძირს.

— ერთი! ორი! სამი! — დაიდრიალა ტრისტან მანჯგალაძემ და ბავშვები ერთბაშად მოსწყდნენ ადგილს.

გოჩა მამამისს შესცქეროდა და დოლის უეცარმა ხათქახუთქმა თითქოს თავზარი დასცაო, დააბნია. ჯერ მარცხენა ხელი აიწება მკერდზე და მარჯვენა ჯიბეში ჩაიდო, მერე მარცხენა ვაშლა და მარჯვენაც მიაყოლა. ბოლოს ორივე ხელი უმწეოდ აიხუტა გულზე და ამასობაში წინ საკმაო მანძილზე წასულებს დაედევნა. გაქცევა ვერ მოზომა და უკანა ბავშვს დაეჯახა. დოლი შეუბრალებ-

ლად ბრავუნობდა. გოჩა თავისი პატარა ნაბიჯებით თავდაუზოგავად მისდევდა მოცეკვავეებს და თან მამამისს თვალს არ აცილებდა, მაგრამ უეცრად ტრისტან მანჯგალაძის ღონიერი ხელი მოხრილ მკლავში სწვდა და შეაჩერა. გოჩამ ღიმილით ამოხედა ქორეოგრაფს და თავისი ფართო, ცისფერი თვალები მაღლიერებით მიაპყრო.

— დაისვენე! — მკაცრად უნთხრა მანჯგალაძემ და კედლისაკენ წაიყვანა. კონკურსის ცხრა მონაწილე კიდეც დიდხანს დარბოდა წრეში. გოჩა კი ბედნიერის იერით იდგა კედელთან და მამამისის გაფითრებულ სახეს რომ ხედავდა, უკვირდა.



...თავზე დოლჩამოხეული ქორეოგრაფი ტრისტან მანჯგალაძე — „მილიცია“, „მილიციას“ ბღავილით კიბეზე კისრისტეხით რომ ჩარბოდა, მშობლები საშინელმა პანიკამ შეიპყრო. იმდენად ტრისტან მანჯგალაძე არ ეცოდებოდათ, რამდენადაც კონკურსის ჩაშლის ამბავი აშფოთებდათ.

გულადუღებულმა კარლო კილურაძემ კი ყველას თვალწინ, თითქოს უჩვეულო არაფერი ჩაედინოს, აუჩქარებლად ჩააცვა თავის შვილს და უკანა გასასვლელით ქუჩაში გაიყვანა.

მისთვის ახლა სულ ერთი იყო, რა ელოდა ამ „ხულოგნურ საქციელისთვის“. გოჩასთვის ხელი მაგრად ჩაეგლო და ფერწასულ ბავშვს თითქმის ძალით მიათრევდა. გოჩას ხელი სტკიოდა, მაგრამ თავის ახირებულ მამას შიშით ვერაფერს ეუბნებოდა.

კარლო კილურაძეს ბოდმისაგან გულნუცელი ეწვოდა.



### ზამთრის დღე

თოვლის სამოსით,  
 უთეთრესით დგახარ სამოსით,  
 ცრემლით მკდოვანის, იცრემლება თვალი სალოსით...  
 ქართლის მინდვრებით გეგებება ჯარი სოხბების, —  
 შენ კიდევ მოხვალ,  
 დაბრუნდები,  
 კიდევ მოხვდები, —  
 ბოლო მეჯლისზე, უთეთრესით მოხვალ სამოსით,  
 ბროლის ფიალით,  
 მოკამკამე წყლით, წყაროსით,..  
 შენ კიდევ მოხვალ,  
 დაბრუნდები,  
 კიდევ იქნები;  
 უმსუბუქესი მოსასხამით მხრებზე ფიფქების...  
 ცრემლით მკდოვანის იცრემლება თვალი სალოსის...  
 თეთრი სამოსით  
 დაბრუნდები, —  
 თეთრი სამოსით.



მე ქართლის იქით მივდივარ არსად,  
 დავალ მამულის მსუბუქ სიოში  
 და რომ დავღვარე — იმ სისხლის ფასად  
 მყვო ჯვარი და მღვიმე შიოსი.

მაგრამ ძვირფასი კიდევ მრავალი, —  
 სხვაც კიდევ რამე არის ათასი...  
 და მაინც ერთი, მაინც მთავარი, —  
 საქართველოა იმ სისხლის ფასი...

### ა რ ა ვ ვ ს

არც სვთის წყალობა, არც მადლი ხატის, —  
 მიხვალ, მშვიდობის მგზავრობა გქონდეს.  
 ამიგრილოდე ველებს სვატი,  
 ბალი-წალკოტი ამიყვოდე.  
 შენი ხმა, — ნელი ფოთლების ტაში,  
 ისმის ტყეების შრიალის ხმაში.  
 უკვე ყანებში შენ იმზირები,  
 აჰა, გედირსა ბედი მქუსარი:  
 გამიხაროდე ივრის პირები,  
 სამგორის ცა და ველი მუხრანის.

მიხვალ, ისეთი გედირსა ბედი,  
 სხვა უკეთესი ალბათ არც არის, —  
 ამიყვავოდე მამულის მკერდი,  
 გამიღვიოდე ხნულში მარცვალი.  
 მინდვრებს მწყურვალეს დაეპკურები,  
 ივლი ბაღების მსუბუქ ნიავეში.  
 შენ უკვე ჩანხარ და იყურები  
 ვაზის ცრემლში და ყანის შრიალში.  
 გზა მშვიდობისა, — წადი! იარე!..

მე დროებითი, მიწათ ჩემო,  
ვარ დროებითი შენთან სტუმარი, —  
გადამაფინე ფოთლების ჩერო,  
დამიდე ფოთლის თავსასთუმალი,  
მე ვერც შენსავით ვერ შევიყვარე  
სხვა რამე, — შენთან მაქვს სათხოვარი, —

თავსასთუმალთან დამინთე მთვარე,  
პერანგს ამისხი მძივი მთოვარის.  
მიწათ ჩემო, სანამ, შენთან ვარ,  
ვარ დროებითი სანამ სტუმარი, —  
დამიგე მდელი — მზეზე შემთბარი,  
დამიდე ფოთლის თავსასთუმალი...

მ ა ლ ი


იგი, ტყეების ფოთლით მმოსველი,  
ფერში ფერების ნაზად მრეველი, —  
ახლა იმედის სიტყვით მლოცველი,  
მთვრალი სურნელით-სასაკმეველის.

ქალის ძვირფასის პირის მკოცნელი  
და დამის ბეგრის თეთრად მთეველი...  
მარად იმედის სიტყვით მლოცველი,  
ფერებში ფერის ნაზად მრეველი.

გაცოცხლებული ისევ ახალი  
გზნებით, ღამაზის მოქმედი ლეკების.  
ისევ მქებელი ზეცის მალაღის, —  
ტრფიალით, ვნებით და აღფერვებით.

მარტო კაზმულის, მარტო ცხოველის —  
ლექისის სხვაგვარის აღარ მთეველი...  
მონა — ქართულის სიტყვის ყოველის,  
მთვრალი იმისი სასაკმეველით!..





ს რა, არ უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ ვანა ჩემზე ეკიდა, ჩემს ნება-სურვილზე? არა — ეს შეგონება ჩემივე არსობის სიღრმიდან ამოიღვენთა, მრუმე, ჩაღუსკუმებული კუნჭულებიდან ამოსკდა, უცხო თვალს კი არა, საკუთარ თავსაც გულდაგულ რომ ვუმალავდი, და ერთიანად გადამთქერა. ნეტა, რას ველოდები, რისი მოიმედე ვარ? ისედაც ხომ ვიცი, იქ აღარავინაა; აღარავინ — მხოლოდ ქვეები ყრია და მეტი არაფერი... ქვეები, ქვეები! და მაინც ჩამოვედი, თავს ვეღარ მოვერიე და გამოვიქეცი. ნეტა, რად ჩამოვედი, რად, რად?" — ტაქსის რიგში მდგარს ეს აზრი უბურღავდა გონებას, აწვებოდა საფეთქლებში, გულის ცემას უჩერებდა. აი, დამრეცი, ნახევრად მრგვალი, უხმაურო ვაგზისპირა მოედანი — პატარა ვაგზალი, სადაც იშვიათად თუ შეჩერდებოდნენ შორი მატარებლები. ტაქსი კანტიკუნტად ჩანს, თუმცა რიგში ხუთიოდე კაცი დგას. ოჰ, რა კარგი იყო მატარებელში ყოფნა, რა კარგი! ისე კი, სანამ მატარებლით მგზავრობას გადაწყვეტდა, რამდენი იტანჯა, როგორ ეწინოდა გამუდმებული ფიქრის, სიმარტოვის,

მოგონებათა გაუსაძლისი და თითქოს უსაშველო ორი დღე-ღამისა. მაგრამ როგორც კი კუპეში შევიდა, იმწამსვე მიხვდა — არ გაუჭირდებოდა იქ ყოფნა. უმალ მოლბა, სულიდან ფერფლი ჩამოიფერთხა, მენსიერებას მტერის სქელი ფენა ჩამოაცილა და ქართულად დაილაპარაკა, უჭირდა ლაპარაკი, თითქოს თავიდან ეჩვევაო მშობლიურ, მაგრამ დიდი ხნის უხმარ, ჩაყანგულ სიტყვებს, ინტონაციას... მხოლოდ ეესტი, ცქაფი და ფიცხელი ეესტი ემორჩილებოდა ძველებურად და ამიტომ თავისუფლად, ძალდაუტანებლად შეენივთა აქამდე უღრიალა მეტყველებას, სულში მთვლემარე ენობრივი ცნობიერებიდან რომ ამოზიდა და უცდომლად იპოვა საჭირო სიტყვა. მაინც როგორ აეწყო ყველაფერი — კუპეში სამივე მგზავრი მისი თანამემამულე აღმოჩნდა — ხმაურიანი, როხროხა, საოცრად გულღია ადამიანები; და ახლა მას, ამდენი წელიწადია რომ გადასჩვეოდა ამ ხალხს და საკუთარ თავსაც, ნელინელ ეღვრებოდა სითბო გულში, გრძნობამორეული პოულობდა ათას საერთოს დღემდე უცნობ ადამიანებთან. დარეტიანებული, გულაჩვილებუ-



ლი და ძალმოცემული, იგი მაშინვე კეთილად განეწყო ამ ადამიანების მიმართ, განუხველად შეიყვარა ისინი და მერე აწრიალდა, რადგან არ იცოდა, როგორ გამოეთქვა თავისი ყოვლისმომცველი გრძნობები.

თანამგზავრები კი, თითქოს გაუგეს და დახმარება სწადიათო, იქვე შეუდგნენ სუფრის გაწყობას; ერთი მათგანი ჭიქების მოსატანად გავიდა გამცილებელთან და მალე ისიც თან მოიყოლა — გალუული, ჭამა-სმის მოლოდინისაგან წამოგზნებული. სუფრაზე საიდანაც გაჩნდა ბოთლები, პატარა მრგვალი კასრი, დედლები, კვერცხები, მოხარშული ხორცის ნაჭრები. მას შერცხვა, რომ პორტფელი ცარიელი ეგულებოდა და ვაგონ-რესტორანში გავარდნა სცადა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დერეფანშივე დაეწივნენ, ზრდილობიანად ჩაჰკიდეს ხელი, უკან წამოიყვანეს, საწოლზე დასვეს და თლილ ჭიქაში ნახევრამდე მოსული ჭაჭის არაყი მისცეს ხელში. არაყი სწრაფლავ გადახუხა და მაშინვე შეცბა, სახე აეტკრია, მიხვდა, რომ იჩქარა, დაასწრო თამადას, ვინც ის-ის იყო რაღაც აუცილებელისა და მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა, თანამეინახეთა შეკავშირებისა და ურთიერთგანწყობისას.

ყველა ისე უყურებდა, თითქოს სწორედ ასე იყო საჭირო, ასე უნდა მოქცეულიყო, თუმცადა ასეც იყო, ვინაიდან ჭაჭის სმას არავინ აპირებდა, არაყი ისე ჩამოატარეს, მოსაგუნებლად, მადის მოსაყვანად დალიეს. მერე ჭიქები მწვანე ქარვისფერი ღვინით შეიავსეს, წინწკლებს რომ ჰყრიდა და გაჩაღდა ქეიფი.

იგი უსმენდა მხარბეჭიან თამადას, გაფანჩულ-გაფრენილ წარბებთან, ცხვირსა და შუბლს შორის ღრმა ღარი რომ აჩნდა და ჯერ კიდევ მოურღვეველ ტანზე კვერცხივით მუცელი წამოსჯდომოდა, ხმაჩახლეჩილი თითქოს უნდომლად რომ ლაპარაკობდა, მაგრამ ერთთავად ძარღვიან, რთულ-რთულ სიტყვებს წარმოთქვამდა. ორი

შავგვრემანი და შავთმიანი თანამგზავრები, უფრო ახალგაზრდა რომ იყვნენ და ერთმანეთს ჩამოჰგავდნენ, ძმები გამოდგნენ — ისინი უფრო ხატოვნად ლაპარაკობდნენ, მაგრამ მნიშვნელოვანს ვერაფერს ამბობდნენ, წინასწარ იცოდნენ, რა უნდა ეთქვათ. თუმცა, სულ ერთია, იგი მაინც ხარბად ისრუტავდა ამ სიტყვებს, აეტოლებოდა, უკვრდა მათი ტევადობა, ქლერადობა, სიახლოვე; თავად ძვირად თუ იტყოდა რასმე, არ შემეშალოსო, მაგრამ ხუთიოდე ჭიქის შემდეგ მანაც გაუტია. ნეტა საიდან, რომელი ოდინდელი მეხსიერებიდან ამოტივტივდებოდნენ ხოლმე ულოდნელად სიტყვები, წინადადებები, ხუმრობა; იგი ზუსტად ალაგებდა მათ, მარჯვედ უთავსებდა ერთმანეთს, უცდომლად იცავდა თანამიმდევრობას; უცებ საოცრად მოუნდა მთლიანად, ძირისძირობამდე გაეხსნა გულისფიციარი, ყველაფერი ამოეთქვა, მაგრამ ამ დროს დაიძრა სიმღერა და ყველაფერი თან წარიტანა — უცნაური, მწყობრი, დაგუდული სიმღერა და იგი, ოდნავ შეღვინიანებული, ერთბაშად გამოფხიზლდა, ერთბაშად ჩახვდა თავისი გულის წადლის უადგილობას და გამოუთქმელ ტკივილს. შეუწყობლად, ძალიან ხმამაღლა, ულაგოდ აჰყვა სიმღერას, უხაროდა, რომ ემღერებოდა, რომ არცთუ ისე...



შუალაძე გადასული იყო, როცა იგი და თამადა ხელხელგადახვეული გამოვიდნენ ვაგონის წინა ბაქანზე; ისე, უბრალოდ გამოვიდნენ — ჰაერი ჩაეყლაპათ, პაპიროსი მოეწიათ, ცოტა ხანს დადუმებულიყვნენ. კარი ტაკუნით გააღეს — სტვენა-სტვენით შემოიჭრა ღამეული ჰაერი, გამოაცოცხლა, გამოათხიზლა, დაამშვიდა ისინი. დიდხანს იდგნენ ასე, ირწოდნენ გაქანებული მატარებლის სისწრაფისაგან. მატარებელი კი ქროლვით იტოვებდა უკან თვალთუხილავ პატარ-პატარ-



ჩი სიღვრეებს, თავისი მოძრაობით აწნავდა ერთმანეთს, აერთებდა სიბნელებსა და მკრთალად მოცივლილებს. და იგი ერთბაშად მოიცვა განწირულების, უმწეობისა და სიმარტოვის შეგრძნებამ. — ყველაფერი, რაც მოჩვენებითი იყო, საბოლოოდ მიიწვევრ განედევნა ღვინოს, სიმღერასა და მშობლიურ ენაზე წარმოთქმული სიტყვის კარგა ხანია გადავიწყებულ მწვავე გემოს. მხოლოდ ახლა შეიგრძნო მან ქართული სუფრის ზეგარდმო რიტუალი, მისი ფარული აზრი, სიღრმისეული იდემალება, რაც ერთმანეთთან გაახლოებს, მაგრამ ბოლომდე ყველაფერს არკი გათქმევინებს; ტყვილს გიამებს, მაგრამ გულგამში არკი გიძვრება, სილამაზეს მიგახალბებს და ბედნიერებას განიჭებს, განწმენდა ხდება ეესტში, სიმღერაში, სიღვრეებში, ერთიმეორისადმი კეთილგანწყობითა და ყურადღებით რომ არის აღსავსე... უცებ მოუნდა დაძინება, მოუნდა ბალიშიში თავი ჩაერვო და ძილში დანთქმულიყო, უსაშველოდ ერთფეროვან ძილში, გულის გამაბეზრებელი სიმღერის ჰანგივით რომ აკვიტებოდა. პირში რკინის გემო მოეძალა, თავში სიცარიელე იგრძნო, ხელისგულები ოფლით დაენამა. ვერა და ვერ განირიდა ეს უსიამო შეგრძნება, მსწრაფლივ გამოეთხოვა მეზობელს და თავისი კუბესკენ გაემართა, დერეფანი რწვევარწვევით გაიარა. ძმებს უკვე ჩასძინებოდათ, ზემო საწოლებზე მოკალათებულნიყვნენ და ერთნაირად ქსუტუნებდნენ ორივენი. როგორც იქნა, ხელისციცებით გამალა ლოგინი და გაიხადა თუ არა, ძილმა მაშინვე თვალი მოსტაცა. და კვლავ ეწვია გამაბეზრებელი, შფოთიანი და უსაშველო სიზმარი: თოკით ეშვება ჭის ამოსარეცხად. თოკი ნელ-ნელა იცარება. იგი ჭის ხავსმოდებულ კედლებს ებლაუჭება და დაბლა-დაბლა ჩადის. და აი, უკვე ახლოსაა ჭის ფსკერი — ქარსივით მჭრქალად მზინვარე, თავმომრგვალებული წყალი. წყალზე ლიე-

ლიეებს და იჭავლება მამის ხონდროსასხე, მკაცრი, მავედრებელი თვალბრტუხის კილოებში მოშვებული უხეში ნაკეცი; ღრმა ნაოჭი უსერავს დაქანებულ შუბლს, გადაპარსულ თავზე ყურები თითქოს მისწებებიანო. აუტანელია, გაუსაძლისი! მამის მომთხოვნი და საყვედურით აღსავსე მზერა სულ მთლად ადამბლავებს მას, ყელში ყვირილი ებჭინება, ჭა ერთიანად თრთის და ცახცახებს, ღიბი კედლები სამკუთხად იძვრის და დამაბრმავებელი ცის ოვალური ნაფლეთი მას თავზე ეცევა...  
 კუბეში მჭრქალ-ცისფერი შუქი ანთია. იგი საწოლზე წამოჯდება, ღვინოსა და კოშმარული სიზმრისაგან გული ამოვარდნაზე აქვს: მეზობელ საწოლზე თანამგზავრის გატეტცილი, საზარლად დაღრეჯილი სახე ილანდება და მხოლოდ გამბული ხვრინვა თუ მიგანიშნებს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია. და იგი გრძნობს დაუძლეველ წყურვილს გამწრალ ბავებზე, გახევებულ ენაზე, შესივებულ სასაზე. ვერა და ვერ გადაუწყვეტია, ადგეს თუ არა. მიიწვ წამოდგა. ჩქამგაუღებლივ, უგერგილოდ ჩაიკვა შარვალი. შიშველი ფეხები ბათინკებში ჩაჰყო და კარი გამოადლო — საკეტმა გაიჩხაკუნა, მეზობელმა თავი წამოყო, მერე კვლავ მოცელილივით დავარდა ბალიშზე და ახლა სულ სხვა ხმაზე ამოუშვა ხვრინვა. დერეფანში პირლია ქარი დაშტიალობდა.

იგი გამცილებელთან გავიდა — ზემო საწოლზე ძილში გმინავდა მისი შემცვლელი. გამცილებელმა მოსტლს გამეშვებული მზერა შეაგება. მაგიდაზე ტკონდენ და ცეკვავდნენ ლითონის საჭიქებში ჩადგმული ჭიქები. მან ერთ მათგანს ხელი წამოავლო, ონკანთან მივიდა და ჭიქა წყლით გაავსო. მოიყუდა. წყალი თბილი იყო და მსუთრის გემო დაჰკრავდა: დაიმა-

უხანგი რიშინაჰვილი  
 სახლი

ნკა, კიდევ მოსვა ერთი-ორი ყლუბი, მერე ბოლომდე დალია. წყურვილი აწუხებდა ისევ, მაგრამ სმა უკვე აღარ უნდოდა. ასაკეცი სკამისაკენ წაფლასუნდა დერეფანში, ჩამოჯდა, კედელს მიეყრდნო. თვალზე რული არ მიეკარა. ცრიატი ალიონი შემოსდგომოდა გაქანებული მატარებლის ფანჯრებს. შორს გაილანდა მთათა მრუმე, ტეხილი მოხაზულობა, ხოლო იქვე, ხელის გაწვდენაზე — მქროლავი ხეების ზიგზაგები...

●  
მამის სახელოსნო ორ ნაბიჯზე იდგა ჩენი სახლიდან; ასე რომ საკმლით სავსე ჯამები ვერც კი ასწრებდა გაცივებას, სანამ ფრთხილად ხელგაწვდილს მიმქონდა დიდი წნული კათით — არ დამეღვაროს-მეთქი. სახელოსნო ერთი პატარა ფარდულია, ერთადერთი ფართო სარკმელი აქვს, სოხანეზე — ხენაგები, შუაში გრძელი მაგიდა დგას, მაგიდაზე კი, გარეშე თვალისთვის მოჩვენებით არეულ-დარეულობაში ყრია ტყავის ნაჭრები, გასანთლული ძაფი, ხის ლურსმნები, სამკუთხაპირიანი და ღვედგადახვეული თხელტარა დანები. სოხანეზე ალაგია ფეხსაცმლის სხვადასხვა ზომის ხის დასაშლელი კალაპოტები, გეგონება, აი, ახლა თავისთავად ჩადგებიან მწყობრში და პაკაპუკით ფეხს აიდგამენო. ხეფენილზე ოთხკუთხა დაქვარცხული ტაბურეტი დგას, ზედ ერთმანეთს გადახლართვია მოქნილი ტყავის ფართო ღვედები. მამა ტაბურეტზე ზის წელში მოხნეილი და უცებ ვერც კი მიხვდება, რა სიმაღლისა იქნება, სანამ არ წამოდგება და არ გაიმართება, სანამ არ გაატკაცუნებს მსხვილ თითებს, სანამ არ გაიზმორება და თავით ლამის ნივნივას არ მისწვდება, დაქანებულ ჰერს რომ იმაგრებს. და მხოლოდ მაშინ გამოჩნდება — რამოდენა ყოფილა, რა ტანაზოვანი. სამაგიეროდ, გამომჭრელი, სწორედ ისეთივე ტაბურეტზე რომ ზის, ჩია ტანისაა და გა-

ლეული, სახეზე მიწისფერი იდგება: ალბათ, სადღაც, მისი სხეულის ნათქვამი ლილაც კუნჭულში, იღუმალ სნებას დაუბუდებია. მამა მალლა სწევს გადაპარსულ თავს და აპურჭყებს ხის ლურსმნებს, თხელ და მკაცრ ტუჩებში რომ გაურჭვია. ხეფენილზე დებს ტყავით გადატყვიულ კალაპოტს და მოწყვეტით ღგება. მიხო თავაუღებლოვ ატრიალებს თავის ორლესული სამართებელივით გამახულ დანას. მუხლებზე ნელა უთრთის ხის მძიმე ფიცარი, როცა ბანჯგვლიან ხელში ჩაბღუჯული დანით ოსტატურად ჰრის გადაქიმულ შვევროს ტყავს და საჭირო ფორმას აძლევს. მამას რომ ჰკითხო, მიხოთანაა გამომჭრელს, ბევრიც რომ ექებო, ვერსად იპოვი ყარაბახიდან ტრაპიზონამდე, სადაც თვითონ ადრე ხშირად დადიოდა ტყავეულის ჩამოსატანად.

ამდენი ხანია მამა მიხოსთან ერთად მუშაობს, დილის შვიდ საათზე იწყებს საქმეს და საღამოს რვაზე ამთავრებს. ორივე ერთსა და იმავე დროს სადილობს — შუადღის ორ საათზე; იქვე, სახელოსნოში გატეხენ პურს, სადაც ტყავის, ფეხსაცმლის წებოსა და სათრიმლავი ექსტრაქტის მძაფრი სუნი ტრიალებს. საემარისია, ფარდულში ერთი საათი დავრჩე, გული მერევა, სული მეხუთება, თვალთ მიბნელებდა, ისინი კი, თითქოს არაფერიო, დიდხანს ილუკებდნენ.

მამა ყველაფერს კარგად და ხარისხიანად აკეთებს. ისე დიდხანს არ ცვდება მისი შეკერილი ჩექმები, ისე დიდხანს, რომ მუშტრები შეუმჩნეხერდა. მუშაობისა არ იყოს, მამა ჰამაშიც მაგარია — მძიმე-მძიმედ აქანებს ყბებს. აბა, მიხო რა მჭამელია: ცოტ-ცოტას მოციცქნის, ყველაფერს გაიგემოვნებს, ერთ ჰიქა ღვინოსაც და აყოლებს და უმალ საქმეს მიუბრუნდება. მამა ღვინოს ლიტრიანი ბოთლიდან ალუმინის ტოლჩაში ჩაწურავს და, თითქოს აჭაშნიკებსო, ნება-ნება წრუტავს; ნელინელ, ღირსებით აღი-



ჩამოუღის ხვანჩი კუნთოვან ყელზე, მიხოს კი ცხროიანივით უხტის აღმაღალმა.

მამა გულდაგულ ალაგებს კალათში ჯამ-ჭურჭელს და მოუთმენლად მითათუნებს ხელს მხარზე, მაგრამ ამჯერად სულაც არ ვაპირებ წასვლას. მამამ იცის ეს და თავი ისე უჭირავს, თითქოს ვერც კი მამჩნევდეს; ტილოს ზოლებიანი სახოციტ იწმენდს პირს და თავის ტაბურეტზე ისევ წელში მოიკაცვება. იგი ჯერ დიდი, ჩაშავებული ხელებით ასწორებს, არბილებს ტყავს, მოქნილი თითებით ღუნავს მაგარ, გაშვებულ ლანჩას და დანის ერთი მოსმით, თამაშ-თამაშით გამოჭრის ქუსლის ჩამოსხმულ ფორმას. მერე იღებს პირში გაჩრილ ხის ლურსმნებს და ჩაქუჩით აქედებს ფეხსაცმლის ლანჩაზე, ლურსმნის ბოლოებს დანით მიასხიპავს ხოლმე. ახალშეკერილი ჩექმები ჩემთვის ყოველთვის გამოცანას, იღუმალებას წარმოადგენდა. მოუხელთებელი, გამოუტყნობი ჯადოსნობა იყო დანოკებულის, დამყოლი ტყავისა და მაგარი, გახვეებული ლანჩის შეწყობა-შეერთება. აი, უკვე მზადაა ლბილი, რიდიან-ჭკინტიანი, სალუქი ჩექმა, ყელი ვვერდზე რომ გადაფერდება. მიხო შეფარვით გაპყურებს ჩექმას. მხარს შეათამაშებს, თავს ვვერდზე გადასწევს და ისევ ფიცარს ჩააფრინდება. მამა თავაუღებლივ იღებს ფეხსაცმლის ახალ პირს და თითებით აუჩქარებლად ასწორებს ტყავს, რათა ყველაფერი თავიდან დაიწყოს...



თითქმის ერთდროულად, ტერციალითა და ღრჭილით იღება კუპეს კარები. უკაცრიელი დერეფანი მაშინვე ივსება პიუპიოიანი და მაისურიანი მგზავრებით, მხარებზე შავდამდიანი, ღუნდლიანი პირსახოცები რომ გადაუგდიათ.

მას ერთბაშად არ გაუღვიძია, მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი, როცა მეზობლები თავს დაადგნენ. ძლივძლი-

ვობით წამოდგა, სკამი ტკაცუნით აიკეცა.

„დილა მშვიდობისა!“ — ისიც ხალისით გაეპასუხა, გულდიად გაუწოდა ყველას ხელი. ძილისა დ უზომო ჭამისმისაგან სახეები მოთენთილ-მოღვენთოდით. შესივებულ ქუთუთოებს ჩაქროთ თვალითა მზნინვარება. ლოყები ჯავარს დაეფარა. „ალბათ, არც მე ვარ უკეთეს დღეში“, — უნებლიეთ გასჭოლა თავში. ელექტროსაპარსი დაძაბულად ზუზუნებდა, თავად კი ამრეხით შეპყურებდა კუპეს კარის ოთქუთხას სარკეში გალანდულ, ზანშესულ, პირმსუქან კაცს, უპატრონო ძაღლის თვლები რომ ჰქონდა, საფეთქლები გათერთებოდა და ჯერ კიდევ შემორჩენილი შავი კულული უდონოდ ჩამოშლოდა გაყვითლებულ, მძალა შუბლზე. დიდი ხანია თავისთვის აღარ შეუვლია მზერა ასეთ დიდ სარკეში. და იგი გააოგნა საკუთარმა სახემ — გაცრეცილმა და შეშუპებულმა. დიდხანს იბანდა ხელ-პირს ტუალეტში, თითქოს უნდა სახიდან ჩამოირეცხოს სარკეში დანახული გამომეტყველების ნაკვალევით.

კუპეში მოგუნებებული და დამშვიდებული დაბრუნდა. მეზობლებს მისთვისაც მოეტანათ ორი ჭიქა ჩაი და იგი ნეტარებით სვამდა ცხელ, მომწირო სასმელს, შვებას განიცდიდა, რომ ისევ იბოვია თავისი თავი. თითქოს წუხანდელი ენამრავლობისათვის შურს იძიებსო, კუპეში მღუმირება ჩამომდგარიყო. ჩაი, ღვინისგან განსხვავებით, განაცალკევებს კაცთ, დანელებულ ფიქრსა და მთვლემარებაში ინთქმები ხოლმე. მატარებელი კი, ძალმოცემული მზით დაბწყალული, მიჭრთდა მსუბუქ დილის ნისლში ჩაფუთნული შემოდგომის ზღვის გაყოლებამზე, და ნისლი როგორღაც თვალთუხილავსა და შორეულს ხდიდა ზღვას. პეიზაჟის ერთფეროვნება კიდევ უფრო ამძაფრებდა განდგომილებისა და საკუთარ თავში

შხანგი რიჟინვაჰილი  
სახლი

ჩაძირვის სურვილს. პირდაპირ საწოლზე ძმები იშვიათად თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს.

და მას უცებ თვალწინ წარმოუდგა სახლი, სადაც დაიბადა, სადაც გაიარა მისმა ბავშვობამ და სიჭაბუკემ, დინახა თეთრი, ნაჩრეტებიანი ქვით ნაშენი სახლი — გარედან დიდებული აღნაგობის, შიგნით კი ასევე მოუხერხებელი სახლი — იგი ხომ მხოლოდ ღირადი ოთახისა და ეზოდან მიშენებული ფიცრული სამზარეულოსაგან შედგებოდა. სამაგიეროდ, მოჩუქურთმებული სვეტისთავეებიანი ფიცრული ვერანდა, სამზარეულოსთან რომ მრგვალდებოდა, უჩვეულოდ ხალვათი და ლამაზი იყო. ისინი ექვსნი იყვნენ — სამი ძმა და სამი და. თვითონ ყველაზე ბოლოს დაიბადა ოჯახში. ოდესღაც რვანი ჯოფილან, მაგრამ და-ძმა პატარაობისას გარდაიცვალა — მათი გაყვითლებული ფოტოსურათები დაობლებული იდო კამოდზე — დიდთვალა ბიჭი და შიშლიკანა გოგო, თვალელებში შიში რომ ჩასდგომოდა. აი, ყველაფერი, რაც მათგან ოჯახში შემორჩათ. დიდი ოთახი — ოთკუთხა დარბაზი, კუთხეში მიდგმული შავჩაჩოიანი მაღალი სარკე, სპილოს ოთხ ფეხზე შემდგარი მუხის ოვალური მაგიდა, ჭრილზურგისანი სავარძელი და ორი უზარმაზარი, მოფიცრული რკინის საწოლი; ზემოდან ბუმბულის ლეიბი აგია და აფურფუშებული, ბომბორა ბალიშები აწყვია. ლოგინს ამოქარგული, ფოჩებიანი გადასაფარებელი აფენია. ეს ოთახი სასტუმროც იყო და დედ-მამის საძინებელიც. სანიაღვრო დღეებში აქ შემოსვლა არავის შეეძლო. დღისით, გაგანია სიცხეშიც კი გრილი ბინდი იდგა ოთახში, ხის ფართო დარბაზები ფარავდა ვიწრო და მაღალ ფანჯრებს, ხოლო დარბაზის ღრიკოებში ჭვირვალ მუხის ბუკალებში ბოლავდა, ფერხულს ცეკვავდა, ციცილიგებდა მირიადი ფიორი... პატარა ოთახის კედლებზე ხუთი საწო-

ლი მიედგათ. სანამ იგი ათი წლისა გახდებოდა, ლოგინს შუა ოთახში მძვინვარებდა უშლიდნენ — მეექვსე საწოლი ვედარსად დაედგათ. ყველაზე უფროსი და-ძმის საწოლები ფართობიანი ფანჯრებთან იდგა — რაფებზე წიგნები და სხვა ათასი რამ დაეხორავებოდა. სამაგიეროდ, ორ დას საკუთარი პატარა ტუმბოები და ტილოს საკეცი თეჯირები ედგა. პოდა, ასე ცხოვრობდნენ, თითქოს საერთო საცხოვრებელში არიანო — ვიწროდ, მაგრამ მყუდროებაში. ზამთრობით ციოდა ოთახებში — მაშინ მთელი ოჯახი სამზარეულოში შეიყუებოდა, სადაც გავარგარებული წვრილფეხა თუნუქის ღუმელი ედგათ; ღუმელზე ჩაიდანნი ფითფითებდა, სარქველი უხტოდა. იმოდენა იყო, მთელ სათლ წყალს ჩაიტევდა. ჩაის შაქარს მიატანდნენ ხოლმე და ისე სვამდნენ, იშვიათად თუ დაიჩურჩულებდა ვინმე, ბავშვებს მეცადინეობაში ხელი არ შეეშალოთო. ზაფხულში ის და ძმები ვერანდაზე იძინებდნენ — პირდაპირ იატაკზე დაიკვებდნენ ტილოს ტომრებს და ზემოდან საბანს გადაიბურავდნენ. დღისით, მზე რომ ამოანათებდა, იგი ბალიშს თავზე დაიდებდა. ძილის სანეტარო წუთები გავიხანგრძლივოო. პირგაზაფხულზე ძმები ვერანდას ცისფრად შეღებავდნენ, ხოლო სახლის თუნუქის სახურავზე აგურისფერს გაუსვამდნენ. საღებავის მძაფრი სუნი ეზავებოდა გაკვირტულ ხეთა გამაბრუებელ სურნელებას — ეს იყო გაზაფხულის, სიხარულისა და ბედნიერების, უმიზეზო, შეურყვენელი, ზღვარდაუდები ბავშვური ბედნიერების სურნელი. ჰაერში კირის სუნი ტრიალებდა — იგი მისდგომოდა ეზოში დარგულ ხეებს და თავისი არცთუ ისე დიდი ტანის სიმალეზე უსვამდა კირს — რძისფრად ელავდნენ ხეები უმთავარო ღამეების სიბნელეში. ბაღს ჭრიალა კუტიკარი ჭქონდა შებმული, იქვე მეზობელი სახლის მაღალი კედელი აღმართულიყო, რომელსაც გელური ვაზი შემოხვეოდა,

წვრილკაკალა ყურძენი დამწიფებას ვერ ასწრებდა. კედლის ძირში დაგვალული ალუჩის ხეები იდგა, ჩრდილში სული ეხუთებოდათ. ეზო თანდათანობით ფართოვდებოდა და მერე უცებ გაიარაქათებდა; თბილი მიწა ეყარა ქვის სპირიანი ქის ირგვლივ, რომელშიც, რაც თავი ასოვს, არასოდეს უნახავს წყალი, მხოლოდ ფსკერზე ბრკიალეზა და მწვანე-მოყვითალო სითხის ზედაპირი. ქის მოგუგუნე ხახიდან სახეში გცემდა ბურუსიანი სივრილე და ჭაობის მხუთრი. ქის ხავსმორეული და ლიბი ციცაბო კედლები აპრელებული იყო თოკის ნაკვალევით, რომლითაც პაპანაქება დღეებში შეჭყლებული სათლით გასაცივებლად ჩაჰკიდებდნენ ღვინოს სამლიტრიანი ბოთლებით, ათასნაირ სასუსნავს, შავზოლებსა საზამთროს, ქარვისფერ ნესვს...

შეუღებავ ხის მესერთან ჩაირგებულან ატმის ხეები, გვიან შემოდგომაზე მოგრძობუსუსებიანი მოყვითალო ნაყოფით რომ იხუნძლებს; წაგრძელებულ ფარდულს თავზე წამოდგომა ბროწეულის ხეები — მარცვლით დამძიმებული პირდახეთქილი ბროწეულის ნაყოფი ვარდისფრად აფერადებს პრილა შიფერს. თეთრი და შავი თუთა შუა ზაფხულში მწვანე-იისფერ ნაყოფს აბნევედა და თითქოს ხალიჩებს მოფენდა მთელ ეზოში. ხვიარა, დაძარღვული ვაზი მწვანე ლერწებით გარს შემოხვეოდა ბოძებსა და წნელებს და სქელ ფანჩატურს ჰქმნიდა, სადაც ალხიან შუადღისას ასე უყვარდა მას წამოწოლა მაქმანივით თხელ ჭილოფზე. მთელ არემარეზე გადაბარჯლულიყო ბებერი ნივჯის ხე, აქა-იქ რომ ება წინანდებურად დიდ-დიდი შავი, ბრკილა კაკალი. წენგოს წვენისაგან მას თითები მუდამ ჩამუქებული ჰქონდა, ტუჩები კი — მუქი ყავისფერი. კაკლის ხის ძირას გრძელი მაგიდა იყო, ფეხებით მიწაში ჩასობილი — ზაფხულში, საღამო ჟამს, ვახშმის შემდეგ, ამ მაგიდას უსხდა ხოლმე მთელი ოჯახი.

მამა სამუშაოდან რვა საათზე ბრუნდებოდა. იგი ყურამდე გამოაღებდა კუტიკარს და, წელში მოხრილი, ეზოში შემოვიდოდა. დაღლილობისგან თვალის უბეები შეშუპებოდა, თავი დამძიმებოდა. ძარღვები დაბერვოდა ხელის მტევნებზე, ზურგსა და ილიებში ნაცრისფერი ხალათი გაოფლიანებოდა. დედას მხარზე გადაეფინა დიდი პირსახოცი და ასე ელოდებოდა ქმარს. მამა უჩუმრად შეიხსნიდა წნულ ქამარს, გადაიძრობდა ხალათს და წელამდე გაშიშვლებული გადაადგებოდა სპილენძის ტაშტს. დედა უშველებელი თუნუქათი ხაპავდა დღისით გამთბარ წვიმის წყალს, რომელსაც პირმოტეხილ რვასათლიან თუჯის ვარცლში ინახავდა, და ზურგზე ავლებდა მამას. მამა ხმაურით, დიდხანს იფათქუნებდა წყალს ტანზე, ნეტარებით იხელდა დაძარღულ კუნთებს, აღარ გრძნობდა დაღლილობასა და ქვასავით სიმძიმეს. შუბლზე სახოცწაქრული, ოდნავ უკან გადახრილი დედა თავს დასდგომოდა, მაგრად მოკუმულ ბაგეცილოებში მოთმინება ჩასაფრებოდა. დედა და მამა რალაციით საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს — სიტყვაძვირიანი, მკაცრნი და მოქრუსულები, ერთიმეორეს უმთავრესად ხელებით ელაპარაკებოდნენ. დედა, ისევე, როგორც ჩვენ — ბავშვები, მამას თქვენობით მიმართავდა, და ეს არავის გვიკვირდა, სავსებით ბუნებრივად გვეჩვენებოდა. შიში რა სათქმელია, მამას უსიტყვოდ პატივს ვცემდით, შეურყევლად ვიცავდით დათქმულ პრინციპებს; და თუ მათ ყოველთვის ვერ აღვიქვამდით, სულ ერთია, მაინც განუხრელად მივსდევდით. ყველაზე უფრო ნიშანდობლივი დედისათვის ის იყო, რომ დღემილის, მოთმინებისა და ერთმანეთისადმი ყურადღების ნიშნად თითს ტუჩებზე მიიღებდა. მამა არასოდეს აღმალდებდა ხმას, გინებას აბა როგორ იკადრებდა, ბავშვებს არასოდ-

შუანანი რიჟინაშვილი  
საალი

დეს შემოარტყამდა. საკმარისი იყო ერთხელ შემოეხედა და როცა მის გამკოლაგ, მომნუსხავსა და გამყინავ მზერას წააწყდებოდი, იმწამსვე ნირი შეგეცვლებოდა. ახსნით იგი არაფერს არ გიხსნიდა, არაფერს შეგავგონებდა — უბრალოდ, ასე ცხოვრობდა. სულში არ გიძვრებოდა. თუ რამეს ეტყოდნენ, დინჯად უსმენდა, სიტყვას არ ჩაუბთავდა, ჰკითხავდნენ რამეს და, მოკლედ უპასუხებდა — ნათლად, პირდაპირ. თუმცა ხანდახან ისიც ენამრავლობდა და ეს უფრო ხშირად ვახშამზე ხდებოდა, როცა მიხო შეუფუფცხუნებდა. მიხო თითქმის ყოველ საღამოს ჩვენი სტუმარი იყო. უცოლშვილო მიხო ყრუ და თვალდამდგარ დასთან ერთად ქალაქის განაპირას ცხოვრობდა ერთ გადაფერდებულ სახლში. მამას არ სცილდებოდა. არავინ იცის, რას ლაპარაკობდნენ, როცა მარტონი რჩებოდნენ სახელოსნოში მუშაობისას, ალბათ, დღემდნენ უმთავრესად, მაგრამ აი, ვახშამზე კი გააბამდნენ მასლაათს, ხანგრძლივი, მოულოდნელი შორისდებულებითა და პაუზებით... მიხო კითხვებს სვამდა და კითხვებზე თვითონვე იძლეოდა პასუხს. მამა, როცა რამეს ჰყვებოდა, სიტყვას სიტყვაზე ისე მძიმე-მძიმედ დააწებებდა, რომ ერთმანეთს ვერ ააღლევდი. დაწყებით მიხო დაიწყებდა:

— ღმერთო დიდებულო, ჩემსავით ნუ გააწვალე სხვას. დასაოჯახებლად აბა ვინ მიიცალა, ოჯახი რად მინდოდა ისედაც უბედურს! მეყოფა, რაც აქამდე ვიწვინე, მადლი უფალს, დიდი დღე აღარ დამრჩენია, მალე წავალ იმ ქვეყანას.

— ეპ, მთლად დაწყობილად ვერ უნდა ლაპარაკობდე, მიხო. არ გშვენის ასე ლაპარაკი, არაა ეს კაცის საქმე. ცოლი თუ არ შეირთე, გემინოდა და იმიტომ არ შეირთე. ცხოვრების გეშინია, მიხო, სიკვდილისაც. მოვეშვათ წუწუნს, განა კაბინეტში ვზივართ, რომ... იმისათვის აბა, სადა გვცალია. ჩაეკტი-

ლხარ შენ ნაქუქში და ცხვირს გერაფერს ხედავ.

— შენ ხომ ლანჩა და საპირე გოდას მუდამ თვალწინ, მერე რა, ამით ვითომ რა მოგემატა? გაუყარე ნემსი და გამოუყარე, დააწყვე ჩექმა ჩექმაზე — ღმერთმა დასწყევლოს მაგათი თავი და ტანი!

— უმუშევრად ვერ გაძლებ კაცი, განა ეგ ჩემზე კარგად არ იცი?

— მერე რა, რომ ვიცი... ცოდნას რა თავში ვიხლი? იმუშავეო, სულ იმუშავეო. აბა, რად ვიმუშავო? საფლავის ქვა დავიბევეო განა? მკვდარს გინდ ძეგლი ამიგეთ, გინდაც გაუთლევი ქვა დაამდეთ გულზე, სულ ერთი არ არის?

— შენც ერთი, გააბი რა: პირზე სულ სიკვდილი და სამარე გაკერია! მე კი არ მინდა ამაზე ვიფიქრო. მე ფუტკარი ვარ, თაფლი აგე, ჩემმა შვილებმა იგემონ. ათასჯერ შემიხედავს სიკვდილისათვის თვალეებში, აი, ახლა შენ რომ გიყურებ, ისე, მაინც არ მომიდრეკია ქელი: ვიციოდი, მარტო არ ვიყავ ამ ქვეყანაზე, ბავშვებს ვერ დავაოთბლებდი, ჰოდა, ვათრევ სულს...

— ჰმ, შვილები, შვილები! როგორ არა, გაგაბენიერებენ სწორედ, ხელის გულზე ერბო-კვერცხს მოგიწვავენ, — ვიცი მე მაგათი ამბავი!

მერე კი სიჩუმე ჩამოვარდება, მკლერი და შფოთიანი. მამა ხმას არ იღებს, იგრძნობა — სიტყვები დოლაბივით უტრიალებს გულში, მაგრამ როგორც კი ენაზე მოადგება — ქრება სათქმელი. მაშინ მამა როგორღაც წელში იბუხება, თითქოს მომავალ სიძნელეთა უცილობელ სიმძიმეს გრძნობსო. ირგვლივ კი მდუმარება გამეფებულია, ყველა თავის საფიქრალს მისცემია, და ეს თავისი იმიტომაც არის „თავისი“, რომ ვერავის გაუზიარებს. მერე მამა თავს მალა სწევს, მისი მზერა ისევ ჩვენ გვიბრუნდება, მოუხილავ მერმისში ნაბორიალფეო. დედა, მთლად ლოღინად რომ ქცეულა, ხელით ანიშნებს ბავშვებს, შეიძლებაო წამოდგომა და ეს უკვე მოზრდილი ქა-

ლები და კაცები, ვინც ამ ორი ხანშესული ადამიანის სიცოცხლით ჯერ კიდევ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ჩუმიდ დგებიან და სახლში შედიან; სუფრასთან რჩებიან დედ-მამა და ჩამოყვინთული მიხი; თეთრად ილანდება თეფშები, მკრთალად კრთის დანა-ჩანგალი, მაგიდაზე კი გამშვლელულა ხეთა რტოებით ჩრდილნაკრავი მთვარის ჭავლები.

— ისე, შვილები მუშტარი ნუკგონია, პა, შენ ჩექმა და ფული ჩამოყაჭეო, არა, ისინი... — უცებ ხმა უწყდება მამას, როცა მაგიდასთან ველარავის ხედავს. დედა მდუმარედ ალაგებს სუფრას, მიხი არ ვავადვიძოო, თავი დაძარღვეულ ხელებზე რომ ჩამოუდვია და მაგრად სძინავს. მამა თავს აქნევს, ფეხზე დგება, ფრთხილად ჰკიდებს ხელს მიხოს ხელებზე და კაკლის ხის ძირში ტახტზე აწევს. დედა სასთუმალს უსწორებს მიხოს და საბანს აფარებს. გაბმულად ჭრიალებენ წიფობელები; რიონიდან მონაბეჩონიავქარი აჩქამებს ფოთლებს. ქანცი გაწყდომია ღამეულ მხურვალეობას...



მეზობლის ნამთვრალევი ხმა უფრთხობდა ხილვებს, ახშობდა გაქანებულ მატარებლის რაკარუქს, აიძულებდა ყური მიეგდო მისთვის, უნებლიეთ საუბარში ჩაჰყოლოდა. როგორც იქნა, ვაიცნობიერა, რომ მეზობელს სახეში უყურებდა, თითქოს აგერ ახლა ასე შორს არ ყოფილიყოს, იქ, დიდი ხნის გარდასულ დროში. მეზობელი კი ვერ მიმხვდარიყო მისი დაჰყეტილი თვალეობის გამომეტყველებას და დარწმუნებული, ყურადღებით მისმენენო, ღაპარაკობდა და ღაპარაკობდა... თავდაპირველად მას მხოლოდ სიტყვები ესმოდა და შემდეგ ხდებოდა ცხადი ამ სიტყვების აზრი; თავს აძალებდა ესმინა ეს ჩახლეჩილი ხმა. ძლივს ასწრებდა თვლი მიეტანებინა მისი ხელების ფიცხელი მოძრაობისათვის, ცდილობდა არ

გამორჩენოდა პირდაპირ მსხდომი ბის წამოძახილი.

— საქმე ისაა, რომ გაქრა თვით სახლის მცნება, სწორედ სახლისა და არა ბინისა. ჩემთვის „სახლი“ მუდამ უბრალო საცხოვრებელი კი არა, მტკიცე, ურყევი და რეალური არსებობის სიმბოლო იყო. ძალიან გვაფრინე, ხომ? გეთანხმებით, მაგრამ განა ნამდვილად ასე არ არის? ყველაფერი ინგრევა, როცა სახლი არა გაქვს, ადამიანები თავის ნაჭუჭში იმალებიან და თბილსა და მფშვინავ მიწაზე კი არ დააბიჯებენ, არამედ ცივ პარკეტზე დადიან, პაერში არიან გამოკიდულნი. სწორედ აქედან წარმოდგება ნერვიულობა, საკუთარი თავის უნდობლობა და გაუცხოვება. ლიფტი, საერთოდ, ხომ საშინელებაა. არსად ისე თბლად, მარტომდმარტო და მიწიერ ცხოვრებას მოწყვეტილად არა გრძნობ თავს, როგორც ლიფტში. ჩვენი შვილები როგორღა იცხოვრებენ, გეკითხებით?

— რაო, მეთორმეტე სართულზე ფეხით ავიდეს კაცი? არა, თქვენ რაღაც გეშლებათ, ძია სანდრო. ასე თუა, მაშინ ცივილიზაციაზე ხელი უნდა ავილოთ და ისაა! — გაფიცხდა ერთი ძმა; მეორემ კვერი დაუქრა.

— არა, ბიჭებო, ამაზე არაა ლაპარაკი. განა მე ცივილიზაციის წინააღმდეგი ვარ? აბა თავად იფიქრეთ. აი, ვთქვენ, თქვენ ამ მეთორმეტე სართულიდან გადმოჰყურებთ დედამიწას. რა პატარა მოგეჩვენებათ იქიდან ადამიანი, სამუშაოდ გამოსული კიანჭველა გეგონებათ, მოფუსფუსე და სასაცილო. მაგრამ, როცა დაბლა ჩამოხვალთ, მაშინ, იმ „კიანჭველას“ სახეზე ველარ შეხედავთ — დრო არ გექნებათ. გვერდზე გაუბრუნთ ერთი-მეორეს. პირისპირ მხოლოდ ავტობუსში, ტროლეიბუსში, მეტროში, მაღაზიაში შევეჩხებებით ერთმანეთს. მაგრამ თქვენ საკუთარი ფეხების დარდი უფრო გექ-

უზახავი რიფინახავილი  
სახლი



ნებათ. — ამ ჭყლეტაში ფეხსაცმელი არ გამესვაროსო. ადამიანის სახეს აზლაც ვერ ხედავთ — არა გცალიათ. დღეში ასობით კაცის სახე რიგობს თქვენს თვალწინ, მერედა, გაქვთ კი ცქერის, უკან მოხედვის, დაკვირვების დრო? — არა. და ადამიანები თქვენთვის ტიტრებად იქცევიან, ტელევიზორის ეკრანზე რომ გაკრთებიან სწრაფად, სწრაფად. უფრო სწრაფად! ოჰ, რა უბრალო და ადვილია ყველას დავიწყება, საუთარი თავის გარდა. ჰოდა, ასეა საერთოდ. ადამიანი აბსტრაქციად იქცევა, რომელიც არსებობს, მაგრამ არსებობს საღდაც შენს გარე, წარმოდგენაში. ასეთი ადამიანის დავიწყება ძნელი არ უნდა იყოს. აქედან წარმოსდგება შესაბამისი მორალიც — დიდი ქალაქისა და მაღალი, მრავალუჯრედიანი სახლების — დამთობი, ფაშარი და არასავალდებულო მორალი.

— ალბათ, ამდენი არ უნდა დაგელოთ, ძია სანდრო: ნასმურეგზე მთლად კარგად ვერ უნდა იყოთ. რაც თქვენ აქ დაახვავეთ, ლამის მატარებლიდან გადახტეს კაცი. ბოლოს და ბოლოს, რას გვთავაზობთ, ოთხზე შევდგეთ და თავი ტყეს მივცეთ, ჰა, გამოქვამულებს მივაშუროთ, არა?

— მე თქვენ არაფერს არ გთავაზობთ, ბიჭებო, მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს აღვნიშნავ. მე ექიმი ვარ და ჩემი საქმე დიაგნოზის დასმაა, ხოლო, როცა ავადმყოფის წამლობაზე მიდგება საქმე, მოდი, ერთად მოვიფიქროთ, როგორ ვუმკურნალოთ, კონსილიუმი მოვიწვიოთ. იმას კი გეტყვით: არ შეიძლება ასე უსაშველოდ ქალაქების ზრდა. თქვენ იქნებ არ გახსოვდეთ, მე კი, აბა, რა დამავიწყებს. მამაჩემიც ექიმი იყო, სოფელში ვცხოვრობდით, ხანაც პროვინციულ ქალაქებში, — ჰოდა, დამიჯერეთ, იქ ყველა იცნობდა ერთმანეთს, კარგად იცნობდა, ოჯახებით, მთელი გვარით და გუჯაბით, იცოდნენ ერთიმეორის ავკარგი, მეტსახელებიც კი. ყველა ყველას ხედავდა, არაფერი დამალებოდა. აი, ასეთ პი-

რობებში აქვს დიდი ძალა ზნეობრივ კანონებს; აბა, სცადე და გააქვლე — დი ხანი არ გაივლის და მარტო დარჩები; ხოლო რა ხდება თანამედროვე უზარმაზარ ქალაქში? თავიდანვე მარტოობისათვის ხარ განწირული, მთელ ქალაქს კი არა, კარის მეზობელსაც კი არ იცნობ, და როცა არ იცნობ, აღარც უნდა გრცხვენოდეს — საერთოდ ადამიანებისა კი არა, ნაცნობებისაც: ასეა, აბა!

იგი მოწონებისა და ქვეცნობიერი წინაღობის გაორებული გრძობით, რადიკალიზად გაღიზიანებული უსმენდა სანდროს. თვითონაც ხშირად უფიქრია ამაზე, მაგრამ, ალბათ, ასე დახვეწილად ვერ იტყოდა, ასე ვერ ჩამოქნიდა სათქმელს; იყო აქ რაღაც გამიზნული, ყურით მითრეული. სწორედ ეს აღიზიანებდა მას, თუმცა არ უნდოდა შეკამათებოდა, სიტყვა შეებრუნებინა. უბრალოდ, ანციფტრებდა თავისი და სანდროს აზრების დამთხვევა, თანახმიერება, თითქოს სანდროც იქვე იდგა და ხედავდაო, რაც აი, აგერ თვალწინ ედგა, უსმენდა მის სევდის-აღმიძვრელ ფიქრთმდინარებას და მხოლოდ თქმით თქვა უკეთესად, დახვეწა, გაამძაფრა. და ახლა, როცა მის მიერ ათასჯერ განცდილ-ნაფიქრალი შემთხვევითმა თანამგზავრმა გამოაგნებელ პარადოქსებად ჩამოაყალიბა, რადიკალიზი გრძობა დაეუფლა. ძმები, ეტყობა, უფრო იყვნენ გაფიცებულნი — სახე წამოგზნებოდათ.

— მამაბიეთ, ძია სანდრო, მაგრამ ყოველივე ეს გაცვეთილი ფირფიტასავითაა. თქვენი თაობის კაცს, ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველაფერი უკუღმა ეჩვენება; ჩვენს დროშიო, გეტყვის, სხვა იყოო, და, რა თქმა უნდა, სჯობდაო. რაკი სახლთმშენებლობის მორალს ბზარი გაუჩნდა, ამიტომ, თქვენი აზრით, ადამიანი წახდა, ხომ? რასაკვირველია, არც მე მეპიტნავება უზარმაზარი ქალაქები — დიდი ქალაქი, გარკვეული აზრით, ანიველირებს პიროვნებას, აქვეითებს მგრძნობიარობას,



ნამაგიეროდ, ქალაქელი კაცი უფრო დინამიურია, რეაქციავამაფრებული, სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას, უფრო საქმიანია, შემართული. გრძობების აყოლა, მოგეხსენებათ, არ გამოგვადგება. კიბერნეტიკაში ეს ის ფაქტორია, სისტემის ეფექტიანობას რომ აქვეითებს.

— აი, ხომ ხედავთ, ყმაწვილო, თვითონვე გაეცით თავი. ნათქვამი დამიდასტურეთ. რა არის ადამიანი უემოციოდ? მანქანა. თქვენ რომ ვისმინოთ კაცმა, სწორედ მანქანა საუკეთესო ადამიანი — ვერც სტრესი დააკლებს რასმე და ვერც ინფარქტი. მეტი რაღა გნებავთ. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მანქანას დიდი ამბავი არ უნდა — არც განცდა აწუხებს და არც ფანტაზია, აღარც ინდივიდუალური მიდგომა სჭიდება — ცოტა ხანს ხელს შეავლებშემოავლებ, სად ჭანჭიკს მოუჭერ, სად ჭანჩს დაამაგრებ და მორჩა საქმე. აბა, სიყვარული, სიკეთე, ყურადღება — ყველაფერი წყალში გადასაყრელია, ჰა? იცით, რამდენი მკვლელობა ხდება ქვეყანაზე სრულიად უმიზეზოდ, ისე, უბრალოდ — არც სიძულელი ყოფილა, არც ბოღმა და ექვიანობა, იმ კაცს აქამდე არც კი იცნობდა, პირველად შეეფეთა და იქვე გაიმეტა, იქნებ მოწყენილობის ან თვითღამკვიდრების წყურვილისა გამო. ეს საშინელებაა. აი, მაგალითად, თქვენ პანაშვიდზე ვერ წაგიყვანთ კაცი — პანაშვიდი წარსულის გადმონაშთიაო, უახრო რიტუალი. არა, ძმაო, კაცის სიკვდილი თუ არაფრად მივაჩნია და არ გზარავს, მისი სიცოცხლე, ალბათ, ფეხებზე გკიდია. ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლისადმი გულგრილობაზე უსაშინლესი კი ამქვეყნად რაღა იქნება. თანაგრძნობა აუცილებელია, თუმცა პატივში აღარ არის ეს სიტყვა — „თანაგრძნობა“! თვით თუ არ იტანჯე, სხვის ტანჯვასაც ვერ გაიზიარებ, სოლო უამისოდ ვინა ვართ ან რანი უნდა ვიყოთ, ჰა? ძველ სახლებს ბუღდოზერებით ანგრევენ და სრულიადაც არ გე-

ნანება ძველის, დაცხვებულის ნგრევა, მერე რა, ახალს ააშენებენო? მაგრამ არ უნდა დაიკარგოს იმ სახლის კეთილი სული, იგი შენზე აღრე უნდა შევიდეს ახალ სახლში. ასეა, აბა!

— ფილოსოფოსობის გუნებაზე დავდექით, ძია სანდრო; ვინმემ რომ გვისმინოს, უთუოდ იფიქრებს, უსაქმობა კაცს რას არ ათქმევინებსო, მატარებელმაც იცის — ენას ამოგადგმევინებს. მოდი, მშვიდობიანად დავშორდეთ ერთმანეთს. თქვენც სწორი ხართ და ჩვენცა, კარგი? ახლა კი ისევე ჩვენს კეთილ ტრადიციებს დავუბრუნდეთ. სასმისი ავწოთ და ერთიმეორეს კეთილი სიტყვა ვუთხრათ. აბა, ყაბულსა ხართ?

მაგრამ ლაპარაკში ახლა რაღაცნაირი სიფრთხილე და გაფაციცება იგრძნობოდა. ეტყობა, კამათს უკვალოდ არ ჩაუვლია. შუაზე შეწყვეტილი, იგი თითოეული მათგანის გულში გრძელდებოდა, ანელებდა მოძრაობას, თრგუნავდა შესტს, ძაბავდა სახეს. სუფრა სწრაფლივ გააწყვეს, თითქოს ცდილობენო სულიერი წონასწორობის აღდგენას, მოულოდნელად ჩამოვარდნილ უთანხმოებას რომ დაერღვია. აი, უკვე შევსებულია ჭიქები და თამადა თავს ხსნის პირველ სადღეგრძელოს, ცდილობს გაამთელოს საუბრის გაწყვეტილი ძაფი, ერთობა ჩამოაგდოს. და ნელინელ ქრება სიცივე, მაგრამ თავად ვერა და ვერ განრიდებია შეწყვეტილ საუბარს. ცალი ყურით უსმენს მეზობლებს, ვერ იცნობიერებს სიტყვის მნიშვნელობას, და თვით სიტყვები ახლა მისთვის მქრქალი და მეორადია. მექანიკურად წარმოთქვამს სადღეგრძელოებს და მოთენთილობა ეძალება, მაგრამ რაც უფრო ცდილობს ამის დამალვას, მოთენთილობა მეტად იჩენს თავს. ატყობს, ღვინო არ ეკიდება და შინაგანად აფორიაქებულია. უხერხულობისაგან ენაწყლიანი და მომაბეზრებელი ხდება. თავის თავს ახლა

შუახანი რიჟინაშვილი  
სახლი



თვითონვე ვერ იტანს, ვეღარც შეჭორიკებული მეზობლები აუტანია, სახე რომ გაბადვრიათ. უკვე მოსწყენოდა ქეიფი, წამოდგომა და წინა ბაქანზე გასვლა გადაწყვიტა, მაგრამ უმაღლესი ვაიფიკრა, ვაითუ, გულში თანამგზავრები ვაწყენინოთ, და ამ გაუბედობამ საბოლოოდ მოუყამა გუნება.

„ეტყობა, მთლად გადავეჩვიე ამისთანებს. არ არის კარგი. ხალხი შენთვის სულს არ იშურებს, შენ კი გარბინარ. ალბათ, სანდრო სწორი უნდა იყოს — სამუდამოდ დაკარგულია ჩემი სულის ერთი ნაწილი, აღარ არსებობს, მორჩა და გათავდა! საკუთარ ფესვებს დიდხანს არ უნდა მოწყდე — ხმები კაცი, გული გიქვავდება, მერე რამდენიც უნდა ეცადო, ამას ვეღარ დაიბრუნებ“, — გაიფიქრა მან და, ალბათ, მართალი იყო, რადგან ქვეცნობიერად სწორედ ამ „აღდგენას“ მიესწრაფოდა. თუმცა, ღმერთმა უწყის, რით აღარ ამართლებდა თავის გამგზავრებას; საკუთარ თავს და სხვებს არწმუნებდა, მშობლიურ ადგილებში ჩემთვის ძვირფასი საფლავების მოსახსურებლად მივემგზავრებო. კეთილი სულის სანახავად დაადგა გზას. სწორედ იმ სულის სანახავად, — წელან სანდრო რომ ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა, აქ, იგი მიხვდა, რომ არც ისე ადვილია დაიტიო ის, რაც სულში აღარ სახლობს, მხოლოდ რომელიღაც კუთხე-კუნძულში მიუტყუა, მთელი სიერცე სხვა გრძობებს უკავია, სხვა ფიქრებს დაუპყრია და დაუმონებია, სხვა მოქმედებისათვის. შემართულა და აღარ იცის, როგორ შეცვალოს ყოველივე ეს, რას ჩაეჭიდოს, რას დაეყრდნოს. ამდენი წელიწადი გავიდა და ბავშვობისდროინდელი ხსოვნის — მოზაიკის ნაფხვევებიდა შემორჩენია. ხილვათა ნაფლეთები, მაგრამ სადღაას მთლიანობა, სრულქმნილება, რაც იყო, უთუოდ იყო ყველაფერ იმაში, რასაც მიამისეული სახლი, დედობრივი სწყისი, ოჯახური ყოფა ეწოდებოდა? და რამ დაფშვანა, დაამსხვრია, ქარს გა-

ატანა ეს მთლიანობა — უგუნურებამ ბოროტმა ნებამ თუ ვრცეული დროსა და პატარა ადამიანური ბედის შეუთავსებლობამ? განა თვითონაც არ იყო დამნაშავე იმის განადგურებაში, რაც, მამისა არ იყოს, შეურყევლად მიაჩნდა? ყველაფერი ნაცარტუტად იქცა. ველარასოდეს დაიბრუნებ...



და კვლავ დაირხა სიმღერები — ნაღველნარევი, მწყობრი და ხმერი, და ისევ სითბო ჩამოდგა კუბეში, ახლა კვლავ ერთად იყვნენ ყველანი, კვლავ უყვარდათ ერთმანეთი. და ჩამოვიდა კიდევ ერთი ღამე — ერთ ჭერქვეშ ერთად ყოფნის უკანასკნელი ღამე. და მატარებელი შეუჩეხებლივ კეცავდა მანძილს. ყველა გრძობდა, რომ იქნებ მეტად ვეღარც კი შეხვედროდნენ ერთიმეორეს და გულწრფელად წუხდნენ ამაზე, რადგან მოუხილავია ადამიანის გზები და გრძობები.

დილა მზის ჩქერალით მიელამუნა ფანჯრებს. და იდგა გამოღვიძების წამი — მქრქალი და უკმარისი, დანაშაულის გრძობითა და გათენების იმედით აღსავსე.

შემტბარებმა ნაჩქარევად გაცვალეს მისამართები. ერთმანეთს უღიმოდნენ, მაგრად უჭერდნენ ხელს ხელზე და დიდხანს, დიდხანს არ უშვებდნენ. მერე ყველაფერი დამთავრდა და მატარებელიც აიძრა. იგი ბაქანზე ჩამოვიდა, დამრეც, ნახევრად მრგვალ ვაგზოსპირა მოედანზე გამოვიდა და აი, ახლა დგას მოკლე რიგის ბოლოში — ტაქსი ელოდება. ასე, ნახევარი საათი იცადა, მერე მისივე ქვევამ გააოცა. რაო, ტაქსიო? ნეტა, რად უნდოდა ტაქსი აქ? არა, ფეხით უნდა გაუყვეს ქუჩას თავისი სახლისკენ, შინ. მერე რაღაც წაიბურტყუნა, ხელი აიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იგერიებდო, და წავიდა. ფეხი აიდგა.



აი, ესეც — შინისკენ მიმავალი გზა, და იგი მიაბიჯებს ამ გზაზე; ვერაფერ

ცნობს და თვითონაც ვერ ცნობს ვერაფრის. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს სხვა პლანეტაზე ყოფილიყოს, სადაც მშობლიური პატარა ქალაქის ზუსტი ასლი გაუშენებიათ, სადაც ყველაფერი ემცნაურება, მაგრამ ნაცნობი ერთიც ვერ უნახავს. გვერდზე საქმიანად ჩაუარეს მამაკაცებმა, — იქნებ მისი კბილანი იყენენ, ერთად უსწავლიათ და უთამაშნიათ. ეს შავოსანი, ფეხებდასიებული ფაშფაშა მანდილოსნები, სახეგატანჯულებს ხელში საფულეები რომ უჭირავთ, ოდესღაც, ალბათ, სულისწამლები და ამხვართული ქალიშვილები იქნებოდნენ, რომელთა დანახვაზე სუნთქვა ეკვროდა, ხოლო სიმორცხვისა და აღტაცებისაგან ყელი უშრებოდა. აგერ იმ ბავშვებისათვის, საუბარში რომ არიან ვართულნი, ზურგზე ჩანთა მოუდგიათ და ქუდი გვერდზე ხურავთ, იგი არ არსებობს და არც არასოდეს არსებულა. ქალაქში, ალბათ, ერთი ძაღლიც კი არ დაძუნძულებს, მისი სუნი რომ ახსოვდეს; ძაღლებს საერთოდ ხომ ისეთი რამ ახსოვთ, რაც ადამიანისშვილს არ ამახსოვრდება. იგი მიაბიჯებდა ქუჩებში, რომელთაც შეეცვალათ იერი, სიგრძე და მოხაზულობა; ცდილობდა ხსოვნაში აღედგინა, როგორ გამოიყურებოდა ეს ქუჩები წინათ, მაგრამ იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მერე მოეჩვენა, რომ იცნო ვაზიანი წყლის გამყიდველი ქალი, ახლოს მივიდა, ხუთკაპიკიანი გაუწოდა და წინწკლებდაყრილი მომწვანო წყლით სავსე თილქიქას ხელი წამოავლო. ნელ-ნელა სვამდა წყალს და თან ქალს უცქეროდა, მაგრამ მისი მზერა მოწყენილი და გულგრილი იყო. აგერ, კარდია ფეხსაცმლის საწმენდი ჯინჯური, თითქოს გამვლელ-გამომვლელს ეპატივებო, და იგი წელში მოხრილი ძლივს შეეცვია შიგტაბურეტზე მისი ხნოვანების კაცი იჭდა. მრგვალი თვალები სევდით შეკვამლოდა. არც კი შემოუხედავს, შავად მოლაპლაპე ბათინეებს დააქცერდა, ლამის გაოცდა, მაგრამ შემდეგ რაღა-

ცნობდა ჩიბზულია და საქმეს შეუდგა...

ჰაუ, სად მოსულა! ახლა მარცხნივ შეუხვევს და მალე მისი ჩიხიანი ქუჩაც გამოჩნდება, მერე კი... იგი უცებ და ერთბაშად შედგა, კინაღამ შეეჯახა ლიპიან მამაკაცს. კაცმა აღმაცერად მოხედა, ექვიანად შეათვალა და გზა განაგრძო. „არ წავალ, — გადაწყვიტა მან. — ახლა არ წავალ“, — უშაღ გაიმართლა თავი და მოპირდაპირე მხარეს, სასაფლაოსაკენ წაეხეტა. ქუჩა აქ ერთს აიადმართებდა და მერე ისევ ჩაირბოლებდა. ირგვლივ არაფერი შეცვლილიყო. ერთ-ორსართულიან სახლებს, რომელთა სარდაფების ნახევრად ჩაბნელებული ფანჯრები მწვანეში იყო ჩაფლული, შეეჩერებინათ სასაფლაოსაკენ მრავალსართულიანი კოლოფების შემოტევა. ხმაურიანი და ჩრდილიანი ეზოების გაღავნები იმ გაღავნების კონტრასტია, რომელთა მიღმა იხაშმება ხშირი ბალახი და ხრწნასა და მღუშარებას დაუსადგურებია. შესასვლელთან მქრქალგუმბათიანი დაბალი საყდარი დგას. მეწამული ხეივნები მიუყვება საგულდაგულოდ მოვილი საფლავეებს, ზეთიანი საღებავივით მზხინავ ვრანიტის ფილებს, კილიტასავით ეღვარე გაღავნებს. იგი ირგვლივ იხედება, იქნებ რამე გაიხსენო, მაგრამ უშედეგოდ. საფლავეები გადასულან ყოფილ მთავარ ხეივანზე, იგი გვერდზე ჩამოუტოვებიათ და გარშემო ყველაფერი შეუცვლიათ. იგი ხან მარცხნივ გაიწევს, ხანაც მარჯვნივ, მერე სადაც იყო, იქვე ბრუნდება და კვლავ განაგრძობს ძებნას. სადაგი დღეა და ჯერ აღრეა. სასაფლაოზე არავინაა — მხოლოდ ერთ საფლავეთან სკამზე მოკაკულა ორი დედაბერი. და უცებ, ქეშად თვალში ეცა თვითმფრინავის პროპელერი, უხეშ, გაუთლელ ქვაზე რომ დაუდგამთ, რომლის ქვეშ განისვენებს გმირი მფრინავი, მათი ქა-

უხანავი რიშინავივილი სახლი



ლაქის მკვიდრი. პრობელარი სასაფ-  
ლოს ღირსშესანიშნაობა იყო და მის  
სანახავად თავის დროზე მთელი ქალა-  
ქი დადიოდა. მფრინავის საფლავიდან  
იწყებოდა აბალახებულები ბილიკი, რომ-  
ლის ბოლოში ერთ მტკაველა მიწაზე  
სამუდამოდ განისვენებდნენ ადამიანე-  
ბი, რომელთაც იგი ეკუთვნოდა. უჭი-  
რდა სიარული ჩაქანტებულ, მოუთი-  
ბავ ბალახში. გზაწერილი მოკლე იყო,  
მაგრამ ასე ეგონა, დიდხანს, ძალიან  
დიდხანს მივლივარო. მერე გამოჩნდა  
წვრილი ფილის ტორსფენილი, ცოტა  
იქით, შემადლებულზე — ორი ფართო  
ფილა, და ბოლოს დაბალი ყორის ძი-  
რში კიდევ სამი დამრეცი საფლავის  
ქვა — აი, ყველაფერი, რაც მისი მრავ-  
ალრიცხოვანი ოჯახისაგან შემორჩა.  
იგი იღვა მიწაზე განრთხმულ ძეწნას-  
თან და შესცქეროდა დრო-ჟამისაგან  
ჩაშვებულები ქვების გროვას, რომელთა  
ფოროვან ზედაპირზე კარგად მოჩანდა  
მისთვის ესოდენ ძვირფასი სახელები.  
თარიღები, თარიღები, თარიღები! ოღე-  
სიდაც ეს იყო საამური, სიხარულით აღ-  
სავსე და ხმაურიანი დაბადების დღე-  
ები. ამ დღეებისათვის ერთადაც ემზა-  
დებოდნენ და ცალ-ცალკეც, ყველასა-  
გან ფარულად, რათა შემდეგ სუფრას-  
თან სხვები გაეოცებინათ. ეს დღეები  
და ახალი წელი ყველაზე ბედნიერი ხა-  
ნა იყო მის ბავშვობაში და ახლაც კა,  
უკვე დაქვეითებული მასხოვრობა  
წვრილად ინახავდა იმ დღეების სით-  
ბოს, გონების დაუძაბავად შეეძლო ხე-  
ლახალა გამოეწვია ის უბრალო და სა-  
სიხარულო შეგარძნებები, რომლითაც  
იმჟამად ცხოვრობდა.

გინნეს რომ ეთხოვა, ერთი სიტყვით  
განესაზღვრა ის, რითაც მათი ოჯახის  
ყოფა და ჰაერი იყო გაქვნილი, და-  
უფიქრებლად უპასუხებდა, თანხმობაო.  
თანხმობა, როგორც თანაცხოვრების  
პრინციპი, როგორც წესი, რომელსაც  
უთქმელად ასრულებდა დიდი და პა-  
ტარა. სახლის ზღურბლს მიღმა შეიძ-  
ლება ქაოსიც იყოს, მაგრამ თუ სახლის  
კარი შეაღე, პური გატეხე, ღვინო იგემე

და თავი მის ერთ ნაწილად იგულე, მა-  
შინ კეთილ ინებე და შეეთვისე. <sup>საქართველოს მწერთა კავშირი</sup>  
რითაც ეს სახლი ცხოვრობს, რასაც მი-  
სი ჰერი და კედლები ეფუძნება. ხში-  
რად შეუძმინევი: როცა დიდი ხნის წი-  
ნათ გარდაცვლილ ახლობლებზე ფიქ-  
რობდა, მხოლოდ გულის გამახარებელ  
წვრილმანებს იხსენებდა და ვერაფრით  
ვერ იგონებდა ყველაზე მთავარს, მნი-  
შვნელოვანსა და არსებითს. მისი მეხსი-  
ერების ეს გამორჩეული თვისება ხში-  
რად აღიზიანებდა, გულში გაბწყალავ-  
და ხოლმე, რადგან ამ არსებითისა და  
მთავარის გარეშე ვერ შეეგუფებინა,  
ვერ გაემთელებინა მაშინდელი თავისი  
ცხოვრება, ახლობლების ცხოვრებას-  
თან რომ იყო ვადახლართული. იგი  
გრძნობდა დაუძლეველ სურვილს უფ-  
რო ნათლად შეეგრძნო, შეეცნო  
მშობლების, დებისა და ძმების ქცევა,  
გარკვეულიყო მათ ურთიერთდამოკიდე-  
ბულებასა და ბედის ხლართებში. იგი  
ყველაზე უმცროსი იყო ოჯახში და ყვე-  
ლაფერს, რაც იქ ხდებოდა, მხოლოდ სა-  
ბოლოო, აშკარა და შეუქცევადი საბიო  
ხედავდა, მათი სიღრმისეული ზამბარე-  
ბი და გამომწვევი მიზეზები კი ჩრდი-  
ლში იყო მოქცეული. არავინ მიიჩნევდა  
საჭიროდ აეხსნა მისთვის, თუ რა ხდე-  
ბოდა და იგი ქვეცნობიერად, ბრმად,  
ხელის ფათურით მისხალ-მისხალ  
იძენდა აკრძალულ ცოდნას, თუმცა  
ბოლომდე მაინც ვერ ჩახვდენოდა მის  
იღუმალ აზრს.

ბავშვობაში განცილიმა ორმა მოვ-  
ლენამ, როგორც ახლა ფიქრობდა, და-  
ამსხვრია მათი ოჯახური ყოფის საუკუ-  
ნეთა მანძილზე ურყევი საფუძვლები და  
თვითონაც ისე შეაძრწუნა, რომ ახლაც  
ცხადად გრძნობდა დაუამებელ ტკი-  
ვილს, ცნობიერების ზედაპირზე ამო-  
ტივტივებულს, ბავშვი კი ფიზიკურად  
ხელშესახებ მწარე გემოს. თავის ნაგ-  
ვიანე ნაფიქრალს ბავშვობისდროინდე-  
ლი შთაბეჭდილებების ნაფლეთებს,  
უნებლიეთ დამცდარ წყვეტილ წინადა-  
დებებს, ირგვლივ მოფუსფუსე ხალხის  
ქცევას რომ უსადაგებდა, თითქოს შე-

ძლო აღედგინა იმ მოვლენათა ნამდვი-  
ლი სახე.

თამარი, 1913-1936. როცა იგი გა-  
რდიცვალა, თვითონ რვა წლისა იყო.  
დის ქორწილი, რომელიც გარდაცვა-  
ლებამდე ერთი წლით ადრე გადაიხა-  
დეს და თვით გარდაცვალება ორ ფე-  
რგადასულ ლაქად ჩარჩა მეხსიერე-  
ბაში. ფაშარი მეწამული მიწა მათი  
ეზოს შორეულ კუთხეში... მხუთვარე,  
დაორთქლილი და გულისამრევად მა-  
თრობელა სისხლის ნაკადი ეღვრება ბა-  
ნჯგვლიან ხელებზე ჩაფსკენილ კაცს,  
გაფიქვინებულ მუცელზე აღისფერ-  
ნაყშიანი, ყვითელი მუშამბის ფეშტა-  
მალი რომ აუფარებია. თავწაჭრილი  
ქათმები დაუცველ-გამიშვლებული  
კისრებიდან სხეულში შემორჩენილი  
სისხლის შადრევნებს ანთხევენ, კრუნ-  
ჩხვითა და ხტუნვით გადაადგამენ რა-  
მდენიმე ნაბიჯს და ეცემიან, არარსე-  
ბულ ნისკარტს მიწაში ჩარგავენ.

გროვად მიყრილი წაჭრილი თავე-  
ბიდან, ბიბილოები გვერდზე რომ მო-  
ღრეციათ, საყვედურით უცქერს ლიბ-  
რგადაკრული თვალის ბუდეები. მწა-  
რე, საწყალობელი ცრემლი მოერია  
და მის თვალწინ თითქოს გაორდა,  
შეიკუმუჭნა, დაიშალა, ადამიანი-მკვლე-  
ლი, სისხლიანი ხელები მოსცილდა  
ტანს და გადიდდა, გადიდდა, გადიდ-  
და, ზეცას გადაეფოფრა... იქით ღუნ-  
ღულა, მიმნდობი ცხვრები ელოდნენ  
თავის რიგს, იქვე ხაოიანი თოკის გაწ-  
ყვეტას ლამობდა ხბო, შავი და მოწ-  
ყლიანებული თვალები რომ ჰქონდა,  
მგარამ ძალა არ ერჩოდა. ყნოსვით  
გრძნობდნენ სიკვდილის მოტკბო სუნს.

მუქ-მტრედისფრად ხრჩოლაგს ჩა-  
შავებულ შეშის ნაბობზე ავარდნილი  
ფოჩიანი ალი, მადლა-მადლა ლოკავს  
სპილენძის ფართო კარდაღებს. ქვეშ-  
ქვეშ ელაციცება აშიშინებულ ტაფებს,  
მერე კი ნარუჯად ედება გრძელ შამ-  
ფურებზე წამოცმულ ხორცის მრგვალ  
ნაჭრებსა და აალყულ წვნიან ხახვს.  
სახე და ხელები ატკრეციათ ცეცხლ-  
თან მიმჯდარ ქალებს, რომლებიც მზად

იყვნენ დიდ ოვალურ ლანგრებზე დად-  
წყობილ ეს სურნელოვანი, ოხშივარაღე-  
ნილი შემწვარ-მოხრაკული, ქონსა და  
წვეწში რომ ცურავდა და გაეტანათ  
გრძელ-გრძელ მაგიდებზე, რომელთაც  
გვერდიგვერდ შემოსხლომოდნენ კარ-  
გად ჩაცმული ქალები და კაცები; თა-  
ვი ყველას იქით მიებრუნებინა, სადაც  
თეთრკაბიანი, რძისფერ-თეთრი, და-  
მბარმავებლად თეთრკაბიანი დის სა-  
ყვარელი სახე ეგულემა, საქორწილო  
ლეჩაქის პაეროვან რიდეს რომ მიუ-  
ჩრდილავს, გვერდით კი თრთის, ხან  
დიდდება და ხანაც პატარავდება თეთრ  
ხალათსა და შავ კოსტიუმში გამოწყო-  
ბილი ზონზროხა სხეული, თეთრმან-  
ქეტებიანი სახელოებიდან შევტი თი-  
თები რომ გამოუყვია, — უცხო სახე  
ჩრდილში დგას, ხანდახან მხოლოდ  
მოკუმული ტუჩები გაიხსნება და მკრ-  
თალად გაიღვებს თეთრი კბილები...

და იქვე, თითქმის იმწამსვე, შელს-  
ვენებლივ თვალწინ წარმოუდგება პა-  
ნაშვილი: მშობლების დიდი ოთახი —  
ავეჯეულობა აივანზე გამოუტანიათ და,  
როგორც ხელში მოხვდათ, ისე ერ-  
თმანეთზე მიუწყვიათ — და ამ პირ-  
აშკმულ სიცარიელეში მხოლოდ სკა-  
მები მოჩანს, ვენური სკამები, ჩიხში  
მეზობლებთან რომ შეუგროვებით და  
კედლებთან მიუდგამთ, ყველა კედელ-  
თან; მარტო ორი კარის დიობია თა-  
ვისუფალი, კარები ჩამოუღიათ და  
ეზოში გაუტანიათ, შავსილუეტებიანი  
ხეებით მორგული ღია სივრცე გადა-  
უქეტავთ. სარკე თეთრი ზეწრით შე-  
უბურავთ; შუა ოთახში დაბალი ტახ-  
ტი დგას, ზედ იატაკამდე ჩამოშვებუ-  
ლი მძიმე ხალიჩა აფენია; გადასაფა-  
რებელი, რომელზედაც მრგვალი ხა-  
ზები ერთმანეთს გადახლართვია, შუა-  
ში იბორცვება — რაღაცას ფარავს, და  
ეს რაღაცა მისი დაა, მისი მკვდარი და.  
სკამებზე ქალები ჩამომსხდარან, ქა-  
ლები, ქალები — ყველა შავოსანი,

შუანანი რიჩინაშვილი  
სახლი

შავი შარფით შებურთული გაყვითლებული სახეები, მხოლოდ სხივამქრალი თვალები იხედება შავი ქსოვილის ლბილი ნაოჭებიდან. ქალების შუაში დედა ზის გამართულად, მარჯვენა მხარი წინ წამოუწევია, არ უნდა მიეყრდნოს სკამის საზურგეს, გაყვითლებული ოფლიანი ხელები მუხლზე დაუწყევია და თავი გვერდზე გადაუწევია.

იგი, მამა და ძმები ოთახის შესასვლელთან დგანან, გვერდზე ჩაუვლიან ქონმორეული ქალები და კაცები, მას თავზე მიეალერსებიან, ხელს ართმევენ მამასა და ძმებს, ეხვევიან და ჰკოცნიან წუხილითა და თანაგრძნობით. იგი კი დგას ხელების სიმძიმით გაჭყლებული, სულში დარბაზის სიციარიელე ჩასახლებია, ბნელში ჩაძირულა ყველაფერი და სადღაც მინც იმედი უკრთის, რომ აი, ყოველივე დამთავრდება, მისი დაიკო, თითქოს არაფერი მომხდარაო, წამოდგება მაგარი ტახტიდან, მსუბუქად შეახებს თითებს დაღლილ შუბლზე და ყველაფერი ძველებურად წარიმართება. სიკვდილი მამან კიდევ არ იყო საბოლოო და შეუქცევადი. რაღაცნაირ ნუგეშსაც ჰკვრიდა: გაჭინაურებულ თამაშს ჰკავდა, რაც სინამდვილე კი არა, უბრალოდ თამაში იყო და, ბოლოს და ბოლოს, უსათუოდ დამთავრდებოდა. და ასე, დგას იგი ძმების გვერდით, პატარა, მაგრამ თითქმის ზრდადასრულებული, ყელში რაღაც წიწკნის, მაგრამ არც დახველება შეუძლია და არც განძრევა. ხმამაღალი მოთქმა-გოდება უხეტიავეს ყურის აფსკს, ატორტმანებს და ათრთოლებს მის დაშრეტილ სხეულს, მაგრამ იგი არ ინძრევა, დგას და ელოდება, ელოდება...

ღის ქმარი სწავლული ბიოლოგი იყო, მკაცრი და თავკერძა: იცოდა თავისი საქმე და მიზანი. მეცნიერება მისთვის თვითდამკვიდრების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. აბა, ისე როგორ დაემტკიცებინა, რომ არავის არ ჰვა-

და, ყველასაგან გამოირჩეოდა. ოღონდ ასე ყოფილიყო და არც თავს ზღაპრულად და არც სხვას. გამუდმებით მუშაობდა, ბოცვრებზე ცდებს ატარებდა და თუ საქმე მოითხოვდა, საკუთარ სხეულსაც უყოყმანოდ დათმობდა ცდების ჩასატარებლად. თავად ავადმყოფურად ექვიანი, თითქმის ყველას, თუ მტრად არა, თავისი საქმისა და სასიცოცხლო ინტერესების შესაძლო ხელმყოფლად მიიხინვედა. ქალებს ზედაც არ უყურებდა, მაგრამ თუკი შეხედავდა, თვალს მოჰუტუავდა და ისე შეხედავდა, როგორც მქრქალ მინას. ცალი მხოლოდ იმიტომ შეირთო, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა საყოფაცხოვრებო პრობლემა — მეცნიერი თავს მუდამ კარგად უნდა გრძნობდეს, მშრალი საჭმელის შემყურე ნახევრად მშიერი კაცს, აბა, რისი თავი ექნება. საცოლეს წინასწარ არაფერი უთხრა, მაგრამ იგი ცოდნით, გამოცდილი კაცის გამჭრიახობით აირჩია, თუმცა ამაში გამოცდილი სრულიადაც არ იყო. საცოლის ოჯახი სულაც არ ედარდებოდა. ამის თაობაზე საკუთარი აზრი ჰქონდა, მაგრამ მის შემოწმებას არასოდეს ცდილა — ახლოს არ მოეშვა, არ შეხებოდა ოჯახის წმიდათაწმიდას, არ გაშინაურებოდა; კაცმა რომ თქვას, მშობლებსაც სწორედ ასე გულცივად ექცეოდა, თავი შორს ეჭირა. მათგან, ისინიც არ ცდილობდნენ ამ მანძილის გადალახვას ან თუნდაც შემეცირებას — მინც არაფერი შეიცვლებოდა. მამამისო, წვრილი ვაჭარი კაცი, კრძალვას, მოწიწებასა და რიღს გრძნობდა მეცნიერებისა და განათლების წინაშე, ამის გამო შვილი, ასე იოლად და მტკიცედ რომ დაეუფლა მეცნიერებას, კერპად გაიხადა, მას მხოლოდ შორიდან და ბრმად სცემდა თაყვანს. ბავშვი სიძის ცხოვრებისეულ გეგმებში არ შედიოდა, იგი უბრალოდ ვერ იბოვიდა თავისუფალ ადგილს სხვა ვენებებით გადატვირთულ მამის სულში, და რომც ეპოვა, ხელი არ შემოშალსო, მაშინვე შეუბრალებლად უკან გამოაძევებდა. მისი აზრით, დედობრი-

გი ინსტინქტი, ყველა ქალს რომ მოსდამს (ამ მხრივ არც მისი ცოლი გახლდათ გამონაკლისი), მტკიცედ და თანმიმდევრულად უნდა გადავიდეს სხვა ფორმაში — ქმარზე მზრუნველობაში, თუ არადა, ამ უთანასწორო კონკურენციაში მამაკაცი ყოველთვის დამარცხდება, მაშინ კი ოჯახური არსებობის აზრი, როგორც თვითონ მიაჩნდა, აბრაოზად იქცევა. ცოლის დაორსულებამ საეჭვოდ გახადა მისი მოსაზრება, ამიტომ შეეცადა, როგორც ყოველთვის, აქაც ისე დაეინებით, უარგუმენტოდ ემოქმედა, — მაგრამ მოულოდნელად, რამაც ყველაზე უფრო გააოცა და გააოგნა, ცოლის ისეთ წინააღმდეგობას, გრძობათა ისეთ სიმტკიცეს წააწყდა, რომ კუდამოძუებულმა უკან დაიხია. მრავალი წლის განმავლობაში მან ისწავლა, ძალ-ღონე ისე, ცხოვრებისეულ წვრილმანებსა და განცდებზე კი არ დაეხარჯა, არამედ უმთავრესისაკენ მიემართა. ახლა კი დანაღვლიანებული მიხვდა, რომ კეთილად დაწყებული ცდის საზიანოდ მეტი ენერჯია უნდა დაეხარჯა.

სიძისა და მამაჩემის სატბრის ნაწყვეტი:

— თქვენ, ალბათ, კარგად არც კი იცით, რას ვაკეთებ, თუმცა ამას თქვენთვის არცა აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მაინც პირდაპირ ვეტყვი: მე მეცნიერი ვარ და სხვა საქმე არ ვიცი, არც მინდა ვცოლო! ბავშვები ერთ ათწელიწადს თუ თორმეტს არა, ჩემთვის და თამარისთვის ზედმეტი ბარგი იქნება, ამის უფლებას კი თავს ვერ მივცემ. თამარი ქალია და ყველაფერს ვერ აგუხსნი, სულ ერთია, ვერ მიხვდება; მაგრამ ჩვენ მამაკაცები ვართ და ერთმანეთს გავუგებთ.

მოღუშული ტანსრული მამა გულისყურით უსმენს. დედა გამართული ზის შორიახლო, ვერკი შეატყობ, რას ფიქრობს ახლა. მამა დიდხანს დუმს, სიძე მოუთმენლად ელოდება მის სიტყვას, მაგრამ მამა ხმას არ იღებს; მაშინ მოთმინებადაკარგული სიძე მაგიდაზე ხელს დაჰკრავს.

ბოლოს, როგორც იქნა, მამა წაბრმობს ქვამს:

— მე არა ვარ მეცნიერი, არც განათლება მიმიღია — ოსტატს რად უნდა განათლება, ჩექმების გვირისტით კერვას, აბა, რა დიდი სიბრძნე სჭირდება. არც რჩევა-დარიგებაა ჩემი საქმე, მაგრამ აი, რა უნდა ვითხრა: ოჯახი არ არსებობს ბავშვების გარეშე, ისინი ხელს არავის უშლიან; ქალმა იცის თავისი ამბავი — მისთვის გაჩნდა ამ ქვეყანაზე, რომ შვილები შობოს და მოუაროს. ოდიფან ასე მოდის და ჩვენ ამას ვერ შევცვლით.

— კი, მაგრამ თქვენი დრო უკვე წავიდა, დასრულდა, აღარ არის. ახლა კაცმა საქმე უნდა აკეთო, თორემ ბავშვების ყოლას რა უნდა. მეცნიერებას მთლიანად თუ არ შეეწირე, ისე არა გამოვა რა. ჰოდა, არ შემოძლია, არ შემოძლია მეცნიერების გარეშე ცხოვრება...

— მეცნიერება, იცოცხლე, კარგი იყოს, მაგრამ თუ მის გადავიდემ არც სიხარული იცი, არც ოჯახი და არც ცხოვრება, მაშინ მაგ მეცნიერებას რა თავში იხლი? მეცნიერება, ალბათ, იმიტომაცაა მეცნიერება, რომ კაცს ამქვეყნად ცხოვრება გაუადვილდეს. ასე მწამს მე.

— სწორია, მაგრამ მეცნიერება რჩეულთა ზვედრია. მე ჩემი ავირჩიე და ასე განვაგრძობ...

დედა ეუბნება მამას, როცა მარტონი დარჩნენ:

— ცოლი ქმარს არ უნდა ეურჩებოდეს, არ გამოვა ასე ოჯახი. თამარი ისე უნდა მოიქცეს, როგორც ქმარს სწავლია. რას იზამ, ამ ბედის ყოფილა უბედური.

— ბავშვი არაფერ შუაშია, — იგი ღვთის ნაბოძებია. არ უნდა თამარს ასეთი ქმარი, იგი მისი კი არა, მეცნიერების ქმარია. გოგო შინ დავაბრუნოთ, ბავშვს ვავზრდით, რაც იქნება, იქნება.

— ხალხში მაინც ნუ გამოჰქენდებით, სირცხვილია. ჰყავდეს ქმარი, შვილს

უზანავი რიქინაზვილი  
სახლი

კიდევ მოესწრებიან — ჯერ ახალგაზრდები არიან. ბავშვიანი ქალი ვის რად უნდა?

— მე მინდა. ხალხმა თავისი საქმე იკვლიოს. მე ხალხისა კი არა, ჩემი თავის წინაშე ვაგებ პასუხს...

პანაშვიდი დამთავრდა, მაგრამ მისი და ისევ იმ ტახტზე იწვა, — აღარ წამოდგარა... სიძე მამამ დაკრძალვაზე არ მოუწვა, ლანჩის ბოლოსავით მოსხიპა, სამუდამოდ...

რამდენიმე წლის შემდეგ, 1949 წელს, იგი ერთ გაზეთში სტატიას წააწყდა.

ციტატი:

„ჯერ კიდევ 1936 წელს ვაისმანის პირწავარდნილი მიმდევარი პოლიაკოვი შეუდგა შერჩევითი განაყოფიერების ექსპერიმენტულ სამუშაოს. ამ სამუშაოთა მიზანი იყო დემეტრიცებიანა, რომ სინამდვილეა თვისებათა გახლეჩის შესახებ ცხოვრების მიერ უარყოფილი მენდელის იდეალისტური თეორია. ამ ექსპერიმენტების მთელი მეთოდია, ისევე როგორც მათი მიზანი, ვაისმან-მორგანისა იყო.“

წერილს ხელს აწერდა სამეცნიერო ტიტულების ყვავილწნულებით დამაჩიმებული მისი ყოფილი სიძე. იგი, როგორც ჩანს მტკიცედ დამკვიდრდა მეცნიერებაში და ყინიანად და გულდასგულ მიჰყვებოდა მას.

თამარი, მისი და. 1913-1936.

— შეილო, ვისი ხარ, რაღაცა არ მეცნობი, — ვერც კი შეამჩნია შორიანხლო მდგარი სიფრიფანა, გადახრწეული დედაბრები, რომელთაც გამოსუნებული შავი კაბები ეცვათ და უჩინო, წირპლიან თვალბზე შავი შარტები მოებურათ. მას რომ გამოეღაპარაკა, სხეებზე ოდნავ მაღალი იყო, მობრეცილ კაცის ქოლგას დაჰყარნობოდა, ბასრი წკარები რომ გამოჩნებოდა. აღმდგრეველი ცნობისწადილი ჩასაფრებოდა ცრემლისა და ღროქამისაგან დაფერ-

ფლილი ლოყების ნაოჭებში. იგი ერთ წამს შეეყოყმანდა, ეთქვა თუ არა, იყო; ბოლოს ერთი თავისი შორეული ნათესავი დაასახელა, რისაც დედაბრებმა მოგონილ-მოჩვენებითი შორისდებულების მთელი ნაკადით უპასუხეს; უმალ გადაქექეს ათობით სახელი, რომელთაგან ერთ-ერთს იგი უთუოდ ნათესავად ერგებოდა. ბებრები ერთმანეთს არ აცლიდნენ, არწმუნებდნენ, არავის დავიწყებობსარო, მართლა არ დავიწყებობსარო; ამასობაში კიდევ დავაჟკაცებულხარ, მაგრამ ცნობით მაინც გიცნითო. იგი გამოუთქმელი მძაფრი სინანულით უსმენდა კეთილი დედაბრების ბუტბურს. და უცებ მთელი სიგარძე-სიგანით წარმოიდგინა მათი ხანგრძლივი, უსიხარულო ცხოვრება, ახლობლებზე მუდმივ ფიქრსა და ზრუნვაში გატარებული. მის სამშობლოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდი ასეთ გულჩვილ, სამადლოდქცულ მამიდებს, დეიდებსა თუ ბიცოლებს, რომელთაც საკუთარი ოჯახი არასოდეს ჰქონიათ, თავი დაძმის სახლებს შეუფარებიათ და გულით შეთვისებიან მათ ნაგრამს, ვინც ახალგაზრდობის, დროის უკუღმართობისა თუ შემთხვევითობის გამო ერთიმეორეზე წავიდნენ ამ ქვეყნიდან და ქალებს ნაადრევ საფლავებზე ბალახის გამომარგვის, ქვის წმენდისა და ცრემლისღვრის მწარე ხედრი არგუნეს, სამუდამოდ რომ დაშრიტა მათი ქალწულებრივი სხეულები. მეძველმანის დუქნისა არ იყოს, ამ დედაბრების მეხსიერება დამძიმებული იყო ათასგვარი წვრილმანი, მოდიდან გამოსული საგნებითა და სიკვდილით გაფერმკრთალებულ ადამიანთა სახეებით, ვინც მთელი არსებით უყვარდათ. მათი ახლანდელი ცხოვრების არე მკაცრად იყო შემოსაზღვრული ძვირფას სამარეთა ლიბოებით. მაგრამ ყოველთვის, როცა უკიდურესი მწუხარების ქამს ღმერთს ევედრებოდნენ, უფალო მიგვიღეო, უცებ ელდანაკრავით შეჩერდებოდნენ და მოწიწებით იწერდნენ პირჯვარს, ეს რამ გვაფიქრებინაო: მათი სიკვდილისთანავე ხომ შე-

მზნარად იქცეოდა იქაურობა და დაეიწყებას ველარავენ მოერეოდა.

გრძნობამორეტულმა კინალამ დაფრთხო დედაბრები, სწრაფად დაუოცნა ჩაყამებული, სიბერისაგან დატალული ხელები და უკანმოუხედავად გაშორდა იქაურობას.

აჩქარებული ნაბიჯით, თავაუღებლივ მიდიოდა გასასვლელისაკენ, რათა აღარ დაენახა ეს ქვები, ქვები, ქვები. „ღმერთო სახიერო, — უგუფუხნებდა თავში, — ღმერთო, როგორ ეთაყვანება ეს ხალხი ქვებს, ქვეშ კი რა არის? — არაფერი, არარაობა, ხრწნადობა!.. მაშ, რაღა საჭიროა ამ ქვების მოგროვება, საფლავებზე დახუხუღავება? ადამიანი მიდის და თან მიაქვს თავისი სამყარო, თავისი „მე“ — თბილი, სიცოცხლით აღსავსე, განუმეორებელი; აქ კი ერთნაირი საფლავების ფერხული გაუმართავთ. არ მესმოდა, არ მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ ამას, როგორ შევეჩვიეთ საგნებს, შეხებას, სხეულს. ეტყობა, ქვა ამ სხეულებრიობის, შეგრძნებითობის, სინამდვილობის შეცვლა უნდა იყოს. ხოლო სიცოცხლე? სად მიდის ეს სიცოცხლე? სული? აზრი? ახლობლებში გადადის, რათა გაგრძელდეს, ისუნთქოს, თრთოდეს... სასაფლაოზე ადამიანი მიცვალებულს კი არა, თავის თავს ეძებს, თავის თავს ამკვიდრებს აქ ქვაში, სული კი დაეხეტება, დაობლებული და უსავანო, ვინძლო ვინმედ იქცეს და გაგრძელდეს, გაგრძელდეს და იყოს. ქვის თაყვანისცემა კერპთაყვანისცემა, ბარბაროსობაა და მაინც არის აქ რაღაც საგულისხმო, აი, ქვას ლოყას მიადებ და სიცოცხლე შეგზარავს, სიკვდილს გაგონებს და ამით სიცოცხლის წყურვილს გიდვიძებს. მაგრამ ეს სურათები რაღაა? „არ დამივიწყო, არ დამივიწყო?“ სიცოცხლე, სული, უნდა გახსოვდეს, თორემ სურათი წამიერი და მსხვერვალია. სურათი გახევებული წამი, სიკვდილი, მდუმარებაა“.

აი, გასასვლელიც აქაა. იგი პირდაპირ ქუჩის ორომტრიალში გარბის, მის უწყე-

სრიგობასა და განუმეორებლობაში. ფეხშიშველა ბიჭმა ფერადი ბურთი ხვედრა და შემცბარი ადგილზე გაიყინა, მერე გაქცევა დააპირა. და მან ღრმად ამოისუნთქა, მაჯისცემა ჩაუღდა, გონება დაეწმინდა...

თამარის გარდაცვალების შემდეგ დედა ყოველდღე დადიოდა სასაფლაოზე. დანაშაულის გრძნობის, ტკივილისა და სიკვდილის უაზრობის გამო ჩვეული სიმშვიდე დაეკარგა, რაღაცნაირი ფუს-ფუსი და დაბნეულობა დასჩემდა. სამაროვანზე აკანჭული ეთერიც თან დაჰყვებოდა, ნახევრად მოზარდი და ნახევრად დაქალიშვილებული ეთერი, ჩითის კაბაში გამხდარი მხრები რომ მოუჩანდა და სიტყვაძვირობითა და მორცხვი უცნაურობით დედას ჩამოჰკავდა. სასაფლაოზე ასული დედა ჩაყანგებულ ყვავილებში ჩაფლულ ლბილ ბორცვაკს მიეხუტებოდა და ცრემლდამრეტილი დიდხანს იწვა ასე უჩუმრად. ეთერს გული ამოუჯდებოდა და ცხროიანივით ცახცახებდა. დაოსებული და გამოფიტული, მამას მივუსწროთო, შინ მოსალამოვებულზე ბრუნდებოდნენ.

მამის ხმა:  
„გეყოფათ სასაფლაოზე სიარული, ქალო; გოგო მაინც შეიცოდე! ჩვენი თამარი სამარეში კი არა, აქაა, სახლშია. უნდა ვიცოცხლოთ, რომ თვითონაც ცოცხალი იყოს. მიცვალებული სულდგმულს სიცოცხლით სჯის და არა სიკვდილით. ჩვენ ხომ ბავშვებიცა გვყავს და სახლიც გვიდგას. სანამ ამ ქვეყანაზე დავდივართ, ვხარობთ თუ ვიტანჯებით, ვიდრე სახლი გვიდგას, თამარიც ცოცხალი იქნება, როცა იღარ ვიქნებით, ისიც სამუდამოდ გაქრება. მეტს ნუღარ წახვალ სასაფლაოზე, ნუღარ წახვალ, გესმის? (სიჩუმე). ტირილს ვინ გიშლის, იტირე, რამდენიც გინდოდეს...“

უშანგი რიშინაშვილი  
სახლი



მაგრამ დედა მინც არ იშლიდა სასაფლაოზე სიარულს, დადიოდა ქარსა და წვიმაში, ცრემლგამშრალი უსიტყვოდ ეხუტებოდა მიწას, ეთერიც მუდამ თან ახლდა. გვიან შემოდგომაზე ეთერი გაცივდა და სამ დღეში დაიწვა



უკვე ყველას სახლს სცნობდა.

ამ ქუჩით დადიოდა სკოლაში. აი, ისიც — სამსართულიანი რუხი შენობა, ფლიგელებით დაოთხკუთხულ ეზოს გარს რომ ეკვროდა; ეზოში ორ ლიტაო თელაზე თვითნაკეთი ღერძი გაემართათ. შესვენების დროს ისინი აქ ლატს ან მრგვალიფრობას თამაშობდნენ. შინ დაბრუნებისას ისე არც ერთ სახლს არ გაუშვებდა, რომ კარზე ზარი არ დაერქვა, — დაჩეკავდა და იმწამსვე მეზობელ სახლს მიაშურებდა. ფანჯრებში ხელად, თათქოს ნიშანზეო, წელზეცაო გამოჩნდებოდნენ ქალები და თავიანთ გუნებისად მუქარას, ლანძღვასა თუ სიტყვას დაადევნებდნენ. ამ ყოფით მიიბრუნდა შინ, წიგნებით გატენილ ჩანთას ავიანზე მიაგდებდა და მაშინვე, წნული კალათით მამას ცხელ შეჭამანდს წაუღებდა. სახელოსნო იქვე, მოსახვევში იდგა. მაგრამ ამჯერად მან არ მოუხვია, რატომ? ისე, არ მოუხვია და იმიტომ. გზა გააგრძელა. შორიდან გამოჩნდა აბრეშუმის ჭიის ქარხნის ვაზემომხვეული ცხატურიანი მესერი და მაღალი რკინის ჭიშკარი, რასაც ხელაწეულიც კი ვერ შეწვდებოდა; და კუტიკარი, სიდაც ხშირად შეიპარებოდა ხოლმე, რაკი ჯიხურში დარაჯს ყოველთვის მკდომარესა და თვალღიას ეძინა და პირი დაებჩინა. უფროსი ძმა გაბო აბრეშუმის ჭიის ქარხანაში მთავარ ინჟინრად მუშაობდა...

მეხსიერებამ არ უღალატა და იმწამსვე თვალწინ წარმოუგა მხარბეჭიანი, წვრილმენჯიანი გაბო, ფართო მუქმწვანე გალიფე, რბილი ჩექმები (მამის ნახელავი) და საყელოამოქარგული, გვერდზე შესაკრავი ხალათი რომ ეცვა: თხელ ბაგეზე შავი უღვაშები შემორ-

კალგოდა, მაღალ შუბლსა და ჩაქარხნილ საფეთქლებზე სქელი თმა გაბოს იგი ყოველთვის ბიძიას ეძახდა და ისიც გულიანად ხარხარებდა ამაზე; ისე, გასაციინი არაფერი იყო — გაბო ერთი ოცი წლით მინც იქნებოდა მასზე უფროსი.

აბრეშუმის ჭიის ქარხანა მას მუდამ იზიდავდა იდუმალებითა და საოცრების მოლოდინით. უშველებელ ინკუბატორებში ეყარა შეუთიარლებელი თვალით თითქმის უხილავი აბრეშუმის ჭიის კვერცხები. თავის დროზე იქიდან გამოდიოდნენ ერთი ციციქნა თეთრი და ყვითელი ჭიები. მერე ამ ჭიებს პატარა კოლოფებით მეზობელი სოფლების სახეგაყინელებულ გლეხებს ურიგებდნენ; გლეხები ფრთხილად შეახვევდნენ კოლოფებს. გაბო ცხენით ჩამოივლიდა სოფლებს და ამოწმებდა, ჩემი პატარები რა დღეში არიანო. ო, რა ბედნიერი იყო მაშინ, როცა გაბო ცხენზე შეისვამდა და თან გაიყოლებდა! თვინიერ ცხენს, მზერაში დარდი და გულგრილობა რომ ჩასახლებოდა, სოფლიდან სოფელში გადაჰყავდა ისინი—ეს ფარცხანაყანევიო, ეს დიდი ჯიხაიშიო, ეს მაღლაკო; ახლა ეზოებს აღარ იკითხავთ? თითოეული ხუთი მათი ეზოს ოღენა მინც იქნებოდა. ეზოებშიც ვეება ბჟოლის ხეები გადაბარკლულიყვნენ.

მაღალი კბეებით სახლის მეორე სართულზე ადიოდნენ. აქ ყველგან, თაროებზე ჩაღის ღერებისაგან წნული ჩელტები ეწყო, ჩელტებზე დაკბილული ბჟოლის ფოთლები გაეშალათ, ზემოდან ბუთუთრა-ბუთუთრა თეთრი და ყვითელი აბრეშუმის ჭიები დაცოცავდნენ და ფოთლებზე წატიფ, უცნაურ მოხაზულობას ტოვებდნენ. შეეძლო საათობით ეცქირა, როგორ ნელინელ ერთდებოდა და ერთმანეთს ერწყმოდნა სულ სხვადასხვანაირი მოხატულობა, თანდათან მცირდებოდა ფოთლები და ბოლოს მათგან შიშველი ღეროებიდა რჩებოდა. გაბო ხშირად ტოვებდა მას ვინმეს სახლში, თვითონ კი კვლავ გზას დაადგებოდა. უყვარდა სხვის სახლში დარ-



ჩენა, მოწყენით, აბა, რა მოაწყენდა  
 ჭიების ცქერით რომ დაიღლებოდა,  
 ეზოში ჩაირბენდა, სადაც მეგობრები  
 ელოდებოდნენ — სოფლის ბიჭები,  
 რომლებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ  
 და რატომღაც თქვენობით მიმართავ-  
 დნენ (რითაც ძალიან ამაყოფბდა). მათ-  
 თან ერთად შეექცეოდა ყვითელ, და-  
 თრათქილ მჭადსა და ჭყინტ ყველს. მე-  
 რე გულს ბეოლკეკალით მოიჭერებდა.  
 ჩუმად და გულისყურით თამაშობდნენ  
 უკანა ეზოში, თავზე კი მოტკბო მტრე-  
 დისფერი ბოლი ეფინებოდათ, მხარხო-  
 ლავ შეშას რომ ასდიოდა. შებნელებ-  
 ბულზე მტერისაგან გაშავებული და  
 ლოყაჩავარდნილი გაბო შეუვლიდა;  
 უღვაშები ახლა უფრო დიდი მოუჩინდა.  
 გამოთხოვებისას იგი ვაჟაკურად ჩა-  
 მოართმევდა ხელს თავის მეგობრებს  
 და ფერდებგამობერილი ცხენი რწვევა-  
 რწვევით მიიკვლევდა გზას ბნელში.

მაგრამ მთელი ამბავი მერე გენახათ,  
 როცა იმ ლოყაგაყინედილებულ გლე-  
 ხებს უზარმაზარი გოდრებით მოჰქონ-  
 დათ ქარხანაში მოვრძო, მქრქალად მო-  
 ელვარე აბრეშუმის თეთრი და ყვითელი  
 პარკები. იცოდა, რომ ამ პარკებში ეხვე-  
 დნენ ყვითელი და თეთრი ჭიები, მა-  
 გრამ საკუთარი თვალთ ეს არასოდეს  
 უხილავს.

სატინის ლურჯხალათიანი ქალები ხე-  
 ლმარჯვედ ახარისხებდნენ პარკს — მე-  
 ტი ნაწილი აბრეშუმსართავ ფაბრიკე-  
 ბში მიჰქონდათ, ხოლო დანარჩენს ქა-  
 რხნის ხმაურთან სამქრობებში შლიდნენ  
 მაგიდებზე. მერე პარკებიდან ამოფრი-  
 ნდებოდნენ თეთრ-ნაცრისფერი მკვი-  
 რცხლი პეპლები და კვერცხების დად-  
 ბისთანავე კვდებოდნენ; იატაკი მათი  
 გაფიტული ფრთებით იყო მოფენილი.  
 შემდეგ ისევ ივსებოდა კვერცხებით ინ-  
 კუბატორები და კვერცხებიდან კვლავ  
 ფრთხილად გამოჰყოფდნენ თავს თე-  
 თრი და ყვითელი ჭიები.

არინ დედამიწის ზურგზე. თავს არ  
 იზოგავენ — საქმეს ჩუმად და  
 ბულად აყეთებენ. აბა, ერთი იფიქრე,  
 ვინ შექმნიდა უბრალო ბეოლის ფოთ-  
 ლიდან ასეთ ნახსა და ლამაზ აბრეშუმს?  
 ვინ? იციან, რომ უნდა დაიღუპონ და  
 მაინც თავისას შერებიან, მუშაობენ და  
 მუშაობენ. აი, შენ უყურებ და ყველა  
 ერთნაირი გეჩვენება, მე კი ყველას  
 ერთიმეორისაგან ვარჩევ, ისევე, რო-  
 გორც ადამიანს — სახით; თითოეულის  
 პარკიც ერთმანეთისაგან განსხვავებუ-  
 ლია, ამიტომაც ახარისხებენ, გვსმის?

გაბო საქმეობზე დააპატიმრეს —  
 ამის შემდეგ შინ აღარ დაბრუნებულა.  
 მამა დიდხანს დადიოდა სხვადასხვა და-  
 წესებულებაში, მაგრამ ვერაფერს გახ-  
 და. ვაბოსთან ერთად დააპატიმრეს დი-  
 რექტორი და კიდევ რამდენიმე ინჟინე-  
 რი. ვერა და ვერ ამხსნა, როგორ შე-  
 იძლებოდა გაბო, ვისაც ჭიაც კი ისე  
 უყვარდა, რომ ყველას ერთმანეთისაგან  
 არჩევდა, ხალხის მტერი ყოფილიყო.

ამის შემდეგ მას დიდხანს ეჩვენებო-  
 და, რომ გაბომ, თავისი საყვარელი  
 აბრეშუმის ჭიისა არ იყოს, პარკი გარს  
 შემოიხვია და ცოტა ხნით გაშორდა ამ  
 ცხოვრებას, მაგრამ დადგება დრო და  
 — ეს გულთ სწამდა და სჯეროდა —  
 გაბო პეპელასავით ამოფრინდება პა-  
 რკიდან, რათა უვნებელი და მხიარული  
 დაბრუნდეს შინ...

მამისა და ძმის მიშას საუბარი:  
 „შენ ჩემი შვილი აღარა ხარ, თუ  
 ძმას განუდექი, ეს ჩემგან განდგომასაც  
 ნიშნავს, დედისაგან განდგომასაც ნი-  
 შნავს. კენი ხარ შენ, მეტი არაფერი.  
 მომწყდი აქედან, თვალთ არ დამენახო,  
 შენი შეხედვაც აღარ მინდა, ძალღის  
 ლეკვო! შენი ძმა გაბო კაცია; თუ ამქვე-  
 ყნად ოდნავი სიმართლე არსებობს,  
 გაამართლებენ, უსათუოდ გაამართლე-  
 ბენ, მაგრამ შენ რაღა გაგამართლებს,  
 რა, რა?!“

გაბოს ხმა:  
 — ეს პატარა ჭიები ყველაზე გამრჯე

უზნავი რიჟინაზვილი  
 სახლი

„ოქვენი შვილი მიხელი გმირულად დაეცა საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში“ (სიკვდილის უწყებდიან).

— გიგლა, შენა ხარ? შენა ხარ, გიგლა?! — ჩაესმა უძალო, მისუსტებული და სულშეგუბებული ხმა. ვიღაცა ეძახდა გადავიწყებულ ბავშვობის სახელს, რომლის ქდერადობა სამუდამოდ გამჭრალიყო მისი ახლანდელი ცხოვრებიდან. არა, არა, მას როდი ეძახდნენ, ან კი ვის შეეძლო ეს სახელი სცოდნოდა. ნამდვილად მოეჩვენა! მაგრამ მაინც მოიხედა უკან, მოიხედა, რათა გული დაეჯერებინა და გზა განეგრძო. ერთი პატარა, გაფშუტული ბერიკაცი, ძველისძველ ჩესუჩის შავ-ყვითელ კიტელზე ფართო სპილოსძვლისფერი დილები რომ ებნია, უყურებდა წინგადმოხრილი, თვალები ეწირპლუბოდა, თითქო ნაცარი შეაყარესო. დანაოქვებული ხელებით, სახსრებში რომ მობრეცოდა და შესივებოდა, ფერდელა ჯოხს დაჰყრდნობოდა.

— გიგლა, — ძლივსლა ვახსნა დამკვიწარი ბავებები და თრთოლვით წარმოთქვა, — გიგლა!

მიხო, ნაღდად მიხო იქნება, თუმცა უკვე დიდი ხანია, თითქმის ორი ათეული წლის წინათ, მიხო მკვდარი, ამქვეყნიდან გარდასული ეგონა. შერცხვა, რომ ასე იოლად გასწირა კაცი, ვინც ამ ქვეყანაზე იქნებ ერთადერთი იყო, დაბადებითვე რომ იცნობდა და ახლაც იცნო, იცნო და ის სახელი დაუძახა, რაც დედ-მამის გარდაცვალებასთან ერთად სამუდამოდ გამჭრალი ეგონა თავისი ცხოვრებიდან: „გიგლა“.

— ძია მიხო, ძია მიხო! — უფორმო ქანგისფერი ქულისკენ დაიხარა იგი, საჩიხე რომ ჩაზნექოდა, — ძია მიხო!

მოხუცმა ძლივძლივობით ასწია ხელი და სახეზე შეახო.

ერთად მიდიან გზაზე. იგი ნაბიჯს ამოკლებს, ბერიკაცის ფლატუნს ეგუე-



ზა; მიხოს დაკორძებული ხელით ეჭიდებოდა რად ჩაუბლუჯავს მისი მაჯა და ჩრდილს ნაკრავ მხარეზე მიუყვებიან ქუჩას მოხუცის სახლისკენ, რომელიც თურმე აქვე ყოფილა და არც კი გჯერა, რომ ეს დაფონცილი სახლი კიდევ დგას; დგას გვერდზე გადაფერდებული — წარსულის პატარა კენძული, უსახური, მაგრამ გულადა კოლოფების რკალში მოქცეული; ატმის ხის რტოები ფერგადასულ, დაბზარულ ფანჯრის ჩარჩოებს ასციცვბია, პირდახეთქილი ბროწეულიდან სისხლისფრად ელავს დაცვარული კაკალი. ოთახში კი თავისა და გაზეთის მტვრის, მძაღე-ჩახუთული სიბერისა და მარტობის სუნი ტრიალებს. ყველაფერი მილაგ-მოლაგებულია და ყველაფერი ძველებურადაა; აი, ახალგაზრდა მამა და მიხო, უღვაწებ-გადაგრეხილები, ჩოხა აცვიათ, სახედა-ძაბული და თვალგაშტერებული სხედან ჭირისაზურგეებიან მაღალ სკამებზე, ხელები მსუბუქ მაგიდაზე ჩამოუდვიათ, და დრო ქანგისფრად გახევე-ბულა ფოტოსურათზე, ქამგადასულ მუყაოს ჩარჩოში რომ ჩაუსვამთ. მიხო ოთახში დაფრატუნებს და მაგიდაზე თანდათანობით გამოაქვს კამკამაღვინით სავსე სურა, ახარხარებული ბროწეულები, პური და მწვანელი — ცვრიანი მწვანე ხახვი და თეთრ-ვარდისფერი ბოლოკი.

იგი ხელში იღებს თლილ ჭიქას, ცრემლმორეული უქახუნებს მიხოს ჭიქაზე, ნელ-ნელა სვამს და ბერიკაცს წინწამოწეულ, ობოლ სევანზე მისჩერებია, დანაოქვებულ ყელზე ძლივსლა რომ აღიჩამოუღის.

— გიგლა, შვილო, აბა, რა გითხრა, თვითონაც არ ვიცი, რად ვცხოვრობ, რით ვცხოვრობ, რისთვის ვცხოვრობ. ეტყობა, ღმერთს გადავაფიწყდი. ვინც მიყვარდა, ყველა მიწაში ჩაწვა, მე კი დავხოხავ ამ ქვეყანაზე. ჩემი ცხოვრება რაღა ცხოვრებაა, მაგრამ, ხომ ზედავ, სული მიდგას. აღარაფერი მახსოვს — შავ ხერელს დაუღია ხახა ჩემს სხონაში, თითქოს სულაც არ მეცხოვროს,



რომ არ მესიზმრებოდეს, ახლობლების სახეებიც დამავიწყდებოდა.

გონება დაებინდა მიხოს სიტყვებზე, დარდითა და წუხილით აევსო გული. რა უნდა უთხრას ახლა ამ ბერეიკაცს, ვისაც არც წარსული აქვს და არც მომავალი, მხოლოდ აწმყო თუ დარჩენია, ცარიელი, ქვევრივით ექოს გამომცემელი? სად, იპოვოს ნუგეშის სიტყვები, განა კი უშველის სიტყვები რასმე, განა შეუძლია სიტყვებით უწამლოს მართობასა და გულმავიწყობას? ჭიქაში ღვინოს ისხამს და სვამს ამ მაცოცხლებელ სითხეზე, მისი ბავშვობის მზვარეზე ნაყენს, სვამს და ყურს უგდებს ბერიკაცის ჩიფჩიფს, ვისაც ვერაფრით დაეცხმარება, მაგრამ ვისი დახმარება თვითონ სჭირდება.

— მე და მამამენმა ათასობით ჩექმა შევკერეთ, ვინ იცის, იქნებ მილიონიც კი, სად არის მერე ეს ჩექმები? აღარ არის, ნაკვალევიც არ დარჩენილა. მაშ, რიდასთვის ვცხოვრობდით თვალგაწყვალეული, რიდასთვის? ნუთუ ფულისთვის, ნუთუ მარტო ფულისთვის უნდა იცხოვრო კაცმა? მერედა, ფულით რას იყიდი? რას იყიდი-მეთქი, გეკითხები! სახლს? მაინც რამდენი სახლი სჭირდება ადამიანს? შვილები უნდა დაზარდოთ — კი ბატონო, მაგრამ შვილისთვის რა მივიცი, ან შენ რას მოგცემს. მამამენმა ექვსნი დაგზარდათ, მაინც მარტო მოკვდა. მაშ, რისთვის ვცხოვრობთ, რისთვის?

საათი კაკუნობდა დაბზარულ კედელზე; რაღაცა ფაჩუნობდა ოთახის კუთხეში. მიხოს მავიდაზე თავი ჩამოედო და ჩასძინებოდა. რა ქნას ახლა, ტახტზე გადააწვინოს, როგორც ერთ დროს მამა აწვევდა? მერედა, — ძილი რომ გაუფრთხოს, ერთადერთი წამალი, რომელიც ბერიკაცს უიმედო არსებობიდან იხსნის?

იგი ფეხზე დგება, ჩუმად აჩოჩებს გვერდზე სვამს და, იატაკმა არ გაიჭრია-ლოსო. ფრთხილად გადის ეზოში. ნელინელ მოიპარება საღამოს ბინდი და მწუხრში იმჭვრევა შემოდგომური ჩა-

მავალი მზის მკრთალი ციკავი. რაღაცა უნდა ქნას, მაგრამ, რა? ერთი კიბეა ვად იცოდა — მიხოს ვერ მიატოვებდა, მარტო ვერ მიატოვებდა კაცს, ასე ცხადად რომ აკავშირებდა წარსულთან, რომელსაც ეძებდა და რომლის დასაბრუნებლადაც ჩამოვიდა. უამწარსულოდ მთელ მის მომავალ ცხოვრებას ხომ ქარი წაიღებდა. მთლიანად უნდა მიაგოს წარსულს, თუ ცხოვრებას აპირებს. მაგრამ ეს როგორ ქნას, როგორ? ახლა უკვე მიხვდა, რით ცხოვრობდა მისი მამა და რომ სწორედ ამან დალუბა იგი.

„უნდა წავიდე, — გაიფიქრა მან. — უნდა წავიდე, სანამდე უნდა გადავდო?“ და მან სწრაფი, მტკიცე ნაბიჯით გასწია თავისი ყოფილი სახლისაკენ. ძალიან სწრაფად მიდიოდა, არ გადავთქვა, ან სხვა რამ საბაბი არ მოვიგონოთ. უფრო აუჩქარა ფეხს. აი იქით, მერე მარჯვნივ და — იქვე ჩიხია მარცხნივ. მოვიდა. მოვიდაო? სადღაა სახლი, სადღაა კუტიკარი და ეზო, მეზობელი სახლის მაღალი კედლით შეჭყლეთილი? ისევ ის ქუჩაა, ისევ ის ჩიხი, მაგრამ სახლი აღარსადაა, სახლი დგას, მაგრამ მისი სახლი არ არის, ის სახლი არ არის, რომლის დანახვასაც ასე ეშურებოდა. გაჩახახებული ლოჯიების ფანჯრებგაფეთილი ოთხსართულიანი კოლოფი იდგა მის წინ, მომრგვალებულ აივნებზე ფერად-ფერადი თეთრეული გამოფენიან:

„არა, შეუძლებელია, შეუძლებელი! — იმეორებდა თავისთვის, — თუმცა რად არის შეუძლებელი, რად? ის ცხოვრება ხომ წავიდა, გაიარა, გაქრა და თან წაიღო სახლი, ეზო, მოგონება, რათა ცარიელ ადგილზე დაწყებულყოფი ცხოვრება — სხვა ცხოვრება, სხვა ტკივილი, სხვა სიხარული...“

— ამოდი სახლში, მე შენ გელაპარაკები! — მეოთხე, სართულიდან გადასმახორდა ყმაწვილი ქალი ბიქსი. — ამოდი-მეთქი, სანამ დაბლა არ ჩამოვსულვარ, გესმის!

**უშანავი რიჟინაშვილი**  
სახლი

— არა, წარმოუდგენელია, დგანან სა-  
ხლის წინ და ყველას დასანახად კოც-  
ნაობენ. ხედავ, როგორ აიშვეს თავი?  
კოცნაობენ! თვალში არავინ უჩანთ,  
უსირცხვილოები!

— გესმის, ისევ სვამენ. საშველი აღ-  
არ დადგა მავათ სმას, არიან ერთ ამ-  
ბავში, ჩვენ კი სიცოცხლე გავვიმწარეს  
და... ამ სიფრიფანა კედელში მაინც  
ყველაფერი გამოდის...

— ეჰ, რაედენ ბატონო, კაცთა სიმ-  
რავლეზე რაღა უნდა თქვა, როცა ახლა,  
სადაც არ წახვალ, ყველგან მანქანა და-  
გორავს. ეზო-ბაღი აღარსად შემორჩა.  
სუფთა ჰაერი გენატრება — ბენზინი-  
თაა აქოთებული. ჰოდა, როგორც გალი-  
აში ისე ვართ ჩვენს ბინებში გამომწ-  
ყვდიული. ეხ, რას იზამ...

— მრავალქამიერ, მრავალქამიერ...

— კოტე, არ გესმის, კოტე! ჩამოდი  
ერთი ეზოში, ნარდი გავაგოროთ.

— მთელი ეზო მედომინოებს უკავი-  
ათ, სჯობს ჩემთან ამოხვიდე, მაცივარში  
ჩეხური ლუდი მიდგას, არ გესმის? ჩე-  
ხური ლუდი მაქვს-მეთქი.

სახლს ირგვლივ შემოუარა, რამე თუ  
მეცნოსო, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა.

და უცებ, მოასფალტებული ეზოში  
კუთხეში დიდ ძირკვს მოჰკრა თვალი,  
ხშირბინდში რომ ელაგდა. ახლოს მივი-  
და, კაკლის ხის ძირკვი იყო, მეტი არა-  
ფერი. მონამულ კუნძზე ჩამოჯდა, ცო-  
ტა ხანს მაინც დავისვენო, დაემშვიდ-  
დეთ.

— ნუცა, აბა ერთი ვახედე, ეზოში  
ვიღაცა ტრიალებს, უცხო ხომ არ არის  
ვინმე?

— შენც რა მოგივიდა, სულ ქურდები  
რომ ველანდება, მომეშვი ერთი.

— ახლაც ვერა ხედავ, აი იქ, კუნძზე  
რომ მოკალათებულა? ასე მაინც რამ  
დაგაბრმაჯა?

— ვხედავ, ბატონო, ვხედავ! ნეტა  
მართლა, ვინ უნდა იყოს? წავალ, ვაქან  
დავუძახებ. ნახოს, ვინ არის...

იგი ადგა, ნელა გაემართა გასასვლე-  
ლისაკენ.

ჰიშკართან გოგო და ბიჭი კოცნიდ-  
ნენ ერთმანეთს. ფეხის ხმაზე თავი აო-  
ღეს, შეცბნენ და კედელს აეკვრნენ,  
მაგრამ გასცილდა თუ არა მათ, ყურში  
სიცილი ჩაესმა, მორცხვი და გაუბე-  
დავი სიცილი...



# ბნობური მკვლელები ჩვენი

## ვიორგი მეტრეველი

---

### ჩიტუნები ვლადიმერს

აბა, დელი-დელიაო  
ჩიტუნები მღერიათ:  
— კენწეროში ალუბლები  
ჩვენი შესაჭმელიაო...  
გოგიტა და კახაბერი  
სულ ამოდ ელიათ...  
აბა დელი-დელიაო,  
ალუბლები ჩვენიაო!

### თ ა შ ა რ ი

ცელქი გოგო დაღონდა,  
ნეტავ რა მოაგონდა?  
— თამარ ქალო, რა ვინდა?  
— მომენატრა მამიდა.  
— ხვალვე წაგაცუნცულე  
ვარდისფერი კაბითა!..

## იმერი ხარაძე

---

### კატუნას საფუარი

— ღრუტუნას ვინ მისცა  
წინსაფარი ხატულა?  
— დაბადების დღისათვის  
მოუქარგა კატუნამ!..

## კ ა რ უ ს ე ლ ი

მიჭრის დათო, მიჭრის ნელი...  
რა კარგია კარუსელი!  
ლურჯამ ძირს არ ჩამოგაგდოს,  
ბიჭო, ფაფარს სტაცე ხელი!

## ღღეს პირველი აპრილია!

ყვავილებს რომ ყნოსავ, ღია,  
განა მართლა ნამდვილია;  
ღღეს პირველი აპრილია,  
მოტყუება ადვილია!

## მთჰარისა ჭყრიძე

---

### ჯ ე ჯ ი ლ ი

მწვანე ჯეჯილს ყაყაჩო  
წითელ ფერად ანათებს,  
მზე სხივს თესავს ყანაში,  
მთვარე გზაენის ბარათებს.

იმ ბარათში წერია:  
— დაპურდიო ჯეჯილო,  
ისე ტკბილად დაგლოცავთ,  
როგორც შვილებს დედილო.

## კვთხანდილ მებრელიშვილი

---

### მევენახე გივი

მევენახე გიგო  
გივის სოტბას ასხამს:  
— ასე კარგად ვენახს  
აგრონომიც არ სხლავს!..

სიხარულით ამბობს,  
გივის პაპა — ხვთისო:  
— ეგ სულაც არ მიკვირს,—  
კვიცი გვარზე ხტისო!

აკვანში ჩაუწვევინია  
ბებიას ციცქნა ანაო,  
დედიკომ ძუძუ აწოვა,  
უმდერა „იავნანაო“,  
ჩაძინებია პატარას,  
ნინო ზის აკვანთანაო,  
არწვევს საყვარელ დაიკოს  
და წიგნს კითხულობს თანაო.  
წაბლის ხის კოხტა აკვანი  
ცაცხვის ქვეშ წყნარად ქანაობს.

## შოთა ამირანაშვილი

---

### ღევსაც დაეჭიდება

მინდა ყველას გაამბოთ:  
უწინ ჩემი ძამია  
ხშირად ავადმყოფობდა  
სუსტი იყო ძალიან.  
ახლა ისე გაკაჟდა,  
ცნობა გაგიჭირდება,  
მისი ღონის პატრონი  
დევსაც დაეჭიდება.  
ეგ ზომ მკვრივი კუნთები,  
იცით, რისი მადლია:  
უპირველეს ყოვლისა,  
დგება დილაადრიან  
და ეზოში გარჯიშობს  
ურვეულო ხალისით,  
მოწონებით უდიმის  
ოქროსფერი აისი.  
ყოველ დილით ამ საქმეს  
ოციოდ წუთს უნდება.  
მერე გამხნევებული  
ისევ შინ რომ ბრუნდება,—  
მადიანად საუზმობს  
და სკოლისკენ ჰაიდა!  
ახე მარჯვე ყმაწვილი  
ყველგან ლელოს გაიტანს.

## მონათხრობი პიესა

დათოს სურდა მდინარეზე  
წაჰყოლოდა გიგის,  
მაგრამ დედამ საბანაოდ  
არ გაუშვა იგი:  
— მუცლის ტკივილს უჩივი და,  
წყალში ჩასვლას ბედავ?  
— არა უშავს, მართო ზურგზე  
ვიცურავებ, დედა.

## გ უ ლ ღ ა

აჩრემა და დედისკენ  
ბაზარში წაჰყვა გულდა.  
— შორია, როგორ ივლიო, —  
მოსმენა არც კი სურდა.  
და აი, უკვე ჩანჩაღით  
ძლივსდა ეწევა დედას.  
დავიდალეო, რომ უთხრას,  
იმასაც ველარ ბედავს.  
— მოიცა, მოგეხმარები, —  
გასძახა ბოლოს ხენეშით, —  
მაგ ჩანთას მე დავიჭერ და  
შენ ამიყვანე ხელში.



## ნებასიურ მოვლენებს — დაუნდობელი ბრძოლა!

„ცისკრის“ საპენალური კორექციონების მსაზღვრე სპარტიმენტის სსრ იუსტიციის მინისტრის ალექსანდრე შუხანაშვილი.

გთავაზობთ ამ დიალოგს.

— პატივცემულ ალექსანდრე, უბრალოდ უფროსად, მაღლობს ვიხდით, რომ დათანხმდით, მონაწილეობა მიგეღოთ ამ დიალოგში. დავიწყეთ პირდაპირ.

საქართველოს კომპარტიის VIII პლენუმზე განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში დისციპლინისა და ნამდვილი სახელმწიფოებრივი წესრიგის დამკვიდრებისათვის ბრძოლის საკითხი, აღინიშნა რომ რესპუბლიკაში იწყება ამ ბრძოლის ახალი ეტაპი.

იქნებ მოუთხოროთ „ცისკრის“ მკითხველებს, რა მიგანიათ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის წინა ეტაპების შედეგებად და რა თავისებურებებით ხასიათდება ამ ბრძოლის ახალი ეტაპი?

— რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ სერიოზული და თანმიმდევრული ბრძოლა დაიწყო პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების პრაქტიკული განხორციელებით. მას შემდეგ საქმე დრო გავიდა და დღეს შეიძლება ამ ბრძოლის შედეგებზეც ვიმსჯელოთ და მისი შემდგომი გაძლიერების პესპექტივებზეც. განვიხილო პერიოდში ჩატარებული შრომისა და ბრძოლის შედეგები მრავალმხრივია. მე მხოლოდ უწყებრივი თვალთახედვით მოგახსენებთ ზოგიერთ ძირითად მომენტს.

პირველი, — კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში აშაღდა სოციალისტური კანონიერების როლი და მნიშვნელობა. კანონიერებისა და მართლმწიფის საკითხები სერიოზული მსჯელობისა და უსურადლების საგანი გახდა. თითქმის ყველა ამ

საკითხზე მიღებულია და მოქმედებს მეცნიერულად დასაბუთებული პარტიული დირექტივა, აღმინისტრაციული ორგანოების ნორმალური, კანონიერი და სამართლიანი საქმიანობისათვის შექმნილია ყველა პირობა. დღეს ჩვენი დარგის ვერცერთი მუშაკი თავის შეცდომებსა თუ ცოდვებს ვეღარ ხსნის შექმნილ სიტუაციაზე, ზედვიდან ღარკვაზე, გადაუღებავ პროტექციონიზმზე მითითებით. პარტიული ხელმძღვანელობა მკაცრად მოითხოვს აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში კანონიერების დაცვის, უკანონობის, თვითნებობის, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შელახვის ფაქტებს ეძლევა უპირისპირ და მკაცრი პარტიული შეფასება.

მეორე, — მოხდა საქმონებისა და მომხვეჭელობის, მჭერთაშეებისა და პროტექციონისტების იდოლოგიური დამარცხება და სოციალური განიარაღება. შეიძლება ამ ხნის მანძილზე მათი და მათი მსგავსი ნაძირალების რიცხვი დიდად არც შემცირდა, მაგრამ დღეს ისინი ვეღარ ბატონობენ. ყველამ დაინახა და დარწმუნდა, რომ თურმე შაქინაციების, საქმეების ჩაწყოა-მოკვარახეების გარეშე შეიძლება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვა, გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, საწარმოო ფონდების და შევება და მიღება, მოსახლეობის მომარაგებისა და მომსახურების ორგანიზაცია. აღნიშნულმა კაცუნებმა, რომლებმაც ერთ დროს „კაცური კაცის“ სახელი დაირქვეს თუ ესეც იყიდეს, დაკარგეს ფასი და გავლენა. დღეს ისინი ვეღარ ხსნიან და ვეღარ ნიშნავენ თანამდებობის პირებს, ვეღარ აწუხებენ უფიც და უღირს თავიხიანებს ინსტიტუტებში, ვერ აცვევიანებენ დისერტაციებს, აღარ ქედმაღლობენ, აღარ ახდენენ უსინდისო გზით შექმნილი ქონების გამო-

წვევს დემონსტრაციას, ცდილობენ შეიქმნან წესიერი კაცის რეპუტაცია და საამისოდ აგრძელებენ სათანადო საბუთებს.

მესამე — დაფასდა პატიოსანი შრომა და ცხოვრება, მშრომელ კაცს დაუბრუნდა რწმენა, გაამაყდა, აღარ ეთავილებდა უბრალო კოსტუმით საზოგადოებაში გამოჩენა, ისწავლა ბავის უფლებებისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლის პოლომდე მიყვანის გზებიც.

ერთი სიტყვით, განვლილ პერიოდში ნეგატიური მოვლენების არსებობას გამოცვალა ეკონომიური, სოციალური და იდეოლოგიური საუკრდენი. სწორედ ეს მიმართა ყველაზე დიდ გამარჯვებად. ზოგჯერ იტყვიან ხოლმე, რომ ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ეს სიმასხნეებში გასწორდა, რაც თვალში საცემი, ზედამირზე იყო ამოტავტავებული. მე კი მგონია, რომ აღმოფხვრა სწორედ ის სიბინძურე, რაც საპირკველში და საფუძველში იყო. თვალში საცემი დღესაც ბევრია და, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება. ამდენი უფლება წყარომ სწორედ ძირიდან უნდა დაიწყო დაწმენდა. ზედამირულ ქუქუხს კი მერე თვითონ გაიტანს...

რაც შეეხება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის დღევანდელ ეტაპს, მე მგონია, ამ პერიოდისათვის ყველაზე ნიშანდობლივია ბრძოლის კონკრეტულია და მასიურობა, ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება იმისათვის, რომ ეს ბრძოლა ვახდეს უფრო საგნობრივი, გეგმავობრივი და მიზანმიმართული. დღეს უკვე ვდარაგვის გააკვირვებ ზოგადი მოწოდებებთან და დღეუფლებით. თვითარა პრაქტიკულად დამატაციო, რა შეგიძლია და რას აკეთებ ჩვენი ცხოვრების გაჯანსაღებისათვის, რას უტოვებ მომავალ თაობებს შენი სახელის კეთილად გასახსენებლად.

— ნეგატიური მოვლენებისათვის სოციალური და იდეური საფუძვლების შერყევა ხომ არ ნიშნავს, რომ ბრძოლა ამ მოვლენების წინააღმდეგ უფრო მშვიდობიანი გზით წარიმართება, უფრო ადვილი და უმტკივნეულო გახდება?

— ბრძოლა ადვილი და უმტკივნეულო არასოდეს ყოფილა და არც იქნება. ადვილია ამ ბრძოლის შორიდან თვალთვლი. დაშვებული შეცდომების აღრიცხვა და კომენტარის გაკეთება. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი არ იქნება ადვილი და უმტკივნეულო იმით, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სამოცდაათიანი წლების შექრთამებთან, მაკინტორებთან და სხვა ანტიმოდებთან, რომლებიც რიცხობრივადაც, მდგომარეობითაც და სინდონითაც არსებითად განსხვავდებიან ოციანი და ოცდაათიანი წლების წინამორბედებთან. დღევანდელი შექრთამე არ არის დეგრადირებული ელემენტი, რომელიც ერთ პოლად არაუხე წამოყვება. დღეს იგი უმტკივნეული და შენობაუბლო ძალაა, რომელსაც გვერდით თუ ზურგში უღ-

გას დამხმართა და მხარისდამჭერთა მთელი რაზმი. ვაჟკაცი ხარ და შენედე რამე, ვაჟკაცი დაგადებს. მე შენ გეტყობ და სინდონი დაქენის, განა არ გინახავთ, საქვეუროდ ცნობილი შექრთამე როგორ წარბეუხურებლად და ამაყი სახით გამოვა ხოლმე აუდიტორიის წინაშე? ყოველთვის მიკვირდა და მიკვირს, ფსიქოლოგიურად როგორ ახერხებს შექრთამე ლექტორი ლექცია წაიკითხოს და თვალში მიუყრდის სტუდენტს, რომლის მშობლებსაც ფუფუნები დასციცელა და მშვენივრად იცის, რომ ეს ყველაფერი კარგად არის ცნობილი მისი აღსაზრდელებისათვის. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა არც ადვილი იქნება და არც დამთავრდება ნაწამი, ვიდრე ყველა ამ ბრძოლის ჭარბსკაცად არ იგულეებს თავს. დღეს ზოგს ეს ბრძოლა მხოლოდ იმითი საქმე მგონია, ვისაც კაცის მოხსნის ან პასუხისგებაში მიცემის უფლება აქვს. ამ წმინდა ბრძოლაში კი ყველას შეუძლებს და უნდა მოწაწილობდეს, რადგან ეს ბრძოლა გვერდება ყველგან: კოლეგიაზეც, ბიუროზეც, ოჯახშიც, ეკლესიაშიც, მეგობრულ წრეშიც და, თუ გნებავთ, საკუთარ თავთანაც.

— VIII პლენუმზე აღმინისტრაციული ორგანოების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად დაგასახელეს თქვენც, როგორც ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი ამ ორგანოებში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და კანონიერების განმტკიცებისათვის. ამასთან დაკავშირებით სინტერესოა, რა მოვლენები და თავისებურებანი განაპირობებს თქვენს შემდგომ მუშაობას?

— დავგასახელეს კი არა და პირდაპირ დაგვაავალეს, ჩაბარებული მუშაობის შესახებ წლის ბოლოს მოვასხნით ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. ბუნებრივია, ჩვენც ვეცდებით, ხელცარიელი არ მივიდეთ პარტიის პლენუმზე. კონკრეტულად რას ვაკეთებთ და რას გაკეთებას ვაპირებთ, მე მგონია, ეს თქვენი მკითხველისათვის დიდად საინტერესო არ უნდა იყოს. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: კანონიერების უმკაცრესი დაცვის პირობებში და ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობასა და ინტელაგენციას სამართლებრივ მომსახურებას უწევდეს, მართლმსაჯულებას ანსორციელებდეს მხოლოდ სპეტაკი, მაღალი კვალიფიკაციისა და წნეობის მქონე მუშაკი, იმასაც ვიტყვი, რომ აღმინისტრაციული ორგანოების სიწმინდისათვის ბრძოლა — ეს არ არის უწყებრივი აქცია. ეს საერთო სახელმწიფოებრივი, საერთო პოლიტიკური საქმეა. ამიტომ ამ საქმეში ყველაზე მთავარი და მოვლობითი დამხმარება, ხელის შეწყობა, რჩევას, მანიშნება.

— პატივცემული ალექსანდრე, არაერთხელ გაცვივონია პლენუმებზე, სხვადასხვა სახის კრე-



ბეზზე რაიკომის მდივნებისა თუ სხვა ხელმძღვანელი ამხანაგებისაგან, ესა და ეს მსხვილი თანამდებობის პირი დიდი დანაშაულისა და კანონიერების დარღვევისათვის თანამდებობიდან გავთავისუფლეთ და რიგით სამუშაოზე გავუშვით პროფესიის მიხედვით.

ნება მიბოძეთ გითხთოთ, განა ის პატიოსანი ხალხი, რომლებიც წლები მანძილზე პროფესიის მიხედვით მუშაობენ რიგით სამუშაოზე, დასჯილი არიან? განა ამით შეურაცხუფას არ ვაყენებთ ათათასობით პატიოსან ადამიანებს, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან თავის პროფესიას? და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა ვახუტებში ავიოტრეია ატეხილი იმის გამო, რომ ვილცამ მომხმარებელს 17 კაპიკი ხურდა არ დაუბრუნა, ან წონაში 25 გრამი დააკლო.

თქვენ როგორ აღასებთ ასეთ მოვლენებს?  
— იურისტებს დანაშაული ცოტა სხვანიორად გვესწის. ყოფაცხოვრებაში დანაშაულს, როგორც წესი, უფრდებენ ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ ქცევას, სამართლებრივი თუ ეთიკური ნორმების ყოველგვარ დარღვევას. ჩვენ კი დანაშაულად მიგვაჩნია მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ე. ი. ისეთი ანტისაზოგადოებრივი ქცევა, რომლის შემადგენლობა აღწერილია კანონში როგორც დანაშაული და რომლის ბრალეულად ჩადენისათვის დაწესებულია სისხლის სამართლებრივი სასჯელი. ნათქვამის საილუსტრაციოდ მაგალითს მოვიშველიებ. პიროვნებაზე, რომელიც საზოგადოებაში უტაქტოდ და თავშეუკაცემოდ იქცევა, ხშირად იტყვიან ხოლმე, ხულიგანია, ბანდიტაო, მაშინ, როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით ამ პირის ქცევა არ არის არც ხულიგანობა და არც ბანდიტოში. კანონის თანახმად, ხულიგანობა წარმოადგენს საზოგადოებრივად წესრიგის უხეშად დამრღვევ და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამოხატულ განზრახ მოქმედებას, ხოლო ბანდიტოში ნიშნავს შეიარაღებული ბანდის ორგანიზაციას სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე, აგრეთვე ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით.

თუ თქვენს მიერ აღნიშნულ ხელმძღვანელ ამხანაგებს იურისტებივით ესმით დანაშაული და მათ მიერ თანამდებობიდან განთავისუფლებული და რიგით სამუშაოზე გამწესებული პირები დანაშაულები არიან სამართლებრივი გაგებით, რასაკვირველია, აქ სატრაპაზო და თავისმოსაწონი არაფერია. აღმანაშავემ, რა დიდი თანამდებობა არ უნდა ეკავს მას, პასუხი უნდა აგოს კანონით დადგენილი წესით, უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და დისაჯობა, მაგრამ თუ თანამდებობის პირი,

თუნდაც „მსხვილი“, განთავისუფლებს და რაგით სამუშაოზე გაუშვებს არა დანაშაულს, არამედ კანონიერების ან სოციალისტური თანაცხოვრების წესების სხვაგვარი დარღვევისათვის, მე მგონი, ეს საოცარი და სხვებისთვის შეურაცხყოფელი არ უნდა იყოს. შრომის კანონმდებლობა დისციპლინური ხასკების ერთ-ერთ ხასხედ ითვალისწინებს მუშაკის ჩამოქვეითებას დაბალ სამუშაოზე. თუ, მაგალითად, ქარხნის დირექტორის ბრძანებით სამჭროს ოსტატი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ჩამოქვეითდა მუშად, ეს რატომ უნდა იყოს შეურაცხყოფელი სხვა მუშებისათვის? ან რა შეურაცხუფაა, მაგალითად, რიგითი ჭარისკაცებისათვის, თუ ვინმე სურფანტი ან ოფიცერი სარდლობამ რიგითად დააკვეითა? მოგეხსენებათ, ასეთ შესაძლებლობას სამხედრო წესდება ითვალისწინებს.

ერთი სიტყვით, თანამდებობიდან დამსახურებული განთავისუფლება არ ნიშნავს მუშაობის აკრძალვას და თუ თანამდებობის პირი ასეთი განთავისუფლების შემდეგ იმუშაავებს რიგით სამუშაოზე თავისი სპეციალობის მიხედვით, ეს კანონიერადაც მიმართა და გონივრულადაც ყოველ შემთხვევაში ეს შეურაცხყოფელი და უხერხული არ უნდა იყოს არც ყოფილი თანამდებობის პირისათვის და არც მისი ახლანდელი კოლეგებისათვის.

რაც შეეხება მოხმარებულთა ზომა-წონაში მოტყუების თაობაზე ვახუტებში ატეხილ აეიოტუსს, მოდით, წურც ამას გავაუბრალოვებთ. იყოლორებულად აღებული ერთი ფაქტი თითქმის არაფერია. მართლაც რა მოხდა, თუ ვინმეს 17 კაპიკი ხურდა არ დაუბრუნეს ან წონაში 25 გრამი დააკლეს! ამით არც მოხმარებულად აღიარებულა და არც გამუდვითი გამდიდრება, მაგრამ ამა წარმოვიდგინოთ, თვეში რამდენ მოხმარებულს ემსახურება ერთი გამუდვითი და რამდენ გამუდვითთან რამდენჯერ მიდის ერთი მოხმარებელი. თუ ყველა შემთხვევაში ასეთ დაკლება-დაუბრუნებლობას ექნება ადგილი, დამეთანხმებით, ეს საკმაოდ დამინჯავს გამუდვითის ჭიბესაც და ხელფასით მაცხოვრებელი მოხმარებლის ბიუჯეტსაც.

— ზოგიერთი მუხლი ითვალისწინებს ასეთ სასჯელს, — ორი წლიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. განა შეიძლება ასეთი ამპლიტუდა? განა ეს საშუალებას არ აძლევს არაერთსინდისიერ მოსამართლეს ივაქროს წლებით? ან იქნებ მე ვცდები?

— ანალოგიური კითხვა ხშირად მომხმარებია და, სხვათა შორის, ყოველთვის იმ ქრალში, როგორც თქვენ დასვით: ერთი და იმავე დანა-



შეუღლისათვის სწავლასწავა სახისა და ზომის სასჯელების დაწესება არაკეთილსინდისიერ სასამართლოს ხომ არ აძლევს ბოროტმოქმედების საშუალებას? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მოდით, ჯერ საქმის ვითარება წარმოვიდგინოთ ისე, როგორც არის, ყოველ შემთხვევაში, როგორც უნდა იყოს ვთქვათ, რომ ორიდან ათ წლამდის ფარგლებში სასჯელი უნდა შეტანილიყო და დანიშნოს კეთილსინდისიერმა სასამართლომ. მაშინ ხომ არაფერია საშიში? ალბათ არაფერი. მართლაც და, ხომ არ შეიძლება პროკურსტესავით ერთ სარეცელზე გავკრათ ყველა დამნაშავე, ერთი და იმავე დანაშაულის ჩამდენი ყველა პირი, ორიდან ათ წლამდის თავისუფლების აღკვეთას თვალისწინებს, მავალითად, სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც ადევნს პასუხისმგებლობას მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის, რასაც დაზარალებულს სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზარება მოჰყვა. წარმოვიდგინოთ, რომ ეს დანაშაული ჩაიდინა ერთ შემთხვევაში, პირმა, რომელიც სასამართლებია ანალოგიური დანაშაულისათვის, არ მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო მოვრალი, დაზარალებულს არ აღმოუჩინა დახმარება, შეეცადა დაეფარა დანაშაულის კვალი და, მეორე შემთხვევაში, იგივე დანაშაული ჩაიდინა პირმა, რომლის წარსული ცხოვრება არაფერი არაა შებღალული, აქტიურად მონაწილეობს შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. გულწრფელად განიცადა ჩადენილი დანაშაული, დაზარალებულს აღმოუჩინა დახმარება. ვანა სამართლიანობა იქნება, რომ ამ პირებს ერთნაირი სასჯელი შეეფარდებოდეს? ჩვენი კანონმდებლობით, სასჯელი არღაა მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებული შრომისაღმი პათოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტიად შესრულების, სოციალისტურის სურთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულიკეთებით. მართალია, დამნაშავე, დანაშაულისათვის ისჯება, მაგრამ სასჯელი ეფარდება პიროვნებას, რომლის სოციალური სახე და დირებულება მართლოდენ ჩადენილი დანაშაულით არ შეიძლება შეუხადდეს და განისაზღვროს. ამიტომ კანონი მოთხოვს, რომ სასჯელის დანიშვნას სასამართლომ მხედველობაში მიიღოს როგორც ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი სასარგებლობის სახით და ხარისხი, ასევე დამნაშავეს პიროვნება და საქმის გარემოებები, რომელიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას. უფრო მეტიც, კანონი უფლებას აძლევს სა-

სამართლოს განსაკუთრებულ შემთხვევებში დამნაშავეს შეუფარდოს იმავე მსუბუქი სახისა და ნაკლები ზომის სასჯელი, რაც გათვალისწინებულია მოცემული დანაშაულისათვის, საერთოდ გათვალისწინებული სასჯელის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, გამოიყენოს მის მიმართ აღმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების დონისძიება.

ახლა კი თქვენს კითხვას დავუბრუნდეთ. რა უფრო სწორია იქნება: ის რომ თვითუფლები დანაშაულისათვის მხოლოდ ერთი სახის და ზომის სასჯელი დეფინირით, რათა არაკეთილსინდისიერმა სასამართლომ ბოროტება არ ჩაიდინოს, თუ ის, რომ კეთილსინდისიერ სასამართლოს შესაძლებლობა მიეცეთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. მე მგონი, მეორე ვარიანტი უფრო გონიერულია. თუ მეთანხმებით, მაშინ ჩვენ ვიზარუნოთ და ვიბარძოლოთ იმისათვის, რომ კანონიერების სადარჯლოზე იდგეს მართლმსაჯულებას ანაორციელებდეს. დამნაშავეს სჯიდეს მხოლოდ კრისტალური სიწმინდის მოსამართლე.

— ყველამ ვიცით, სასამართლო პროცესის დროს ჭეშმარიტების დადგენისათვის რამოდენა მნიშვნელოვან აქვს მოწმის ჩვენებას. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, არავის არ სურს იყოს მოწმე. ხალხის უმრავლესობა ამჯობინებს თვალის დახუროს დანაშაულზე, რომელიც მას თვითონ ძალიან აღუტევებს და აღაშფოთებს. გულში სურს დამნაშავეს საკარიისად დასჯა, მაგრამ დემილს ამჯობინებს. ამის მიზეზი კი ხშირად ისაა, რომ მოწმე არ არის დაზღვეული უსამომუნებისაგან. დამნაშავეს ჰირისუფლები მას აწინებენ, ემუქრებიან და ხშირად ამ მუქარას ასრულებენ კიდევ. სამწუხარო ისაა, რომ მოწმის უსაფრთხოებისათვის თითქმის სრულიად არ ზრუნავენ სათანადო ორგანოები.

იქნებ არ მეთანხმებით? — სავსებით გეთანხმებით, რომ მოწმის ჩვენება უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს საქმიანობაში, რომ იგი ზემო უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას. მე არც მინახავს განაჩენი, რომელიც მოწმის ჩვენებას არ ემყარებოდა. მაგრამ ვერ დაგეთანხმებით იმაში, თითქმის არავის არ სურდეს იყოს მოწმე სასამართლო პრაქტიკას ასე თუ ისე ვიცნოს და ყოველგვარი ავტაციის გარეშე შეიძლება დაბეჭითებით ვთქვა, რომ ჩვენი მოქალაქეების დიდი უმრავლესობა კეთილსინდისიერად ენმარება მართლმსაჯულებას, სწორ და ობიექტურ ინფორმაციას აძლევს სავამოძიებო და სასამართლო ორგანოებს განსახილველი სა-



ქმის ფაქტობრივ გარემოებების შესახებ. ამასთან, ალბათ, ისიც უნდა გავისვენოთ, რომ პროცესში მოწმედ მონაწილეობა, გამოძიებისა და სასამართლოსათვის სწორი ჩვენების მიცემა მართლ მოქალაქეობრივი ვალი როდია, იგი სამართლებრივი მოვალეობაც არის. მოწმის ჩვენების საფუძველზე წყდება კაცის ბედი, მოწმის ჩვენებას ემყარება სახელმწიფოს სახელთი დადგენილი განაჩენი და, ბუნებრივია, სახელმწიფო ხელისუფლება გულგრილი ვერ ქნება მოწმის უფლება-მოვალეობების მიმართ. კანონი ამ უფლება-მოვალეობებსაც განსაზღვრავს, მათ განხორციელების და დაცვის გარანტიებსაც ადგენს. ყველა მოქალაქე ვალდებულია გამოცხადდეს, თუ მას იხარებენ მოწმედ და მისცეს სწორი ჩვენება ამ საკითხებზე, რაც მან იცის საქმის შესახებ. გამოცხადებაზე თავის არიდება, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით. რასაკვირველია, არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქე არ ასრულებს ან არაკეთილსინდისიერად ასრულებს მოწმის მოვალეობას და ამისათვის თვითონ აღმოჩნდება სოღმე განსაკუთრების სჯამზე, მაგრამ სამკითხა მოქალაქეები, როგორც წესი, მოწმის საპატიო მოვალეობას ასრულებენ თავიანთი შინაგანი რწმენით და სინდისის კარნახით.

რაც შეეხება იმ უსამოყენებებს, რაც მოწმის შეიძლება შეხვდეს დამნაშავეს ჭირისუფლებიან თუ საქმის გარკვეული შედეგით დაინტერესებული სხვა პირებისაგან, კანონმდებელს არც ეს შესაძლებლობა გამოჩინება მხედველობიდან. ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმის იძულება ან მისი მოსუიდეა დანაშაულს წარმოადგენს და საქმოდ მკაცრადაც ისჯება. არ ვიცი, თქვენ რა ფაქტები გავით ამის სამტყობლად, თითქოს სათანადო ორგანოები არ ზრუხავდნენ მოწმის უსაფრთხოებისათვის, მე კი უამრავი მაგალითი შემიძლია მოვითხროთ იმის დასადასტურებლად, რომ ამ ორგანოებმა ამხილეს და სათანადო რეაგირებაც მოახდინეს მოწმის დამშინებლებისა და დამშუტრებლების მიმართ.

— მართლმსაჯულების მსახურნი ყოველმხრივ განათლებული ხალხი უნდა იყვნენ, თან კულტურულნი, ზრდილნი, თავდაჭერილნი. სამწუხაროდ, ამ მხრივ ბევრი არაფერი გვაქვს საამაყო. ფართო განათლებასა და სიღარბისლეს ვინ დავძებ, როცა ბევრმა ქართული მართლწერის ელემენტარული კანონებიც კი არ იცის. ზმირად მინახავს და წამოითხავს სასამართლო ოქმები. თმა ყალყზე დამდგომია. ასეთ ნაწერის გასწორებისას მოსწავლეს ორიანსაც არ აღიარებენ. განა ასეთ აღაშიანებს შესწევთ უნარი დაცეან მართლმსაჯულება? განა ასეთ აღა-

შინებებს აქვთ უფლება იმწელონ აღაშიანებულზე?

ხომ არ ვაჭარბებ?

— არც თუ ძალიან. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი მოსამართლის ქცევა, სამსჯავრო სხდომის ოქმი, განაჩენი თუ სხვა პროცესუალური დოკუმენტები სხვანაირ შეფასებას არც იმსახურებს. თქმა იმისა, რომ მართლმსაჯულების განხორციელების ამ მხარეს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ, არ იქნებოდა სწორი, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჩვენი ღონისძიებები, სასამართლო პროცესის კულტურის ამაღლების საკითხებზე მოწუბილი კონფერენციები და სიმპოზიუმები ყოველთვის ვერ იძლევა სასურველ ეფექტსა და შედეგს. ალბათ ეს იმიტომ არის გამოწვეული, რომ ვერ ვახერხებთ სისტემატურად დაეწერით და შევამოწმოთ პროცესის ჩატარების ხარისხი, სხდომის ოქმებიდან კი არ ჩანს, კულტურის, ეთიკური ნორმების დაცვის მხრივ როგორ მიმდინარეობდა საქმის განხილვა. სასამართლო თუ საქმე არსებობდა სწორად გადაწყვიტა, ყველაზე ავიწყდება და აღარავინ ჩივის მოსამართლის უტაქტობასა და უხეშობაზე. რაც შეეხება წერის კულტურას, ეტუბა, ამ საკითხზეც უფრო სერიოზულად უნდა ვიღონოთ. მართლწერის კანონები კი არა, ზოგიერთი საგამოძიებო თუ სასამართლო დოკუმენტის შინაარსსაც ძნელად მიხვდება კაცი. პარდაპირ უხერხულობას იგრძნობ, ზოგიერთი ჩვენი სასამართლოს განაჩენი გრამატიკული თუ სტილისტური თვალსაზრისით რომ შეადარო ქართველი მდივანბეგების ნაწერს. რა პარადოქსადაც არ უნდა ჩავეთვალონ, გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე ქართული მართლწერის სწავლებაც შემოვიღოთ. ალბათ, არც ეს უნდა იყოს უხერხული, რომ აურიდიულ ფაულტიტზე რუსული, გერმანული და ლათინური ენების პარალელურად მშობლიური ენაც იმწავლებოდეს.

— თემიდას რომ ხელში მახვილი არ ეკიროს, სასწორს თავზე გადაამტვრედენო, — ამბობდა ბიორნე. დღეს რა კომენტარი შეიძლება გავკეთდეს ამ სიტყვებს?

— იგივე, რასაც ობიექტური კომენტატორი გააკეთებდა ბიორნეს დროსაც, ადრეც და შედეგაც. თვალემახიუფალი, გრძელ მანტიაში გამოწყობილი, მახვილითა და სასწორით ხელდამშვენიებული თემიდა ჰომეროსიდან დაწყებული დღემდის იყო და არის ნიღაბი ექსპლოატატორული სახელმწიფოს დასჯათა პოლიტიკის ნამდვილი მისწენის დადგარად, მართლმსაჯულებისათვის მიუეტრძობლობის ილუზიის

ნებატორ მკვლევანებს — დაუნდობელი ბრძოლა



შესაქმნელად. მმართველ წრეებს, როცა სჭირდებათ, თემიდან სასწორსაც თავზე ამტვრევენ და მახვილსაც. ნათქვამის დასადასტურებლად მიწათმფლობელური და ინკვიზიციური ხანის პროცესებზე აღარაფერს მოგახსენებთ, საკმარისია გავიხსენოთ ბურჟუაზიული მართლმსაჯულების მიერ გათამაშებული სახამართლო ფარის ოგიუსტ ბლინკის, დრეიფუსის, ანტონიო გრამშის, გიორგი დიმიტროვის, ალვარო კუნიალის და სხვა მრავალთა საქმეებზე.

— და, ბოლოს, ერთი ტრადიციული კითხვა: პროფესიონალური თვალსაზრისით ჩვენი ქურნალის მიმართ ხომ არაფერი გაქვთ რაიმე პრეტენზია ან სურვილი?

— ზოგიერთი ჩვენი მწერლისა თუ პოეტის მიერ ატეხილ დავას რომ ვუყურებ, აღბათ, ჯობია საბრეტანო არაფერი დაგვდეხს, თორემ პასუხების ისეთი სერია წამოვა, ისეთი ძარღვიანი სიტყვებითა და შედარებებით შეგამკობენ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა ხანატრელი გავიხდება. ეს დალოცვალება მაინც როგორ დახელოვნდნენ კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემაში. აღბათ, ასეთი მონადომებითა და ეშხით თავიანთ ძირითად საქმიანობას რომ ეკიდებოდნენ, ჩვენი მწერლობის საქმე გაცილებით უკეთ წავიდოდა. ისე, თუ თქვენი ავტორები ძალიან არ მიწყენენ, სურვილის სახით შევკადრებდი, რომ კანონიერების, მართლმსაჯულების, სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაზე უფრო კვალიფიციურად და საქმის ცოდნით წერონ. მესმის, რომ მწერალი პროკურორი არ არის, ხოლო მხატვრული ნაწარმოები — კანონთა კოდექსი, მაგრამ თუ მწერალი სამართლებრივ საკითხებს ეხება, ამ საკითხებში ისე მაინც უნდა ერკვეოდეს, რომ მკითხველს არ შეუქმნას არასწორი წარმოდგენა ჩვენი კანონიერებისა და მართ-

ლმსაჯულების ძირითად დებულებებზე. მწერალი დიდაქტიკა და ლაპარაკი რომ არ გამომიჭყდნის, მაგალითისთვის ავიღოთ გასული წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მოთხრობა „მსხვერპლი“. მე ლიტერატურის კრიტიკოსი არ განლავართ და ამ ნაწარმოების შეფასებისას ვაინც თავს ვიკავებ, თუმცა უნდა ვითხრაო, რომ ჩემზე მან საერთოდ ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა. დასაწანია მხოლოდ, რომ კანონის თვალსაზრისით ავტორი ყოველთვის სწორად ვერ მსჯელობს. მაგალითად, სამართალში მიცემულ ჯაბა ერისთავს, მიუხედავად მისი პროტესტისა, სასამართლოში დამცველი მაინც დაუნიშნეს, დაზარალებული ისიდორე ჭიბუტი სასამართლო პროცესზე მხოლოდ დაითვისეს დროს შემოიყვანეს, მოსამართლეს სამსჯავრო გამოძიების დროს გულში ეციინება, რადგან მისთვის თურმე ყველაფერი ნათელია და განჩინიც მოხაზული აქვს გუნებაში, გამომძიებელი სიკო მთვარაძე კი საქმეზე განაჩენის დადგენის შემდეგაც აწარმოებს გამოძიებას და ა. შ. შეიძლება ესა და სხვა ამგვარი სამართლებრივი უზუსტობანი დიდ გავლენას არც ახდენდეს მხატვრული ნაწარმოების ღირსებაზე, მაგრამ მკითხველის მართლშეგნებაზე კი შეუძლია კვალის დატოვება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ბევრი სპეციალური ლიტერატურა წამოიკითხავს, მაგრამ ვერაფერმა ვერ წაშალა და ვერ შეცვალა ის შთაბეჭდილება, რაც თავის დროზე მოახდინა ლ. ტოლსტოის „აღდგომაში“, სადაც ამ სასამართლოს საქმიანობა დაზატულია უმადლესი მხატვრული ძალითაც და უდიდესი პროფესიონალური სიზუსტითაც.

— პატივცემულო ალექსანდრე, დიდ მადლობას მოგახსენებთ გულწრფელი და შინაარსიანი საუბრისათვის.





### პირველი ფსოველი

## „ულისწიანთან სისლუსვერი ყაყაღოს ნათი“

„შპანსპენილ ხანს პოეზიის რაობა და პოეზიის მაღალ დანიშნულებაზე ბევრი მივიჩნია. სამართლიანად ჩამოთვლია ჩვენი კრიტიკის საყვედური და გული დაწვევითა თანამედროვე პოეზიის უფერულობით, რაც უპირინციპობიდან, კაცობრიობის მარადი და ზოგადადამიანური სატკივრის ნაცვლად, წვრილმანი ყოველდღიურობით გატაცებისაგან მომდინარეობს. დავეკვირვებოდა და გაკვეთილად მიმიღია, რომ სწორედ ამის შედეგად, შემოქმედებითი გზის მიწურულს ზოგ ჩვენს ნიჭიერ ვეტერანსაც კი ხელთ არაფერი რჩება და საკუთარი თავის უკმაყოფილო, ყურებჩამოყრილი გამოიყურება.“ — წერდა ერთ-ერთი ადრინდელი წიგნის წინათქმავში მურმან ლებანიძე და ამით მიანიშნებდა, რომ პოეზიის ერთი, საკმაოდ დიდი ნაწილი ხანმოკლე სიცოცხლისათვისაა განწირული, რომ სიკვდილის მსახურად ხელი უდღეურ ლექსებს უფრო ადრე გადასწვდებათ ხოლმე, ვიდრე მათ ავტორებს, ვისაც წილად რგებიათ „ყურჩამოყრილი“ ხანდაშეშობა. მაგრამ ნიჭით, ცხოვრების ხილრმეთა ცოდნით, ემოციითა და გულწრფელობით ნაწავი პოეზია ამგვარ ბედს ვერ გაიზიარებს... იმავე წიგნის წინათქმავში პოეტი დასძენდა: „მე ძალიან ნელა ვსწავლობდი ცხოვრებას და ამიტომაც გულწრფელობა დიდხანს შევიწარმინე“. სწორედ რომ გულწრფელობაა მურმან ლებანიძის შემოქმედებაში უპირველესად ხაზგასმის ღირსი, მისი შემოქმედების უპირველესი და მოუცილებელი ნიშანი. ეს ის გარსია, რომლის მჭევრავალ კედლებშიც საჩინოდ აღწევს სიღრმეებიდან წამოსული ნათება ნიჭისა, რომლის წრემიც კეთილად კამკამებს მწერალური შრომით მოწურვილი ოფლისა და სისხლის უ-

მინდები წვეთები. სწორედ ამ ნიშნითაა ყველაზე მეტად აღბეჭდილი მურმან ლებანიძის ახალი წიგნი „რჩეული ღირსია“.

ცოტა რამ წიგნის სტრუქტურაზე: „რჩეული ღირსია“ მოიცავს 1942-1976 წლებში შექმნილ ლირიკულ ლექსებს. წიგნი იწყება 1976 წელს დაწერილი ლექსებით და შემდეგ ქრონოლოგიამ მიემართება უკუსვლით. ბოლო ლექსად წაჩოდეგნილია 1942 წელს მოქმედ არმიასი ყოფნის ეპოს დაწერილი ლექსი. ლექსების ამგვარი განლაგება უდაოდ „მომგებიანია“ და არავითარ უსერხულობას არ იწვევს. ასე, რომ „რჩეული ღირსია“ პოეტის მშ წლის შრომას აჯამებს...

გულწრფელობის, სიმართლის, ადამიანური სულის თავისუფლებისა და სამართლიანობის მედროშე იყო პოეტი დასაბამიდან. მაგრამ ესითი ესამად მძიმე დარც დადგებოდა ხოლმე და ისტორიამ იცის მაგალითები, როცა პოეტმა სამართლიანობისათვის მეტროშის მუნდირი იუდას გრომებში გაცვალა. ეს საშისრობა ყოველ დროში ემუქრებოდა პოეტის სახელს. ამ საშისრობებს ეხმანება მურმან ლებანიძის შეძახილი: „ხალხის სიყვარულს გაუფრთხილდი — ჩანგურს აწყო და ჰბერავ წიგნით, შეკრულ შუბლებს დაუკვირდი — შემოგცქერიან ჭერაც ნდობით...“

მურმან ლებანიძის პოეტური ქვეყანა ბრძოლის ასპარეზია. ესაა სულის ბრძოლა საკუთარ თავთან, გარესამყაროსთან — მარადიული და დაუსრულებელი კონფლიქტის ერთ-ერთი ვარაუდი, ზღვარდაუღებელი და უკიდვანო, როგორც თავად ქვეყანა და სიცოცხლე. ამ კონფლიქტის მონაწილე ღირსიული გმირი, ვინც პოეტური სამყაროს ლოგაეკურ დინებას ხმლთან



მიჰყავს და იგიც, ხისხლისდასუფრეველი, ამგვარად დასკვნით გვეხმარება: „ოღონდ... მე ხიკვდელს ვაპირებ სხვაგვარს და ინდუსივით მე ვერ დამწვევენ... ან დააღებენ ეს ღმერთი სანგარს, ან ჩემი მტრები ძელზე გამხვამენ“ სანამ ფიქრში „მტრის“ ცნება ტრიტიტებს, ბრძოლა, რა თქმა უნდა, არაა დამთავრებული. სანამ ხიკეთის, კლასიკოსთა, ადამიანური თავისუფლებების იდეალები სამყაროს მთავარ დროშად არ ქცეულა, ხმალიც არ უნდა ჩააგო. ხოლო თუ ზელო ხმალი გიპურია — მებრძოლიც გქვია, პატიოსნების, კაცურკაცობის, სიწმიდის — ამ ყველაზე ნათელი მტრეუბნისათვის მებრძოლი. მებრძოლის წინათგანმობა კი ამგვარია: „უფლისციხესთან სისხლსაფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის — დასადრეულის, ალბათ, მაცნეა... შევენიერო არ-ზღვას შუა კავკასიის ხედი და კითხვა: „ვინ ვის?“ — ბებერ გულში ლახვარად შარინა...“ თუცა, უამითად მეომარი — პოეტი, შეხატოლა, თავის გზას უმიმდლო მწერითაც გადასწვდეს: „დასცხრი გულში წასაღები წაუღია უკვე ძერას!“ პოეტი გულწრფელია, ამ მწარე სიწართლეს რომ გვაზიარებს, მაგრამ ეს მინორი როცა ვიწრო, კამარულ მოტივებს ერთავს, პოეტის ხმა უფრო და უფრო გაზარდული ხდება: „შარაბელუშთან“ ძველი „ბრძოტე“ უჭრავს გდა, რომ აიღო და, ვთქვამთ, რომ შუბლში იხლო ტყვია, ან, უხმაურად, ჰიგიენის, ეთიკის დაცვით, ცოლს დახვედრის დაკიდული ქათქათა საცვლით, ან, კიდევ პირის გზა მისამე, — კარგად დასურდვი, მარაბელივით გახვიდვი და აღარ დაბრუნდვი, შე შენ გეტყვი და, შენი ადლათი გავჯოგავს ვინმე, ან, თუ გავჯოგა დაგომადლის კაცობას ვინმე და ამიტომაც: სვი და ქამე, ახარე გულით“ ვფიქრობ, ამ ლექსის პათოსი „მთავარნილია“ „ჩრდილით დიდიის“ საერთო განწყობილებათა ნაკადიდან...

ამჟვეწად ყოვლის აღსასრული დგება ხოლმე და, მითუმეტეს, ნაღვლიან და უმიმდლო განწყობილებათა ნაკადიც წყდება. პოეტური წარმოსახვის ველზედებიან კვლავ ყაყაჩოს მოვლვარე ფურცლები შემოგვცინის. ყაყაჩო — ეპათეტი, მტაცავორა — ბრძოლის, წყურვილის, მძებრუნებების... და რადგანაც ჰვეწნად აძღვნი რამე უხმობს პოეტს, აძღვნი რამე ეუფლება და აღძრავს ქმედებისათვის, — მას ყოფნაც გაართლებულია და ხისხლისდგარავ: „ყაყაჩოვ, შლილს და ტბილს, ჩემზე იმდენი გითქვამს მგონის და კი უმის ქებად ხათქმელი სიტყვა, რომ თუცა ხუნთქვაც ჰიარს ამა მზავართა ხოვლად, მარტო შენს გამო ღირს ჩემი ამჟვეწნად ყოფნა...“ დიან, მანც ღირს ამ აზრის მომცველია მ. ლებანიძის მთელი შემოქმედება. თუკი ლამითიო ხაღმე ყაყაჩოს ნათელს შეეფეთებო თუნდაც წამისად, თუკი ჰვეწნაურ მწუხარებით გახენილს სიხარულიც მოგვეწვევა და აგავსებს თუნდაც ერთხელ.

მას, შენი ყოფნაც ღირს, შენი თავგამოდებაც, ბრძოლაც...

ცხოვრების სრბოლა, მწუხრის მოახლოება რომ ახლავს თან, მახლობელ ადამიანთა განშორებით რომაა აღბეჭდილი, თავისსავე თავში მოცაცვს ამ ამბების გამო აღძრული ტიკილის განქარებასა და დაძლევის შესაძლებლობას. „წუე ჩადის, ბინდი ყველაფერს ჩქმალავს — სახლებს, მოედნებს, ოცნებებს ტიკილს...“

ზემთო ვთქვა: ჰვეწნაურ საქმეთა სიმძაფრე და კონფლიქტური ხასიათი პოეტში მეომრის სამტიკოს ზრდის — მეთქი. და, რადგან პოეტი მებრძოლს ფარავთ გვევლინება და არა კაბინეტში გამოკეტული ესთათის ბენსნეთი, ჩვერთვის მოულოდნელი ისთათის ფორმა, რითაც მითხველს ესაუბრება პოეტი. ესაა მარტივი, ნაგრამ სოცოცდლის ნიშატანი ფორმა: მეომრის საშოსელი. ფორმა, რომელშიც მრავალი ნიუანსით ცხადდება „ინტელექტუალური და ხორციელი სიმატე“ პოეტისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. ლებანიძისათვის არც ვერლიბორი და თეთრი ლექსია უცხო ხილი.

მ. ლებანიძის თითქმის ყველა ლექსს ძაბილის ნიშანი აბოლოვებს. ეს ამბავი უდავოდ მიგვანშნებს ამ პოეტის ხასიათზე, მისი რღმეუთა თვისებებზედაზე. იგი ძაბილს დამორგუნველი პოეტია, ერთვინულ ტიკივლზე ხმაშალდა მოსაუბრე, შემართული მსაჭელი. ეს ნიუანსიც ერთერთი მთავარია მ. ლებანიძის მთელს შემოქმედებაში.

ყოველ პოეტს, თუ მთლად განწირული არ არის, თავისი მკითხველი ჰყავსო, — ბრძანებდა მ. ლებანიძე თავის ერთერთ ადრინდელ კრებულში. ამით მიგვანიშნებდა, რომ იგი თავისი მკითხველის ერთგულია. ამ აზრს ამტიკვებს მისი ყოველი ახალი წიგნი და ბოლოდროინდელი რჩეულიც, სადაც მ. ლებანიძის პოეტური საშორის კიდევანს საკმაოდ დასრულებული სახით გამოიკვანს. ამ სამყაროს კარგად ერწყმის ბოლოდროინდელი ლექსების ხმაც, თითქოს მინორული, მაგრამ, მანც იმედისფესვიანი, ძალოვანი: „კბილები — დამცლარი ლიბები — დამწყლარი სახე — დამწყველი, დაუძლურებულ დი ვანება — გახარებული სიმზუნს აძღვარი ოცნება, ოცნება — აუსრულებელი კლდეები ირდევოდნენ, ქუა-ღორდი მოცვიოდა, ქვის მდგა, ქვის მდგა უფსკრულთან სკამლოვანი: დარჩება საქართველოს ლექსები — ოცოდები, ათიოლ გორვანქა — ძვლები გალოკელი...“ ანდა კიდევ: აბულმა, მისვლო მამცლო, უნდა შენდომა გთხოვო, შენ საუკუნეც კაკრო. ჩემო წილხვედრო დროლი გმადლობ — იმედით მათრობი გმადლობ — მისტუმრებ დადლილს! გამოვლიძიებას, გმადლობ ჩემი ქართული ხალხის!...


ბოლოდროინდელი ლექსებში გამძაფრდა პოეტის ტიკილი. იგი თითქმის ყოველ ახალ ლექსს თანაჰყვება, ხან მიჩუმათებული, ხან კი



მოღვაწე და ზეაწეული. ამ წიგნში ის გვივლი-  
ნება წიაღის დინებების ერთ-ერთ ტოტად, გუ-  
მანით, რომ შევიცნობთ და ვხვდებით, რომ უხი-  
ლავია, ტაბუდადებული, რიტუალური საადუშ-  
ლოებისა და განაწესების მომცველი. აქ ისახება  
სანტიანას ერთი სენტენციის აზრი: პოეზია თა-  
ვის ყველაზე ჭეშმარიტ სახის წიაღში მოიცავს  
მოქმედი რელიგიის პოტენციას... და პოეტოც  
მავედრებელი მლოცველივით მუხლმოყრილია  
თავისი ტკივილის წინაშე. მას უყვარს თავისა  
ტკივილი. ჩვენ მოწმენი ვართ ამისა, სიყვარულს  
კი კომენტარები არაფერს მატებს... პოეტის ეს  
შუქ-ჩრდილოვანი ქვეყანა ტკივილში განბანი-  
ლად წარმოგვიდგება, განუწილველად, მთლიანი  
სახით, ხოლო ტკივილზე თითქოს აქ კრინტს  
არვინ სძრავს. აქ მხოლოდ მისი სუნი ტრია-  
ლებს, სუნი და იღუმალი აჩრდილი ტკივილისა...  
და არავინ არ იცის, მომავლის მკითხველისა  
და მჭვრეტელის თვალში როგორ გაილანდება  
ეს ტკივილანი ქვეყანა... ხოლო იმ თაობებს,  
ვისაც ამგვარი ტკივილი საკუთარი არსობის

ნაწილად შეცვლია, მურმან ლებანაძის წიგნის  
ახლოვლად, მოზიარედ და მოზარედ გახუცება,  
თანამდგომლად და თანამგზავრად ეყოლება თა-  
ვის ძნელ გზაზე.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა წიგნის მხატვ-  
რულ გაფორმებაზე, რაც, ამთავითვე ვატყვო,  
შესანიშნავად შეუხსრულდება ნიჭიერ ახალგაზრ-  
და მხატვარს გოგი წერეთელს. გ. წერეთელი  
რამდენიმე წელია, რაც ემსახურება ქართული  
წიგნის მხატვრულად გაფორმების ძნელ და სა-  
პატიო საქმეს. მან უკვე დაიმკვიდრა ორიგინალ-  
ური და თვითმყოფადი მხატვრის სახელი. ყო-  
ველ მის ახალ ნამუშევარში ჩანს მაძიებელი შე-  
მოქმედის კვალი, რაც უდავოდ აღნიშვნის ღა-  
რისა, „რჩეული ლირიკაც“ სწორედ მხატვრული  
გაფორმების ორიგინალობით გამოირჩევა. სუპე-  
რის მხატვრობა და კრებულში მოთავსებულ  
ლინოგრაფიურები კარგად ეხმიანებიან ლექსების  
საერთო განწყობილებას, ავსებენ და ამდიდრე-  
ბენ წიგნს.





## გურამ ბენაშვილი

# დიდი გზაგამდინი

დღეს, როდესაც მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოიკვეთა თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის მყარი და მრავალსახოვანი კონტურები, როდესაც თავისუფლად შეიძლება თავის მიდევნება მისი არსებობის თვისობრივად განსხვავებულ ეტაპებზე, ალბათ სტერეოტიპად ქცეული აზრის გამოერება შეიძლებოდა: ლიტერატურული ცხოვრების ყოველ თვით უმცირეს მონაკვეთს ჰქონდა თავისი საკუთარი მიკროსამყარო, დროის სუბსტანციიდან წარმოშობილი ეთიკური კომპლექსები.

რალა თქმა უნდა, დრო და დრო ლიტერატურის საუფლოში ხდება ე. წ. სეისმოგრაფიული რყევა, უფრო სწორედ, ფორმისა და შინაარსის მოულოდნელი მუტაცია, როდესაც მოძველებულად ცხადდება შემოქმედთა გარკვეული ჯგუფის მხატვრული აზროვნება, სამყაროს გრძნობითი აღქმა, გამზღვანების ხიტყვიერი ქსოვილი. ამგვარი რეაქცია ბუნებრივად წარმოშობს ახალი მსოფლხედვით და გამოხატვის ახალი ფორმებით აღქურვლი ლიტერატურულ თაობას, რომლის დაბადებას ხშირად თან სდევს საზოგადოებრივი სკეპსისი და, უპირველეს ყოვლისა შიში ნორმად ქცეული ტრადიციის დათრგუნვისა და არასასურველი ქაოსის დაქვედრებისა. დროთა მდინარებაში ცხადი ხდება, რომ ახალი თაობა თავისში ძველის მსხვრევას კი არ ითავსებს, არამედ აუცილებელ შემოქმედებით რეკონსტრუქციას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ნოვაციები ერთ პარადოქსალურ თვისებასაც ამჟღავნებენ: პოეტები, რომელნიც არ განიზიდებიან ტრადიციულად აღიარებული მანერისაგან, მიეკუთვნებიან შემოქმედთა პირველხარისხოვან რანგს და ლიტერატურის ისტორია მათ მიმართ უფრო „ლმობიერია“, ვიდრე ე. წ. ნოვატორების მიმართ. პოეზიის შინაგანი ლოგიკა ფრიად მერყეობს და არაერთმნიშვნელოვანი.

უახლესი ქართული პოეზია არ იძლევა ამ-

გვარ გრადაციითა გრაფიკულ ნიმუშს. მის საზღვარში არ მომხდარა შედარებით ძველ პოეტურ კულტურათა დევალივაცია და აშკარად შესამჩნევი ნოვაციები. საუკუნის საწყისის რამოდენიმე დიდი შემოქმედის მიერ მონიშნულ პოეტურ სივრცეს განსაკუთრებული არაფერი მოჰმატებია, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ დღეს არ არის წარსული ტკობის ხანა. ახლის შექმნის განსაკუთრებული სწრაფვა, ზოგიერთისათვის ნეგატიურად შერაცხული ექსპერიმენტები დღევანდელი პოეზიის „განწვალების“ უამად უნდა გაიზაროს და არა მიაი უზრუნველი ყოფის გასართობ რეციდავებად. ეს არ არის ჩვეს მიერ ნათელი ფერების განსაკუთრებული გამშუქება. იგი რეალურ სურათად წარმოიდგინება.

დღევანდელი ქართული პოეზიის „შებარბაცება“ მომავალში ალბათ მისი უკეთესი პერსპექტივების სიმპტომადაც უნდა იქცეს. თვითგამორკვევის, საკუთარი ქეშმარიტი ლირიკულების დადგენის და შემდეგ ახალ ინიციატორთა“ ძიების უამი უკვე ჩამოდა. ამჯერად უკვე შედეგებია საინტერესო და ობიექტურად ასაწონი. იმ თაობას, რომელსაც დღეს განსაკუთრებული უღელი დაადა ჩვენმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ, ჰყავს ერთი ბევრისაგან გამორჩეული, ძალზე საინტერესო პოეტური ბიოგრაფიის პოეტი, რომლის არსებობა ერთგვარად აწონასწორებს მისი თაობის შემოქმედთა ნერვიულ პულსაციას, განსაკუთრებული ხიბლით მოსავს მას. სწორედ ამგვარად წარმოიდგინება ემზარ კვიტაშვილის შემოქმედება. პოეტური კრებულში „ხე ცხოვრებისა“ მისი შემოქმედებითი გზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია.

კომენტ „გადარჩენილი ხალამური“ ავტორის ლირიკული ჩანახატების ერთ მთლიანობაში მოქცევა, რომელთაც კომპოზიციურად კონკრეტ-



ტული იმპულსი აერთიანებს (მცხეთელი ბიჭის სამარხისა და მისი ჩონჩხის აღმოჩენა).

პოეტური აზროვნების ძირითად მომენტად ქცეულია გამაფრებელი ინტერესი და ამდენად უურადღების არეალში ექცევა მხოლოდ ის, რაც ორგანულია ამ ინტერესისათვის. განწყობილება და განცდა წამყვან პრინციპადაა ქცეული ინტერესთა გამაფრებების დროს. მრავალსახეობრივი ხილვების ერთი გრძნობით გაერთიანება საბოლოოდ იძენს ძლიერი ვნებების ძალას.

სქემატური სურათი პოემის მთლიანი ხანისა დაახლოებით ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: მუზეუმის ექსპონატებს შორის პოეტის უურადღებას იქცევს არქეოლოგიური ძიების შედეგად მოპოვებული ნიმუში — უძველესი სალამური. და იწყება ფიქრი იმ პატარა მცხეთელ ბიჭზე, რომელიც ერთ დროს ფლობდა ამ ჭადღისნურ საქრავს:

აცეკვებული ღვთებრივ კინით,  
შენი თითები წარმოვიდგინე,  
მერე თვალები წარმოვიდგინე,  
ასკერ მოკლული გული ვიტყინე.

პოეტური ფანტაზია აცოცხლებს იმ გარდასულ სამყაროს, თავისი განუმეორებელი სურნელითა და კოლორიტით, რომელიც ასე ახლობელი იყო მცხეთელი ბიჭისათვის. ტრაგიკული ღაღადისი უდროოდ გარდაცვლილისა, მისი ბავშვური სული აღსარება, დროის უპრცესი მონაკვეთის იდუმალ დინებაში, მის უწყვეტ წრებრუნვაში განიხილება. წარმართული და ქრისტიანული სამყაროს მითოლოგიზირებული შრეები ლირიკული გმირის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ანტურაჟადაა წარმოდგენილი. გულწრფელი თანადგომა, გმირის ტკივილებისა და ბედის უშუალო განცდა პოემის ლირიკული ნაქადის უპირველესი პოსტულატია. იგი აწესრიგებს, წონასწორობაში მოჰყავს მისი აზრობრივ-ემოციური სახე და მდღეობის როლს ასრულებს არქაიკოსა და თანამედროვეობას შორის.

პოემის ფინალი მჟორულია. ცხოვრების მუდმივი დინების, მარადიული განახლების უცვლელი კანონი ნათელ განწყობილებათა გამოწვევის იმპულსადაა ქცეული.

მამულის ჭავრი სასთუმლად გედო  
ამდენი ძილი ვის არ დადლიდა,  
ძმაო უმცროსო და ძმაზე მეტო,  
რას ინატრებდი იმ სიმაღლიდან.  
მწვერვალის თავზე გიწევა დილა,  
ელავს კალთები თეთრი ტიტანის,  
შენი სიმაღლე და შენი კბილა  
ბიჭი ცეცხლისფერ ხარებს მიდენის.

პოემას ვრცელი მდინარება უფრო ვრცელსავე წარმოადგენსა და ინტერესი მოითხოვს (სწორედ ინტერპარტაციას, მისი სახეობრივი სისტემის, ზოგადად პოეტური აზროვნების გართულებული კონსტრუქციის გამო).

ინტერპრეზიში განსაკუთრებული განცდა სრულიად ახალი კუთხით შემოდის თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. იგი თითქმის განიძარცვა იმისაგან, რაც ადრე წარმოადგენდა მისი ისტორიის უარსებითეს შინაარსს. ცხოვრების გართულებული სტრუქტურის ფონზე ბუნება უკვე აღარაფერს გვეუბნება წარსულის დაზინდულ დღეებზე. იგი თავისი ბუნებრივი დროის დინებითაა გართული.

ჩვენს ცხოვრებაში წარმოდგენილი ფაქტულობა, რომლითაც წარსულია შემოხილი, ის ლირიკული ნათელი, რომელიც გარსემოიკრიბა წარსულ ეპოქათა ისტორიულმა ცნობარებამ. ის ცოცხალი ინტერესი წარსულის დოკუმენტებისა თუ ნაკვალევებისაღმა, კადეც ერთი შედაპირული გამოვლენაა იმ ფაქტისა, რომ წარსულის დავიწყებას შექადებული ადამიანი ცდილობს თავის საკუთარ თავში და იმ საგნებში, რომლებშიც იგი იპოვებდა მოხილვის იმგვარი ისტორიზში, რომელიც თავის შინაგანი არსებით იქნება მისთვის ორგანული დისტანციისა და არასახურველი სქნელის გაჩენამ ისტორიისა და ადამიანის ურთიერთობას ერთი განსაკუთრებული მოდუსი მოაქნინა, რომლის არსებობა სწორედ დღეს არის ხელშესახები. ეს არის ისტორიის (თვით უღრმეს შრეებზეა აქ ლაპარაკი) გამრუდებული დინების, მისი შუქ-ჩრდილების განსაკუთრებული ტკივილებით განცდა, წარსულის წინაშე სივრცისა და დროის დინებას გადამლაზავი პასუხისმგებლობის გრძნობის არსებობა. ამ ფსიქოლოგიური განწყობით აღიბეჭდა ჩვენი დროის ლიტერატურული ცხოვრება. ყველაზე მძაფრად, ბუნებრივია, მასში გახშირდა ქართველი კაცის ცხოვრებაში ამოწრდილი „ახალი ისტორიზმის“ კონცეფცია, ასე დაიძვივრა თავისი კუთვნილი ადგილი დროის შინაგანი დოკვივის იმანენტურმა ფსიქოლოგიურმა მოდუსმა.

ეს ვიცი — სულ რომ გაქრეს ქვეყანა,  
რა სიბნელეშიც არ ჩავექანო,  
თან ჩავიყოლებ, ჩემს თავზე მეტად  
დავიმახსოვრებ, მწვანე ზეგანო...

ვიყო შესაგით გაუხარელი,  
შენსაგით წყალში მეგავს ლოგინი...

**გურამ ბანაშვილი**  
დირი ბზავგარაინი



ხელის გულზე მიღეს მარალო,  
შინდა შენს ხარებს ავალოკინო.

(გადარჩენილი ხალამური)

ელეგური ინდეფერენტობის მშვიდ მღა-  
ნარებას უპირსპირდება ღრობის უხასრულო  
სივრცეში განფენილი „მარადიული სიკვდილის“  
გაღამლახავი ენერგია. თანამედროვეთათვის  
საცნაური ხდება წარსულის „ფიზიკური“ გან-  
ცდის კიდევ ერთი სრულიად ახალი მოდულა-  
ცია. მიუხედავად პოემის ერთგვარად გაჭია-  
ნურებული და დაფანტული კომპოზიციისა,  
ფრიალ ხანტერებსა მისი ფიქრით აღბეჭდილი  
ბახაუები, რომელთა დამოუკიდებლად დამოფ-  
რებული მხატვრული ხანებები ხაყუთარი სიცი-  
ლხელი ცხოვრობენ და განსაკუთრებული წი-  
ბლით იმოსებან.

ეს მერე მოხდა, დიდი ხნის მერე  
შენ განემზადე. — საღაო დაღა,  
როგორც ელოდი — დაგიღა ჭერი,  
არად გიღირდა წამება მათგან..

არის ღრეობა,  
ხელის ფათური...  
არის გამეცემი ყველა ასაკის.  
არის ვაჭარი და მეზადური,  
არის მეძავი და ავაზავი  
სხვამ ნახოს, სხვათა თვალებმა კვირიტონ  
ჭილყავის გუნდი, პურს მისუელი...  
არის მოყვასი და არის ჭვრიდან  
გარდამონსნილი შენი სხეული.

(გადარჩენილი ხალამური)

წენობრივი და მორალური საფუძვლების  
უძირითადეს კონცეფციად წარმოდგენა პოემის  
შინაგანი აზრობრივი სტრუქტურის მარგვლით-  
რებულ პრინციპადაა ქცეული. ამ პრინციპის პა-  
რადიგმებად გაიასრება მთლიანი პოემის თვით  
დამოუკიდებელი მომენტები.

მიუხედავად იმისა, რომ აზრთა გაცხადე-  
ბის გამჭვირვალე კონსტრუქციები ღმინანტის  
უფლებებით ხარგებლობენ პოემაში, რომ მისი  
სი „სემანტიკური აღქმა“ გადაუღახავს სირ-  
თულმებთან არ არის დაკავშირებული, იგი  
მიანიც ვერ წარმოიდგინება იმ ტიპის ნაწარმო-  
ებად, რომლის ბოლომდე გაცნობიერება პო-  
ემის ტრადიციული მოდელის მოშველიებათა  
და გათვალისწინებით შეიძლება მოხდეს. რამ-  
დენადაა გამართლებული პოემის ეს ექსპერი-  
მენტო (დღეისათვის არა ერთადერთი) და რაც  
მთავარია, რამდენადაა იგი ორგანული ქართული  
პოეტური კულტურისათვის, ეს ღრობის ღი-  
ნებაში გაირკვევა. მე პირადად მომწონს ამ-  
გვარ სიახლეთა (თუ იგი შინაგანად განცდილია  
და ბოლომდე გაცნობიერებული პოეტისათვის)  
ბათოსი. მის ლიტერატურულ ფაქტად ქცევა

მომავალში ახალ სივრცეთა (თუნდ უშეცდველ  
სის) გადახსნის პერსპექტივებს წარმოსჩინებს.

პოემა „ზე ცხოვრებისა“ „გადარჩენილი  
ხალამურის“ ლოგოკურ გაგრძელებად წარმოიდ-  
გინება. ფორმისა და სიუჟეტური განვითარე-  
ბის ახლებური განხორციელების სურვილმა ხაყ-  
მაოდ ორიგინალური შედეგი გამოიღო. პოე-  
ტური ხილვების არაჩვეულებრივი მონაცვ-  
ლეობა ამ შემთხვევაში კულმინაციურ ზღვარს  
აღწევს. ფანტასმაგორიული ნიღბების კარნა-  
ვალური სვლა თითქმის სცილდება გონისმიერ-  
ი აღქმის საზღვრებს და მარადიულ ქაოს-  
ში იძირება. პოემის მთლიანი სტრუქტურა  
რატომღაც ნიუარის საიდუმლოებით ნაშენულ  
გარშემოწერილობასა და განსაკუთრებით მისი  
ღრმა ზვეულებიდან ამომავალ ხმათა ილუმინა-  
ციას მახსენებს. „რაციონალური“ გარსა პოე-  
მისა ალბათ გარკვეული ინტერპრეტაციის სურ-  
ვილს აღძრავს შკითხველის წინაშე. თუცა  
არც იგი ემორჩილება ერთმნიშვნელოვან გა-  
სრებას.

არ მესირცხვება — მეძახდე მონას,  
გული ანგრიო, სისხლი აფეთო..  
შენმა ხსენებამ ცრემლებად ჟონოს,  
ტივილო ძველო და უცხებლო,  
ამომენებთა, ამიტანს ფინი,  
დამოკლებულო ჩემო აღვირო,  
არაფრად გიღირს სახელი შენი  
იმეფრიალო და დამაყვირო..

არა ნახატი და არა სქემა,  
აღესილ შალზე ზურგით აცემული,  
გეკიდე, რა თქვენს თვალებმა ჩემმა  
თუ გეცნო საზე და ტანსაცმელი,  
არა თვენ — ლანდებს გაუტანია,  
ღანაზე ყელი მაქვს გამევირო,  
რასი დამიჭირდა, რასი მიცენა,  
რა ნუგეშია ჩემი წერილი“.

ცხოვრების განვლილი სივრცის რეტროსპექ-  
ცია გაშვარვებული შთაბეჭდილებების რამო-  
დენიმე სიმოლურ სურათად კონკრეტდება, რო-  
მელთა ირეალური დინება, აღამიანის არსებობის,  
მისი სიცოცხლის უძირითადესი საზრისის ურ-  
ოულესი საკითხების ამოცნობას დახტრიალებს.  
პოემის სათაურის ავტორისეული ფორმულირე-  
ბაც, ალბათ სწორედ ამ კუთხითაა გამართლე-  
ბული. არც ის არის შემთხვევითი, რომ პოე-  
ემის იდეური ჩანაფიქრის უძირითადეს ანტუ-  
რუალ ვებებრთელა პარკისა და მისი ერთი ატ-  
რიბუტის — ცირკის მანეთია წარმოდგენილი.  
აღამიანთა საცხოვრისის ეს მეთროსამყარო თი-  
თქოს უფრო უკეთ ავლენს ყოვით ცხოვრებას  
განრიბებული ამამიანებას მოჩვენებით ღირე-  
ბულებას. ცირკის თადებქვეშ თქმული ქონდრის  
კაცის ტირადა ყვედადღევილის, უპოვარისა და



განკაცულის გულის საოხია მიჩვენებითი სი-  
კეთითა და ბედნიერებით გაბრწყინებული კა-  
ცობრიობის მიმართ თქმული:

გამქლავებული თესლია კაცი,  
ვერ აუთავდა ამდენ სიანესს...  
სული — ზაფხულის ცასავით ზაცი —  
დნება, ცოდვებმა დაიჩაივებს.  
ნუ დაედლობი, შენი გზით წადი  
ღმერთი ახსენი, თუ არ დავცოფა,  
არ მოგეცოფა სიკვდილის ბადე,  
გაემარა შური და თვალთმაქცობა:

გახარებთ ხილვა — კოკლის, ელამის,  
თოქზე გასული ფარბახალი, გრება...  
დააყრილ სიცილს თუ რომელიმეს  
დაუცდა ფეხი, ყინული ხეხა.  
თვალის ხამხამი, პირის ცმატური...  
ვერას დამკვლავს თქვენი გინება,  
თავაშვებული და უწმინდური,  
პირიქით, კიდეც გამოეცინება.

იცვლება დღევარცა და ლირიკული გმირის  
ხილვები სრულიად მოულოდნელი ნიღბებით  
ივლება. მახინჯთა და დავრდომილთა ვეება პრო-  
ცესია, რომელნიც ადამიანთა ფეხდაგმული ცო-  
დვების იპოსტასად წარმოიდგინება, მიექა-  
ნება კუბრის მორევში. ისინი განწირულნი არ-  
იან დასადუშავად. ამ პროცესის საკმაოდ  
ვრცელი პროწესული აღწერა, მათი სიმახინჯის-  
დეტალური წარმოსახვა შემთხვევით არ არის  
პოემაში შედარებული დიურერის, შანს ბალდუნ-  
გისა და კრანახის გრაფიურებთან (მე მათ მივუ-  
მატებდი ბრიგელის, ედვარდ მუნსხისა და გუ-  
სტავ ვიგელანდის სახელებსაც). ავადმყოფური,  
მახინჯი სულის მდგომარეობის გამოსახვის პრი-  
ნციპები ზოგიერთი ზემოდაღნიშნულ მხატვარ-  
თა ტილოების ყველაზე დამახასიათებელი შტ-  
რხია. ისინი, ჩემი აზრით, პოემის საკმაოდ  
ვრცელი ნაწილის არქიტექტონს წარმოადგენენ და  
არა შემთხვევითი ასოციაციების გამოწვევის  
მიზეზს. ცოდვების ბრბოდმეორეული მასის გა-  
ნაჩენი კიდეც ერთხელ უსვამს ხაზს მათი არ-  
სებობის უაზრობასა და სატანტურ ბოროტებას:

მინახავს თქვენი ცეკვა-სხმარტალი,  
თქვენი კანონი და სამართალი.  
კედელი, ნესტით გადახავსული  
აქ მოგროვილა ყველა ავსლული.  
უფსკრულის თავზე უნდა ექანო  
უნანი უსახო, უკიდვანიო.

ფანტასმაგორიული სამყაროს ხილვას სცე-  
ლის ცნობებების ნაკადის მიერ ამოტივტივე-  
ბული სრულიად ახალი ასოციაციები, მათი გა-  
მოწვევის იმპულსად კვლავ დასასვენებელი პა-  
რკის აუცილებელი დეტალები ქცეულა (აუ-  
ზის გამოყვირავლება და მისი ფსკერი, ვეებერ-  
თელა მოტრიალე ბორბალი და სხვ.). პოემის

ამ ერთის შეხედვით არამყარსა და დაქვემდებარებულს  
სტრუქტურას კვლავ ადამიანის სტეკთესა... და  
ბოროტებაზე, მისი არსებობის საზრისზე და-  
ფიქრებული განსჯა აერთიანებს, ერთ მთლიან  
კავშირში წარმოადგენს. ცხოვრების მრავალ-  
განპროვად წარმოდგენილი ხის ურთულესი  
სახის წარმოდგენამ კიდეც ერთხელ გაიარა მარ-  
ადიული ზნეობრივი განსწმენდელი. თანა-  
მედროვე ადამიანის ცნობიერებაში იგი კვლავ  
თავისი მარადიული სახით, შეუქმრდილთა მო-  
ნაცვლეობით აღიმართა.

ზე ცხოვრებისა ამაოდ ვხატე —  
ცრემლი დაისხა ნაყოფის ნაცვლად.  
მემზობა შენი სიზმრების ბადე  
არ მიწერია ვაქცევა, გაცეა.  
ვერ ამოვედი შენი ხარკიდან,  
შენი გულიდან, შენი საკვიდან,  
უნეტარესო და უმწარესო,  
ყველა მიწიერი დასაკარგიდან.

ფსიქოლოგიური დავკვირებანი, რომელშიაც  
უარყოფლია რეალური სინამდვილის აღწე-  
რილობითი, ემპირიული გაანჩრება, შემოსაზღვ-  
რული საკუთარი ლოგიკით, გონებაპერტების  
გზით, საკმაოდ თამამ და დამაქრებელ  
ცხოვრებისეულ სიზარტემდედ აღის. ეს ფრიად  
გაბედული ექსპერიმენტია, რომელსაც თავისი  
გარკვეული ჩრდილოვანი პერსპექტივებიც გა-  
ანჩია. ნათელია მხოლოდ ერთი რამ, რომ მი-  
ნავანი გრძნობა მხოლოდ ცხოვრებასთან კვე-  
შირში მოიძიება და რომ ნებისმიერი თეორია,  
ნებისმიერი ანსტრაქცია ისევე ნელ-ნელა „გა-  
მოსარობს“ ხელოვანს, როგორც ვირტუოზულ  
ოსტატობას გაუსხივისწებელი შოგოვანება. ეს  
უძველესი ქეშმარიტება დღესაც ძალაშია და  
აღბათ არც მომავალში დააპირებს პოციციების  
დათმობას. პოემის მიმართ ნათქვამი კალამბური  
თავის გამოფხვრას მოითხოვს. კიდეც ერთხელ  
გავიშორებ, რომ მე მომწონს პოემის ჩანაფე-  
ქრი, იმართლის მიმცემი. ჯანსაღი ძალა, რომ-  
ლის ერთადერთ მიწანს შეადგენს ადამიანურ  
ურთიერთობათა ნათელი ფერების გამკვეთრე-  
ბა ბოროტი საწყისების ვიზუალური წარმოსა-  
ხვის ფონზე, მომწონს ავტორის ლირიკული  
მედიტაციების შედეგად „აღმოჩენილი“ გან-  
წყობილებათა „სამყარობა“. მაგრამ არ შემა-  
ძლია ინდიფერენტული ვიყო პოემის ერთი  
განსაკუთრებული მოწონების მიმართ. მე შეწ-  
ვენება, რომ პოემის განვითარებას, მიუხედა-  
ვად ტრანსცენდენტალური ხილვების მოძალე-  
ბისა, ნატურალისტური ხატვის მაქსიმალური  
მიყვავართ პოეზიის ყველაზე მშვენიერი ეს-  
თეტიკური ეფექტების დიორგუნვაში (თვით  
ეს ნატურალიზმიც მოულოდნელისა და წარ-

გ. შარამ ბენაშვილი  
ღირღი ზავაზავარდინი



შოუდგენელის სახითაა მოცემული). ჩემთვის ვერაფრით ხერხდება პოემის უზოგადეს კონცეპტუალურ საზრისთან მთელი რიგი პაროდირებული პასაჟების თვით უშორესი ასოციაციებით დაკავშირება და საბოლოოდ მათი აზრი. ბოლომდე პოემის თვით ფორმალური კონსტრუქციაც ვერ სტოვებს ჩემთვის სასურველ შთაბეჭდილებას. ლექსისა და პროზაული თხრობის რიტმული მონაცვლეობა ზედმეტად მჭანჭანად ისედაც არაკომპაქტურ ფაქტურას. გულწრფელი მსჯავრი იმ რწმენის უფლებასაც გვიტოვებს, რომ საინტერესო, თამამი ექსპერიმენტების უამრავად აღმოჩენათა აუცილებლობით შეიცვლება, რომელიც თავის განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ქართული პოეტური კულტურის მყარ ფასეულობათა მრავალფეროვნებაში.

მი მინდებოდა, რომ თანამედროვე შემოქმედთა ერთი ნაწილის თვალსაწიერს სავალალოდ ვიწრო პორიონტი გააჩნია და როგორც აუცილებელი შედეგი მისი, იწყება აბსტრაგირებულ ხილვათა დაუსრულებელი ვარიაციები. ამგვარი ფსევდოპოეზია მწადაა კოეკტურის რიტორიკით „ეთაშაშოს“ სიღრმისეულ შინაარსს მოკლებულ იდეას ისე, რომ იგი ბოლომდე გაუცნობიერებელი დარჩეს მისთვისაც და მკითხველისთვისაც. იმ თაობამ, რომელსაც ე. კვიციანიშვილი ეკუთვნის, ამგვარ „ნოვაციებს“ დაუბირისპირა სააზროვნო მასშტაბების სიფართოვე, თავისი ხალხის და საკუთარი სულის ქემშარიტი ხედვით, სიღრმისეული რწმენით აღბეჭდილი პოეზია.

სახელი? — ყველას, ვინც ეტანება, დიდება? — ვისაც მოესურვება.  
 მე — მხოლოდ შენი ძილში ზმანება,  
 მე — მხოლოდ შენი ციცხლით ხურება.

მეძახის ჩემი მღვიმე და ხარო —  
 თან ჩაყვე ფესვებს და ჩაგეტანო,  
 შენ — მოგაუგუნე მზეო და ზარო,  
 ხმელო წიფელო, ბერო ქედანო...

მიწაშებინარ და უნდა მწამდე —  
 ჩემი ბოლნისი, ჩემი ატენი...  
 იხილონ — როგორ აგზოდაც ცამდე  
 სიძლიარ ჩემი... ცრემლად ნადენი.

(სახელი)

მათი აზროვნების ცენტრში მოექცა უპირველეს ყოვლისა ადამიანის ბედი და როლი საზოგადოებრივი ფსიქიკური ცხოვრების რთულ გზაჯვარედინებზე, ეთიკურ და ესთეტიკურ ღირებულებათა გადაფასება და კრიტიკული განსჯის პათოსი. მათი ცნობიერება თითქმის უკუაგდება ტრადიციული პოეტიკისათვის ნიშანდობლივ „ეფექტებს“, მაქსიმალურად ავიწროებს წრეს, იფარგლება იმით, რა-

საც რეალურად ხედავს. ამ სახით ხდება მისი ბითში „ჩასახლება“, სწორედ ამ შეუფერადებელ არსებითზეა პროეცირებული მათი თვალთახედვა. საკუთარი სუბსტანციაც „არსებითს“ პრიზმაშია ამოკითხული. მინდა გავისხენო ე. კვიციანიშვილის ლექსი:

ფიცრულზე აყუდებული  
 დაქანებული სახსისი...  
 აყვავილებულ ეზოში  
 ვზივარ არაფრის მაქნისი.  
 ვინა თქვა ჩემი სახელი,  
 სად თქმულა ჩემი შეძლება,  
 დიდი წვიმებით დამბალი  
 მიწა ფეხიდან მეცლება,  
 მე უნდა ოფენი მდიოდეს,  
 თვალთაგან ციცხლი მცვიოდეს,  
 ტაროასხმული სიმინდი  
 ზედ თავზე გადამიოდეს...  
 ფიცრულზე აყუდებული  
 დაქანებული სახსისი...  
 მაშაშაპულ ეზოში,  
 ვზივარ არაფრის მაქნისი.

(ფიცრულზე აყუდებული)

ყოველ წარმოთქმულ სიტყვას გააჩნია რამოდენიმე აზრი, რომელთაგან ყველაზე აღსანიშნავია ამ სიტყვის წარმოთქმის მიზნით. ციტირებული ლექსის შექმნა ექვთარეშეა დაკავშირებულია ჩვენი არსებობის მრავალ მტკივნეულ საკითხთან. სადა და ნათელი სათქმელი შინაგანად დამუხტულია დრამატიზმის განუმეორებელი განცდილი. დღევანდელი ეროვნული კომპლექსების მოწესრიგების დიდი სურვილია პოეტურ კრებულში წარმოადგინო მრავალრიცხოვანი ლექსებისათვის მიუცია ავტორს „დიდაქტიკის“ — სახე. გულწრფელი საუბარი მკითხველთან განსაკუთრებული ინტონაციითაა განცდილი. ამ ცილის ლექსებს. საინტერესოა, რომ „დიდაქტიკური პოეზიის“ ტერმინის მნიშვნელობამ ამ ბოლო დროს ცვლილება განიცადა. ინფორმაციის გადამოცემთან ერთად იგი აღიპურვა „მორალური შეგონების“ ფუნქციით. მეორე სახესხვაობის პრიორიტეტი აშკარად გამოიკვეთა. იგი ისწრაფის დაარწმუნოს მკითხველი ავტორის მიერ გამუდვანებული შეხედულებების ქემშარიტებაში. წინასწარ უნდა ითქვას, რომ კრიტიკული ელემენტი ორგანულია ყოველგვარი ხელოვნებისათვის. ყოველი დისციპლინირებული შემოქმედება გვირდს ვერ აუღიოს მას და ის ბუნებრივია ხელოვნების საკუთარ თავთან მოთხოვნეულობის საფუძველს წარმოადგენს. ამგვარ ტენდენციებს უკლებლად უფრო მძაფრად ლირიკა ამჟღავნებს, ეს ერთი შეხედვით ყველაზე ნაწი და სათუთი სახე პოეზიისა. ლირიკა აშკარად უფრო ძლიერადაა დაკავშირებული კრიტიკულ ინტონაცი-



ებთან, ვიდრე დრამატული და პროზაული ზე-  
ლოვნება, ყოველივე ეს გამომდინარეობს მისა-  
სუბიექტურობიდან, სწორხაზოვნებიდან და იმ  
უშუალობიდან, რითაც სიტყვა ლირიკულ მო-  
ეწინაში იქცევა გრძნობების, განწყობილებების  
და შეხედულებების მატარებლად. წინაში წა-  
რმოადგენილი ლექსებიდან ხელშესახებად გამ-  
ოიკეთება წინეობრივი სახე მრავალ თავსატეხ-  
საკიბოსზე დაფიქრებული აღმეიანისა. ლირი-  
კულ განცდებში „მოთვინიერებულნი“ ვნებები  
ზოგჯერ ინფანტილური სახით ცხადდებიან  
მკითხველის წინაშე:

როცა ვიგრძენი, როცა გავიგე —  
ცხოვრება მთელი იყო მიწისთან  
გამოთხოვება, სხვა არაფერი,  
მზით განათებულ ფიჭვის წიგრებებს  
თვალს ვეღარ ვწყვეტდი დაღამებამდე...  
ყოველ გუბეში, ყოველ შემთხვევით  
დამდგარ გუბეში (ასე ხედავდი)  
ჩანდა მაცხოვრის ვეება ხელი,  
სხვაგვარი ყოფა არც მიფიქრია,  
გომზერდი რიდიდ და ერთაიარად  
მყოვარდა მუღამ ნუში და ძქვად,  
რადგან ორთავე შენ ერთი აზრით  
აღმოაცენე და გაახარე

მადლობელი ვარ, ასე რომ იყო,  
მადლობას გწირავ, თუ რამეს მიხვდი.

(როცა გავიგე)

ამ ტიპის ლექსები განსაკუთრებული სი-  
სახვით წარმოგვიდგენენ პოეტის „სულიის პეი-  
ზაჟის“ ვრცელსა და საინტერესო სურათს.  
გრძნობათა სიმდიდრე და ფანტაზიის თავისუ-  
ფლება, რომელიც მისი სულის ჭაღარსურ ფე-  
რმენტს შეადგენს, იქნეს გამოსახვის შესანიშნავ  
ფორმას და საოცრად ახლობელი ხდება ჩვენი  
ცნობიერებისათვის. უბრალო საგანთა გაშაშ-  
ვლებული და ტრივიალური ფორმების შეუნიღ-  
ბავად, გამოცდილების საუნჯიდან გაცემული  
საღებავებით მიღწეულია საგანთა ახლებური  
გაცოცხლება. არც ის დარჩება ალბათ შეუნი-  
შნავი, რომ ზოგჯერ პოეტური ხედვის განსა-  
კუთრებული დატვირთვა შედარებით პრიმი-  
ტიული ფორმით ცნაურდება, იქნება შთაბე-  
ჭილება რომ სათქმელის სიღრმე თრგუნავს  
გამოსახვის ფორმებს, საკმაოდ მძიმეა მისი შე-  
დარებით სუსტი „მზრებისათვის“. ამგვარი ანო  
მალა გამოწყობისა და შეიძლება არც კი ყო-  
ფილიყო აღნიშვნის ღირსი. მე შეჩვენება, რომ  
იმგვარი იმპოზანტური აზრის ასე გაცხადება,  
რასაც პოეტური კრებულის ავტორი გვთა-  
ვაზობს ლექსში „განზიდავა“ შეუძლებელია.

ზოგჯერ ხალხი შეგმლის:  
პალტოს დასაკიდზე ზრუნევენ...  
ვითომ არ იციან —  
არაფრის დაკიდება რომ არ შეიძლება.

ამ შემთხვევაში უიშვიათეს გამოწყობისა  
ჩემი ყურადღება გამახვილებული. იგი კრედი-  
ტისაგან მიღებულ დიდ შთაბეჭდილებებსა,  
თქმა უნდა, ვერ გააფრმკრთალებს.

საბჭოთარი ფსიქოლოგიური პორტრეტის  
ძერწვას, შინაგანი სულიერი სამყაროს გულ-  
წრფელ „გამომწერებას“ და ამ გზით პოე-  
ტისაკენ მიმართული ცნობისწადილის დაქმა-  
ყოფილებას ყოველ დროში განსაკუთრებული  
ფასი ენიჭებოდა. საინტერესო იყო ყოველთვის  
ის, თუ როგორ წარმოედგინა შემოქმედს თა-  
ვისი ფუნქციის აღსრულების გზები, როგორა  
იყო მისი სამყაროსთან ურთიერთობის ფორ-  
მები, რადიციული მხატვრულ აზროვნებასთან  
საკუთარი დამოკიდებულება. ამ საკითხების  
რკვევა ხშირად სცილდებოდა წმინდა ლიტერა-  
ტურის ფარგლებს და იგი ემოქათა სულიერი  
ცხოვრების ორიენტირებად წარმოისახებოდა.  
ახეა დღეშიც, პოეზია საკუთარი ფიზიონომიის  
მართებულად ძიებითაა გარტყებული. იგი გა-  
ფაციცებით ეძებს საკუთარ ანსებაში მიმა-  
ლულ შესაძლებლობებს, ახალ სიცოცხლეს  
შთაბერავს დროის სივრცეში მივარდებულ თა-  
თქოს უმნიშვნელო დეტალებს და ამგვარად  
პოეტურებს ყველასგან განსხვავებულ „L'art  
poetique“-ს ასე უწყვეტი ჭკვიანი მოიძარ-  
თება დროის უღრმესი შრებიდან შემოქმედ-  
თა მირიადი წარმოდგენები, შეხედულებ-  
ები. რაღა თქმა უნდა, იცვლება წმინდა ეს-  
თეტიკური თუ დროის ფსიქოლოგიური მო-  
დუსიდან მომდინარე სამყაროს აღქმა-წარმოსა-  
ხვის ფორმები, ენის ფენომენისაღმი დამოკი-  
დებულება. მაგრამ ერთი რამ ღრმად სწამდა  
აზრის მხატვრულად თქმის სურვილით აღბეჭ-  
დილ პირველ პოეტსაც და დღევანდელ შემოქ-  
მედსაც, რომ ამ ქვეყნად სიყვითისთვისა და სი-  
ყვარულისთვისაა მოვლენილი:

იდექი, ხელში გეპირა პური,  
რაც კი ოდესმე სჭეროდა ვისმეს.  
სღუმბლი, იდექი, ვერ გავგებულა,  
ასე უეცრად რომ გაპყოლოდი  
მწუხარში ანთებულ უსასურლობას...  
ვერ დატოვებდი მას ამ ღამეში,  
ვინც შენ გელოდა და პურს ელოდა,  
ვერ დატოვებდი, თორემ შეგველო  
წითლად გაწეული ზოლს გაპყილოდი,  
გველო დანთქმული მნათობის კვალზე,  
პირდაპირ გველო.. ადრე თუ გვიან  
გაგიგრილებდა ცისფერი ტალა  
ქვებზე დახეთქილ და დამწვარ ქუსლებს.

(პოეტი)

ბაზრამ განაშვილი  
დიდი გზაჯვარედინი



ჩვენს დღევანდელა ლიტერატურული მიჯნაცემის, ექსპერიმენტებისა თუ ტრადიციული გზების ახლებური აღორძინებით, კიდევ ერთხელ განვავიწყობს მისადმი დიდი თანაგრძნობითა და ამედიით, რამეთუ უნდა გვახსოვდეს რომ „თუ ჩვენ არა „ფფლოზი“ ცოცხალ ლიტერატურას, უმკველად ვიკრძნობთ ვაზრდილ განსხვავებას ლიტერატურული წარსულიდან. თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ განვითარების უწყვეტელობას, ჩვენს წარსული ლიტერატურა ექცევა ჩვენთვის უფრო სიორულად, ვიდრე იგი არ გახდებოდა ისევე უცხო, როგორც ლიტერატურა რომელიმე სხვა ხალხისა, და რომ სწორად აწ ცოცხალი მკერლობის მეშვეობით აგრძელებენ სიცოცხლეს წარსულის ნეკრტლებში“ (ტ. ელიაძე). ეს პათოლოგიური ცდაა და არ უნდა აყაროს მკვლევარული ზემოქმედებას და იგი ანოლდეს ყოფილი უცხო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის.

მე ვიცი არის ერთი კაცი. ყველა ჭრილობა, ყველა ნატყვარი მის ტანზე გროვდება. მკაფებს ამტვრევს ყველა ბორკილი, ყველა შავი ფიჭო, დაბარბუღავით. მის თავში იბუღებს. მის სხეულს ჭიჭინს ყველა სენი. გულ-ღვიძლს უფლეთს ყველა ნაძარა.

მე ვიცი, ასეთი კაცი. ბედი ჩვენი, რომ იგი არსებობს. (მე ვიცი არის ერთი კაცი)

ცნობილ ნორვეგიელ მხატვარს გუსტავ ეიგელანდს აქვს ერთი ხაოცრად კომპარული ტალო მასზე გამოხატული ტანწული ადამიანი. რომელსაც ირკვევს შემოხვევიან სიმახინჯით და არააპქვეყნაური წინათ შეპყრობილი ეშმაკულნი. ასანი აგლვქენ. აწიამეტენ და ჰკბენენ მას. ცნობიერებას გადასული. ღვთისაყენ ნელაპყრობილი, განწირული ხმით ლოცულობს ცოდვების მოსანაწიებლად მთლიანად ეს სხა-ზმატყურად გათანაგული ფიგურა ერთა უსახრულად გაბმული კვილადა, ერთ კაცში გახმონებულ კაცობრული ცოდვებისა, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ან ცნობილი ფერწერული ტალოს პოეტურ ადექვატად გაიხსრება კრებულადან მოტანული ციტაცია და ხერხოდ მთლიანად ღვეჭხი. პოეტის ნედიტაციები ერთ მთლიან მეტაფორად გაიხსრებს ცოდვითა საწყაულად ქვეულ ერთ ანსტრაგორებულ ადამიანის ჭკარამულ ხანეს. უღვთოდ ტანჭულთ, იგი ყოველი დღის დღეგომასთან ერთად თმენით აღსაბერელოდება კაცობრული ცოდვების ახალ შემონთებას. მოჩვენებითი ხელმანდით აღმუშავილი ადამიანები იგაწყებენ ხაყუთარი ცოდვების არსებობას, ვიღაცამ უნდა ზედონ და რაღაცას

უნდა ელექტობდეს უსასრულოდ ქმნად, უნდა ვიღაცა თუ რაღაცა სწორედ „ის ტანწული კაცია“. ასეთია ამ უნარესად ხანტერესო, ღრმა კვედმეტის მქონე ლექსის ჩანაფერი.

პოეტური კრებული „ნუ ცხოვრებისა“ კიდევ მრავალი ფიქრისა და განხილის სივრცეს უტოვებს დაკვირვებულ მკითხველს. იგი დიდ ფიქრითაა შექმნილი და ბუნებრივია მისი სრულფასოვანი აღქმა გონებისა და ინტუიციის დიდ ძაბვას ითხოვს.

მცირე რეტროსპექტივა:

მე-ში საუკუნის ქართული პოეზიის განვითარება, მისი უდიდესი ბიძგის მიცემა გალაკტიონის ხანელთანა დაკვირვებული (სულაც არ მინდა ჩრდილი მივაყვარო ჩვენთვის სხვა ძვირუფესი ხანელის). სწორედ გალაკტიონმა ახსნა ქართული პოეტური სული მახშაბების პრინციპიალურა სავიწროვისაგან, რამეთუ ქემმარტიც არის პოეზიისა ემპირიული მსოფლ-ზედიდან და პრიმიტიული მხატვრული ვარჯიშებიდან ამაღლა შიხი უმაღლესი მოწოდების სინაღლურე: ხაცნაური გახდა ჩვენთვის იკვირარა ხელოვნება, რომლითაც სამყარო თავის თავს გადაუსხნის ცნობიერების ყველა სფეროს ისე ნათლად და განსაზღვრულად, როგორც უღრმესი ფილოსოფია გადაუსხნდა თავის თავს ღრმად გაცნობიერებულ ფილოსოფოსს გალაკტიონმა შეესძლო პოეზიის ემანსიპირება მოღისა და გემოვნების წარმავლობისაგან, მასში პოეზია ამაღლდა მუდმივ ფასეულ წმინდა ადამიანურა ტიპის დონეზედ, იგი ყოველთვის, ყველა დროსთვის გახატება დარჩება, მაშინ როდესაც შიხი მრავალი წინაპრის თუ თანამედროვის შემოქმედების ჩინ მსოფლად რეველქის დახმარებით, გ. ი. ლიტერატურის ესტორიის თვალსაზრისით თუ აღვადგენთ. გალაკტიონის ამოზანტური ფიგურა გიგანტური ძალით დააწვა მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიას და აიკის საოცარი ხიბნილები წინაშე დააყენა. თითქოს ამოწურული აყო შეხამდებლობა პირველების პოეტურა გახსნასა, თითქოს ამოწოლი ყოველგვარი პოეტურა თვალსაწიერა, ფორმალური ძიებების ყოველი გზა.

რა დიდაც არ უნდა ყოფილიყო გაცივება გალაკტიონის (და სხვა დიდ შემოქმედთა) პოეზიით, ახალი თაობა განსაკუთრებული ძალახმვეით ცდილობდა სამყაროსთან მიმართების ორიგინალური მოდელის ძიებას. გალაკტიონის უმაღლესი გრაციოზულობით, მელოდიის მაქსიმალური სრულქმნილებით, ფორმალურ ძიებათა ფანტასტიური ვარიაციებით აღმგვილ ბოეზიას მათ დაუპირისპირებს (იძულებულნი აყენენ) ხათქმელის თამაში, არანაკვლარებული მახშაბი, ეროვნული და წენობრივი მოტივების გამაფრებული შეგრძნება, ხაკუთარი სუბსტა-

ნციის ძიების და თვითგამოხატვის გულწრფე-  
ლი ცდები, პროზაიზმების მძლავრი ნაკადი.

იხილავს რა ბოდლერის პოეზიას, პოლ ვა-  
ლერი ერთ ასეთ საინტერესო დაკვირვებას  
გთავაზობს: „ბოდლერს ჰქონდა ერთი უდი-  
დესი ანგარება, ანგარება ცხოვრებისეული —  
მოექებნა, გამოეცლინა და გაეწვიადებინა ყველ:  
სისუსტე და წუნა რომანტიზმისა, რომანტიზმი  
წენიტშია — შექმლო ეთქვა მას — აქედან გა-  
მომდინარე, იგი დამთავრდა, და მას შექმლო  
ეცქირა იმ დროის ღმერთებისა და ნახევარ-  
ღმერთებისთვის იმ ხედვით, როგორიათაც ტა-  
ლიერანი და მეტერნახი 1807 წელს ქვეყნის  
გამგებებს შესცქეროდნენ“


ფაქტი ერთია, ქართული სულის სამყაროს-

თან შეხების მუსიკალურმა რხევებმა, მისმა ან-

გულსურმა გახშიანებამ („ოჰ! მე მომესმის შე-  
ყვარებულ წამწამთ კანკალი“) ბოლომდე ამო-  
წურა საკუთარი შესაძლებლობები. თითქოს  
დამთავრდა ერთი დიდი, განუმეორებელი ციკ-  
ლი პოეტური კულტურის განვითარებისა. ახა-  
ლი თაობა ის მძლავრი ხიდია, რომელმაც შა-  
რად მფეთქავი ქართული პოეზია შესაძლებ-  
ლობათა ჭერ კიდევ შორს, სივრცეში მოლივ-  
ლივე ნაპირზე უნდა გაიყვანოს.

ერთი ძველი იმპერატორის ოთახის კედელ-  
ზე მოხატული იყო სიტყვები: „განახლდი, ყო-  
ველ დღე, და ისევ, და ისევ, და ნიადაგ განაზ-  
ლდი!“ («Из книги Та-Хио, или Великая  
Наука»).





მთავრად ფირკალიშვილი

## თავი გოსპლის ნაწარმოებთა გამოყენების გამო

მხატვრის ნაწარმოებთა ყოველი პერსონალური გამოყენება საყურადღებო საზოგადოებრივი მოვლენაა, პირველი პერსონალური გამოყენების მნიშვნელობა კი განსაკუთრებულია, რადგან ადრე სავსებით გაცნობიერებულის გვერდით ახალი ფენომენი წარმოადგება.

ხელოვნების ავ-კარგში ჩახედული აღამიანები ასეთ შემთხვევებში სულსწრაფვსა და ღელვას ამტკიცებენ ხოლმე — მათ თვალწინ წარმოსდგება კი ნამდვილად ნიჭიერი და ახალი მხატვრული სიტყვა, თუ იხილავენ იგივეს რაც ახტერ და ათასტერ უნახავთ? იქნება კი იგი ერთგული თავისებურებით მიმზიდველი? გამოხატავს კი იმ სიხარულსა თუ საზრუნავს, რაც თანამედროვეობას აღეგულებს? და ბოლოს — შეესაბამება მხატვრული კულტურის ისეთ დონეს, რაც მშობლიური ხელოვნების წარსულსა და აწმყოს ეკადრება?

თემო გოცაძის ნაწარმოებები, ცხადია, ადრეც გვინახავს და ამიტომ მისი შემოქმედების ღირსებათა შესახებ გარკვეული წარმოდგენა გვქონდა, მაგრამ მისი ნაშრომწარის მთლიანობაში ექსპონირებამ, ეს საკითხები ახალი ძალით აღძრა თითოეული ჩვენთვის წინაშე.

პირველი სიხარული გამოწვეული იყო საერთოდ ქართული სახვითი ხელოვნების პოტენციურობისა და მრავალფეროვანების გახსენებით. ბედნიერებაა, რომ ჩვენი ნიჭიერი ოსტატები არ მკვანან ერთმანეთს. თითოეულს საკუთარი შემოქმედებითი ხეს და კვალი აქვს. ეს

რეალობა სწორედ თ. გოცაძის ძალამ და თავისებურებამ გაგვახსენა. მაგრამ ადვილი არ არის თავისებურად მოაზროვნე მხატვრის აღიარება.

ცნობილია, რომ მხატვრების უმეტესობას ახალი მხატვრული სამყაროს თხზვას ურჩევნიათ ხილვადი სამყაროს ტრფალი და განმეორება. მათი ნაწარმოებები ყოველი ჩვენგანისათვის იმთავითვე „გასაგებია“, რადგან თვით ხილვადი სამყარო ყოველი ჩვენგანის თვალწინაა და კარგადაც ვიცნობთ. რაც შეეხება „მთხვევითა“ კმნილებებს, მათი საგანია არა ემპირიული, მშაშაარეულად მოცემული სინამდვილე, არამედ არტისტიკის აქტიურობა. ხოლო რადგანაც არტისტიკული გამოგონებლობისა და „კაპრიზების“ აღქმისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ ხილვადი სამყაროთი მიღებული, გრძნობადი გამოცდილების ჩვეულებრივი მინიმუმი, არამედ აუცილებელია თვით მხატვრის სუბიექტური შემოქმედებითი შეცნობა, ამიტომ მათი აღქმა იოლი არ არის.

თ. გოცაძე თავისებური სამყაროს შემქმნელებს ეკუთვნის. ამიტომაცაა, რომ მის სურათებში საგნებს რეალობისაგან განსხვავებული, მხატვრული მიზანდასახულობით ნაქარნახევი გარეგნობა და ერთიმეორისადმი მიმართება აქვთ.

გამოყენებაზე ნახავდით გრძნობითა და ბავშვური უშუალობით, ნატურისა, აკადემიური ეტიულის დონეზე გამოხატულ საგნებსაც. ისი-



ნი მორჩილად გამოიყურებოდნენ, — ესეც დამწყები მაყურებლისათვის.

ამ დონეს მხატვარი, ვგონებ, სტუდენტობის წლებშივე გაჰყარია. ამჟამად მტკველებს მისი სადიპლომო ესკიზი, რომელიც გასაგებ მიზეზთა გამო არ განზორცილდა. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ თ. გოცაძის შემოქმედება ძირითადად შეცვლილი. ადრე მხატვარი საკუთარი სხეულივით უშუალოდ თუ აღიქვამდა ყოველივეს, და მოვლენათა არსი ვერ იხედებოდა, შემდეგში თავი გამოუჩინა პირველ შთაბეჭდილებებისადმი უნდობლობას, თითქოს საგნები თავიანთ „ქერქს“ იქით მხატვარს უმაღლედნენ ბევრად უფრო საყურადღებოსა და მნიშვნელოვანს.

აქედან იწყება გოცაძის შემოქმედებაში საკუთარ გზზე შედგომა. ხანათა გარეგნული სიამაშის მამოტური ხალიდან არსის წვდომა. მაგრამ რადგანაც მხატვრობაში, ცნებებით აზროვნებისაგან განსხვავებით, მხატვრულად არსობრივი თვით გრძნობადი სამყაროს სხეულში უნდა „ამოიკითხო“. ახალგაზრდა მხატვარი სერიოზული სირთულის წინაშე აღმოჩნდა.

ეს ის სირთულეა, რომელიც თხზვისათვის განწყობილი ყოველი მხატვრის წინაშე აღმართება ხოლმე. ქვეყნად არ უარსებია ისეთ ხელოვანს, რომ ეს სირთულე ამა თუ იმ ტრადიციულად დაყრდნობით არ გადაეწყვიტა. თვით ფიროსმანიც კი, რომელმაც ამ კანონზომიერებებისა აღმათ არაფერი იცოდა, ქვეშეცნულად XVI-XVIII საუკუნეების ქართულ ფრესკებში გამოშუშავებულ ხალხურ ნაქადს ემყარებოდა. იგივე ფიროსმანის გარდა საქართველოში გავიხსენოთ ისეთი ფენომენალური მოვლენა, როგორიცაა ლალო გუდიაშვილის შემოქმედება, რომლის ფესვებიც ქართული ფრესკის, მინიატურისა და უმდიდრესი ფოლკლორისაყენ მიიშარება.

თ. გოცაძე ქართულ ნიადაგს რომ ემყარება, ამის მტკიცება ღია კარის ქაჯგური იქნებოდა, მაგრამ მას თანამედროვე დასავლეთის პროგრესული მხატვრობისადმიც ესა მჭიონა მომეტებულად ყურადღება, არც ესა საუკუცო.

მისი წლების ნაწარმოებებშიც კი, რომელსაც მხატვარი ჯერ ისევ საგანთა გარეგნობის ქვერტით იყო გართული, სენსიბელადი და უფარავ სიმპათიებს ავლენდა. ეს ჩანს მის „ავტორტრეტებსა“ და „ნატურმორტებსში“. ერთ ხანს მხატვარი მოჭადრებულად ყოფილა პიკასოს „ავინიონელი ქალების“ მხატვრული „ახირებებითაც“. მაგრამ საქმე მარტოოდენ ფორმალური რემონისცენციები არ არის მას ჩვენი საუკუნის ევროპელი კორიფეების პუნინიზმის თავისებური გაგება იზიდავს.

თ. გოცაძის მთელ რიგ კომპოზიციებში ერთ-

გვარად არეკლილა ის სკეფსისიცი, სახელოთის ხელოვანთა გარკვეული ფენების შემოქმედებაში მოჩანს, როგორც ეპოქის ურთულესი საზოგადოებრივი პრობლემების წინაშე დაბნეულობის გამოძახილი. ეს შეინიშნება მხატვრული თვალსაზრისით თვით ისეთ საყურადღებო კომპოზიციებშიც კი, როგორიცაა „ქარის წაღებულნი“, სადაც უილაჯობა და უიმედობა განსახიერებული. მსგავსი მოტივები შეიძლება მოინახოს „პათეტურ სონატაში“ „ხალწარკვეთაში“, „ძალასა“ და „ვენებათა ქაობაში“.

მაგრამ „მეთერთმეტე არმიის“, „ლორჯა ცხენების“, „სამნის“ პოეტური ქართული პერსონაჟების ავტორისათვის სკეფსისი არაორგანული და ეფემერული მონაბერია.

თ. გოცაძის მთელ რიგ კომპოზიციებში გვხვდება ქალის სახით კაცობრიობის მხსნელი. სა და მფარველის ალტეგორიული განსახიერება. ჩვეულებრივ მას გამხდარი გრძობი ხელენი აქვს მაღლა მრავალმნიშვნელოვანად აშფოთლი, ომხიანი გამომეტყველება და არაჩვეულებრივ შთამბავნებელი პროპორციები. ასეთია იგი მაგალითად კომპოზიციებში, რომელსაც მხატვარი „მეთერთმეტე არმია“ უწოდა.

იგივე, ალტეგორია, მითოსი და თუნდაც მეტაფორა ეპოქისადმი დამოკიდებულების გამო. სათქმელად მოაზროვნე მხატვრის ხელში მოქნილი საშუალებებია. უმცირება და მხატვრული აზროვნების გადატაკებისაყენ წაბიძგება, ვისაც ისინი მოდერნიზმის საკუთარ ნიშნებად მიიჩნია.

მრავალფეროვან ხერხებს, ცხადია, ის ხელოვანი მიმართავს, ვისაც მნიშვნელოვანი რამ აქვს სათქმელი. ხოლო ასეთი თუ არაფერი აწუხებს, მაშინ ხერხებიც ზედმეტია. მთავარი, რა თქმა უნდა, სათქმელია და არა ხერხები თავისთავად.

თ. გოცაძის მითიზებული თემა თუ ალტეგორია თითქოს ზნეობრივი ორიენტირის მინიშნებაშიც ეხმარება. დიდსა და რთულ კომპოზიციებში, რომელსაც მხატვარი „ერთი ცხოვრების ქრონიკა“ უწოდა, რამდენიმე თემა გახსნილი. ერთ-ერთი წარმოგიდგენთ ხორციელი სიკეთით განვებრებულ, მაგრამ „თავმოჭრილ“ ქალებს. მათს ფონზე მამაკაცის ჩამომხმარი თემა, რომლისთვისაც რქები დაუდგამთ. მისი სახე დარღვისან დეფორმირებული და სასო. წარკვეთილია. ღრმად მოხუცებულ გამხდარ მამაკაცს ყოველივე აბისთვის ზურგი შეუქმნავია, ინდეფერენტულობას იჩენს. მეორე მხარეზე შეყვარებული წყვილია, რომელიც

ერთად ფირალიზივილი  
თიმო გოცაძის ნაწარმოებთა გამოფენის  
ბამო

გრძნობებს უიზოკურადაც კი ცისკენ ატყობილი-  
ბია, მაგრამ სრული ბედნიერება მათ მაინც არ  
ფლობს: ქალს მოხდენილ ფეხებში ვიღაც ჩას-  
კიდებია და შეყვარებულ წყვილს ბედნიერების  
ღარღვევას უქაღის. ყოველივე ამას განრისხე-  
ბული თვალებით დიდი აღუგორიული სახე  
უთვალთვალვებს. სურათი შედგება სხვა მოტი-  
ვებისგანაც, რომელთა სათითაოდ დახასიათე-  
ბა შორს წაგვიყვანდა. საერთოდ კი მთელი ეს  
აღუგორიული ხლართი ზნეობრივი პათოსითაა  
შეგუთლიანებული. შესაძლოა მისი ყოველი თე-  
მა თუ ეპიზოდი არ გაიზიარო, გულგრილად  
კი ვერ ჩაუვლი.

ვინც თ. გოცაძის გამოფენის დათვალიერება  
ვერ მოასწრო, ამ მცირე შენიშვნებით მის ავ-  
კარგს ვერ გაითვალისწინებს. იგი სრულად  
ვერც იმას გაიზარებს, მისი სახით ქართულ  
მხატვრობაში საინტერესო მოაზროვნე რომ  
უნდა ეგულებოდეს. იმის გათვალისწინებას კი  
მით უფრო ვერ შესძლებს, თუ რაოდენ ძნე-  
ლად სავალი გზა აუარჩევია მხატვარს და რამ-  
დენი რამა აქვს წინ დასაძლევო.

ორიოდე სიტყვით ამასაც უნდა შევეხოთ  
საქართველოს სამხატვრო აკადემიის დამთავ-  
რების შემდეგ თ. გოცაძე სილამაზის ფერწე-  
რულ გაგებას ერთგვარად განშორებია და „შიშ-  
ველ“ პლასტიკასა და ლოკალურ მხატვრობას  
ზიარებია, მაშინ, როდესაც ჩვენში ფერწერის  
ამ სახეობის ტრადიცია არ არსებობს. ამან მხატ-  
ვარი, როგორც ჩანს, აიძულა, რომ მტენაწი-

ლად ერთი ლოკალური ფერადოვანი ფენის შე-  
მოზღუდულიყო. ეს კი გრძნობათა მადნის შე-  
ნაცან გაადადნობას ხელს ვერ შეუწყობდა. ასეთ  
პირობებში დიდი ენერჯია და თავდადება იყო  
საჭირო, რომ ფერს „ღრმა ტონის“ პოეზია მო-  
ეპოკებინა.

ასეთი თავდაღების ნიმუშებია „ენერჯია ევა-  
ძის“ პორტრეტი, მრავალთემიან კომპოზიციები-  
დან: „ქარის წაღებულნი“, „სამნი“, ე. წ. „ფო-  
რმები“, ნაწილობრივ „ერთი ცხოვრების ქრო-  
ნიკა“ და ცხენების თემაზე შექმნილი კომპოზი-  
ციები.

თ. გოცაძის შემოქმედების ერთი თავისებუ-  
ლება ისიცაა, რომ პლასტიკის ენა, რომელიც  
სინამდვილის სტატიკური წარმოსახვის ტრა-  
დიციებთანაა დაკავშირებული, მასთან განუწ-  
ვერებელ დინამიზმშია.

საერთოდ კი ამ პერსონალურმა გამოფენამ  
ყოველი ჩვენგანისათვის აშკარა გახადა, რომ  
საქმე ვეაქვს არა სინამდვილის „გაღმომხატ-  
ველ“ ოსტატთან, არამედ პლასტიკის ენაზე  
მოაზროვნე ხელოვანთან. მისი ფართო მხატვ-  
რული კულტურა, საოცარი ენერჯია და დაუ-  
ოკებელი პოტენცია იმის იმედსაც გვიანარჩუ-  
ნებს, რომ მხატვარი მშობლიური მიწის სურნე-  
ლებას, რომელმაც ფიროსმანი და „ფეხისა და  
მოუმიის“ მხგავსი უკვდავებანი წარმოშვა, მო-  
მავლისათვის თუ უფრო მეტ ყურადღებას დაუ-  
თმობს, ამით ქართული ხელოვნება ერთი ათად  
მოკებული დარჩება.



## ტიტო შუყილაძის საოცარი სამყარო

ტიტო შუყილაძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ უკვე თხუთმეტიწლიანი წელია, რაც სისტემატურად მონაწილეობს გამოფენებში, გრაფიკულად გააფორმა რამდენიმე ათეული წიგნი. სულ ახლახან კი ხელისუფლების მუშაკთა სახლში შემოგვთავაზა პირველი პერსონალური გამოფენა, რომელზეც ძირითადად წარმოდგენილი იყო უკანასკნელ 3-4 წელიწადში წეთის საღებავებითა და გუაშით, ნაწილობრივ აკვარელითაც, შესრულებული ასამდე ფერწერული ნამუშევარი.

გამოფენის დამთავლიერებელი ზედებოდა ზღაპრულ სამყაროში, რომელიც დასახლებული იყო ფერიებით, მოცუკვავე ამორქალებით, ცაში მიმქროლავი ირმებით, დაისის მეწამულ ფონზე მოჭირთივ ცხენებით...

მხატვარი არ იფარგლება ერთი სტილისტური ხერხით, აქვს განსხვავებული ხასიათის, ხელწერის ნაწარმოებები, ამუშავებს სხვადასხვა თემებს, მაგრამ ყოველ სურათში იგრძნობა ახლის ძიების წყურტილი. უშრეტია მხატვრის გამომგონებლობა. თითქმის ყოველ სურათში რაღაც თავისებურებაა, გამორჩეულია რაიმე მიჯნებით, დიდი თუ მცირე კომპოზიციური ან ფერწერული აღმოჩენით, თემის ორიგინალური გააზრებით.

მხატვრის მიერ შექმნილი სამყარო იმდენად თავისთავალი და გამორჩეულია, რომ უნარობრივი განსაზღვრა მისი ნამუშევრებისა ხშირად საკმაოდ ძნელი ხდება. ტიტო შუყილაძის პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები ზოგჯერ იმდენად გარდაქმნილია ნატურა, ფანტაზიას ისე აქვს ფრთები გაშლილი, რომ საერთო, ზოგად განსაზღვრებას თუ მივუყენებთ მხატვრის შემოქმედებას, მას შეიძლება ვუწოდოთ ფანტაზიური რეალიზმი. ყველაზე დაუოკებელ ფანტაზიებშიც კი ძირითადი საყრდენი, „ამო-

სავალი წერტილი“, მაინც რეალური სამყაროა, ნახული და განცდილი, შემდგომ მხატვრის სულის ქურაში გადამდნარი და ახლებურად, „შეცლილი სხეულებად“, ჩამოსხმული.

ტიტო შუყილაძის შემოქმედებისთვის სრულიად უცხოა ილუსტრაციულობა, უკუგაღებული თხრობითი კილო, უანრული მოტივები. სათქმელი გადმოცემულია ქვეტექსტებისა და ასოციაციების, სასოვანი აზროვნების მეშვეობით. სინამდვილის ფორმები მზამზარეულად არ გადააქვს სურათში, არ იმეორებს პასიურად, არამედ გარდაქმნის. ეს კარგად ჩანს პეიზაჟშიც, რომელიც წამყვანი თანრია მხატვრის შემოქმედებაში. კონკრეტული ადგილის ამსახვე პეიზაჟებში („ძველი შუამთა“, „უფლისციხე“ და სხვ.) მთავარია განმარტავადებული საწყისი და ავტორის ემოციური დამოკიდებულება; ამიტომ მათთვის დამახასიათებელია ფერის პირობითობა, ფორმების თავისუფალი ტრანსფორმაცია. იგივე ითქმის სხვა თანრის (პორტრეტები, ნატურმორტები და სხვ.) ნამუშევრებზედაც. და მაინც, ტიტო შუყილაძის შემოქმედებითი სახე, შესაძლებლობანი და თვითმყოფობა ყველაზე რელიეფურად გამოჩნდა წარმოსახვით შექმნილ სურათებში, განსაკუთრებით კი პეიზაჟებში.

იგი იმ მცირერიცხოვან მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც წარმოდგენით პეიზაჟებს ჰქმნიან. ძალზე პირობითი ენის მიუხედავად მათში მიღწეულია უადრესი დამაჭერებლობა, ემოციური შთამბეჭდაობა. მხატვრის პეიზაჟები სხვადასხვა ხასიათის არიან: ნაწილი რეალურ ფორმებთანაა მიახლოებული, („გამოთხოვება“, „იმერეთი“, „მწვანე ტბა“ და სხვ.); ნაწილი კი წმინდა წარმოსახვითი ხასიათის ნამუშევრებია, რომლებიც მათში ჩართული განზოგადებული ფიგურების (ქალთა, ცხენთა და სხვ.) მეშვეობით სიმბოლურ ხასი-

ათს იქნენ და მსოფლივ პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ პეიზაჟებად.

ტ. შეყილაძის სურათები ხან ზღაპარია და ხან სიზმარი. ისინი იწვევენ მდიდარ ასოციაციებს, აცხოველებენ ფანტაზიას, ხანგრძლივი მწერა-ფერისთვის არიან განკუთვნილნი. დამახასიათებელია ერთი ნამუშევრის სათაურა: „ღრუბულთ რბოლა“. სურათის ქვედა ნახევარი ამწვანებული მიწაა, ზედა ლურჯ ნაწილში მსრბოლავ ღრუბლებში ამოცნობა გეიდი, მიმქროლავ ცხენზე ამხედრებული ქალი... მხატვარს თავისუფლად აქვს ფორმები მოცემული და თვით მაყურებელს ანდობს ბევრი რამის გადაწყვეტას.

ქალაქისა თუ სოფლის ხედები არ იზიდავს მხატვარს, ის წმინდა ბუნების ტრფიალია. ცა, მიწა, ხეები — ყველაფერი უცნაურ, ზღაპრულ ფერს იძენს. ეს ყველაფერი აქ, დედაამიწაზე დაინახა მხატვარმა თავისი განსაკუთრებული მწერისა და ჩვენც დაგვანახა, გვაზიარა „გლოზალურ“ თვალთახედვას, დედაამიწის როგორც დიდი სამყაროს მცირე ნაწილის შეგრძნებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პეიზაჟების ფანტაზიური ხასიათის, ზოგჯერ კი ეგზოტიკურობის მიუხედავად, ისინი უმეტესად კონკრეტული ადგილის ხილვით არიან შთაგონებულნი, საფუძვლად რეალური შთაბეჭდილებები უდევთ: მხატვრის მშობლიური მხარის, ზემო იმერეთის, ბავშვობიდან გულსჩარჩენილი თავისებური ხასიათი, კოლხეთის თუ ქართლ-კახეთის განუყოფრებელი ხედები. თვით მხატვრის სიტყვით, მგზავრობის შემდეგ კისერს ძლივს აბრუნებს, ისე იტაცებს გარემოს, ბუნების, მშერა. სტეციალურად არ იმახსოვრებს, არც ეტყუდებს აკეთებს ნატურიდან — მიმზიდველი ხედის ემოციური თუ პლასტიკური ხატი განცდის შედეგად აღბეჭედება მის მესხიერებაში და შემდგომ შესაბამისი განწყობის, ასოციაციის ან მოგონების მეშვეობით მესხიერებიდან ამოტივტივდება, გაცოცხლდება და გადავა სურათში რაიმე ელემენტად — ფეროვან კომპონენტად, კომპოზიციურ წყობად თუ დეტალად, ოდნოდ შეცვლილი, გარდაქმნილი სახით. ნატურის შესწავლის თუ დაკვირვების შედეგებს მხატვარი იყენებს მხოლოდ როგორც „სამშენებლო მასალას“ ჩანაფიქრის რეალიზაციისას და აბიტომ უმეტესად ქმნის განწოვადებულ პეიზაჟს, ემოციურად გადაბრუნებულს, კონკრეტულ მოტივს ღიად და ამორბეულს. სახელებიც სურათებს შესაბამისი აქვთ: „კოლხეთის პეიზაჟი“, „ქართლის ხალაში“, „ქართლის პეიზაჟი“, „იმერეთი“, „ზოგჯერ კიდევ უფრო ზოგადად: „მთვარისანი ღამე“, „სალამი“, „გამოთხოვება“, „მწვანე ტბა“, „მწუხარი“...

ტ. შეყილაძის სურათებში არ არის ჩაქნოვლი ტრაგიკულის ან დრამატულის განც-

და, სატირული თუ კომედიური საწყისი, ხშირად მომავლის ან წარსულის სუბტილური გაცოცხლებული. სურათები იდილიურ მიიღებდა, მათ რომ არ მსკვლავლავდნენ ერთგვარი კაეშანი, ელემენტური განწყობილება. საიდან მომდინარეობს ეს სვედიანი მელოდია? ამ მძნელ კითხვავ პასუხი აღბათ თვით მხატვრის სულიერ წყობაში უნდა ვეძიოთ. ფანტაზიურობისა და სვედიანი ლირიზმის შერწყმა მიმაჩნია ტ. შეყილაძის ნამუშევრების ყველაზე უფრო დამახასიათებელ, გამორჩეულ თვისებად.

როგორც უკვე ითქვა, ტ. შეყილაძე რეალურ ფორმებში ხედავს ფანტაზიურ ხასიათს, მისი სივრცე, ხაზნები რეალურიც არის და ამავე დროს სიზმრისეული იერიც ახლავს. ზოგჯერ კი მხატვარი საკიროდ თვლის ჩანაფიქრის ქველზე უკეთ ვადმოსაცემად პირობითობას უფრო მაღალ ხარისხს და არ ერიდება პარადოქსალურ, გონებაშაზღალოდ გადაწყვეტას, თავს თავისუფლად, შეუბორკავად გრძნობს. მაგალითად, სურათში „მთვარე და სიყვარული“ მნათობი დაჰყურებს ზევიდან გოგოსა და ბიჭს, ისინი კონტრულუი ხაზებით არიან მიწისზეშული, მათ სხეულებში რაღაც ფანტაზიური ხეები დატოტვიოან. შეყვარებულთა სულის სირთულისა თუ განცდის სიმდარის მანვენებლად.

მრავლად შეიძლება მხატვრის ძალური, ლალი შემოქმედებები თავისუფლების, ფანტაზიის სითამბისა და სიმდიდრის დამადასტურებელი სხვა მაგალითების მოტანაც, ეს თითქოსდა „სალი ზრის“ საწინააღმდეგო, პირობითი ფორმები მხატვრის ჭანუი, პროტესტი კი არ არის, არამედ სამყაროში მრავალგვარობისა და მრავალფეროვნების არსში წვდომის ცდა, თავისებური, განსხვავებული წარმოსახვისა და გრძნობის არსებობის უფლებების რეალიზაციაა.

კომპოზიციის, ფერის, ნახატის გამომხატველობითი ძალის დრმა გრძნობა, მარმონის მიღწევის უნარი, მაძიებლური ბუნება, მხატვარს საშუალებას აძლევს ზოგიერთ სურათში ისეთი ფილოსოფიური და პლასტიკური იდეის ხორცშესხმა ითავოს, რომლის განხორციელებაც თითქოს ფერწერის შესაძლებლობებს აღემატება. მაგალითად, მხატვარმა შექმნა სურათი „დედაამიწა“, რომელშიც შესძლო გადამოცვა სამყაროს, დედაამიწის და ადამიანის სიღიერე, მიწუვდომლობა, სირთულე და მრავალფეროვნება. კონტრულულად მოხაზულ ქალის სიმბოლურ ფიგურას ხედები გაუშლია პეიზაჟის ფონზე. დედაკაცი და დედაამიწა... ათასგვარ ასოციაციებს იწვევს მათი შეთანადება-შეპირისპირების დიალექტიკური ერთიანობა. გარეგულად სრულად უპრეტენზიოდ არის შესრულებული ეს თითქმის მონოქრომული სურათი — ერთი ფერის, მონაცრისფრო-

მოცისფროს ტონალური გადასვლებით; მხოლოდ ერთგან სურათს ჰკვეთს ლურჯი ნაკადი, ალბათ, ზღვა-ოკეანეების სიმბოლო...


შეიძლება გამოსახული იქნეს ადამიანის ფიქრის მთელი სირთულე და შეუცნობლობა, მოულოდნელი გადასვლები და ასოციაცია? შეხედავთ ტ. შეყილაძის მცირე ზომის სურათს „ფიქრი“ — ქალის პორტრეტს, შექმნილს უფორმო ლაქებით, საღებავის ზოლებით თუ ნაკადებით და თქვენს წინაშეა საოცრება — პორტრეტის წინ კარგა ხანს დგომაც არ ამოწურავს თქვენს ფიქრს. იგი თან მიგყვებათ...

სურათი „სახიობა“ შექმნილია მხოლოდ ერთი — წითელი ფერის გამოყენებით, მაგრამ ფერწერულად მდიდარია. დიდხანს შეიძლება უცქირო მსახიობი ქალების ბუნდოვან, არამკვეთრ ფიგურებს; მათ ურთიერთ განლაგებას, წითელი ფერის ვარიაციებს — ფიგურები თრთიან, სუნთქავენ, ცოცხლობენ, ერთმანეთთან

რთულ სულიერ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. სურათში თითქოს გარკვევით, ბოლომდე არაფერია ნათქვამი, მაგრამ მაინც ბევრია ნათქვამი! ჰარმონიულობის გამოვლენის კიდევ ერთი მხარეა ზომიერების შეუმცდარი გრძობა, რომელიც ჰკარნახობს მხატვარს, როდია უნდა გაჩერდეს, დროულად მოქაროს ფანტაზიის სადავეს, არ გადატვირთოს სურათი, ლაკონიურად და ამომწურავად თქვას სათქმელი.

ნიჭი ალბათ ხითამამეცაა როგორც თემის მოძებნის, ისე მისი გააზრებისა და ტექნიკური შესრულების მხრივ. ტიტე შეყილაძეს კარბად აქვს შემოქმედებითი სითამამეც, მულმივი ძიების წყურვილიც, ფანტაზიაც, მუშაობის ორიგინალური ტექნიკური ხერხებიც, დაუკმაყოფილებლობის მტანჯველი განცდაც, ფაქიზი მგრძნობელობაც...





ოთარ ნოდია

## მხატვრული თარგმანების კრიტიკები

შუბნალ „ციცკრის“ ამასწინა, მე-5 ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკოს ჯ. ლინჩილიას წერილი „შეგუება ღალატია“, რომელშიც მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხებია წამოჭრილი.

„ციცკრის“ ინიციატივა — თავის ფურცლებზე წამოეწყო ჩვენი ლიტერატურისათვის ამ უაღრესად საჭირო პრობლემებზე სწავლასი, ნამდვილად დროული და მაღლობის ღირსი საქმეა. ასევე მაღლობელი ვარ უფრნალის რედაქციისა, რომ ასე დაინტერესდა მხატვრული თარგმანის პრობლემებთან ორგანულად დაკავშირებული სპეციალური დაწესებულების — საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის პოზიციებით ამ საქმეში.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა მქონდა ყოველ ეპოქაში, კაცობრიობის განვითარების ყოველ კულტურულ ეტაპზე მხატვრულ თარგმანს. ჩვენს დროში კი მხატვრული თარგმანი ქემშიარტად საერთო ეროვნული ამოცანის მნიშვნელობას იძენს და სახელმწიფოებრივ მასშტაბებში გადაწყვეტასაც მოითხოვს. ცხადია, ხალხთა შორის ურთიერთგაგება, მათ შორის ნდობის გაღრმავება და განმტკიცება, მშრომელთა ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდა დღეს ძნელად წარმოსადგენია საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა სულიერი კულტურის განვითარებისა და ათვისების გარეშე. ამითაცაა, გარკვეულად, განპირობებული ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი სპეციალური მთარგმ-

ნელობითი დაწესებულების შექმნა, როგორც მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიაა. ბუნებრივია ისიც, რომ ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობის წინაშე დგება მრავალი ისეთი საკითხი მხატვრული თარგმანის პრობლემათა სფეროდან, რომელთა შესახებ სწავლასი და საერთო დასკვნების გამოტანა საჭირო და აუცილებელიცაა.

ვიზორებთ, მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხებია წამოჭრილი ჯ. ლინჩილიას წერილში. ჩვენ შევეცდებით კონკრეტულად გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამ საკითხების გარშემო და, ამასთანავე, მკითხველ საზოგადოებას გადავწვით მთავარი სარედაქციო კოლეგიის საქმიანობაც თარგმანის დარგში.

ჯ. ლინჩილია აყენებს საკითხს ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნის ხარისხის. შესახებ. ცხადია, ჩვენ განსაკუთრებით დაინტერესებული ვართ ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმნით. ეს რუსული მწერლობისა და რუსი მკითხველისთვისაც არანაკლები მნიშვნელობის მქონე საკითხია. და ისიც ცხადია, გულგრილი ვერ ვიქნებით სათარგმნელი მასალის შერჩევისა და მისი თარგმნის ხარისხისადმი. კამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში ქართული ლიტერატურის ნაწარმოებები რუსულ ენაზე მხატვრულად დაბალ დონეზე თარგმნილი, ერთფეროვანია, დაკარგული აქვთ სტილური, მხატვრული თავისებურებები, ზოგ შემთხვევაში

კი არაფერი აქვთ საერთო თვით ორიგინალთა-  
ნაც. ისე რომ, ავტორი ვერც კი სცნობს  
საკუთარ ნაწარმოებს. ეს სინამდვილეა. სწო-  
რია ისიც რომ ცალკეული კარგი თარგ-  
მანების არსებობა არ უნდა ნიშნავდეს  
საქმის საერთო სავალალო ვითარებაზე  
თვალის დახუჭვას. მაგრამ მაინც, მიუხე-  
დავად ასეთი ვითარებისა, მთავარი სა-  
რედაქციო კოლეგიის თანამშრომლები შედა-  
რებით ოპტიმისტურად უდგებიან ამ საკითხს,  
მათთვის — „ამ საქმეს მაინც არაფერი ეშ-  
ვლებოდა“ (ჯ. ლენინჯილია), სულაც არაა ერთად-  
ერთი განწყობილება და ეს ბუნებრივია. ამ  
საქმის შეეღა კოლეგიისათვის პრაქტიკული  
ამოცანაა. იმედოვანი საქმეში ჩნდება.

წერილში „შეგუება დალაბია“ კრიტიკოსი  
ჯ. ლენინჯილია აღნიშნავს: „ერთ-ერთ ცნობილ  
რუს მწერალს... დაწვევითი აქვს დაწერილ  
წიგნი ქართული ლიტერატურის რუსულად  
თარგმნის საერთო მდგომარეობაზე და საქვე-  
ნოდ განაცხადოს კონკრეტული მაგალითების  
მოტანით, თუ როგორ ცუდად არის თარგმ-  
ნილი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლო-  
ბის შედეგები. როგორ არის დამახინჯებული  
ჩვენი საბაჟო ნაწარმოებების სული და  
გული. როგორ აქვს გამოცვლილი არ-  
სებითი ღირსება მათ, როგორ დაუპარ-  
ვათ მომიხვედელი სურნელი. საქმე ეხება არა  
მარტო კლასიკას, არამედ თანამედროვე მწერ-  
ლობასაც. უნდა გამოვუტყუდ მკითხველს, რომ  
ანალოგიური მიზანი აქვს ამ წერილის ავტო-  
რსაც. მაგრამ ჩემთვის, როგორც ქართველი  
კაცისათვის, უმჯობესია თავდაპირველად არა-  
ქართველმა, ჩვენი მწერლობის გულშემოტყვი-  
არმა რუსმა მწერალმა თქვას პირველი სიტყვა,  
რაცა შას ასეთი კეთილშობილური ჩანაფიქრი  
ჰქონია. თავისთავად ცხადია, რომ სხვა წონა  
ექნება რუსი მწერლის სიტყვას, იმ ფაქტს, რომ  
ამ მოუთმენელ მდგომარეობას არქართველი  
მწერალიც გრძნობს“.

ამ საკითხზე ჩვენ საკუთარი გამოცდილები-  
დან შეგვიძლია ვილაპარაკოთ. არც ისე დიდი  
ხნის წინ კამათის საგნად იქცა საბჭოთა და სა-  
ზღვარგარეთის ლიტერატურების ნაწარმოებთა  
ქართულ ენაზე უხარისხოდ შესარულებული  
თარგმანები. ახლადჩამოყალიბებული კოლე-  
გიის თანამშრომელთა პირველი რეაქცია სწო-  
რედ ღეს იყო — სპეციალურად შეგვეჩვენა  
და, თუ საჭირო იქნებოდა, საჭაროდაც გავვე-  
ცხადებინა კონკრეტული მაგალითების მო-  
ტანით, თუ რამდენად ცუდად იყო შესრულე-  
ბული ხსენებული თარგმანები... მაგრამ უკვე  
მუშაობის პროცესშივე კოლეგიის თანამშრო-  
მლებმა უარყვეს ეს გზა, ხოლო თვით სამუ-  
შაო შემდეგნაირად წარიმართა: პირველ რიგში  
შედაგენილი იქნა ვრცელი ბიბლიოგრაფია  
„მსოფლიო ლიტერატურა ქართულად“ 18-ე

წლიდან — პირველი ქართული ბეჭდვითი  
წიგნის გამოქვეყნებიდან დღემდე (ბიბლიოგრაფია  
თბილისში 1976 წელს ჩაბარდა გამომცემლობა „გა-  
ნათლებას“, გამოცემა ნავარაუდევია მიმდინა-  
რე წლის ივნის-ივლისში). აგრეთვე, ანალიზი  
გაუკეთდა ამ თარგმანების მათი ლიტერატურულ-  
მხატვრული ღირებულების დადგენის მიზნით.  
ამ მასალებმა საქმის ნამდვილი ვითარება და-  
გვანახეს. ბიბლიოგრაფიიდან და თარგმნითი  
ნაწარმოებების ლიტერატურული ანალიზიდან  
გამოტანილი დასკვნები მსოფლიო ლიტერა-  
ტურის სამეცნიერო-საინფორმაციო მიმოხილ-  
ვის მასალებთან ერთად საფუძვლად დაედო  
საათარგმნი ლიტერატურის სარეკომენდაციო  
პერსპექტიული გეგმის შედგენას.

ყოველივე ეს იმითომ ვავიხსენებ, რომ გვე-  
თქვა ერთი უბრალო ქვეშეობი: ზოგიერთი  
კერძო შემთხვევის გარდა, ქართული მთარგმ-  
ნელობითი ლიტერატურის სფეროში, ძირითა-  
დად, დიდი სიუვარულით, თავისი ნიჭისა და  
შესაძლებლობის ფარგლებში, მოღვაწეობდნენ  
სხვადასხვა დროის მთარგმნელები (რა თქმა  
უნდა, ამ შემთხვევაში არ ვუხებთ ქართულ  
მთარგმნელობით კლასიკას, თარგმანის კლასი-  
ციტებს) და მათ გაუკვეთილი, შეიძლება ითქვას  
მნიშვნელოვანი სასახურეო გაუწიეს ქართულ  
მკითხველ საზოგადოებას მსოფლიო ლიტერა-  
ტურის ნიმუშების ვაცნობაში. მათ გააკეთეს  
ის, რაც შეეძლოთ. ჩვენს დროში, როდესაც  
დიდად ვანიჭებთ ქართული კულტურა,  
ქართული ენა და ლიტერატურა, როცა მთარგ-  
მნელობით ხელსაღებებს სულ სხვა მოთხოვნი-  
ლებები წაუყენეს, შედარებით ადვილია ქარ-  
თული მთარგმნელობითი ლიტერატურის ამ  
უწევარო მსახურთა კრიტიკა. ვფიქრობთ, სწო-  
რად მოიქცენენ კოლეგიის თანამშრომლები,  
როდესაც ეს მასალები სამხატვრომეტი და-  
ნიშნულებსათვის მოამზადეს და გამომცემლო-  
ბას გამოსაცემად მსოფლიო ბიბლიოგრაფია გა-  
დასცეს.

მთავარია შედეგი. და თუკი საკითხის გადა-  
წყვეტას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, უნ-  
და თქვათ, რომ ცალკეული ნაკლოვანებების,  
კურობის გამოჩნრეა დიდს არაფერს მოგვ-  
ცემს. არ არის სწორი, საკითხის ვადწყვეტა  
ნეგატიური კუთხიდან ვცადოთ. გარდა ამისა,  
ახტ გზას, საბოლოო ჯამში, თუ უსაფუძვლო  
კამათამდე თუ კინკლაობამდე არ მივყვართ,  
ფაქტების უბრალო აღმწესხვედის როლში მა-  
ინც გამოვყავართ, ეს კი მუდამ დაგვიანებული  
რეაქციაა.

შემოთ აღვნიშნებ, რომ ქართული ლიტერა-  
ტურის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნის

მთარგმნელი თარგმანების პრობლემები



საკითხები არა მარტო ჩვენი მწერლობისათვის, არამედ რუსული მწერლობისათვისაც არანაკლები მნიშვნელობის საქმეა. ამ ნათქვამს დღეულტება სჭირდება. რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანების ავტორები, უპირველესად, რათქმა უნდა, რუსული კრიტიკის სფეროშია მოქცეული და ამ თარგმანების ხარისხის საქმე პირველ რიგში რუსი მწერლების საქმეა. ასე რომ, თუკი რუს მწერლებს განუზრახავ წიგნი დაწეროს ამ თარგმანების შესახებ, ის არა მარტო ქართულის, რუსული მწერლობის გულშემატკივარი იქნება უპირველეს ყოვლისა... თავისთავად გასაგებია, რომ რუსი მწერალი პირადად უნდა იქნეს დანტერესებული, რომ მისი მშობლიური ლიტერატურა სუსტი თარგმანებით არ „დანაგვიანდეს“. ამგვარი პრობლემები ყველა თანამედროვე დიდი ლიტერატურის წინაშე დგება, განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამიტომაც მოვაყვლით ქართული ლიტერატურის მაგალითები იმ დროს, როდესაც რუსულ ლიტერატურაზე ვლაპარაკობდით. დღევანდელ რუსულ ლიტერატურაში არანაკლები სიმწვავეთ დგას ეს საკითხი. ჩვენი მხრივ ამ მომენტზე უზრაველი გამაზვიელება მხოლოდ ერთი აზრი, ერთად, ის აზრი აქვს, რომ საკითხი სწორად იქნას დასმული. ამ პრინციპიდან ამოვიდებით, როდესაც ჩავატარებ მრგვალი მაგიდები თემებზე „აფხაზური ლიტერატურა ქართულად“, და „ქართული ლიტერატურა აფხაზურად“. სხვა საკითხია, რომ ჩვენ განსაკუთრებით ვართ დანტერესებული ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნით, რომლის საშუალებითაც ამავე დროს ქართული ლიტერატურა ხშირად მსოფლიოს ხალხთა სხვა ენებზეც ითარგმნება.

ის მოსაზრება, რომ ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა რუსულად თარგმნის საქმეშიც აუცილებელია პოზიტიური გზით მუშაობა, ამ საქმის „შიგნიდან აშენება“, ფსიქოლოგიური მომენტების გათვალისწინება, თანამედვერული მცდელობა, რათა შეიცვალოს ნათარგმნელობითი საქმიანობის არსებული პრაქტიკა მზანადასახული, მაღალ მხატვრულ და იდეოლოგიურ დონეზე აგებული შემოქმედებითი ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკით, რუსი და ქართველი მწერლობის ერთიანი მცდელობით, ჩვენი დრმა რწმენით, არის საერთო მოსაზრება, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს როგორც ქართველმა, ასევე რუსულ მწერლებმაც. ასეთი რამ, მართალია, ხელის ერთი დაკვირვით არ ხდება, მაგრამ პოზიტიური მოდერნიზმის შედეგები არც დიდი ხნით დააყოვნებენ და აუცილებლად იჩენენ თავს თარგმანებში. ამახ გვიდასტურებს უკანასკნელ პერიოდში ქართული ენაზე ნაწარმოებთა თარგმნის ხარისხის ამაღლება.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არა ერთ მომხრე ნეგატიური გზისა მხატვრული თარგმანების ამადლებების საქმეში, მაგრამ ზოგადად მაინც მოვუყვანეთ მაგალითი კოლევების გამოცდილებიდან — თუ რით დაეწყო ჩვენი მუშაობა (იმედია, მკითხველი ჩვენი წერილიდან არ გამოიტანს ისეთ დასკვნას, თითქოს კოლევების საქმიანობის დასაწყისი იფარგლებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-საინფორმაციო სამუშაოებით). საინტერესოა კოლევების მუშაობა ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნის საქმეში — ერთად, რა საშუალებებს იხსავს ეს მუშაობა, უახლოეს საშეიარავეს ჩაფიქრებული და ა. შ. სანამ ჩვენი პრაქტიკულ მუშაობას შევხებით, რასაც კოლევია ატარებს ქართული ლიტერატურის ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმნისათვის, აუცილებელია უზრაველია გავამახვილოთ რამდენიმე მომენტზე, რათა უფრო ნათელყოთ სათქმელი.

თანამედვერველად პირობებში, საბჭოთა სინამდვილეში, როდესაც ასერგად ვაცხოველდა ლიტერატურული ურთიერთობები, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოსდა აუცილებელი იყოს საბჭოთა კავშირის მრავალპროვანი ლიტერატურის ნაწარმოებები ეგრეთწოდებულ „წარმომადგენლობის“ წიხის გამოცემის რუსულ საკავშირო გამოცემლობებში. ამდენად, გაძნელდა ამ პროცესის მართვაც საკავშირო მასშტაბით. ცხადია, ცენტრალურ გამოცემლობებშიც აკლია ამ საქმეს სიანადლო ორგანიზაცია და პრინციპულობა. მათანადობა იქნებოდა ვეფოქარა, რომ მათ, უზრაველი, უჭირთ ნაწარმოების და თარგმანის დონის განსაზღვრა, მისი მხატვრული ღირსების შეფასება. ხშირ შემთხვევაში გამოცემლობების ნაცნობ ავტორთა თავმოყვარეობის შელახვას უფრო ერიდებიან. მეორეს მხრივ კი ობიექტური სინამდვილე სულ სხვა სურათს იძლევა: საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების განვითარებამ, გაფურჩქვნამ, ისეთ დონეს მიაღწია ჩვენს დროში, რომ ათქმის ყველა ლიტერატურის მოქმედება ნაწარმოებები, რუსი და სხვა ნებისმიერი მკითხველის უზრაველეს რომ იხსახურებენ. არც ლიტერატურის, არც მკითხველის მხრიდან არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, რომ ე. წ. „ტრამპის“ პრინციპით — დღეს ერთი ნომერი, ხვალ მეორე და ა. შ. — მექანიკური წესით გამოიცეს ეროვნული ლიტერატურების ნაწარმოებები. მკითხველმა მანატიოს და მწერლისათვის ასეთი წესით მისი ნაწარმოების გამოცემა შეურაცხყოფელია. მახსენდება უზრაველი „დრუშა ნაროდოვს“ მერ 1976 წელს მხატვრული თარგმანის პრობლემებზე ჩატარებული მრგვალი მაგიდა. როდესაც დისკუსიის

ერთ-ერთმა მოწინააღმდეგეებმა რუსი მკითხველი „შეიცოდა“, ასე დიდი დოვლებით რომ გამოდის მდარე ნაწარმოებთა რუსული თარგმანები (თავისთავად მდარე თარგმანები კიდევ სხვათა), რომლებიც შეუძლებელია რუსი და საკავშირო მკითხველის ინტერესს იწვევდეს, ჩვენმა ერთ-ერთმა მასხანძრებმა, ლ. ანინსკიმ, უშმაღ უპასუხა: „რუსი მკითხველი ნუ გეცოდებათ, იგი არ კითხულობს ამ თარგმანებს“. საქითხავია, თუკი არაიის სჭირდება ეს წიგნები, ასე თავდაუშოვავად რატომ უნდა ცდილობდნენ ავტორები თავიანთი წიგნების რუსულ ენაზე გამოცემას?

აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლეგიაშ საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად არცთუ უმნიშვნელო მუშაობა ჩაატარა იმისათვის, რათა შეემცირებინა საკავშირო არენაზე რუსი და საკავშირო მკითხველისათვის არასანაინტერესო ნაწარმოებების თარგმანა და გამოცემა. ამ მხრივ კოლეგიას კომპრომისის არცერთი შემთხვევა არ ჰქონია; კოლეგიაში ხდებოდა რეცენზირება იმ ნაწარმოებებისა, რომელთა გამოცემა განწარსებული ჰქონდათ ცენტრალურ გამომცემლობებს და ელოდებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის რეკომენდაციებს. ასეთი გამომცემების რიცხვი თითქმის „ნულის დონეზე“ დაეცა.

არ შეიძლება ისიც არ ითქვას, რომ თანამედროვე მწერლის „დიდ არენაზე“ გახვდის დამარცხებული მტკაღ დელიკატური, სათუთი საქმეა. ამ საკითხს კრიტიკოსი ჯ. ლვინჯილიაიც ეხება. იგი წერს: „სანამ, ვთქვათ, რუსი მწერალი გაარკვევს, ღირსეული მეგობარი შეიძინა თუ უღირსი, მანამ ურთიერთობა ღრმავდება და ბუნებრივია, ასე კატეგორიულად ვერც მოსთხოვს სხვას დღე და ღამე იმზე იფიქროს. არაფერი „შევცდე, სუსტი ნაწარმოები არ ვთარგმნო და ქართული მწერლობის პრესტიჟი არ შევებლო“. „ღირსეული“, და „უღირსი“, პიროვნების დადგენა ძნელია, საერთოდ „ღირსეულის“ და „უღირსის“ ცნება ამ მიმართებაში, ამ კონტექსტში არ უნდა ისმებოდეს. თუკი ქართველი მწერალი რუს მწერალს მხოლოდ იმიტომ ხვდება, რომ საკუთარი ნაწარმოებები ათარგმნონ, ამაში თავისთავად ცუდი არაფერი არ არის, ამ შეხვედრების მნიშვნელობა ცალკეულ კონკრეტული შემთხვევით განისაზღვრება; ანთი მეგობრული შემოქმედებითი კონტაქტები, უმეტეს შემთხვევაში, კარგის მომასწავებელია და ნაყოფიერ მუშაობას უწყობს ხელს. ასეთი შეხვედრები მუდამ იქნება, მაგრამ ეს არ არის ვადაშუქვები, მაგისტრალური ხაზი ლიტერატურული ურთიერთობისა და მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, ძირითადი მისია ლიტერატურულ ორგანიზაციებსა და გამომცემლობებს აკისრიათ. გარდა გარკვეული ორგანიზაციულ-

მეთოდური და მეცნიერულ-საზოგადოებრივი მუშაობისა, რაც აუცილებელია ლიტერატურულ ურთიერთობათა სწორი წარმართვისათვის, ცალკეული მწერლისადმი ღრმა პატივისცემისა და მათი პიროვნული უფლებების სრული დაცვისა და დაფასებისათვის, რასაც მთავარი სარედაქციო კოლეგია დიდის მონდომებით ახორციელებს, მთავარია სწორედ სჭაბაასიც, კამათიც, რაზედაც ჯ. ლვინჯილიათვის წერილში მიუთითებს. თვით ქართველმა მწერლებმა ნაადრევად, საზოგადოებრივი აღიარების ანდა მათი შემოქმედებითი თავისებურებით გამოხატული საქმიანობის ვარჯიშ არ უნდა მოინდომონ და თავიანთ სამოქმედო პროგრამაში არ უნდა შეიტანონ „დიდ არენაზე“ გახვლა.

სავულისხმოა, რომ ჩვენი კოლეგიის თანამშრომლებმა 1977 წლის დასაწყისისათვის შეადგინეს ბიბლიოგრაფია „ქართული ლიტერატურა რუსულ ენაზე“, გვაქვს საკუთარი რუსული გამომცემლობა და ბიბლიოგრაფია ძირითადად სწორედ რესპუბლიკაში გამოცემული წიგნებითაა შევსებული. ბიბლიოგრაფია სრულია. რესპუბლიკაში ბევრი კარგი რუსულ თარგმანი გვაქვს, მაგრამ მკითხველმა ისე არ უნდა ვაივოს, თითქოს ქართული ლიტერატურის ნებისმიერი ნიმუში მაღალ დონეზე იყოს თარგმნილი. ყველა ზემოთხსენებული ნაკლოვანება დამახასიათებელია ამ გამომცემლობისთვისაც; მტკაღ საინტერესო გამოცემებთან ერთად, რომელთაც დიდი რეზონანსი აქვს საკავშირო მასშტაბით, ზოგჯერ იცემა უფრო უღი, მდარე თარგმანებიც, რაც ცალკეულ შემთხვევაში ავტორისადმი უყურადღებობის უსულგულო და მოკიდებულების შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩვენი ღრმა რწმენით, საგამომცემლო პრაქტიკაში ავტორისადმი ყურადღება და კეთილგანწყობა ხშირ შემთხვევაში გულმისხმობს წიგნის მოცულობის შემცირებას, ავტორისა და მთარგმნელის დარწმუნებას იმაში, რომ რესპუბლიკაში რუსულ ენაზე წიგნის გამოცემა იგივე საკავშირო არენაზე გახვლას ნიშნავს და ისინი, ავტორი და მთარგმნელი, რაც შეიძლება დადებითი, პოზიტიური მხრიდან უნდა წარდგნენ რუსი და საკავშირო მკითხველის წინაშე. აქვე დავსძენ, რომ თუ ზოგჯერ საკავშირო მასშტაბით ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღების მიღმარება ასეთი უფერული გამოცემები, ამას ვერ ვიტყვით რუს მწერლებზე, ლიტერატორებზე, — ისინი კარგად ამჩნევენ ამ წიგნთა ხარისხს. მაგალითისათვის გავიხსენებთ თუნდაც იმას, რომ 1976 წელს, მთარგმნელთა საკავშირო ფორუმზე მოხსენებით გამოხუტმა სსრკ მწერალთა

ოთარ ნოდინი  
მსახვრული თარგმანების პრობლემები



კავშირის მოსკოვის ორგანიზაციის მდიანმა კუნიაევმა თავის მოხსენებაში ოფიციალურად განაცხადა, რომ რესპუბლიკებში რუსულ ენაზე წიგნების გამოცემა მიზანშეწონილი არ არის მათი დაბალი მხატვრული ღირსების გამო. ასეთი განცხადება, რა თქმა უნდა, ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული და ამ შეხვედრის მოწაწილებმა ერთსულადვე გააკრიტიკეს მოხსენებელი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯერჯერობით ისე ვერ ვიყენებთ ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისა და პროპაგანდის ამ დიდებულ საშუალებას, როგორც საჭირო და შესაძლებელია. მართლაც შესაძლებელია და კიდევაც უნდა მივაღწიოთ, რომ რესპუბლიკებში გამოცემული არც ერთი რუსული ენაზე დასტამბული წიგნი არ იყოს „იოლად“, „თვითდინებით“, გამოცემული წიგნი. დიდი მცდელობის შემთხვევაში კი ცალკეული ნაკლავანებებიც გვეპატიება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული ლიტერატურიდან რუსულ ენაზე თარგმნილი ნაწარმოებები რუსული ლიტერატურის სფეროს განეკუთვნებიან. ამ უდავო დებულებასთან დაკავშირებით მკითხველს შესაძლებელია ისეთი აზრიც დაებადოს, რაიც ასეა, მაშინ საქმეში არც მთავარი სარედაქციო კოლეგია უნდა ერთვოდეს. ეს კი ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს ასე. საკითხს უფრო ღრმად თუ ჩავუვირდებით პირველ რიგში შევინიშნავთ, რომ კოლეგია არ უნდა მივიჩნიოთ ერთგვარ მთარგმნელობითს სახელოსნოდ. კოლეგიის თანამშრომლები თავის თავზე იღებენ კულტურის ამ მნიშვნელოვან სფეროში არსებულ მდგომარეობის შესწავლას, საჭირო აუცილებელი მიუშვამის წარმართვას სასოფლოეობის განვითარების მოცემულ ეტაპზე არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით და ამ შესაძლებლობათა ფარგლებში თანაქედროდობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კოლეგიას მხოლოდ ასეთი პოზიციიდან შეუძლია, დიდი სამსახური გაუწიოს რუსულ ენაზე ქართული ლიტერატურის ნიმუშების მაღალმხატვრულ დონეზე თარგმნის საქმეს. ამიტომაცაა გამართლებული მისი აქტიური ჩარევა ზემოთდანიშნული საკითხების გადაწყვეტაში.

ჩვენ მიუვაბლოვდით საკითხს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელობითი პროცესისათვის. ეს არის ორიგინალიდან თარგმნის საკითხი, რაზედაც არცთუ იშვიათად გამოიქმნის აზრი, რომ ქართული ლიტერატურის ნაწარმოები რუსულად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სარისხიანად ითარგმნოს, თუკი მთარგმნელი მაღალი დონის რუსი მწერალი იქნება და ამასთანავე ქართული ენა ეცოდინება.

ცხადია, მთარგმნელისათვის ორიგინალის ენის ცოდნას გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა აქვს იმის შესახებ, რომ მთარგმნელი თარგმანის ენას, ე. ი. შშოპლიურ ენას „მწერლურად“ უნდა ფლობდეს, არა გვგონია რაიმე ეჭვს იწვევდეს: თუ თავიხი ენა არ იცის მავანმა და მავანმა, აზრი ეკარგება მის „მწერლურ-მთარგმნელობით მოღვაწეობას“. სათარგმნი მასლისავე იღობი მოწიწებისა და სიყვარულის, ორიგინალის ავტორისადმი დიდი პატივისცემის გარეშე შეუძლებელია ერთი ლიტერატურული ქმნილების სხვა ლიტერატურის მხატვრულ ნაწარმოებად გარდასახვა, გარდაქმნა. აღარ გავივლორებთ იმასაც, რომ ორიგინალის ენის ცოდნის შემთხვევაშიც, კარგი და მხატვრულად ადექვატური თარგმანის შექმნა დამოკიდებულია მწერლას — მთარგმნელის სულიერ მაღალზე, მის ნიჭზე.

ამ მოსაზრებებიდან გამოდინარე, გასახება ჩვენი დამოკიდებულება აუკარედთან. ჩვენი მსჯელობა შეიძლება ისე ვავიკოთ, რომ საერთოდ ეჭვის ქვეშ ვაყენებთ თარგმანის პროცესში აუკარედით სარგებლობის პრაქტიკას. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. სინამდვილეში საკითხი ეტება არა იმას, რა სჯობია — აუკარედის საშუალებით თარგმნა, თუ პირდაპირ ორიგინალიდან თარგმნა, არამედ იმას, რომ დღესდღეობით პრაქტიკულად შეუძლებელია აუკარედზე უარის თქმა. საქმე ეტება იმას, ჩვენს მთარგმნელობით საქმიანობაში დავუცადოთ თუ არა კადრების აღზრდას, ვიცადოთ თუ არა მანამდე, სანამ ქართული ენის ისწავლიან რუსი მწერლები, მივიღოთ თუ არ მივიღოთ მოწაწილეობა სულიერ ღირებულებათა ურთიერთგაცვლის მსოფლიო პროცესში, თუ დღესვე ვიმოწაწილოთ ამ პროცესში რეალურად შესაძლებელ მაღალ დონეზე და, პარალელურად, დღეიდანვე აქტიურად შევამზადოთ ნიადგი თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის სარისხობრივად ახალ მაღალ საფუძველზე განვითარებისათვის და, ასევე, ქართული ორიგინალური ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე მაღალმხატვრული თარგმანების შექმნისათვის.

მთავარი სარედაქციო კოლეგია აწვადებს პერსპექტიულ სარეკომენდაციო წინადადებებს იმის შესახებ, თუ ქართული მხატვრული ლიტერატურის რა და რა ქმნილები თარგმნა მიზანშეწონილი და აუცილებელი მსოფლიოს ხალხთა ენებზე. ამასთანავე, მას სჭირად უნდა იქნება მთარგმნელებს, გამოცემლობების თხოვნით საკონსულტაციო და სარეკომენდაციო სამუშაოების შესრულება, როგორც თავის თა-



ნამშრომელთა, ისე მოწვეული სპეციალისტების ძალიებით, სხვადასხვა რესპუბლიკისა და ქვეყნისათვის. სათანადო კრიტიკული ლიტერატურის უკმარისობა აშკარად იგრძნობა.

დავუბრუნდეთ აშკარედის საკითხს. ვინაიდან მასზე უარის თქმა დღეისათვის შეუძლებელია, კოლექტივს დიდი მუშაობა ჩაატარა აშკარედის ხარისხის ასამაღლებლად, განსაკუთრებით პოეზიის აშკარედის შემქმნაში შესწავლა გარკვეული გარდატეხის შეტანას უტოვებსაც. შეიქმნა აშკარედის ბიბლიოთეკაც. აშკარედები კოლექტივში იქმნება მრავალ ენაზე — რუსულად, ქართულად, სომხურად, აფხაზურად, ოსურად, გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად და ა. შ.

კოლექტივა ამასთანავე მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ენების შესწავლის მხრივაც. რა თქმა უნდა, ენების შესწავლის საკითხი წყდება, ინდივიდუალურად. ჩვენ, შეიძლება თქვას, ამ საქმეში ერთგვარ „ხელშეწყობასაც“ ვინებით. როდესაც ახალგაზრდა ლიტერატორს, მწერალს ენას ასწავლი, თავისთავად გარკვეულ მორალურ პასუხისმგებლობასაც იღებ — პრაქტიკული მიზნებისათვის ასწავლი. ცხადია, ნიქიტურების მომენტი აქ გადაიწყვეტა. ჩვენ არც დიდ რეკლამას უტოვებთ ამ საქმეს, ვინაიდან თუ არ შევისწავლით, უფრო სწორად — თუ არ ვირწმუნეთ ახალგაზრდა მწერლის (ახალგაზრდა, ვინაიდან უფრო ასეთ შემთხვევაშია რეალური ენის შესწავლა) ნიქი და კეთილშობილება, ისე თითქოს აზრიც ეკარგება ჩვენთვის ამა თუ იმ პიროვნების მწერლური ბიოგრაფიის საქართველოში, ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებას. აშუამდ სულ რამდენიმე, (სამი ახალგაზრდა) რუსი მწერალი სწავლობს კოლექტივში ქართულ ენას. რომელთა იმედო ნამდვილად გვაქვს. ენებს, ქართულ ახალგაზრდა შემოქმედელს ვასწავლი. ამჯერად ამ საკითხებზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, დავუმატებთ მხოლოდ, რომ დღეს ჩვენთვის პოეზიის თარგმანსთან ერთად მეტად საშური საქმეა ქართული პროზის რუსულ ენაზე თარგმნა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მასზე მოთხოვნილებაც, ინტერესიც, დიდია არა მარტო რუს და საკავშირო მკითხველში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. უკანასკნელ პერიოდში კოლექტივა აქტიურად შეუდგა პროზის აშკარედების შექმნას და გარკვეული „ფონდის“, დაგროვა. ეს მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიურად შესრულდება. ჩვენი პრაქტიკული მოსაწყობებით (რა თქმა უნდა, ჩვენივე მონაწილეობით) ქართული ლიტერატურის პოეტურ და პროზაულ ქმნილებათა თარგმანების გამოცემა ხაერძობილად გახსნარდა როგორც მომავლ საბჭოთა ხალხთა ენებზე, ასევე საზღვარგარეთის ხალხთა ენებზეც, განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებში.

ერთი ახეთი არგუმენტიც შეიძლება მოვიტყუოთ აშკარედის სასარგებლოდ. როდესაც ჩვენს ამახ წინათ ჩატარებული საკავშირო მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის სამშენებლო სველელ სხდომაზე საქართველოს მწერალთა კავშირში გარკვეული აზრით გავილაშქრეთ აშკარედის წინააღმდეგ (თუმცა უარი არ გვითქვამს მასზე) და ვახსენეთ რუსი ახალგაზრდა მწერლების მიერ ქართულის შესწავლის აუცილებლობა, ამასთანავე დავახსენეთ — ვინ სწავლობდა ქართულს, ზოგიერთმა რუსმა მწერალმა ეს შეცდომად ჩაგვითვალა, ვინაიდან ამაში დანიხა ის გარემოება, თითქოს კოლექტივა უარს ამბობდა ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნის პროცესში რუსული სიტყვის გამოცდითი ოსტატების მონაწილეობაზე. რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო და არ არის. მაგრამ ისიც სინამდვილეა, რომ რუსული ლიტერატურის წამყვან ძალებს პრაქტიკულად აშკარედის გარეშე არ ძალიან მოწონებია. ვინაიდან ამ მთარგმნელობით პროცესში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საქიროდ მიგვაჩინა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ შემდეგ მომენტზე. საქართველოში და, შეიძლება, ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში, გავრცელებულია აზრი, თითქოს რუსული მწერლური ენის ფლობა თბილისში მცხოვრები ადამიანისათვის ძნელია და, ამიტომაც, მისთვის მიუღწეველია ქართულიდან რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანების სასურველი დონე. ჩვენი აზრით, ეს დებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ ქუშმარტებას. რამდენადაც ჩვენითვის ცნობილია, წინა პერიოდთან შედარებით, როცა მართლაც ასეთი იყო საქმის ვითარება, დღეს ეს საკვებით შესაძლებელია, შესაძლებელია არა იმიტომ, რომ თითქოს ქართულის ასპარეზი შეწყვიტა, არამედ იმიტომ, რომ შეიცვალა დროის რიტმი, ერთგვარად პირობითი გახდა თვით მანძილის ცნება, თანაც რუსულ ლიტერატურაში უფრო გამოვლინდა „სხვაგვარი რუსული ლიტერატურა“ ლიტერატურის გეოგრაფიის მიხედვით — ციმბირისა, სამხრეთ რუსეთისა, ვოლოგდისა თუ ლენინგრადისა იგი, რაც არასდროს, ამ მხარეების ობიექტურ თავისებურებებთან ერთად, რუსული ენის დიალექტიკითაცაა გაპირობებული. ამასთანავე, თარგმანის შემოქმედებითი პრინციპების თაობაზე დღესაც ბევრი რამაა საკამათო. მკაცრი საზომით თუ მივხედვებით, ჯერ კიდევ დასადგენია თუ რა არის მხატვრული ადექვატურობა; სხვა ნაციონალურ კონტექსტში ვადასვლასთან დაკავშირებით.

მოთარგმნელი თარგმანების პრობლემატიკა

ვშირეზით მხატვრული ნაწარმოები რამდენად იცვლის თავის ქსოვილს; საჭიროა თუ არა, რომ იგი მთლიანად შეერწყას უცხო ენის მხატვრულ სისტემას, თუ თავისი მხატვრული სისტემის თავისებურებებით გაამდიდროს იგი; შეინარჩუნოს გარკვეული თარგმნითი „ბელოვ-ნების“ ნიშანწყალი. და შემდეგ, რაც მთავარია, განუწოვინდეს ვაწარადა ქართველი კაცის ინტერესი ქართული ლიტერატურის ნიშნულა რუსულ ენაზე ადექვატური თარგმანისადმი, დიდია მისი სურვილი — რუსულ ენაზე მთელი სისავსით გამოვლინდეს ქართული ლიტერატურის განუმეორებელი პლასტიკა, პოეზია. შეიძლება ვცდებოდეთ, მაგრამ ფაქტია ერთი რამ: კოლეგიაში უმთავრესი თარგმნითი მასალებიდან არც თუ ცოტაა ისეთები სერიოზულ უკრავდებებს რომ იმსახურებენ. ამ შემთხვევაში ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია პირველბაზა გვარების გამოქვეყნება. შეიძლება ითქვას, რომ ბალტიკისპირეთის რესპუბლიკების მხგავსად, სადაც, მაგალითად—ლიტვაში (უფრო გამოკვეთილად) კარგა ხანია არსებობს ლიტვური ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის ლიტვური სკოლა, განსხვავებით მოსკოვის სკოლისაგან, ჩვენთანაც, თბილისში, შეხაძლოა (უკვე კარგე გვიკაჟუნებს) ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის ქართული სკოლა გამოიკეთოს. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა შედარებით მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული თარგმანების წახალისება, პრინციპულობა, მღვრიე ნაკადისათვის გზის გადაღობვა... საამისოდ კოლეგიას განზრახული აქვს ორიგინალიდან რუსულ ენაზე შედარებით მაღალხარისხისადაც თარგმნილი ქართული ნაწარმოებების კრებულის გამოცემა. — კოლეგიამ, ამასთანავე, ბოლო ხანებში შესძლო შემოიკრიბა მაღალნიჭიერი რუსი მწერლების აქტივი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ქართული ლიტერატურის თავის ენაზე თარგმნაში, ასევე რუსული თარგმანების რეცენზირება-რედაქტირებაში, კოლეგიის ლიტერატურულ-მთარგმნელობით ცხოვრებაში. ამასთანავე, კოლეგიაშიც შეიქმნა სპეციალური ჯგუფი რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნების მოსამზადებლად.

საინტერესოა ამ მხრივ უახლესი გეგმები რუსი ავტორების ნაწარმოებთა ქართულად თარგმნისა და ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე გამოცემის შესახებ. მალე გამოვა კოლეგიის მიერ მომზადებული კრებული „თანამედროვე რუსული მოთხრობა“, რომელშიაც ოცდაათამდე მწერლის საუკეთესო მოთხრობაა შესული. აქ არ შესულა რუსული საბჭოთა მოთხრობის ყველა საუკეთესო ნიმუში და კოლეგია შეეცდება მომავალში უფრო სრულად წარმოაჩინოს რუსული პროზის მიღწევები ამ ჟანრში კოლეგია ახლო

მომავალში გამოსაცემად ამზადებს რუსული პროზის გამოჩენილი მხატვრების ცალკეულ ნაწარმოებთა და კრებულთა თარგმანებს, მათ შორის კ. სიმონოვის, გ. მარკოვის, ფ. აბრამოვის, ალ. ჩერკასოვის, ა. ჩაბაგინის, ი. ტრიფონოვის, ვ. ბელოვის, გ. რასპუტინის, ვ. ასტაფიევის, ბ. ოკუჯავას, ვ. ლიხონოსოვის, ა. ბიტოვის, გ. სემიონოვის, ა. ბორშჩაგოვის და სხვათა თხზულებებს. რუსულადაც ბევრი რამ ითარგმნება, მათ შორის გამოსაცემად მზადდება „ძველი ქართული პროზა“, აგრეთვე პოეტური კრებული ანა კალანდაძისა, ტარიელ ჭანტურისი, მოთხრობები რეზო ჭეშვილისა, რევან ჯავახიანის რომანი „მძიმე ჭევირა“, გიგოლ ჩიქვანის — „მინა“, ოთარ ჭილაძის — „უკველმან ჩემმან მოგვინელმან“, ვ. ლეონოვიჩის მიერ თარგმნილი ვალაკტიონ ტაბიძის ლექსების წიგნი, ოთარ ჭილაძისა, გივი ძენლაძის და ირაორჯონიკიძის ლექსთა კრებულები, ნინო ნაკვიციანი „ლევ ტოლსტოის ახლოს“, და დავით გურამიშვილის ლექსთა კრებული და შოთა ნიშინაიძის ლექსები. აგრეთვე ქართული ფოლკლორის ორი წიგნი: ნ. გრებნევის „სამი მზე“ და ი. გოლცმანის „ამ მთაზედა“.

მთავარ სარედაქციო კოლეგიას ახლო მომავალში განზრახული აქვს ქართული ლიტერატურის მთარგმნელთა საკავშირო შეხვედრის ჩატარება. ამ მიზნით მან ადრევე შეადგინა სწორედ შემოსესხენებულ ბიბლიოგრაფია „ქართული ლიტერატურა რუსულად“, ასევე შედგენილია სხვა ბიბლიოგრაფიები, რომლებიც იძლევიან მთლიან სურათს საბჭოთა და სასაზღვარგარეთის ხალხთა ენებზე ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმნის მდგომარეობის შესახებ. აქვამად მიმდინარეობს ქართული ნაწარმოებების რუსული თარგმანების ხარისხის შესწავლა-ანალიზი. ამ შესწავლაზე განზრახული გვაქვს ის ძირითადი საუბარი, რაც აუცილებელია ამ საქმის სწორი წარმართვისათვის, ქართული ლიტერატურის მთარგმნელთა შემოქმედებითი შრომის გარკვეული სტომულირებისათვის.

ქართული ლიტერატურის რუსულად თარგმნის საკითხებზე კიდევ ბევრჯერ დაიწერება და ბევრი რამ საუბლისხმოც ითქმება. მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობის დროს, ჩვენი აზრით, სასურველია გავითვალისწინოთ ის პოზიტიური მუშაობა, რომელსაც კოლეგია ატარებს, რათა მუშაობის ამ სფეროში შემნილი მდგომარეობის ანალიზი და შეფასება საქმის რეალური მდგომარეობიდან გამომდინარეობდეს.


ჯ. ლენჩილია თავის წერილში აღნიშნავს, რომ კოლეგია პირადი ინიციატივის ამარა მიტოვებული. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ჩვენ კარგად ვცნობთ, რომ ჯ. ლენჩილიას, მწერალს, ქართული მთარგმნელობითი ლიტ-

რატურის გულშემატკივარს, სურვილი აქვს, რომ კოლეგიას მეტ დახმარებას უწევდნენ. ასეთ დახმარებას ეს დაწესებულება ნამდვილად საქირებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლეგიის თანამშრომლებს, თავიანთი არც თუ ისე დიდი ხნის მუშაობის მანძილზე, მტკიცე რწმენა გამოუშუშავდათ იმისა, რომ კოლეგია არის არა მარტო სრულიად მისაღები ორგანიზაციული ფორმა თანამედროვე ეტაპზე მთარგმნელობითი საქმიანობის მიზანდასახული წარმართვისათვის ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა მთარგმნელობითი სკოლის შემდგომი განვითარება-გაფურჩქვნისათვის, არამედ საბჭოთა ლიტერატურისათვის სრულიად აუცილებელი, ლოგიკური განვითარების შედეგი და ორგანიზაციული ფორმა. ამიტომაცაა, რომ კოლეგია საქირებს უფრო ფართო და მასშტაბურ მხარდაჭერას, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, აქტიურად მოქმედი იდეოლოგიური დაწესებულება, რომლის მოღვაწეობის გარეშე დღეს აღარ იქნებოდა

სრული და სათანადოდ გააზრებული მშრომელთა ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის საქმე ჩვენს რესპუბლიკაში. ის, რომ კოლეგიის თანამშრომლებს ასეთი აზრი შეუშუშავდათ ამ დაწესებულებაზე, მათ მიეკრძაება, არამედ იმაზე, რომ პირველად საქართველოში წარმოიქმნა, ქართულ სინამდვილეში იშვა ახალი საინტერესო ორგანიზაცია, რომ იგი ცხოვრების მიერაა გამოწვეული, ჩვენი საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონებითაა განპირობებული.

ამ წერილში ჩვენ არ შევხებივართ მრავალ საკითხს, დაკავშირებულს ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმნასთან საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე და ამ მთარგმნელობითი მოღვაწეობის განუყოფელ ნაწილს, ლიტერატურულ ურთიერთობებს, რაკი მოცემული თემით შემოვიფარგლეთ — ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის პრობლემებით.



# მუსიკა

გურამ აბრამიშვილი,  
ზაზა კლემსიძე


(დასასრული)

## მხედრული დაგზავლოვის სათავაპეთან

აბნინის ხიონის დასავლეთის აფსიდის ბემის ჩრდილო კალთაზე ამოკითხული მხედრული წარწერა, რომელშიც ლაპარაკია ტაძრის ინტერიერის პერანგის შეკეთების შესახებ და თარიღდება 982—986 წლებით, უნდა გახდეს ამოსავალი სხვა ამ ტიპის და აქვე მოთავსებული წარწერების ქრონოლოგიის დასაღვენად.

II

დასავლეთის აფსიდის ბემის კუთხეში გამოსახულია მთელი ტანით მოხუცი ბერის სამოსელში. ფრესკის წარწერა სრულად არ შემონახულა („ძე დიდისა...“), ამიტომ ბერის ვინაობა ცნობილი არ არის. „ძე დიდისა“ ფრესკული გამოსახულების მარჯვნივ, იატაკიდან 285 სმ სიმაღლეზე მოჩანს წარწერა, რომლისაგანაც მხოლოდ სამი სტრიქონია გადარჩენილი:



- 1 ეგრემის ძქ[ა]...
- 2, მე, მიქელ, დი-
3. აკონი, წვე...

მეოთხე სტრიქონიდან ბათქაში აცვენილია და მხოლოდ რამოდენიმე გრაფემის ზედა ხაზები გაირჩევა: „დო.. მ...“

წარწერაში შენახული ინფორმაცია ისე მცირეა, რომ მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია ან შინაარსით მისი დათარიღება შეუძლებელია. ეს კია, რომ გრაფიკულად იგი იმდენად მსგავსია I წარწერას (ტექსტში რომელი ციფრებით აღნიშნული პარაგრაფები ცალმხიისათვის შეიძლება მივიჩნიოთ წარწერების ნომრებადაც), რომ თავდაპირველად საერთოდ ერთი წარწერა გვეგონა. ამ აზრს ისიც ამტკიცებდა, რომ I წარწერა ზუსტად II-ის ქვეშაა მოთავსებული, დაახლოებით ნახევარი მეტრის დაშორებით, და მათ შორის მთელ ტერიტორიაზე ბათქაში ისეა ჩამოკვენილი, რომ ერთ წარწერას ბოლო აკლია, მეორეს — თავი. ორივე წარწერა შესრულებულია ერთნაირი (შავი) საღებავით, განსხვავებულია მხოლოდ გრაფემათა ზომები: მიქელ დიაცვის წარწერა უფრო დიდი ასოებით არის დაწერილი. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანე შემსვედრ გრაფემათა შედარებით ტაბულას.

როგორც ტაბულიდან ვხედავთ, განსხვავებულია მხოლოდ ნაჩის მოხაზულობა: მეორე წარწერაში მას ზედა ხაზი ჰორიზონტალურის მაგიერ მორკალული აქვს. მაგრამ III წარწერაში, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული, ორივე ხაზის ნარი გვხვდება, ხოლო მისი ხინქრონულობა მიქელ დიაცვის წარწერასთან სრულიად უმჯველია.

I და II წარწერებს შორის გრაფიკული მსგავსება განსაკუთრებით აშკარაა, როდესაც მათი ვადაშისა და ხერთო ასოთა კომპლექსის წერის მანერას ვაღარებთ ერთმანეთს.






Handwritten characters, possibly 'g n'.

Horizontal line.

Handwritten character, possibly 'd'.

Vertical line.




Handwritten characters, possibly 'an nu'.

Handwritten characters, possibly 'py au'.

Handwritten characters, possibly 'u b ur'.

Handwritten characters, possibly 'q s'.

Handwritten characters, possibly 'da r n'.





უველაფერი წემით თქმული გვიჩვენებს, რომ ჩვენი „შორეთიდან“ ეფრემის წარწერა მიქაელის წარწერის სინქრონულად უნდა ჩავთვალოთ, თუმცა იგი რეალურად მასზე ადრეა (დროის თუნდაც სულ მცირე მონაკვეთით) დაწერილი. ასეა თუ ისე, ეფრემის წარწერაც 982—986 წლების ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს,

სრულიად აშკარაა, რომ ეფრემიცა და მიქაელიც სასულიერო პირები არიან (მიქაელი თავის თავს „დიაკონს“ უწოდებს). ამ ფაქტის ცოდნა ჩვენგან მოითხოვს დავუშვათ, რომ X საუკუნის უკანასკნელ ოცეულში ქართული საზოგადოების უველაფენის არაოფიციალური ხელწერა მხედრული იყო. ალბათ სამღვდლოები ერთმანეთს მოკითხვის ბარათებს მხედრულად წერდნენ.

**IV**

I-სა და III წარწერებს შორის მოჩანს კიდევ ერთი მხედრული წარწერის ფრაგმენტი. იგი შესრულებულია იმავე შავი საღებავით, რომლითაც დაწერილია პირველი სამი, და გრაფიკულად ძლიერ წაგავს ეფრემის წარწერას. მათ სინქრონულობაში ექვის შეტანა შეუძლებელია. თვალშისაცემია „არ“ მარცვლის თავიებური, თითქმის თანამედროვე გადამზა.

საღებავის ქვეშ მოჩანს შავი საღებავით დაწერილი ფრაგმენტის ფრაგმენტი. აცენილ დაუზიანებია პირველი სტრიქონი მთლიანად და, აგრეთვე, დანარჩენი სტრიქონების დაბოლოებები. წარწერას ასე ვკითხულობთ:

ს  
= 2  
7  
52  
41  
77  
72  
ს  
2  
7

- 1 [ქ. ქრონიკონ]
- 2 სა შე [ესე შე]
- 3 დავწერე ვინ წაიკითხოს]
- 4 [ლოცვისა მოქაიხნეთ]

ტექსტი მთლიანად ნუსხურით არის დაწერილი (მ-ანი და ს-ანი მხედრულს უახლოვდება მომრგვალებული კუთხეებით), მაგრამ მასში აშკარად გამოირჩევა უ-ანი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს არც მრგოლოვანთან და არც ნუსხურთან, იგი აშკარად მხედრულით არის შესრულებული.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჩვენს ფრაგმენტს თარიღი აქვს. თარიღის გარდა, დაქარაგმებული სიტყვა ან სიტყვებიც რომ ვივარაუდოთ, „სა შე“ (ან „სა შე“) ვერავითარ აზრიან კომბინაციას ვერ გვაძლევს. გვჩნდება ვიფიქროთ, რომ „უე“ არის რიცხვი და უდრის 95-ს. ქართული ქრონიკონით ფრაგმენტის თარიღი იქნება  $780 + 95 = 875$  წელი.

ქართული დამწერლობათმცოდნეობის დღევანდელ დონეზე ძნელი წარმოსადგენია, რომ აქვე გვეპოვნეს მიჯრით (არაბული — „სარკინოთა“ — წელთაღრიცხვით) ნანგარისებ თარიღთან:  $622\frac{2}{3} + 95 = 718\frac{2}{3}$  წელი. რადგან იქვე ახლოს არის სხვა ქრონიკონით დათარიღებული ფრაგმენტებიც, დღეის ალბათობა იმისა, რომ ეს ფრაგმენტიც ამავე სისტემით უნდა დათარიღდეს. მუშასაღამე მხედრული და მწერლობის არსებობის ხანაში კიდევ ერთი საუკუნით წინ უნდა ვადაოწიოს.

Handwritten signatures and notes in Georgian script, including the word 'ფრაგმენტი' (fragment).

**V**

საკუთრებელის სამხრეთ კალთაზე, ხარისხიდან 98 სმ სიმაღლეზე, კუთხიდან 145 სმ დაშორებით, კედლის მონატულობის დამამთავრებელ დეკორატიული ნარჩის გადსულთი


გურამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე  
მხედრული დამწერლობის სტამბობათა

მნიშვნელოვან გავრცელებას, შემთხვევით მზადდება. თან ვაქვს საქმე, თუ კანონწომიერია მხედრული უ-ანის ხმარება ნუსხურით დაწერილ ტექსტში. ასეთ შემთხვევებში, რიცხვების დანარჩენი ტექსტიდან გამოსაყოფად, ხელნაწერებში ჩვეულებრივ ასომთავრული გამოიყენებოდა ხოლმე. მაგრამ ვინ იცის, ეკების ადრე ხევა წესიც არსებობდა და მხედრული იყო ციფრებისა და ანგარიშის საშუალება? იგი ხომ სწორედ საერო დანიშნულების დამწერლობა იყო! თუ ასეა, მაშინ თავიდანვე უნდა არსებებულიყო მხედრული ანბანი, რომელშიც ყველა გრაფიკის თავისი რიცხვითი მნიშვნელობა ექნებოდა შენარჩუნებული.

წავს, თუმცა ასეთი ტიპის მხედრული ნუსხის გვხვდება ფერმის წარწერაში განვიხილეთ. ვიდრე უფრო მოგვიანო საფეხურს უჩვენებს, ვიდრე დასავლეთი აფხაზის ბემის 980-ანი წლების მხედრული წარწერები. ამიტომ მხედრული ანბანის შემცველი გრაფიკით დაახლოებით X საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს.

ნუსხურად დაწერილი ტექსტისათვის მხედრული ანბანის დართვა, ნუსხურად დაწერილ ტექსტში რიცხვის გამოყვანა მხედრულით, იმის მაუწყებელია, რომ მხედრული დამწერლობა IX საუკუნეში თუ არა, X-ში მაინც უკვე გავცნობიერებულია როგორც მრგოლგანისა და ნუსხურისაგან განსხვავებული სახეობა, რომელსაც სპეციალური დასწავლა სჭირდება. ამიტომ არ უნდა იყოს მართებული იგი ჯავახიშვილის ცდა აღრიდელი ხანის მხედრული ჩათვლის უბრალოდ მომრგვალებულ ნუსხურად და მხედრული დამწერლობის დასაწყისად XIII საუკუნის მეორე ნახევარი მიიჩნოს (ქართული პალეოგრაფია, გვ. 190—193).

VI  
მართლაც საკუთოსევიის სამხრეთ კალთაზე, ხარისხიდან 98 სმ სიმაღლეზე, კუთხიდან 220 სმ დაშორებით მხატვრობის დამამთავრებელი დეკორატიული ჩარჩოს გადასული საღებავის ქვეშ მოჩანს მხედრულნარკვი ნუსხურით შესრულებული გრაფიკა, რომლის მეოთხე სტრიქონში მხედრული ანბანის ანგარიშის ა-ნიდან მ-მდე:



- 1 ხახელითა ღ(მრ)თისათა
- 2 ხახელითა
- 3 ღ(მრ)თისათა ფხე
- 4 აბგდეზჳ

ტექსტის ნუსხურ ნაწილში ა-ნი ყველაგან მხედრულის ფორმით არის მოცემული ცალკეც და გადაშლილი: იხ. „თა“, „ხა“. ადრეული პერიოდის მხედრულს წაგავს, აგრეთვე, ე-ნი და ხ-ანი. ა-ნისა და ზ-ენის მოხაზულობა (ზ-ენს ზედა ტანის მორკალვის ტენდენცია ექმ-

ატენის ხიობის მხედრულმა წარწერებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კორექტივა უნდა შეიტანონ ქართული დამწერლობაში ცოდნობის დღევანდელ ცოდნაში. გადახედვა დასჭირდება ჩვენში საყოველთაოდ გაზიარებულ დებულებას, რომ „მხედრულ წერას, ხუცურისაგან განსხვავებით თავიდანვე აქვდა სამი ასო: ც, ღ, შ“ (ა. შინიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 11).

როგორც მოტანილი მასალიდან დაინახავდა



მკითხველი, შ არაქმარტო აღრიღანვე იყო მხრ-  
დრულ ანბანში, არამედ გამოიყენებოდა კიდევ  
წერისას (შდრ. ფერმის წარწერის პირველი  
სტრიქონი). სულ ბოლო ხანებში ცნობილი  
გახდა, რომ შ და ა მხედრულ ანბანში თავის  
აღკაღვლი იყვნენ XIII-XIV საუკუნეებშიც:  
ბრიტანეთის მუზეუმის XI საუკუნის პირველი  
ნახევრის ქართულ ხელნაწერს (Add—11281)  
119 v, 238 v და 234 r გვერდების აშუქებზე  
რამდენჯერმე აქვს მიწერილი მხედრული ანბან-  
ი, რომელშიც გვხვდება ხამივე ზემოთ აღნი-  
შნული ასო (ე. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, რ ე ც ე ნ ბ ა ვ.  
გ. ი მ ნ ი მ ვ ე ლ ი ს წ ი გ ე ნ ზ ე „ მ ა მ ა თ ა ც ხ რ ე ბ ა ნ ი ა —  
ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს მ უ ზ ე უ მ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი  
X I საუკუნისა. იმეკლება „მრავალთავის VII  
ტომში).

ატენის სიონის შ თავისი მოხაზულობით, რა  
თქმა უნდა, ჯერ კიდევ უფრო ახლოს არის  
ნუსხურთან, მაგრამ მასში უკვე შეინიშნება ის  
ტენდენცია, რომელშიც ბრიტანული ხელნაწერ-  
ის ც-დე მიგვიყვანა.

ქ  
ღ

ახეთი ევოლუცია კი შესაძლებ-  
ელია მხოლოდ მაშინ, როდეს-  
აც გრაფიკა სმარებაშია, ტექსტე-  
ში აღბათ მხოლოდ ადრეულ ეტაპზე, ხოლო  
ანბანის რიგში ან რიცხვების აღსანიშნავად  
ეოკველთვის.

როგორც კი ნუსხურმა ი-ნმა მომრგვალება  
დაიწყო, იგი მაშინვე დაემსგავსა ა-ს. ეს გრა-  
ფიკული განსხვავება დამთხვა ამ ფონემების  
ფონეტიკურ ინდიფერენტულობას: მომრგვალე-  
ბული ნუსხურით და მხედრულით ნაწერ ტექ-  
სტებში შეუძლებელი გახდა ი-ნის ა-სგან ვარ-  
ჩევა. ახეთი ინდიფერენტისმის მოწმობაა ის  
გრაფიტიც, რომელსაც ახლა ვიხილავთ: სიტყვა  
„ღმრთისადათ“ პირველ შემთხვევაში დაწერი-  
ლია ა-ით, ხოლო მეორეში — ი-ნით. როგორც  
ჩანს, დამწერმა თვითონაც აღარ იცის, რა შფ-  
თხვევაში უნდა დაწეროს ა, ან რა განსხვავებაა  
ამ ორ გრაფემას შორის. ვინაიდან მხედრული  
დამწერლობა ვაცილებით უფრო ნაკლებ კონცე-  
რვატულია, ვიდრე ნუსხური (მრგვალოვანი და ნუს-  
ხური) და ჩვეულებრივ იგი გამოიყენებოდა ისე-  
თი ტექსტებისათვის, რომელთაც კანონიკური მნი-  
შვნელობა არა ჰქონდათ, თანდათან უარი თქვეს  
ა-ს და ც-ს სმარებაზეც (შ გრაფიკულად ძლი-  
ერ დემსგავსა ი-ნის), რომლებსაც უკვე დღე-  
გული ჰქონდათ ფონეტიკური ფუნქცია. მიუხე-  
დავად ამისა, როგორც მოტანილი მასალებიდან

დავინახეთ. ისინი რჩებოდნენ ანბანში რაიმე  
რიცხვითი მნიშვნელობით.

VII

ატენის სიონის ინტერიერის სხვადა-  
სხვა კედელზე გვხვდება ვინმე გიორგის რამ-  
დენიმე შინაწერი ერთი და იმავე ტექსტით:  
„ქ(რისტი) შ(იწიქა) გ(იორგი)“. წარწერის  
ძველა გრაფიკა ახლოს დგას ჩვენთვის კარგად  
ცნობილი სამეფო დოკუმენტების ხელწერას-  
თან. ხოლო ვ-ანს უკვე სრულიად ჩამოუალიბე-  
ბული მხედრული ფორმა აქვს.

ქ  
ღ

ქ  
ღ

ქ  
ღ

რა დასკვნები შეიძლება გავეთდეს იმ მას-  
ლის ვაცნობის შემდეგ, რომელიც მოპოვებუ-  
ლია ატენის სიონში?

აღმოჩნდა ქართული დამწერ-  
ლობის განვითარების სწორედ  
ის ეტაპი, რომელიც ნუსხურიდან  
მხედრულზე თანდათანობით გა-

შუარამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე  
მხედრული დამწერლობის სათავეებთან



დასვლის ნაჩვენებლად იყო აუცილებელი. ამერიიდან უკველგვარი მსჯელობა ქართულ დამწერლობათა სახეობებს შორის მხედრულის უძველესობის შესახებ (მ. ბროსე, ნ. მარი), რომელიც მაინცა და მაინც პოპულარული არც ყოფილა, უსაფუძვლოდ უნდა ჩითვალოს. ნუსხურიდან მხედრულზე თანდათან გადასვლის ნათლად წარმოსადგენად მეცნიერებს დასკვირდება ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი ტაბულა შეუღაროს ნებისმიერი თავისებურების მქონე ნუსხურს. ტაბულაში გასარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი: IX საუკუნის გრაფაში გვაქვს მხოლოდ გრაფმა უ-ანა, რომელიც აღწერილია ჩვენი წერილის V პარაგრაფში (არ შეიტანეთ ამავე წარწერადან ე-ნი, რადგან იგი ნუსხურის მოხაზულობისაგან აშკარად არ გაირჩევა). X საუკუნის გრაფა არაბული ციფრებით და-ნომრით ოთხ ჭკულებად იყოფა. I შეესაბამება ჩვენი წერილის I პარაგრაფში გაზილულ წარწერას (ინტერტიერის კედლების მოპირკეთების შესახებ), 2—II-ს (მიქაელის წარწერა), 3—III-ს (ეფრემის წარწერა), 4—VI-ს (ანზანი). XI საუკუნისათვის ორა გრაფა გვაქვს. 1-ით აღნიშნულია ბაგრატ IV-ის მიერ 1057 წელს შიომღვიმისათვის მიცემული შეწირულების სიგლის შინაწერები „ციხკის“ მე-5 ნომრის 125-ე გვ. მეორე აბზაცში გაპარულია შეცდომა: სიტყვა „ნუსხურის“ ნაცვლად უნდა იყოს „მხედრული“, ხოლო 2-ით მისივე სიგელი მოქანაორელთა და ოპიზართა სამაჟულე დავის გამო (1027-1072 წლები). XII საუკუნე წარმოდგენილია გიორგი III-ის მიერ 1170 წელს შიომღვიმისათვის მიცემული მამულის მფლობელობისა და შეუფალობის განახლების სიგლით. XIII საუკუნისათვის ნიმუშად ავიღეთ დავით ნარინის მიერ 1261 წელს ვაცემული შეუვალობის განახლების სიგელი.

გარდავყოლობის მარჯვენა მთავარი ნიშნები: ზ-ანი და მ-ანი, რომლებიც XI საუკუნის შუახანებში უკვე მორკალული ზედა ხაზით იწერებოდა, X საუკუნეში ჭერ კიდევ ნუსხურის მსგავსად სწორ განვიხ ხაზს ატარებენ, თუმცა გვაქვს მათი მორკალების დასაწყისის მინიშნებებიც. ანალოგიურ მდგომარეობაშია ტ-არისა და ხ-ანის ქვედა ხაზი, რომელიც X საუკუნეში მხოლოდ იწყებს მორკალებას.

როგორც ჩანს, ზედა განვი ხაზებს უყვლა შემთხვევაში გასრენიან მორკალებისაკენ მიდრეკილება, მაგრამ X—XIII საუკუნეებში ერთგვარი მერყეობის შემდეგ კვლავ შეუნარჩუნებია ზოგ მათგანს ნუსხურისათვის დამახასიათებელი სწორი ხაზი. ამის საოლუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ნ-არის დაწერილობაზე. ამ გრაფემის მოხაზულობა X საუკუნის ეტაპზე სხვა მხრივაც არის საინტერესო: ნუსხურისათვის დამახასიათებელი ქვემოდან ღია

მუცელი მან თავდაპირველად არა მარტო, შემოქმედის ნარჩუნა, არამედ მეორეც, ასლა უკვე დასრულებული წრის ფორმის, გაიკეთა, ჩვენს წარწერებში ნ-არი წრიული მუცლითაც ვხვდებოდა ორმაგითაც. როგორც ჩანს, ეს ორმაგმუცლიანი ნ-არი უნდა მივიჩნიოთ მხედრული ნ-არის უძველეს სახეობად, რომელიც მისი ხელის ერთი მოსმით დაწერის საჭიროებამ დაბადა. თანდათან ღია მუცლის ფუნქცია გრძელყოფილ იქნა და ჩამოსცილდა მოქმედ მთაფელს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმართებს ო-ნის დაწერილობა. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი X საუკუნეში ჩვეულებრივ გულალმა დევს, მაგრამ ერთ შემთხვევაში უკვე გადმოტრიალებულია და დღევანდელი ო-ნის სახე აქვს, რაც XI საუკუნის ძეგლებში ვერა პოპულარობს ანალოგიას და მხოლოდ XII საუკუნის ბოლოდან ვხვდებოდა სპორადულად.

საერთო მახასიათებელი X საუკუნის გრაფემებისათვის არის მცირე ზომის თავები და მუცლები, ხოლო ამის საპირისპიროდ ძლიერ დაკრძელებული ბუნებრი.

ზემოთ ნათქვამი გვერდა , რომ ივ. ჭავჭავაძის შეხედულებით XI-XIII საუკუნეების მდივან-მწიგნობრული ხელი არის მრგოლვანი ნუსხა-ხუცური და არა მხედრული. იგი წერდა: „დ. ბაქრძე, თ. შორდანია, ე. თაყაიშვილისა და ნ. მარის საერთო აზრით X ს-შივე გვაქვს ჩვენ მხედრული დამწერლობის უძველესი ნიმუშებიც და სწორად ამ დამწერლობის უძველეს ძეგლებად მიჩნეული აქვთ მათ ბაგრატ IV-ის შიომღვიმის 1058 წ. და ოპიზის 1065 წწ. და სხვა XI-XII სს. სიგლები... ნამდვილად კი ბაგრატ IV-ის ზემოაღნიშნული სიგლები სრულაბრით მხედრული დამწერლობით არ არის ზამოხუცენილი, არამედ მრგოლვანი ნუსხა-ხუცური. ამის დასამტკიცებლად საქმარის აღნიშნულ აქნეს ორი მთავარი ვარემოება: პირველი ის, რომ ბმ ხაზუთაბის დამწერლობის ასრ-თა მდებარეობა ოთხ-ხაზოვან ბადეში იბი-ვება, რა მდებარეობაზე ნუსხა-ხუცური დამწერლობის ასრუებას აქვთ, — მეორეც ისაა, რომ თვით ასრთა მოხაზულობას არაპირთაბი არსებითი განსხვავება არ მინიშნავს (ქართული პალეოგრაფია, გვ. 190).

ივ. ჭავჭავაძის ნიშნის ეს აზრი არც შემიძღვებია ვაზიარებული. პირიქით, ისიც კი აღინიშნა, რომ სტილისტურად მხედრული დამწერლობა თავის ადრეულ ეტაპზევე განსხვავდება ნუსხურისაგან (ელ. მაჭავარიანი, მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები: მრავალთაბი, III, თბ., 1973. გვ. 72).

ჩვენ ზემოთ ვცადეთ დავცხადებოთ, რომ მხედრული დამწერლობა ქართულ მწიგნობრულ

IX ს	X ს				XI ს		XII ს	XIII ს
	1	2	3	4	1	2		
<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>	<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>	<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>	<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>	<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>	<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>	<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>	<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>	<p>ჲ</p> <p>ჳ</p> <p>ჴ</p> <p>ჵ</p> <p>ჶ</p> <p>ჷ</p> <p>ჸ</p> <p>ჹ</p> <p>ჺ</p> <p>჻</p> <p>ჼ</p> <p>ჽ</p> <p>ჾ</p> <p>ჿ</p> <p>ჿ</p>





წრებში X საუკუნეში უკვე გააზრებულია როგორც ნუსხურისაგან ცალკე მდგარი სახეობა. მაგრამ ნუსხა-ხუცურის ისეთი სახეობა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი „მრგლოვან ნუსხა-ხუცურს“ უწოდებს, თვორიულად მაინც ხავარაულოა. მისი გაჩენა მოსალოდნელია როგორც ნუსხურიდან მხედრულზე გადასვლის სულ ადრინდელ ეტაპზე, ისე გვიანაც, მხედრულის არსებობის პირობებში და მისი გავლენით. საინტერესოა, რომ ატენის სიონის კედლებმა ასეთი დამწერლობის ნიმუშიც შემოგვიწინავენ.

დასავლეთის აფხიდის ჩრდილო მილახტრზე, იატაკიდან დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე, მოხატულობის ორნამენტის ქვეშ მოჩანს სამეწოვანი (ქართული, სომხური და არაბული) წარწერა. ქართული წარწერა ორ სტრიქონიანია და ასე იკითხება:

ში) გადმოცემულია „მრგლოვანის“ ქართული ლებით („ალოთქი“). ეს ფონეტიკური და ორთოგრაფიული მოსალოდნელია და დასტურებულია მხოლოდ X საუკუნეიდან.

ქართული და სომხური წარწერები შესრულებულია ერთი ხელით და ერთი ხაღებავით (შავი). რა თქმა უნდა ისინი ერთმანეთის სინქრონულები არიან და უნდა დათარიღდნენ X საუკუნით.

გრაფიული თვალსაზრისით ქართული წარწერა მეტად საინტერესოა. იგი გაკრული ზეღით არის დაწერილი და აშკარად მრგლოვანია. ე-ნი, მ-ანი, ნ-არი, ს-ანი, წ-ილი და განსაკუთრებით ი-ნი უკვე ძლიერ ახლოს არიან XI-XIII საუკუნეებში მხედრულად დაწერილი დოკუმენტების იმავე გრაფიკებთან, მაგრამ მთლიანად წარწერა სტილისტურად მაინც

*Handwritten Georgian text:*  
 ქართული წარწერა  
 ორ სტრიქონიანია  
 და ასე იკითხება:  
 ში) გადმოცემულია „მრგლოვანის“ ქართული ლებით („ალოთქი“). ეს ფონეტიკური და ორთოგრაფიული მოსალოდნელია და დასტურებულია მხოლოდ X საუკუნეიდან.


- 1 ქ. ხე მე დაწერე, მონამან დმრთისა.
- 2 ვინ ესე წაიკითხოთ, დოცვას მომიხსენეთ].

სომხური წარწერა ქართულის სიტყვა-სიტყვითი თარგმანია. იგი შესრულებულია ე. წ. შლაგირით (დახრილი, გაკრული წერა), რომელიც უფრო გვიან შუასაუკუნეებშია გავრცელებული, თუმცა დადასტურებულია უკვე X საუკუნიდან. ჩვენი წარწერა შეიძლება ამ ტიპის დამწერლობის ჭერ ხნობით ცნობილთაგან უაქველესიც იყოს, ამასთანავე იგი ოთხ ხაზში იწერება და სრულიად ჩამოყალიბებულია თავისი ფორმებით, ასოები ერთმანეთს ებმის და იწერება ხელის აუღებლად. სომხურ წარწერას თარიღის გამოსაყვანად აქვს კიდევ ერთი მახასიათებელი: „ავ“ დიფთონგი („ალოთქი“ სიტყვა-

მრგლოვანი ნუსხა-ხუცურია. ვვარაუდობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ნუსხურის გამხედრულების პროცესთან (თუმცა ეს წარწერა მშვენიერი მოდელი იქნებოდა აღნიშნული პროცესის აღსადაგენად), არამედ უკვე არსებულა და საყოველთაოდ გავრცელებული მხედრულის ნუსხურზე ძლიერ გავლენასთან.

სათურად ჩვენს წერაღს „მხედრული დამწერლობის სათავეებთან“ შევარქვით. გრაფიკული თვალსაზრისით ჩვენ მართლაც სათავეებთან ვიმყოფებით, მაგრამ როგორია ფაქტური ვითარება? როდის დაიწყო და რამდენ ხანს გრძელდებოდა მხედრული დამწერლობის განვითარების ეს ახლად აღმოჩენილი ეტაპი, სანამ XI საუკუნის შუა ხანებში მიაღწევდა?





პროფ. გ. ბერეჟკოვი

გაიგეოს დასვითი განათლება და მისი ანოთაზები

აბმრ უკვე ორმოცი ათასი წელია, რაც ადამიანი—Homo sapiens-ი უდიდესი შრომის საფასურად თანდათან იპყრობს პლანეტა დედამიწას და იმორჩილებს ბუნების ძალებს. არსებობისათვის ბრძოლის საწყის ეტაპზე დაპირისპირება ადამიანსა და გარემოს ძალებს შორის არათანაბარ ხასიათს ატარებდა. წინარეისტორიულში მთლიანად და ისტორიული პერიოდის უმეტეს მონაკვეთში ადამიანის უარყოფითი გავლენა გარემო ბუნებრივ პირობებზე არცთუ იმე მკვეთრად იყო გამოხატული. სიერცეში მას ლოკალური ხასიათი გააჩნდა, ხოლო დროის თვალსაზრისით — ხანგრძლივად და თანდათანობით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, უკვე ადამიანის ცივილიზაციის განთავსებულ შემდეგობადა ლაპარაკი ეკოლოგიური კრიზისის თაობაზე და ბევრი ისტორიკოსის აზრით, იმ დროისათვის დარღვეულმა ბუნებრივმა წონასწორობებმა არაერთი ცივილიზაცია აღგავა პირისიდან მიწისა.

პირველი სამრწველო რევილუციის შემდეგ (XVIII საუკუნის დასასრული — XIX საუკუნის დასაწყისი), მანქანურ წარმოებაზე გადასვლისა და ბუნებრივ სინდიკატთა ინტენსიური გამოყენებით, საზოგადოების გავლენა ბუნებაზე გაცილებით დიდ მასშტაბებში გადაიზარდა. ახლა უკვე ადამიანის ერთი თაობის თვალწინ აღდგომა აქვს ბუნების რაც კომპონენტთა არსებითი ანთროპოგენულ ცვლილებებს.

მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში ადამიანის ზემოქმედება ბუნების, მისი ეკოლოგიური სისტემების როგორც სტრუქტურულ შემადგენლობაზე (ცალკეულ კომპონენტზე), ისე მათ საერთო მოცულობაზე სულ უფრო გრანდიოზულ ხასიათს ატარებს. იგი გამოიხა-

ტება ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროს ზედა ფენების გავუწყიანებაში, მტკნარი წყლების დეფიციტში, ნიადაგის დეგრადაციაში, საარსებოდ აუცილებელ მთელ რიცხვ ბიოლოგიურ კომპონენტთა გამოფიტვასა და ადამიანის საცხოვრებელი გარემოს გაუარესებაში.

ადამიანის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ორგანიზმის წარმატებით არსებობა წვეს პლანეტაზე განხორციელებულია მხოლოდ მაშინ, თუ უზრუნველყოფილია ამ ორგანიზმთა აუცილებელი მოთხოვნებიანი. პირველ რიგში ცოცხალ ორგანიზმთა ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალური მსვლელობა, ხოლო მეორე, ამ ორგანიზმთა გარემოსთან სათანადო ურთიერთობა, კავშირი. ამიტომ, ბუნებრივი პირობების ნორმის ფარგლებიდან ნებისმიერი გადახრები აიძულებს სპეციალისტებსა და მეცნიერებს მთელის გულსყურით ჩაწვდნენ ამ ცვლილებებს, შემოუშვან მათი პროგნოზირების ზეგები, განსაზღვრონ ბუნების დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებები, ბუნებრივი რესურსებისა და უფრო ყვირითიანი დამოკიდებულება და ა. შ.

ადამიანის ბუნებაზე — მის ეკოლოგიურ სისტემაზე, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროზე ზემოქმედების ნეგატიური შედეგების წინასწარი განსაზღვრა ყოველთვის როდია შესაძლებელი. ბევრ შემთხვევაში მის გამო, რომ ბუნებაში ყველა მისი კომპონენტი და მოვლენა მკაცრად განსაზღვრულ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება, უარყოფითი შედეგები თავს ავლენენ როგორც ადამიანის რომელიმე სამეურნეო საქმიანობის გაუთვალისწინებელი შედეგი. ამის გამო, ადამიანისა

და ბიოლოგიური რესურსების მიმართ მიყენებულ ზიანს შეიძლება ერთობ სერიოზული ხასიათი მიეცეს.

სხვადასხვა სოციალური წყობისა და განვითარების ქვეყნებში, რა თქმა უნდა, საზოგადოების უარყოფითი გავლენა სხვადასხვანაირად არის გამოხატული. კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ბუნებრივი პირობების უკუგმომ და მტაცებლურ ექსპლოატაციას აქვს ადგილი, მას გაცილებით მძაფრი ხასიათი აქვს, ვიდრე სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებში. შენახამისად, ეს პრობლემა ამ ორ სისტემაში სხვადასხვანაირი სიმწვევით დგას. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ადამიანის საქმიანობის დღევანდელ მასშტაბურობას, ცხადი გახდება, რომ გარემო ბუნებრივი პირობებისადმი მიყენებული სერიოზული ზიანი ერთ რეგიონში, ანდა ქვეყანაში ხალხს ამ შორეულ პერსპექტივაში სრულად არ გამოირცხვას თავის უარყოფით შედეგებს სხვა რეგიონში, ქვეყანას ანდა თვით ბიოსფეროში მთლიანად. ამგვარად ბუნებრივი პირობებისადმი რომელიმე ერთის მტაცებლური დამოკიდებულება სრულად არა-სამართლიანად ზიანს აყენებს მეორეს, საერთო ჯამში კი კაცობრიობის, მთელი ჩვენი პლანეტის მომავალს. ეს კი იწვევს არასასურველ დამახულობას მსოფლიოში.

ვინაიდან XX საუკუნის მეორე ნახევარში ბუნების დაცვის პრობლემამ ჰემსფარტად გლობალური ხასიათი მიიღო, მისი გაძლიერების მისი გასცდა რომელიმე ერთი სახელმწიფოს კომპეტენციას. დღეს ამ სფეროში ნაყოფიერი და ეფექტური საქმიანობას ეწევა გაერთიანებული ერებთან არსებული ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორც იუნესკოა.

ორი-სამი ათეული წლის მანძილზე კონკრეტულად, რომლითაც ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობს გარემოს დაცვის სფეროში, გარკვეული ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად იგი იფარგლებოდა ბუნების დაცვის მხოლოდ ფიზიკურ და ბიოლოგიური ასპექტებით, ახლა მისი სამოქმედო პროგრამა მოიცავს ასევე ადამიანის მიერ შექმნილ სოციალურ, ეკონომიურ და ტექნიკურ ასპექტებსაც. ამგვარად, გარემოს დაცვა წარმოადგენს მრავალკუთხოვან პრობლემას, რომლის წარმატებით გადაჭრა სოციალურ-ეკონომიური ფაქტორების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. ბუნების დაცვის სფეროში იუნესკო ხელმძღვანელობს პრიციპით: თანამედროვე ცივილიზაციის პროგრესი, კაცობრიობის განვითარება შეუძლებელია გარეშე ბუნებრივი პირობების უკუგმომ ხელყოფის თავიდან აცილების გარეშე.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში, ადამიანის მომავალთან დაკავშირებულ ყველა სხვა პრობლემის მსგავსად, საჭიროა მთელი მსოფლიოს

პროგრესული ძალების კონსოლიდაცია. ამ მიზნით თბილისის საერთაშორისო კონფერენციულ ასწინ უძღოდა პარიზის (1968 წ.), სტოკჰოლმისა (1973 წ.) და ბელგრადის (1975 წ.) სამთავრობათაშორისო თათბირები.

იუნესკოს პროგრამით დასახული ბუნებრივი დაცვის სტრატეგიის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირს.


როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში გარემო ბუნების დაცვა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანად არის მიჩნეული. ახლადმიღებული ჩვენი კონსტიტუციის მე-18 მუხლში მითითებულია: „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის სსრ კავშირში ხორციელდება საპირთა ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებულ, რაციონალური გამოყენების მიზნით, პეირისა და წყლის სიწმინდის შენარჩუნების, ბუნებრივი სიმდიდრეთა გამრავლებისა და გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით“.

ამ ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ბუნების დაცვის განათლებას. იგი მოიცავს პიროვნების განათლებას და აღზრდას ყველა საფეხურისა თუ პროფილის სასწავლო დაწესებულებებში, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სპეციალისტთა სათანადო მომზადებას, მოსახლეობის ფართო ფენებში ბუნებისადმი გონიერი და მზრუნველი დამოკიდებულების პროპაგანდას და ა. შ. ამავე დროს, იგი მიზნად ისახავს ჩაუნერგოს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების თითოეულ წევრს, დაწყებული საბავშვო ასაკიდან ვიდრე მოწიფულობამდე, ბუნების დაცვის აუცილებლობა, მისწრაფება, რომ კეთილსინდისიერად, საქმის ცოდნით შესარულიან კონსტიტუციის 67-ე მუხლში მოცემული მითითება: „სსრ კავშირის მოქალაქენი ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ ბუნებას, დაიცვან მისი სიმდიდრე“.

საბჭოთა კავშირი გარემო ბუნებრივი პირობების დაცვის საქმეში ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ამ მოსახრებთ, რომ აღნიშნული პრობლემის სათანადოდ შეფასებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ სხვა ქვეყნების ხალხებისთვისაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი გლობალური პრობლემაა.

ამ სიტყვების ნათელი დადასტურება იყო სამთავრობათაშორისო, საერთაშორისო კონფე-

**არნოლდ გეგუპორი**  
ზარემოს დაცვითი ბანათლება და მისი ამოცანები



რენცია გარემოს დაცვას დარგში განათლების საკითხებზე, რომელიც იუნესკოს ინიციატივით გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში 1977 წლის ოქტომბერში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა იუნესკოს წევრი 66 სახელმწიფოს 265 დელეგატი, აგრეთვე რამდენიმე სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები.

ძნელია მისაზიარებელი ამ შეხვედრის მნიშვნელობა. ვას ვითვალვოდა გასდევდა შემდეგი იდეა: ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს მორალით, რომელიც საშუალებას მისცემს მის იმოქმედოს რავორც გონიერმა არსებამ, რათა თვითონაც გაიუმჯობესოს და მომავალ თაობებსაც გაუმჯობესოს ბუნებრივი და სოციალური პირობები. ამ საქმეში კი, რა თქმა უნდა, განათლებამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს...

კონფერენციის მუშაობა, ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა რესპუბლიკის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისათვის. ამიტომ ჩვენ კითხვით მივმართეთ ამ კომიტეტის თავმჯდომარეს, ვილიამ კეპარავს. პატივცემული ვილი, ხომ არ გვეტყვი, რა პრობლემები დგას ჩვენს რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სფეროში და რა ამოცანებს ისახავს კომიტეტი ახლო მომავალში თბილისის საერთაშორისო კონფერენციის შტაბში?

საქართველოში ბუნების დაცვას სახელმწიფო კომიტეტი სამიოდე წლის წინათ შეიქმნა.

ახლადშექმნილი კომიტეტის პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს, მართალია, კეთილგანწყობით, თანაგრძნობით, მაგრამ ერთგვარი უღიბლობით შეხვდნენ, მაგრამ, ახალი სახელმწიფო ორგანო თავიდანვე შეტანა საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე დგა.

კომიტეტში პირველმა თვით ბუნებამ შემოაღო კარი და მას შემდეგ სწორედ ის გახდა ჩვენი მუდმივი მომხელელი-მთხოველი, მრჩეველი და კუთხის დამრიგებელი, ჩვენი ავ-კარგის მსახური და გამკაცრებელი.

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ცხოვრების ყველა სფეროში საჭიროა განვითარების სწრაფი, დანქარბეული ტემპი, ზოლო ბუნება მოიცდის, მოითმენსო. საქმე კი სხვაგვარად არის.

როცა ასეთი გულსტიკივლით ვლაპარაკობთ ბუნებისადმი არაადამიანური დამოკიდებულების საფალო შედეგებზე, ზოგჯერ სპეციალისტების სიტყვებს ჩემჩუად ელიშება — ბელეტრისტიკაო, ფიქრობენ გულში. მაგრამ ვთქვათ გულ-ახლილად, განა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარმა“ ნაკლები როლი შეასრულა ბუნების დაცვაში, ვიდრე ზოგჯერ სპეციალისტის მიერ შედგენილია და განხორციელებულმა პროექტებმა, უხეიროდ აღნებულმა ელსადგურმა თუ უღიბურმა გამშენებმა ნაგებობამ?

„საქართველოს ბუნება მდიდარია და შრავალ-ფეროვანი, მაგრამ ჩვენ ამ მდიდარი ბუნების არაფერი გავცეგება უკუღმართი აღზრდის წყალობით...“ — წერდა იაკობ გოგებაშვილი. ვკონებ, დროა გავაკეთოთ აქედან სათანადო დასკვნები.

აშუამად ჩვენი კომიტეტი სწავლობს ბუნების დაცვასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, მონაწილეობს ბუნების დაცვითი კანონებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში, კონტროლს უწევს მთავრობის დადგენილებათა შესრულებას და თანდათანობით იხვევს საზოგადოების პატივისცემას, მხარდაჭერას, იმკვიდრებს ბუნების დაცვისათვის მებრძოლი ორგანოს სახელს. ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ ბუნება, რისთვისაც ვჭვთი, ვჭარბობთ, ვკოხავთ კანონის დამრღვევებს, ვჭვნით მათს გარშემო საზოგადოებრივ აზრს, ვუკრძალავთ ისეთ მშენებლობებს და ვხურავთ ისეთ საწარმოებს, რომელთაც ზიანი მოაკვთ ბუნებისათვის. ამ საქმიანობაში ცდილობთ ვიყოთ პრინციპული და თანმიმდევრული, უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი უფლებები, განვამტკიცოთ კონტროლის სამსახური, შევჭმნათ საკუთარი ტრადიციები, საკუთარი ხელწერა.

ამას წინათ წყალტუბოს რაიონის სოფელ რაიონში გახლდით. მოვხვდით ერთ-ერთ კომუნისტურს ოჯახში, სადაც საქმოდ საინტერესო სახეობარს შევსწარმო. ლაპარაკი იყო თბილისში ჩატარებულ სამთავრობათაშორისო კონფერენციაზე. ახხენეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ამხანაგი გვიმანი, იუნესკოს და იუნების ხელმძღვანელთა მბოუს და ტოლბას გამოცვლები. ითქვა, რომ ღღეს ბუნების დაცვა საჭიროებს საფუძვლიან ცოდნას, კვალიფიციურ სპეციალისტებს, ამ უმინშენლოვანების საკითხისადმი ადამიანთა დამოკიდებულების ძირეულად შეცვლას, რომ სწორედ სწავლა-განათლებით უნდა დაიწყოთ ეს ღიდი საქმე.

ეს და სხვა მსგავსი მაგალითები მოწმობენ, რომ ბუნების დაცვის დარგში განათლების საკითხებმა ღიდი დაინტერესება გამოიწვია. რამდენადაც ვიცით, რესპუბლიკის სკოლები და უმაღლესი სასწავლებლებიც აქტიურად გამოეხმაურნენ ამ საქმეს. ალბათ, სათანადო სამინისტროების მსვეფურები უკეთ მოგახსენებთ ამის შესახებ. ჩვენი სურვილია რაც შეიძლება მალე შეიქმნას საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის ამ დარგის სწავლების მწყობრი სისტემა, შეიქმნას ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მსგავსი სასკოლო სახელმძღვანელო.

ახალ კონსტიტუციაში საზგასმულია, რომ ბუნების დაცვის საქმე შენდება და ვითარდება მეცნიერების საფუძველზე.

ჩვენ ღიდად ვგვხმარებთან, მხარს გვიკერენ,

გვაშენებენ ნიკო ფეხლოვლი. ვასილ გულიანა-  
შვილი, თეოდანე დავითაია, ბენო ბალავაძე,  
ცოტნე შირცხუაძე; აგრეთვე პროფესორები:  
მედია მამაცაშვილი, გიორგი სულაქველიძე, ბო-  
რის ყურაშვილი, თენგიზ ონიანი და სხვა ცნო-  
ბილი მეცნიერები; მხარში გვადგას მეცნიერ-  
თა უფრო ახალგაზრდა თაობაც. ეს ზეგის ნიშ-  
ნავს, მაგრამ ხაყმარისი არ არის.

დღესდღეობით ჩვენ არ გავგანინა საკუთარ-  
ი სამეცნიერო ცენტრი, ვერ ვაშყარებთ ჭე-  
რვან კავშირს აკადემიისა და საუწყებო და-  
ქვემდებარების სამეცნიერო დაწესებულებებ-  
თან, რომლებთან თანამშრომლობის გარეშეც  
ძალიან გვიჭირს მუშაობა.

მიზინარე წლიდან კომიტეტთან შევექმე-  
ნით შტატიან კონსულტანტთა და ექსპერ-  
ტთა ჯგუფი, შემდეგარი ცნობილი მეცნიერე-  
ბისაგან. ვფიქრობ, სწორედ ეს ჯგუფი გახდება  
ის საწყისი, ის საფუძველი, რომელზეც მომავალში  
აღმოცენდება და განვითარდება გარემოს  
დაცვის დარგში სერიოზული, მეცნიერული  
კვლევის ცენტრი.

ამ ბოლო დროს ჩვენ მოვუხშირეთ შეკრე-  
ბებს ბუნების დაცვის აქტუალურ საკითხებ-  
ზე, რომლებსაც ფატარბთ კონფერენციების,  
მრგვალ მაგიდასთან შეხვედრების, სიმპოზიუმე-  
ბის სახით. ამით ვცდილობთ შევექმნათ საზო-  
გადობრივი აზრი, ფსიქოლოგიური ატმოსფე-  
რო, მოვიზილოთ მეცნიერთა ძალები, შევიმო-  
შაოთ შესაბამისი პრაქტიკულ-თეორიული ხა-  
სათის რეკომენდაციები, ჩვენს მიერ ჩატარე-  
ბულ თითქმის ყველა დონისძიებაში მოწოდლე-  
ობენ რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა კავ-  
შირის გამოჩენილი მეცნიერები.

1978 წლიდან ჩვენს სამუშაო გეგმებში სათა-  
ნადო აღვიღს დოკუმენტების საგამომცემლო საქ-  
მიანობა, ფართო თანამშრომლობა პრესასთან,  
რადიოსთან, ტელევიზიასთან.

ერთი მოღვაწე კაცისაგან მოვიმინე: ბუნე-  
ბის დაცვას განათლება და პროპაგანდა არ  
უნდა, საქმე და თანხების გაღება სჭირდებაო  
უპართებულაო ასეთი მსჯელობა. ჩვენ საქმეს  
სჭირდება ერთიც და მეორეც, სჭირდება იმისა-  
თვის, რომ ხალხს განვუმარტოთ გარემოს  
დაცვის დარგში შექმნილი მეტად სერიოზული  
მდგომარეობა, შევავლოთ აღმანიანებს ბუ-  
ნება, ვასწავლოთ მისი მოვლა-პატრონობა.

სულ ახლახან გამოვიდა წიგნი „ბუნება რუ-  
სულ პოეზიაში“. იგი იწყება პუშკინის მშვენიე-  
რი ლექსით. ჩვენ გადავწყვიტეთ მწერალთა  
კავშირთან ერთად გამოვცეთ ლექსთა კრებული  
„მშობლიური ბუნება ქართულ პოეზიაში“,  
სადაც არანაკლებ მოელვარე მარგალიტები აკი-  
აფდება.

რამდენადაც დიდა სურვილი, ზოგბა შევას-  
ხათ, მოვეფეროთ და ვუმღეროთ ბუნებას, იმ-

დენად სულ უფრო მტიკიც ხდება ჩვენი გადა-  
წყვეტილება, რომ მთელი სიმკაცრით შევუკრ-  
დით იმათ, ვისაც არაფრად უღირს ბუნების  
ავ-კარგი, მისი განუმეორებელი სილამაზე.

სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, უმაღლეს სახე-  
მართლოსთან ერთად მოვაწყოთ საჯარო პრო-  
ცესი და ხაქვეყნად გავიცხოთ წარმოების ის  
თავაკებთ, რომელითა გულგრილობის შედეგად-  
ღაც უმოწყალოდ ბინძურდება გარემო, ამ  
პროცესზე დღემდე უწყინარი ორი სიტყვა  
„ბუნების დაცვა“ აუღერდება, როგორც შოთ-  
მაგონებელი მოწოდება, საგანგაშო და მისი-  
ხანი გაფრთხილება. დიად, კანონი ფაცილებით  
მეტად უნდა ჩადგეს ბუნების სამსახურში.

უბრალო თვალის გადავლებაც საკმარისია  
იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ რა გიგანტუ-  
რი გეგმებია დახასულა სახალხო მეურნეობის  
განვითარების დარგში საბჭოთა კავშირში. სამ-  
წუხაროა, რომ ამ ტემის დიდად ჩამორჩება ბუ-  
ნების დაცვის დარგში დახასულა პროგრამა.  
ამოცანა კი ის არის, რომ სამრეწველო და  
სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულო-  
ბის სწრაფი ზრდის პირობებში კიდევ უფრო  
შევაძვიროთ გარემოს გაბინძურების შემთხვე-  
ვები.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჭრჭერობით ამ სა-  
ქმის აშკარა შეუფასებლობასთან გვაქვს საქმე.  
მაგალითად: ეკონომისტები, საფინანსო დარგის  
მუშაკები ზუსტად ანგარიშობენ ბუნების  
დაცვაზე დახარჯულ თანხებს და ყოველგვარი  
ენთოზიაზმის გარეშე აღიქვამენ ამ მაჩვენებ-  
ლის ზრდის ტენდენციას. სამაგიეროდ, ეკონო-  
მიკური განგარიშებებში ვერ ნახავთ გრავას,  
სადაც აღნიშნული იქნება გარემოს გაბინძურე-  
ბის შედეგად აღმანიანათვის მიყენებული  
უდიდესი ზარალი. დანაკარგების მაჩვენებლებ-  
ში იგი ხაერთოდ არ შედის.

ერთი მეცნიერი შენიშნავს: „თუკი ახლა  
ბუნების დაცვის საქმეში გამოვიჩინო მოპოი-  
ნეობას, 30-40 წლის შემდეგ შესაძლოა მთელი  
ბიუჯეტის ნახევარი მოხმარდეს ბუნების არა  
დაცვას, არამედ უკვე მის გადარჩენას“.

უნდა აღვნიშნო, ბუნების დაცვის საქმეს  
ხელს უშლის ძალითა დაქსაქსულობა, ხელმძ-  
ღვანელობის ერთიანი ცენტრის უქონლობა,  
ერთგვარი გაუბედობა ახლის ხედვასა და  
დარწმუნებაში. ის, ვინც დღეს ბუნების დაცვის  
საკითხებს განაგებს თუ წყვეტს, უმთავრესად  
დაკავებულია თავისი ძირითადი საქმეებით, თა-  
ვისი ძირითადი ამოცანების შესრულებით. ამი-  
ტომ გარემოს დაცვას საკითხები სხვადასხვა  
უწყებებსა თუ სამინისტროებში წყდება ზერე-

არნოლდ გეგმაკორი

ზარემოს დაცვითი განათლება და მისი  
ანოცნებები

ლედ, საქმის ცოდნის საქირო პასუხისმგებლობის გარეშე.

ბოლო დროს ხშირად გაისმის ლაპარაკი ბუნების დაცვის დარგში მართვის ისეთი პროგრესული სტრუქტურული ფორმების დანერგვის შესახებ, როგორც არის სამეცნიერო-საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებები.

ვნახოთ, როგორ წავა საქმე, როგორ განვითარღებთ მომავალში ბუნების დაცვით ინდუსტრიის შექმნის ეს მეტად საინტერესო და სასარგებლო იდეა.

ჩვენს საქმიანობაში გვაშინებებს, იმედს გავძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის გულისხმობებზე, გულითადობა, უმადლესი საბჭოს ყურადღება და მხარდაჭერა. ჩვენ კი კვლავაც შევიცდებით მტკიცედ და მკვიდრად ვაკეთოთ ბუნების დაცვის საქმე, გავლოთ ბუნებასთან განუხრებელი მეგობრობის ხიდი და ჩვენს უნარი, ენერჯია, შემოქმედებითი ძალ-ღონე მის მარადიულ სამსახურში ჩავაყენოთ.

იუნესკომ — გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ — ჟერ კიდენ 1968 წელს პარიზში გამართულ ექსპერტთა სახელმწიფოთშორისო კონფერენციებზე დაადგინა: „ადამიანებმა კი არ უნდა იბრძოლონ ბუნებასთან, არამედ, პირიქით, მონახონ მასთან საერთო ენა“. ამ იდეის პრაქტიკაში განხორციელებისათვის კონფერენციის მიერ შემუშავებული ექვსი პუნქტიდან ერთ-ერთში აღნიშნულია: „ადამიანის შეგნებაში ბუნების დაცვის იდეის განვითარება სკოლის მერხიდანვე“. ამ პუნქტმა შემდგომი გეოლოგია განიცადა 1973 წელს სტოკჰოლმის, 1975 წელს ბელგრადის საერთაშორისო თათბირებზე და, ბოლოს, თბილისის სამთავრობათაშორისო კონფერენციებზე. აქედან ჩანს ის დიდი ყურადღება, რაც მსოფლიოს მასშტაბით ექცევა პიროვნებაში ბუნების დაცვის კულტურის აღზრდას სასკოლო და უფრო ადრეული ასაკიდანვე. თუ რა კეთდება აღნიშნულის თაობაზე ჩვენს რესპუბლიკის სინამდვილეში, აი რა გვაპასუხა განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ, პროფესორმა უშანგი ოხოლაძემ:

ბუნების დაცვა-ადგილის კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემიდან კარგა ხანია ერთ-ერთ ძირითად საწარუნავად გამოიკვეთა ამ საქმის ფართო პროპაგანდა მთელს მოსახლეობაში და, ცხადია, პირველ რიგში მოსწავლე ახალგაზრდობაში. სხვაგვარად რომ ითქვას, საკითხი ასე დადგა: ყოველი ადამიანი კარგად უნდა ერკვეოდეს იმაში, თუ რამ გამოიწვია მოვლენათა და საგანთა შორის არსებული წონასწორობის დარღვევა; რაში იჩენს იგი თავს, რა

ზიანი მოაქვს მან დღეს და წახ გვიქვამის ხვალ; რა არის საქირო საიბისოდ, რა უნდა ნასწორობა ადვალგინოთ. სწორედ ამ პრობლემის განხილვას მიეძღვნა საქართველოს დედაქალაქში იუნესკოს ხელმძღვანელობით ჩატარებული სამთავრობათაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციებზე საქმიანო სჯა-ბაახი გაიმართა და ბევრს საინტერესო მოსახრებაზე გამოითქვა იმის შესახებ, თუ რა პრინციპებს უნდა დაეფუძნოს ბუნების დაცვის სფეროში ხაერთოდ მოსახლეობისა და კერძოდ, მოსწავლე ახალგაზრდობის განათლება, მისი ფორმები, ორგანიზაცია და მეთოდები.

თუ შორიდან შევხედოთ საქმეს, ასეთი აზრი დავგებებდებ: XX საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმეციან წლებში, როცა ჩვენში სხვადასხვა სახის სასკოლო დაწესებულებათა ქსელი ასე ფართოდ არის გაშლილი, როცა ჩვენს ხელთ არის ისეთი მძლავრი საშუალებანი, როგორცაა ბეჭდვითი სიტყვა, გაზეთები, უფრონალები, სიტყვაკაზმული მწერლობა, რადიოლოკაცია, ტელევიზია, კინო, თეატრი, კლუბები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და სხვა, რამ უნდა შეუშალოს ხელი ბუნების დაცვისთვის აუცილებელი ცოდნით მოსახლეობის შეიარაღებაზე! სამწუხაროდ, საკითხი ბევრად უფრო რთულია, რადგან საქმე ეხება, არა მარტო ბუნების დაცვას, არამედ მის ადგილს, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა საფუძვლიანად უნდა იყოს გარკვეული ამ ადგილენით მოუშაობის მეცნიერულ-ტექნიკურ საწყისებში.

თუ ამ ორი საწარმო მივუვადებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ აუცილებელია შეიქმნას ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებულ ღონისძიებათა მტკიცე სასტემა. საქმისათვის ჩგობა გამოვტყუდეთ, რომ ასეთი სისტემა ჩვენ ჟერ არა გვაქვს. ჩვენმა მოსწავლეებმა, მართალია, იცანა, მაგრამ იცანა ზედპირულად, ზოგადად, რომ ამჟამად კაცობრობას ისეთ ეპოქაში უზღებდა ცხოვრება, რომ არ შეიძლება გზების გაყვანა, შიდროელექტროსადგურების აგება. ჭაობების ამოწრობა და უდაბნოების მკვდარი ბუნების გაცოცხლება, თუ ყოველივე ამას წინ მეცნიერული დასაბუთება არ უძღვის; წავიდა ის დრო, როცა ადამიანები ასეთი დასაბუთების გარეშე ცდილობდნენ მდინარეებისათვის კალაპოტი შეეცვალათ და აღმა წაეყვანათ, სუბტროპიკული კულტურები გაემეცნიანთ იმერპოლარეთში და სხვა. წავიდა ის დრო, როცა ლოზუნგი — „ნუ დაველოდებით ბუნების მოწყალებას...“ მოწონებით სარგებლობდა და ასე დიდი ზიანიც მიაყენა ბუნებას. ახლა ყველამ იცის, რომ სახშიო და მკვნეა ყოველი მოქმედება, რომელსაც წინ არ უსწრებს მეცნიერული ცოდნა-დასაბუთება. ვიმეორებ, ეს

ვიციტ, მაგრამ კონკრეტულად არ ვიციტ. თუ არაში მდგომარეობს თვით მეცნიერულად დასაბუთება.

ბუნება მევახშე არ არის. ბუნება არც კეთილია და არც ბოროტი, მაგრამ, როცა მის შიგნით არსებული წონასწორობა ირღვევა, იგი კნინდება და ამაში ბრალი გვედება ჩვენს, ადამიანებს, როგორც მოძალადეებს, გონივრულად არის ნათქვამი: „ბუნება არ ცნობს ხუმრობას; ის ყოველთვის სამართლიანია, ყოველთვის სერიოზული და ყოველთვის სწორი, შეცდომები და გაუგებრობანი ადამიანებიდან გამომდინარეობენ“; ვითუცა ამ სიტყვებში გადაქარბებული არაფერია, ვინაიდან ბუნება ერთიანი კანონით მოქმედებს, მას უნივერსალური შინაგანი კანონები განაგებენ; მისთვის ერთია ადამიანი და ქიამაია, სპილო და ლოკიანი, წყალსუცნარი და ვეშაბი, იონჯა და ქულდანი სსო, უღრანი ტყე და უკადგანო უდაბნო, თვალწვიდენილი ოკეანეები და უმაღლესი მწვერვალები; მისთვის ჩვენი დედამიწა ერთიანია. მხოლოდ ღრმა ცოდნით შეიძლება იხილოს ადამიანი შეუძლია ბუნებრივი გარემო ისე შეუფარდოს თავის მოქმედებას, რომ კოფლიქტი მათ შორის მინიმუმამდე დავიდეს, რომ ადამიანის წემოქმედება ბუნებაზე გამართლებული იქნეს არა მარტო პრაგმატული მოსაზრებებით, არამედ ბუნების ერთიან კანონს შეესაბამებოდეს. ეს მოგვცემს საშუალებას, კვლავ დავუბრუნდეთ ბუნებას, როგორც მისი ჰარმონიის ქუმარტი თანაშემოქმენდი. ეს ამოცანა ახლა მთელი სიგრძე-სიგანით დგას ჩვენი სკოლის წინაშე.

საქართველოს ნამდვილად აქვს უფლება იამაყოს იმით, რომ მას მყავდა ბუნების ისეთი დიდი კომპანენი, მეზობტენი და მზრუნველნი, როგორც იყვნენ იაკობ გოგებაშვილი... უფრო შორს აღარ წავალთ. რამდენად ღრმად უნდა ყოფილიყო ჩანერგილი ვაჟას გულში, არა, მარტო გულში კი არა, არამედ მთელს, მის არსებაში ბუნებისადმი სიყვარული, რომ ასე თამამად ასე ლაღად ეთქვა: „ნისლი ფჭირია მთებისა!“, ასეთი გახალისებად გულწრფელი ნატვრით მიემართა მათთვის — „რატომ არ მღვრით მთებში!... „ბუნების მგონები“, „ხმელი წიფელი“, „იას“, „შვლის ნუკრის ნამბობი“... რომელი ერთი ჩამოვთავალოთ!

გავხსენოთ ჩვენი რევოლუციონარული ხანა-ლხა სკოლის დიდი მესაძირკვლე, უკვდავი „დედა-ნიხა“ და „ბუნების კარის“ შემოქმედი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც, ცოტა ვთქვათ, საქირა დავუმატათ — შთაგონებით შეახსა ხორცი ბუნებისადმი ადამიანის გონივრული დამოკიდებულების იდეა და ეს იდეა დიდაქტიური რიგის მოვლენიდან მორალურ-პედაგოგიური სიბრძნის დონემდე აამაღლა. ახლაც, დღესაც, სწორედ დღეს, გან-

საკუთრებული სიმაკრით ასის მიხედვით: „ჩვენში აქამდის მეფობს მოზარდული ოობის აღზრდაში ფანტაზია. მხოლოდ ფანტაზია ბავშვისას ავარჯიშებენ და ასაზოლოდენ ზში-რად იმისთანა რამეებით, რომლებიც სრულიად უმახინგებს მის გონებას. ქუყნს განწავითარებელი და განმავფინვლებელი ხატების, ხალის მსჯელობის აღსაზრდელნი, რეალური ვარჯიშობანი რომ ცხოველი ბუნებაა, ჩვენებურს მშობლებს სრულიად მივიწყებული აქვთ... ჩვენებური ბიურკრატიული სკოლაც ისე უსულ-აულოდ, ისე უღრმად და მკვდრად ასწავლებს ბუნებისმეტყველებას. ან, უკეთ რომ ვთქვათ, იმ ჩონჩხს, რომ ჩვენს ბავშვებს და ყმაწვილებს სრულიად უცრუვდებთ მასზე გული“.

ბუნების მიმართ ადამიანთა დამოკიდებულები წესია და რაგზე ღრმად დავკრძებების, ამ საგანზე მოწინავე კაცთა აზრების ბეჭეთად შესწავლისა და ბავშვის განვითარების კანონ-ზომიერებათა გათვალისწინების შედეგად, სახალხო სკოლაში ბუნების შესწავლის საქმის რაციონალურ ნიადაგზე დაუფძნების მიწით იაკობ გოგებაშვილმა შექმნა თანამედვერული, მწყობრი პედაგოგიური სისტემა. ამ სისტემაში ორგანულად შეადუღაბა ერთმანეთთან გრძნობადი, ცნობადი, შრომითი და ესთეტიკური ხაწყისებები, რაც იმას ნიშნავს, რომ: ბუნებათან ადამიანთა სწორი დამოკიდებულების აღზრდა მკვიდრად უნდა ემყარებოდეს ბავშვისისათვის სათანადოდ შერჩეული სასწავლო მასალის ემოციურად მიწოდებას; ამ მასალის გაცნობიერებას, გაშუქებას, განათებას აზრის, ცნობიერების მეშვეობით, ბავშვის შრომით საქმიანობას და მასში ესთეტიკური ტკობის უნარის ჩამოყალიბებას. ეს ნიშნები ამ მდლიანთა კაცის ხელში ისე ბუნებრივი გამოვლია, ეს ოთხი საწყისი ისე ორგანულად შეეწყო და შეერწყა, ისე დაუშეგობრდა და გაუთანაზიარდა, შეეთვისა და შეეწონა ერთმანეთს, რომ უკეთესს ვერ ინატრებს კაცის გული.

ყოველივე ამან განსხეულება მშოვა და სუ-ლი ჩაიდგა იაკობის „დედანიხას“ და „ბუნების კარში“. ეს ისეთი წიგნებია, რომელთა დაშლა და ნაწილ-ნაწილ გამოყენება დადებით შედეგს არ იძლევა და ვერც მოგვცემს, რადგან მათი სხეულის დაშლისას მისი მადლიანია სული იკარგება. ეს წიგნები ასე უნდა დარჩეს პარალელურ სავალდებულო საკითხვე წიგნებად. ცხადია, ისინი უნდა გამოიმორჩოს ისეთი მასალეებიდან, რომლებიც დროს უხდიდენენ ხარკს და, გარდა ამისა, დროთა სვლის შედეგად მოძველდენენ. მაგრამ ეს არ შეიძლება უბრალოდანითა და ხერხით გაკეთდეს. ამას სჭირდება

არნოლდ გეგეჰორნი  
ბარემოს დაცვიითი განათლება და მისი  
ანოცანები



კარგი სახსლავით შეიარაღებული მოქნილი მარჯვენა ხაქმის ღრმად მცოდნე, გონიერი კაცობა. ამასთან ერთად უნდა გავრძელებს ინტენსიური მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ჩვენი დაწეებითი კლასების ძირითად სახელმძღვანელოებში სრული გამოხატულება ჰპოვოს გოგებაშვილისეული სინთეზის პრინციპებში.

ბუნების გაძლიერება და კარბისული ეკოლოგიური სიტუაციების თავიდან აშორების ერთერთ სერიოზულ პირობას ბუნების დაცვითი განათლების ფართოდ გაშლა წარმოადგენს. ეს გულისხმობს ადამიანის სამრეწველო თუ სხვა ნებისმიერ საქმიანობაში ეკოლოგიური კულტურის, ბუნების მიმართ პიროვნების სათანადო ეთიკის და ქვეყნის უსრულველყოფას. პრაქტიკა და მეცნიერებასთან ერთად, იგი წარმოადგენს გარემო პირობების დაცვის საფუძველს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით თბილისის საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგატს საბჭოთა კავშირიდან, თბილისის საბჭოთა ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილს. აი, რა ვანაცხადა მან:

— ბუნების მთავარი მტერი ადამიანის უვითობაა. ამიტომაც დღეს დიდი ყურადღება ექცევა ხალხში გარემოს დაცვის საკითხების პროპაგანდას, ამ მხრივ განათლების შეტანას ამ საკითხს მიუძღვნა თბილისში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციაც. კონფერენციაზე დადგინდა, რომ გარემოს დაცვის საკითხებში განათლების დანერგვას პრობლემა საყოველთაოა და ამისთვის ყველა სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. განათლება უნდა იწყებოდეს ბავშვობის ასაკიდან და ვრძელდებოდეს ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ საქმეში უნდა მონაწილეობდეს ოჯახი, საზოგადოებრიობა, სკოლა.

ბავშვობის ასაკში მთავარია ბუნებისადმი სიყვარულის ჩანერგვა. ამისათვის საჭიროა, რომ პატარა, საბავშვო ბაღში იქნება თუ სხვაგან, ბუნებასთან მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდეს. მის გარშემო უნდა იყოს მცენარეები, ცხოველები, ბუნებისადმი სიყვარულის გრძნობის აღქმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას, მეტადრე ისეთს, სადაც ბუნების აღწერა ლირიზმით ან რომანტიზმით არის შევსებული. ასეთია მაგალითად, ქართულ ლიტერატურაში ილიას, აკაკის, მეტადრე ვაჟას დიდებული ნაწარმოები რუსულ ენაზე — ტურგენევი, ლერმონტოვის, პუშკინის, ტოლსტოის და სხვათა ბევრი ნაწარმოები.

საშუალო სკოლის მოსწავლეებში გარემოსა და ბუნების დაცვის ირგვლივ განათლება ორი გზით უნდა შეეტანოს. პირველი — ბუნებისა და გარემოს დაცვის საკითხები ვათვალისწინებული უნდა იყოს ყოველი საგნის სწავლების

დროს. გარდა ამისა, მუდამ სასურველია სხელმძღვანელოს გამოცემა. იგი დამატებით უნდა იყოს ეროვნულ საფუძველზე, მოხსენიებას უნდა აცნობდეს ამა თუ იმ ერის ბუნების სპეციფიკას, მისი დაცვის საჭიროებასა და გზებს. ჩვენ ვაკვს შეხანიშნავი სახელმძღვანელო — ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“. თუ სხვა სახელმძღვანელოც დაინერგება, კიდევ უკეთესი.

უმაღლეს სასწავლებლებში კურსი ბუნების რესურსების და გარემოს შესახებ ყველა ფაკულტეტზე უნდა იკითხებოდეს. საჭიროა სახელმძღვანელო. გამოითქვა აზრი, რომ ამ სახის სახელმძღვანელოს შექმნა ძნელია და გასაგებიც არის, რატომ. თვით ბუნების დაცვის მეცნიერება მთელ რიგ სხვა მეცნიერებათა, სახელმძღვანელო კლიმატოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის, ბიოცენოლოგიის, ეკოლოგიის და სხვათა მიღწევებზე ემყარება და ამ საგნების სრულყოფილად ათვისება ყველა ავტორისათვის ძნელია. მიუხედავად ამისა, ასეთი სახელმძღვანელო საჭიროა თუ რომელიმე ნაწილი ამ მეცნიერების არ იქნება სათანადო სიღრმით გაშუქებული, იგი შეიძლება სათანადო მონოგრაფიით შევისოს. დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხების ცოდნის ამაღლებას იმ პირთა შორის, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება სხვადასხვა სპეციალობით. ამ საკითხის უკეთ გადაწყვეტისათვის საჭიროა სპეციალობები დაიყოს ორ კატეგორიად. მათგან მეთრენობის, სატყეო, თევზის, სამონადირეო მეურნეობისა და სხვა დარგების მუშაკებს, უნდა მიეცეთ ცოდნის გაღრმავების საშუალება ამ რესურსების სწორად გამოსაყენებლად.

მეორე კატეგორიას ეკუთვნის ისინი, რომელთაც მიღებული აქვთ ცოდნა უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ თავიანთი საქმიანობით დავაყვარებული არ არიან ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან. ესენი არიან სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები, არქიტექტორები, საშუალო სკოლის მუშაკები და სხვ. რასაკვირველია, ბუნებრივ რესურსებსა და მათი სწორად გამოყენების მნიშვნელობაზე მათაც უნდა მიიღონ დამატებითი ცოდნა. მაგრამ ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გადავიტანოთ გარემოს დაცვის საკითხებზე. მათ უნდა გაიღრმავონ ცოდნა ატმოსფეროს აირებზე, აირების ცვალებადობაზე, გაქუქყიანებაზე, წყლის რესურსებზე, მათს გამოყენებასა და დაზოგვაზე, წყლის ვაქუქყიანების მიზეზებზე და სხვ.

ხალხის მასებში გარემოს და ბუნების რესურსების ირგვლივ განათლების შეტანაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ მუზეუმებს, ამ მუზეუმებში მოცემული უნდა იყოს

არა მარტო ბუნებში ნიშნები, არა მარტო ის, რაც ბუნების რესურსების და გარემოს დაცვის მიზნით უნდა გაკეთდეს, არამედ ისიც, რაც არ უნდა გაკეთდეს.

თბილისის საერთაშორისო კონფერენციის პროექტში ხაზგასმითაა ნათქვამი სრულიად სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა აუცილებელი ეკოლოგიური განათლების თაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად ბირველ რიგში ეხებათ მშენებელ ინჟინრებსა და დამპროექტებელ არქიტექტორებს. ამჟამად ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ქალაქის საინჟინრო პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია კათედრები, რომელთა დარგების მიზანსაც მშენებელი და სხვა პროფილის ინჟინრებისთვის ეკოლოგიის კურსის კითხვა წარმოადგენდა. ეს კურსი ეხმარება მომავალ სპეციალისტებს ბუნების დაცვის გლობალურში სტრატეგიულ პრობლემების გარკვევაში, ადამიანისა და ბუნების მოხრეცილობათა პარამონურად გადაწყვეტაში; მისაბამია თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის შიგნითაც, რომელიც პრაქტიკულად განახორციელა არამარტო ფილიპეტი უმაღლეს სასწავლებლებში სტრატეგია ეკოლოგიური განათლების საკითხი. ბუნების დაცვის საინჟინრო ასპექტებზე აზრის გამოთქმა ეთხოვით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროექტორს, დოცენტ დევი ჩხეიძეს.

ცნობილია, რომ ეკოლოგიური გარემოს დაცვა და გაუმჯობესება უშუალოდ ეკონომიკა ადამიანის საინჟინრო საქმიანობასთან, რამაც, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულ წლებში, მარტო, გლობალური მასშტაბი მიიღო ურბანიზაციის ტემპები, მრავალჯერად დაიწყო მსხვილ საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება, განსაკუთრებით, ღია, ევროპულად კარიერული წესით, და ტექნიკური მოღვაწეობის ბევრი სხვა სფერო მკვეთრად არღვევენ ბუნებრივი გარემოს წინასწორობას და იწვევენ დედაქალაქის ზედაპირის, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, მიწისქვეშა წყლების ბიოლოგიურ გაუმჯობესებას, სხვადასხვა თანამედროვე ეკოლოგიური პროცესის წარმოქმნა-განვითარებას, კერძოდ, ნიადაგის გამოფიტვას, ეროზიას, მიწყურბებსა და სხვა არასასურველ მოვლენებს.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სრულიად გამართლებულია, რომ მომავალში ინჟინრებმა გარემოს დაცვის აუცილებლობის შესახებ იცოდეს რაც შეიძლება მეტი უკვე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს. გარემოს დაცვა მან უნდა შეისწავლოს სპეციალური სასწავლო დისციპლინების პარალელურად.

ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტში თითქმის ყველა სპეციალობაზე იკითხება „ბუნე-

ბის დაცვა“. როგორც უმაღლეს სასწავლებელში, მაგალითად, ტომსკის უნივერსიტეტში ამ დისციპლინის სპეციალური კათედრის სტამბოლში, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არამარტო ფილიპეტი უმაღლეს სასწავლებლებში საჭიროა ბუნების დაცვის სპეციალისტთა გამოწვევა. ეს ყველა ადამიანის კოლექტიური მოვალეობაა, მაგრამ იმდენად გაიზარდა ამ პრობლემის როგორც სპეციალური ეკონომიკური, ისე საერთაშორისო მნიშვნელობაც, რომ იგი ქვეყნის მხოლოდ საშინაო საკითხს აღარ წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს გარემოს დაცვის ხედვაში განათლების პრობლემებისადმი მიძღვნილი თბილისის სამთავრობათშორისო კონფერენციაც.

ინჟინრები ის სპეციალისტთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით უშუალოდ შემოქმედებას ახდენენ გარემოზე. ამიტომ, მათ უშუალოდ უეჭრად არის დამოკიდებული ამ გარემოს მოვლისა და დაცვის ფუნქციონირება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოვყოფდი სამშენებლო და არქიტექტურულ სპეციალობებს. განსაკუთრებით პირობების შენარჩუნება და დაცვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ შენობებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობათა განლაგება არ გამოიწვევს ზემოთ დასახელებული არასასურველი პროცესების განვითარებას. ამიტომ ცნობილი ის რაღაც, რომელიც მიეკუთვნება მეცნიერულად და პრაქტიკულად დასაბუთებულ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირებას, ქალაქების, დასახლებული პუნქტების გეგმარებას, მათში სამრეწველო და საცხოვრებელი რაიონების განლაგებას, მათს შეთავსებას სამშენებლო ტერიტორიის დანაშტეტურ და ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით, რაც სხილოდ გაში ახალათვისებული რაიონის მეცოლომატიკმნის და ბუნებრივი გარემოს დაცვას განაპირობებს.

არქიტექტორისა და მშენებლის საქმიანობა — თითოეტი ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთგავლენის ერთგვარი გამოხატულება, რაც უფრო შეუმჩნეველი და თანამიმდევრულია ეს გავლენა, რაც უფრო ნაკლებად არის დაარღვეული ბუნების რიტმში, მით უფრო კვალიფიციურია ეს საქმიანობა და, შესაბამისად, ნაკლებია წინააღმდეგობა ადამიანსა და ბუნებას შორის. ეს ის საკითხებია, რომლებიც მომავალში მშენებელმა, არქიტექტორმა ან საინჟინრო დარგის სხვა სპეციალისტმა უნდა ითვისოს და ისე ესწავლოს, როგორც, მაგალითად, სამშენებლო კონსტრუქციების კვალიფი-

ბრუნულ შემთხვევაში  
გარემოს დაცვითი განათლება და მისი  
პრობლემები



ცურად განგარიშების ან სამშენებლო ნორმების და წესების დაცვის აუცილებლობა.

გავითვალისწინეთ რა ზემოაღნიშნული გარემოებანი, შარშან ინსტიტუტში ზოგადი ფიზიკის კათედრის ბაზაზე შევქმენით სამშენებლო ფიზიკისა და გარემოს დაცვის სასწავლო ლაბორატორია, რომელიც ემსახურება სამშენებლო და არქიტექტურულ სპეციალობებს. არქიტექტურულ ფაკულტეტზე საყურახო და სადამლომო გეგმარებაში განზრახულია დამუშავდეს სამშენებლო ფიზიკისა და გარემოს დაცვის საკითხები, რაც სტუდენტებს საშუალებას შეუქმნის ამ დარგში დაგროვილი თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გეგმარებაში გამოიყენონ.

გარდა ამისა, გარემოს დაცვის დარგში სტუდენტები ეწვიან სამეცნიერო მუშაობის შემდეგ თემებზე: „არქიტექტურულ-სამშენებლო გეგმარებაში გარემოს დაცვის პრობლემების მიკაინური, ესთეტიკური და ეკონომიკური ასპექტები“, „ქალაქ თბილისის ცენტრის ატმოსფეროს გამკვირვლება“ და სხვ.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეს სასწავლო ლაბორატორია ერთ-ერთი თაოსანია არქიტექტურულ-სამშენებლო განათლებისადმი მიძღვნილი პირველი საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოწვევისა, რომელიც საკავშირო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხაზით წელს ჩატარდება თბილისში.


ეს ღონისძიება ერთგვარად შეაჯამებს ამ მიმართულებით უკვე ჩატარებული მეცნიერული კვლევისა და სასწავლო მუშაობის შედეგებს, განსაზღვრავს რეკომენდაციებს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში არქიტექტურული და სამშენებლო სპეციალობების სტუდენტებისათვის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების საკითხების სწავლების სრულყოფისათვის.

ბუნებრივია, ერთ წერილში ვერ შევებოდით ყველა იმ საკითხს, რაც ბუნების დაცვის განათლებაში თბილისის სამთავრობათმორი-

სო კონფერენციამ დასახა. კერძოდ, მნიშვნელოვან მუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები და პერსპექტიული წინადადებები. მათ შორის აღსანიშნავია შესაძლებლობანი ბუნების დაცვის განათლებაში საქმიანობის წასახლისებლად „თბილისის პრემიის“ დაარსებისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის სათანადო ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით სპეციალიზებული ეურნალის შექმნისა; დიდაქტიკური მასალების დასამუშავებლად სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და ექსპერიმენტების ჩატარება; რეკომენდაცია გაეწია — ბავშვში ბუნების სიყვარულის აღზრდის მიზნით, აუცილებელი ეკოლოგიური განათლება მიიღოს ქალმა, დედამ; მიხანშეწონილად სენო სასწავლო პროგრამების მნიშვნელოვანი რეფორმა; ბუნების დაცვის მუზეუმების შექმნა; ეურნალის დაცვის სათანადო მომზადების მიზნით სპეციალური კურსების ორგანიზება; სათაურით „ბავშვი და გარემო“ საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავება; გამოჩენილ მეცნიერთა, პედაგოგთა და სპეციალისტთა მიერ საუკეთესო სახელმძღვანელოების, მეცნიერულ-პოპულარული წიგნებისა და საჩვენებელი მასალების შესაქმნელად საერთაშორისო კონკურსების მოწყობა; ყოველწლიური საერთაშორისო კინოფესტივალის — „ეკოფილის“ ორგანიზება (ჩეხოსლოვაკიის 1974 წ. მაგალითზე); ყველა აღნიშნულითა და სხვ. საკითხით აღამიანში ბუნების სიყვარულზე ბაზირებული ასლი ეთიკის განმტკიცება.

ბუნების დაცვითი განათლების კეთილშობილურმა იდეამ თავისებური საზეიმო ასახვა ჰპოვა თბილისის სამთავრობათმორისო კონფერენციის მიერ მიღებულ დეკლარაციაში.

დაბოლოს, თბილისის სამთავრობათმორისო კონფერენციით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა წინ ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის განმტკიცების ყველაზე სანუკვარი საქმის სასარგებლოდ.



# მარცხელი მარჯვლილებს

## „წერილები ჩემს პაპს“

ჩისტერფილდი — „წერილები ჩემს პაპს“. თარგმანა რუსულად კეზულაძემ. გამომცემლობა „ნაბაღული“, რედაქტორი ლ. გომგონი, 1977 წელი.

ასწლს ვერაფერს ვიტყვი. თუ თარგმნილი ლიტერატურის სიღარიბეზე გვაძახებენ უურადლებას. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ ბევრი კარგი წიგნი გვაქვს უთარგმნილი, რომ ამ სფეროში აუცილებელი ხდება სათავე დაედოს კანონწომიერ, სისტემაში მოყვანილ პროცესს.

ჭერ-ჭერობით კი, აგერ დღემდე, კარგი თარგმანის მოპოვება ცნობილი მწერლების, მთარგმნელების პირად ინიციატივაზე იყო დამოკიდებული. პირადი ინიციატივით ბევრი საუკეთესო თარგმანი შეიძინა ქართველმა მკითხველმა. კარგი წიგნის კარგი თარგმანი უმაღლესი ეროვნული ლიტერატურის სიმდიდრედ იქცევა ხოლმე. ისეთი ვანცდა გვჩნდება, თითქოს ვინაის სულიერ სამყაროს ვიღაცამ ვანძი მიუმატა.

ასწა, როდესაც ხელთა გვაქვს კიდევ ერთი კარგი წიგნის თარგმანი, უფრო ცხადი ხდება გაცდება, როგორ მოხდა, რომ ჩისტერფილდის „წერილები ჩემს ვაჟს“ აქამდე არ გვეჩონდა ქართულად. თითქოს უპატიებელი შეცდომაც კია, მაგრამ ფაქტია. ცნობილი მთარგმნელის რუსულად ქებულაძის არჩევანი წმინდა ლიტერატურული ინტერესისადმი სამსახურს გულისხმობს. მთარგმნელმა ანგარიში გაუწია, უპირველეს ყოვლისა, წიგნის არსს — იმას, თუ რა ღირებულებისაა, როგორც ლიტერატურა, ჩისტერფილდის წერილები, რა მოტივებით ამდიდრებს იგი მშობლიურ ლიტერატურას. უადრესად პოპულარული წიგნების ზღვა მაცდური სივრცია. მან შეიძლება შორს შეიტყუოს მთარგმნელი. პოპულარობისთვის საჭირო ნიშნები არც ჩისტერფილდის წერილებს აკლია, მაგრამ პოპულარობა მასში წმინდა ლიტერატურული მნიშვნელობის წიაღშია ჩატანილი და მხოლოდ ამ დიდი მნიშვნელობის წყალობით აღწევს ჩისტერფილდის წიგნი პოპულარობის სასიამოვნო ნიშანსაც. წინ კი მაინც წიგნის დიდი მნიშ-

ვნელობა ღვას. მისი არხი მართავს თაობათა დაინტერესებას. რით არის მნიშვნელოვანი წიგნი, რას გვმატებს იგი დღეს... ყველაფერ ამაზე თვითონ წიგნი გვახსობს, „ბოლოსიტყვა“ მოკლედ გვიხანიათებს მის ღირსებებს...

როდესაც რუსულ ენაზე თარგმნილ უცხოურ ლიტერატურას ვკითხულობთ, ჩვენ აშკარად ვგრძნობთ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც მთარგმნელები იჩენენ, ვგრძნობთ მთარგმნელთა დიდი სკოლის არსებობას, მათგან დამკვიდრებული მაღალი დონის წნევას და გვახარებს პროფესიონალური დამოკიდებულებით აღბეჭდილი ნაშეუვრის სიციცხალე.

ამგვარი პროფესიონალური დამოკიდებულება ვიგრძნობ. ქებულაძის ახალ თარგმანში. თარგმნის კულტურა მისთვის წლების მანძილზე გაწეული დიდი შრომით მიღწეული დონეა, რომელსაც ახლა ასე თავისუფლად და ბუნებრივად ფლობს. სიტყვის გრძნობა, შესატყვისის მიგნება, თარგმნის ცოცხალი ქსოვილის შექმნა

— გარემოსილია, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. რ. ქებულაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სიზუსტეს. ლაღი, მუხლჩაუხრელი ქართული თხრობა მის თარგმანში, უპირველეს ყოვლისა, მაინც სიზუსტის ხამსახურშია. წინამდებარე თარგმანს სხვაგვარი მზრუნველობის კვალიც ატყვია: მთარგმნელი განსაკუთრებულად ცდილა ჩისტერფილდის წერილებში ჩაქსოვილი მშობლივს გრძნობა უადრესად მახლობელი გაეხადა ქართველი მკითხველისთვის. ცდილა, ინგლისური ცხოვრებას წესს, კერძოდ, ე. წ. არისტოკრატის ცხოვრებისთვის დამახასიათებელ წესებს და ჩვეულებებს, რომლის აღწერასაც ასე გულმოდგინებით ცდილობს თავის ვაჟში ჩისტერფილდი, ერთგვარად არ დაეშორებინა ცხოვრების სულ სხვა შინაარსით აღბეჭდილი ჩვენი ინტერესები და მისწრაფებანი წიგნის არსისაგან. ამ შეგნობევაში ნამოებრივი სითბოს გამოსახატავად შერჩეული ყველაზე უფრო ტიპური ქართული იდიომები ანელებენ იმ სოციალური დისტანციის განცდას, რომლის კვალიც ჩისტერფილდის დიდაქტიური სულით გაუღწეოლ წერილებში აშკარაა. და წინა ხელზე ინაცელებს მა-

რადიოები არის კეთილად აღზრდილი. ყველა ქვეყნისათვის საერთო მშობლიური ზრუნვა შეიძლება სწორ, მისთვის შესაფერ გზაზე დაყენებისა: ჩესტერფილდის წერილები კი უზარმაზარი სკოლაა, სადაც ბავშვს შეუძლია შეიძინოს სულიერი და ფიზიკური ცხოვრების სიჭანსაღისათვის აუცილებელი ცოდნა თვით უწიროდესი ნიუანსის ჩათვლით. ამიტომ ასეთი

წიგნის თარგმანს გადაუქცეზებლად შეიძლება წიგნის დიდი და სერიოზული საქმის განხორციელებისათვის, რომ რუსულად ქცეულაბე ჩვეული პასუხისმგებლობით მოკვლია საქმეს და ბოლომდე გამართული, დახვეწილი თარგმანით გაახარა მკითხველი.

ჯანსუღ ღმინჯილია

## კრიტიკოსის ახალი წიგნი

გურამ გვირგვინიანი — მიხეილ ჯანსუღის მიხედვით „ნაბადული“. რედაქტორი მარინე სოსხაძე, 1977 წელი.

მიხეილ ჯანსუღის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა. ახლახან „ნაკადულმა“ მოხუცარული სერიით „გამოჩენილი ადამიანთა ცხოვრება“ გამოცემა გურამ გვირგვინიანის ახალი წიგნი დიდ ქართულ მწერალზე. მოხუცად მცირე მოცულობისა, წიგნი ვარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის უღრმოდ დაღუპული შემოქმედის მწერლის რსტატობაზე. გვაწვდის სინტერესო ბიოგრაფიულ ცნობებს, ხატავს ეპოქის მართალ სურათს.

ავტორი შეგვახსენებს შემოქმედებელ ამავს (მოძალადე ბოროტმოქმედთა მიერ მიხეილ ჯანსუღის დის, დედისა და მოჭამაგირის ამოხოცვა, რის ჭაერსაც მადე გადაწყვეტილება მამამისი — საბა) ოცი წლის ყმაწვილს რომ დაატყდა. რა დიდი ბუნება და სულიერი სიმტკიცე უნდა ჰქონოდა მას, სიცოცხლის რწმენა არ დაკარგოდა, მთელი თავისი ნიჭი და არსებობა ადამიანების სამსახურისათვის შეეწირა. მიზნად მათი ვაკეთილშობილება და სულიერად ამაღლება დაესახა.

იმ დროისათვის ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც: რუსეთიდან დაბრუნებულ მიხეილ ჯანსუღის თითქმის სულ გადაავიწყდა ქართული. მისი „მოქცევა“ ჩვენი ერის მოქარახელის ოსტე იმედოშვილს ხედა წიალად. თავისი ნიგანის დუქანში შეიყვანა მიხეილი და ბლომად მიცეა ქართული წიგნები. ამიტომაც უწოდა მომავალმა დიდმა მწერალმა უანგარო, რუმ მოღვაწეს „ჩემი ქართულის ნათლია.“ როგორც ვიცით, უფრო ადრე ასეთსავე მდგომარეობაში იყო კივის სამხედრო სასწავლებელში მოხვედრილი დავით კლდიაშვილი, რომელსაც მშობლიური ენის სიტკბო და სიყვარული მისმა უფროსმა თანამოქმედ ნიკო დომოურმა ხელაზლად გაუღვიძა. რა ღრმად უნდა ყოფილიყო ქვეცნობიერად ორივე ყმაწვილის გულში და

სისხლში გამჭდარი ქართული სიტყვის ძალა და მადლი, რომ შემდგომ ერთგვან ასეთი სისხვით გაოგნატა ჩვენი ხალხის წინ, ხასიათი, სულიერი სიმდიდრე და ჟამთა სიავით მიყენებულ ტოვებები...

გ. გვირგვინიანი მწერლის შემოქმედებაში უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან ეტაპს, დაწყებული პირველი მოთხრობიდან „ჩანჩხრა“, „უპატრონო“, „მეჩემე გამო“, „კურკას ქორწილი“...), როცა იგი ასეთი გულისყურითა და ოსტატის ხელწერით ამუშავებდა „საწყალი კაცის“ თემას და მისი მრავალბლანაინი ეპოქალური ტილოებით დამთავრებული. ჭავახიშვილის ღრმად რეალისტური სტილისა და შემოქმედებითი პრინციპების დასახასიათებლად მკვლევარი მარჯვედ იყენებს მწერლისავე გამოხატვებებს, წერილებიდან თუ ავტობიოგრაფიული ცნობებიდან ამოკრებილს. იგი ცდილობს მუდამ საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდეს ამა თუ იმ ნაწარმოებებისადმი და წხირად არ იზიარებს უმართებულო შეხედულებას, თუნდაც ასეთი აზრი რომელიმე ავტორიტეტულ კრიტიკოსს ეკუთვნოდეს.

მ. ჭავახიშვილის შემოქმედებისადმი, როგორც ცნობილია, ცხოველი ინტერესი გამოიჩინა ქართულმა კინემატოგრაფმა და რამდენიმე მშენიერი ნაწარმოებებიც შეიქმნა. გ. გვირგვინიანი ამ ფაქტსაც დიდ ყურადღებას უთმობს, ოღონდ სამართლიანად მიანიჩა, რომ ჭავახიშვილის მოთხრობებსა და რომანებს უფრო ხანგრძლივი და ხანგრძლივი ცხოვრება ეკრანსა და სცენაზე მომავალში ელით.

მკვლევარი ცალ-ცალკე, არსებითი ნიშნებისა და გამოხატული ტენდენციების მიხედვით ახასიათებს ყოველ საყურადღებო ნოველასა და მოთხრობას, ლაპარაკობს იმ თვალსაჩინო სიახლეებზე, მ. ჭავახიშვილის მაძიებელმა ტალანტმა რომ შესძინა ქართულ პროზას. მწერლის უდიდესი დამსახურება მაინც რომანების ვასაციარი მრავალხანგიანობის დაშვიდებებაა, რაც დროის საკმაოდ მცირე მოწყვეთს, ათ-თორმეტწელიწადს მოიცავს.

წიგნი ძალზე ვარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „კვაჭი კვაჭანტარაძის“ ტილოლოგური ანალიზი. რომანის მთავარი გმირი, ხერხაშორასი



მასწავლებლის ქართველი ავანტიურისტი, რომლის გაუთვადებელ მაქანაცობასაც კაბუკობაშივე აღარ ეყო შობილი კუთხე, მართლაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის დასამსხვრევად გამზადებული ეპოქის დასახატად. მკვლევარი მეტად საყურადღებო წიადსვლებს აკეთებს, როცა ავანტიურისტული რომანის წინამორბედს, ე. წ. „თაღლითურ რომანს“ მიმოიხილავს. ამ მხრივ მას ბევრ საჭირო მასალას მისცემდა, აგრეთვე, ე. წ. პინის მოზრდილი სტატია, მატეო ალემანის რომანს „გუსმან დე ალფარანეს“ რომ დაერთვის. გ. გვერდწითელის კარგ ალღოზე შეტყველებს „კვაკი კვაპანტირაძის“ და თომას მანის რომანის — „ავანტიურისტ ფელიქს კრულის თავგადასავლის“ შედარება-დაპირისპირებას, რაც არაერთ საერთო შტრიხსა და დეტალს აფიქსებს, თუმცა აქვეა ნათქვამი განსხვავებულ ლიტერატურულ რანგზე, თვისობრივ სხვაობაზე, ამ ორ ნაწარმოებს რომ გაიჩინა. ასევე მრავლის მიქმედი და ნაყოფიერი აღმოჩნდა მოკავლის „ლამაში მეგობარისა“ და „კვაქის“ სასიყვარულო თავგადასავლების შედარება. გ. გვერდწითელი თვითონ აღნიშნავს, რომ „კვაკი კვაპანტირაძის“ არაჩვეულებრივი დინამიურობა იმთავითვე იზიდავდა კინემატოგრაფისტებს და სამართლიან გაკვირვებას გამოთქვამს, რომ იგი დღემდე არ არის ეკრანისაზე წარმოტანილი.

მონოგრაფიაში ყველაზე მეტი ავლივი ეთმობა მ. ჭავჭავაძის უმთავრეს და უძლიერეს რომანს „ჭაყოს ხიზნებს“. მოკლედ არის გად-

მოცემული ის აზრთა სხვადასხვაობა, რაც ამ რომანში ოცინი წლების ქართულ კრებულში გამოიწვია. მოტანილია ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ ჩაცხაბა მწერალს რომანის იდეა. გახსენებულია ჭავჭავაძის განწარმავაც, რომლის მიხედვითაც იგი „ჭაყოს ხიზნების“ შემდგომ განვრცობასა და ვადამუშავებას აპირებდა. მკვლევარი სწორად ფიქრობს, რომ ამ განწარმავაზე ხელის აღება მხოლოდ დროის უქონლობით არ შეიძლება ავსნათ და შესაძლოა ნაწარმოების ძირითადი პათოსი ვერც აიტანდა მასში დადებითი გმირის გამოჩენას, ეს რამდენადმე მართლაც ვაჟალებდა სინამდვილეს.

წიგნის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკვეთად უნდა მივიჩნიოთ „არსენა მარაბდელის“ ანალიზი. მკვლევარი რელიეფურად წარმოაჩინებს ამ შესანიშნავი ისტორიული რომანის როგორც უდავო მხატვრულ ღირსებებს, ასევე ნაკლულევან მხარეებსაც. ყოველი დაკვირვება თუ მსჯელობა ზუსტად არის არგუმენტირებული, შესაფერისი მასალით გამაგრებული.

ერთი რამ ცხადია — გ. გვერდწითელს ჭკრტობით არ გამოუყენებია მის ხელთ არსებული ყველა საჭირო მასალა. ამდენად, მ. ჭავჭავაძის უიღვრე დაწერილი ახალი მონოგრაფია შემდგომ გაღრმავებასა და გაზრდას მოითხოვს, რის საჭიროებასაც ავტორი ალბათ ჩვენზე არანაკლებად გრძნობს.

მეზარ კვიციანი

## სოცლის პრეტორიალი

ფრიდონ ხალვაში — პრეტორიალი.  
გამომც. „საბჭოთა საქართველო“.  
რედაქტორი ელვაჯანი მარაბდი, 1976  
წელი.

ცნობილი ქართველი პოეტის ფრიდონ ხალვაშის ერთგვარული შემოქმედებითი კრებული გახლავთ იმ შემოქმედებითი გზისა, სადა ათეული წლის წინათ რომ დაიწყო. ფრიდონ ხალვაში ორმოცდაათი წლისა გახდა. აღნიშნული კრებული თავის იუბილეს მიუძღვნა. მართალია, ფრიდონ ხალვაშს ქართველ მკითხველთან წარდგენა არ სჭირდება, მაგრამ მისი შემოქმედების ის დეკორატიული კრიტიკულ-ლიტერატურული ანალიზი, რომელიც ერთკომიუნალს წარუშემდგარა წიგნის რედაქტორმა ელვაჯან მარაბდემ, კიდევ ერთბედ ცხადყოფს ფრიდონ ხალვაშის პოეტური ნიჭის თავისებურებას. „ფრიდონ ხალვაშის პოეტური შთაგონება მშობლიური აქარის ოქროს ლავარდებშია შობილი. აქარის ნახლიანი ლა შეუვალი მთებიდან მოედინება მისი პოეზი-

ის მდინარე“. ელვაჯან მარაბდის ამ სტრიქონების კუმშარიტება უშაღ საგრძნობია, როგორც კი პოეტის ერთგვარულს ვადაშლით. ფრიდონ ხალვაშის პოეტურა სტრიქონებსა აღსავება აზრითა და ემოციით. მამულის სიყვარულით აშდერებული პოეტი წუთითაც არ ივიწყებს იმ სატოვარს, სადასი წელი რომ ატარებდა მისი მშობლიური აქარა. პოეტის ფართო თვალსაწიერებ შეტყველებს ის, რომ მშობლიური აქარის წიაღიდან უკიდევანო სივრცეებს სწვდება მისი პოეტური თვალთახედა და საქვეყნო სატოვარს თავისად აქცევს. როცა ასე განსოგადებულად წარმოვიცნობავს პოეტი საერთოსა და საყოველთაოს, ლოკუსურად გვეჩვენება 'პარკით თქმულიც: „აქარს მეტრულე პრილობა მქონდა, თველ საქართველოს სტოვლა იყო“. ამიტომაც ვადელვებთ და გჭრათ მისი პოეტური სტრიქონებისა: „ჩემი საქები ყველა ერთია: მაგრამ ქარია თუ მეწერია, ქართული ზეცა ჩემი ჭერია, ამიტომ კამბობ: ჩემი კერია — ჩემი აქარა იყოს დღეგრძელი“.

პოეტი უსახლდროდ შეუყვარებულია თავის აქა-



რაზე, მაგრამ მარტო აპარას არ უშეღერის იგი  
 ტოტალიტარული ქართველობის, მისი კაცური კაცობის  
 ამოსავალი ნათელი წერტილი მაინც შშობ-  
 ლიური აპარაა: „მე შენი შევიდრი ერთი ქართ-  
 ველი, თუ წაიდა სხვაგან, ვარ საქართველო“. ან:  
 „თბილისო, მე რომ შენთან მოვედი, სუვარუ-  
 ლივით ვიყავ მღუმარი... მეც უნდა ვიყო შენა  
 პოეტი, მე არ ვიქნები შენი სტუმარი... მე შენი  
 ჩანვის ერთი სიმი ვარ და შენი ზეცის ერთი  
 მერცხალი. მე საქართველოს დიდი სიმღერა  
 გულში ჩავიანთე, ვით ნაკვერცხალი...“

პოეტს წიგნი ცვალებად დაუყვია. მას თავისა  
 ათი წიგნიდან („მე არ ვიქნები შენი სტუმარი“,  
 „იოანანა“, „დღე სიუვარულისა“, „კეთილი იმე-  
 ლის ზედა“, „სტოლოვა“, „ნუგეში“ და სხვ.) ჩრე-  
 ული ლექსები ამოუკრებია და ერთტომეულში  
 გაუერთიანებია. საკუთარი პოეტური შემოქვი-  
 რების, შემოქმედებითი გზის წარმოჩენა ამ  
 ხერხით უფრო ადვილია. ამიტომ არის, რომ ამ  
 ერთტომეულთა ფრიდონ ხალვაშის თვითმყოფი  
 და თავისებური პოეტური შემოქმედება საგრა-  
 ნობი და ხელშეხაბები ხდება ქართველი მკით-  
 ხელისათვის, მისი პოეტური ნაბის თაყვანის-  
 მცემლებისათვის. ფრიდონ ხალვაშის პოეზიას  
 მრავალი მკითხველი მკვას. ეს უკანასკნელი პო-

ეტს ენდობა იმიტომ, რომ იცის, პოეტი ზემო-  
 რიტებს არ უღალატებდა. მისი ლექსები  
 მოხვედრა, ადრეუებს და დააფიქრებს. პოეზია  
 კი სხვა არაფერია, მან კიდევ უნდა აგადელოვოს  
 და კიდევ უნდა დაგაფიქროს. საქმარისია ერთ-  
 ერთის სისუსტე და პოეზია კარგავს თავის და-  
 ნიშნულებას. სახედნიეროდ, ფრიდონ ხალვაშის  
 პოეზია არ იძლევა საამისო დაქვევების საფუ-  
 ველს. იგი აზრის და განცდის პოეტია, პოეტი,  
 რომელიც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და  
 თავისი ხალხის სიხარულსა და ტკივილს უტყუა-  
 რი პოეტური ფერებით გამოხატავს.

დასასრულ, კვლავ უნდა გავიხილოთ; აღნიშ-  
 ნული ერთტომეული კარგი საჩუქარია პოეზიის  
 მოყვარული ქართველი მკითხველისათვის.  
 იღონდ საუვედურით უნდა აღვნიშნათ ჩვენი  
 პოლოგრაფისტების მიუტყვებით გულგრილო-  
 ბა; როცა ასეთ, შეიძლება ითქვას, საიუბილეო  
 წიგნებს ვცემთ, უხათუოდ უნდა გავითვალისწი-  
 ნოთ ქალაქისა და თვით წიგნის გამოცემის ხა-  
 რისხი. წინამდებარე წიგნის ხარისხს კი ვერა-  
 ფრით ვერ მოვიწონებთ. დასანანია, რომ ასეთი  
 კარგი წიგნი ასე უხარისხო ქალაქზე დაიბე-  
 და.

რეზაზ ჩხატარაიანი

**ქიპის გზით**

ბივი ალხაზიშვილი — ლექსები. კომეზა.  
 გამომცემლობა „მირანი“, რედაქტორი  
 ბრიგოლ ჯუღალაძე, 1977 წელი.

ბივი ალხაზიშვილის პოეზიას ახასიათებს  
 სიახლეებისაკენ ღტოლვა, ახალი ფორმების,  
 კონსტრუქციების ძიება, რომლის გარეშე ახალ-  
 გზარდა შემოქმედი, უკვე დიდი ხნის დაკანონე-  
 ულის ბრმად გადმომღებელი და გამგეო-  
 რებელი იქნებოდა.

პოეტი ცდილობს სხვადასხვა საღებავებით,  
 საინტერესო სიმბოლოებით, ურბანისმით გამო-  
 წვეული ტკივილებით შექმნას და დაგვანახოს  
 სევდიანი, დრამატული სურათები. სურს გვარ-  
 ნობინოს მეცნიერულ-ტექნიკური საუყუნის მა-  
 ჩისცხა და ახე დღემულამ ჩვენი ყოველდღიუ-  
 რობაში ჩაღრმავებულმა ახლებური პასუხი გას-  
 ცეს საშუაროს მარადიულ შეითხვევზე. „მაგრამ  
 ახალი პასუხიც სწრაფად ბერდება, რადგან ვე-  
 ქვობთ მის სრულყოფაში და კვლავ სიახლისა-  
 კენ ვისწრაფით“.

„ვირ არის იგი, ვინც გვაიძულებს, რომ ყოველ  
 დღეს მივაყურადლოთ იმედით, შიშით და უხას-  
 რულო მოლოდინში ვიყოთ მარადის?!“

გ. ალხაზიშვილი, ეს ჩვეულებრივი ტრადიცი-

ული — კლასიკური ფორმა იქნება, თუ თავი-  
 სუფალი ღექსი — ვერლობრი, ყოველთვის მა-  
 ძიებლად გვევლინება. ორივე ნაკადს ერთი და  
 იგივე საწყისი და სასრული გაჩნია, ერთი და  
 იგივე მუშა კვებავს და ასაზრდოებს და ორივე  
 ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება: პოეტის  
 განცდა-განწყობილება მთლიანად მიიტანოს მკი-  
 თხველამდე. „დროის მარადი მონაცვლეობით“  
 შემოქმედის გული წაშთავს კი არ მინავლებუ-  
 ლა, შშობლიური კუთხიების ნახვისას და განშო-  
 რებისას კვლავინდებურად „ფართხალებს და  
 ბორგავს“.

მსგე ფართხალებს და ისევე ბორგავს  
 სამარადისოდ თითქოს გშორდები  
 ვუსმენ მისის ლეაებერ ორდანს  
 და, ანანურო, შენ მაგონდები...  
 („მთიულეთი“)

ახალგაზრდული პოეზია თანდათანობით იძენს  
 პროზის ელემენტებს, ამით მისი გამოხასხველო-  
 ბითი საშუალებები, ჩვენი აზრით, ზრდება და  
 ფართოვდება. ამ მხრივ საინტერესოა ო. კილა-  
 ძის, ტ. ქანტურიას, გ. გიგეჭკორის და ე. კვი-  
 ტაიშვილის ზოგიერთი ღექსი.

პოეზია სესხულობს პროზისაგან თხრობისა და  
 აზროვნების ახალ-ახალ ფორმებს.

რამდენიმე ათწლეულს წლის წინათ ადგილი  
მქონდა შებრუნებით პროცესს.

ბ. ალბაზიშვილის პოეზიაშიც შეინიშნება  
პროზასთან მიახლოების საგულისხმო ცდები, ამ  
კუთხით შეიძლება დავახსნელით ლექსები „რე-  
ქვიემი“ და „კლოუნია“.

რა უნდა ვითარა? დიდა მე მივიჩნის იან-  
ვრის მწვეფე დათოვლილი ველების ბრწყინვა,  
როს მოვლენებას ფოთლებშემხმარ ოთახის უკა-  
ვილს გამოვუღებ წარსულის სარკმელს და გავა-  
ხედებ შორეული სათავისაკენ, — იქით რა მო-  
ჩანს? — ბუნდოვანი, ფერადი ნისლი და ნის-  
ლებში ვერაფერს ვხედავ, რადგან ნისლი შორს  
კი არ მოჩანს, ის ჩემს თვალეში შედედებუ-  
ლა“ („რეკვიემი“)

„მე ვუვიდი ნიღბებს — რამდენი შაქვს? —  
აურაცხელი: შილიონერის, მეშჩანის, ლოთის, შა-  
რიონეტის... რომელი გუნებავთ აირჩიეთ! ფასი?

— თითო ნიღბში თითო წუთი თავისუფლება  
მიზიძვეთ გლახაკს, ჩაპრა დაიტაცეთ, წასდეთ  
იაფია!“ („კლოუნია“).

ძიების თვალსაზრისით საინტერესო ლექსებია  
„უსცხო“, „კაპიტან რობერტ ლუისის კომარია“,  
„ბოლო საღ არი“, „ქართლი-სურათი“, „ოქტა-  
ვა“, „ავადმუფის სინმარი“ და სხვა.

საინტერესოა აგრეთვე პოემა „გადარჩენა“,  
რომელიც მრავალმანიაშია და განსაკუთრებულ  
შეჩერებას მოითხოვს, მაგრამ ჩვენი წერილია  
მიზანი წიგნის დაწვრილებითი ანალიზი არ არის,  
ამიტომაც წოგადი შეფასებით შემოვიფარგლე-  
ბით. შეიძლება ავტორს წოკიეროთ ლექსში  
კიდევ შევადგებოდი, მაგრამ, უნდა ითქვას, ბ.  
ალბაზიშვილის ახალი კრებული მთლიანობაში  
საკულისსმყოფი წიგნია და პოეტის წინგადადგმულ  
ნაბიჯად მივაჩნია.

ბალატიარ არაბული

### „...თიკათვის სან სოცრალ სისფარი“

სიმონ შამფრანი. — „ჩამთნაც  
მომავ“, ბამომცემლობა „მერანი“,  
რედაქტორი ბ. ჯულუსიძე 1977 წელი

ბრის წიგნები, თავისი ღირებულებითა და  
მნიშვნელობით ნაკლებად რომ იქცევენ ჩვენს  
ყურადღებას. მაგრამ არის ისეთი წიგნებიც,  
რასაც წოგაერ ზერეღედ აუვლით გერდს და  
თავის თანდაყოლილი რიღის გამო დაუშინაწ-  
რებლად გვჩინება ყურადღების გარეთ.

სიმონ შამფრანიც ამ მოკრალეულ პოეტ-  
თა რიცხვს განეკუთვნება. პოეტის ამ კრებულ-  
ში შეტანილი უმეტესი ლექსები მოედინება  
ისეთი მშვიდი მღელვარებით, რომ შენც ვი-  
მორჩილებს და ნებდები მის შემოქმედებას —

გადილო მალე, ნისლები შრება,  
იშლება კვალი წედანდელ თქორის  
და თემომწონედ და ნება-ნება  
კრიალა ცაში ნივარდობს ქორი.

შორიდან შურთის მოსმის სტვენა  
და მიჰქრის კლდე-კლდე ჩხხეების ხორთ,  
თავს ნურც ძალიან იწონებ, ქორთ,  
მეც ვიცი ფრენა!

სვანეთის ამაყად ქედაზიღული შიგნი. ნისლ-  
დაღენილი ჰიუბები, მარად მწვანე ტყეები...  
თბალ სინათლედ ჩამხვრეულთა ამ პატარა კრე-  
ბულში და წაიბნულს კვლავ უბრუნდები, და  
ფიქრობ: რა სუფთა საქართველოა და რო-

გორი ხვედნარევი თრთოლვითაა მას გამომ-  
შული პოეტის არსება —

ასე —  
ფიქრებში იმარცვლება ეს ერთი ლამეც  
გარეთ უინება, იანვარი მეფობს ბებერი;  
თეთრი ღუმელი დაჰფენია ხევებს და  
ხრამებს

და სძინავთ სოფლებს —  
მურყავანებით სერებს შეფენილთ.

სხვა ფიქრის თვლითაა გააზრებული პოე-  
ტის (მაშინ ალბათ ახალგაზრდა პოეტის!) პი-  
რველად ასვლა მთაწმინდაზე, რომელიც „სა-  
ვანუა ქართველ არწივებისა“ და მართლაც რო-  
მელი ქართველისთვის არ არის ეს ადგილი  
წმინდა მისასვლელი? საინტერესოა ამ ლექსის  
მეორე სტროფი, რომელშიც პოეტი მთაწმინდა-  
ზე ასვლის კონკრეტულ მიზეზს ხსნის —

ვიღევი ჩუმად (რა მღელვარებით!)  
ვიღრე მთაწმინდას მოადგა მწუხარი;  
ბოლოს გაგბედე... და მოკრძალებით  
ბაჟის საფლავთან მოვხარე მუსლი.

ამ პატარა ხარცენიო წერილში არ ხერხ-  
დება ბევრ საინტერესო ლექსზე საუბარი, რო-  
მლებიც თავისი ღირებულებით მართლაც იმ-  
სახურებენ მეტ ყურადღებას... თუმცა აქა-იქ  
გვხვდება მეტნაკლებად სუსტი ლექსებიც. პო-  
ეტის ამ საინტერესო კრებულისათვის იქნებ  
შეუფიქრებელიც. რაიც ჩვეულებრივია და და-  
მახასიათებელი ყველა შემოქმედისთვის და  
გამონაკლისი ამ ე. წ. პოეტური „ნივარდნობა-  
სავა“ — არც ამ წიგნის ავტორია.



ეს წერილი მიხდა ამ საინტერესო კრებულში შეტანილი ერთ-ერთი კარგი ლექსით დაგასრულო — ■

„ვეფხისტყაოსანი“ ცაა,  
ქართლის თიბათვის ცაა, —  
საოცრად ცისფერი,

საქართველოში ყველა ტბა  
ცის ფერისაა.  
საერთოდ  
მთელი ივერია ცისფერია.

ირაკლი გულიძე

## კრიტიკოსის ახალი ნაშრომი

სარბის ცარიზილი — ლიტერატურულ-ლინგვისტიკური ზამოვც. „მირანი“, რედაქტორი ნუსუ ხომერიკი, 1977 წელი.

ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი პროფესორი სარბის ცარიზილი ნაყოფიერად მუშაობს ლიტერატურულ კრიტიკაშიც. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში, დროულად ეხმარება აქტუალურ პრობლემებს, მრავალმხრივია მისი მოღვაწეობის ინტერესთა სფერო. ს. ცარიზილი თანაბარი გატაცებით მუშაობს როგორც წინამორბედთა, ისე თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაზე, შეუძლია ფრიალ გონებაშახვედრის დავერვებები შემოგვთავაზოს როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნაღვაწზე, ისე კრიტიკოსთა და ლიტერატორისმცოდნეთა ნაწარვზე.

წინამდებარე წიგნში, რომელიც ყურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მისი ლიტერატურული წერილების კრებულს წარმოადგენს, შესულია ის სტატიები, რომლებშიც ავტორი ჩვეულო სიუვარულითა და გემოვნებით მიმოიხილავს ეთა-ფშაველას, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ლ. ქიჩიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ ბაგრატიონის, ვახტანგ ორბელიანის, ვახტანგ მეტეხისა და სხვათა ლიტერატურულ-მეცნიერულ მემკვიდრეობას. ჩამოთვლილ საკითხთა წრე თავისთავად მთავარი ნიშნებს ს. ცარიზილის ლიტერატურულ ინტერესთა მრავალმხრივობაზე. სწორედ ამიტომ დაარქვა ავტორმა აღნიშნულ წიგნს მეორე სათაური (უფრო სწორად, ქვესათაური) „წინამორბედნი და თანამედროვენი“, რაც სავსებით შეესატყვისება წიგნის შინაარსის საერთო კომპლექსს.

წიგნში დაბეჭდილი სტატიებიდან, ჩემი აზრით, მკითხველის (განსაკუთრებით, ლიტერატურის სპეციალისტის) საგანგებო ყურადღებას მიუქცევს „გალაქტიონი და ქართული კლასიკური პოეზია“. აღნიშნული საკითხი, შეიძლება თქვათ, წყნარად არის დაშუშავებული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მაგრამ, კამღენილად ვოდით, გალქტიონის შემოქმედებით კავშირს

წარსულის ტრადიციებთან არსებითად ბარათა-შვილის, ილიასა და აკაკის ღიბეღულ სახელებს უკავშირდებენ მულაბ, ხლოო ს. ცარიზილის წინამდებარე წერილში ნათქვამი ფიქსია, რომ გალქტიონი უფრო შორეულ სახელებს სწავლება — მისი პოეტური მემკვიდრეობის ღრმა ფესვები რუსთაველისა და გურამიშვილის გენიალური პოეტის ძირებთან პოულობს გენეტურ კავშირს. კონკრეტული მაგალითების მოხმობით ს. ცარიზილი თავის მოსაზრებებს უტყვევებს და ცხადს ხდის, რასაც მეცნიერული ღირებულება აქვს. ამ ფაქტს თუნდაც იმიტომ უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ერთხელ კიდევ საზგასშით აღინიშნავს გალქტიონის მჭიდრო კავშირი კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებთან, რამაც ალბათ, საბოლოოდ უნდა დაარღვიოს ის მცდარი მოსაზრება, რომელიც პოეტს გარკვეულ პერიოდში სიმბოლოსტად რაცხს.

გ. ლეონიძე ისეთ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შესახებ ზღვა მასალა იქმნება ლიტერატურათმცოდნეობაში ასეთ მწერალზე, ცხადია, ვაცილებით ძნელია წერა, ძნელია იპოვო აქამდე შეუმჩნეველი თავისებურებები, ახალი კუთხით წარმოაჩინო მწერალი. ჩვენი აზრით, ს. ცარიზილმა ეს მშვენივრად შეძლო გიორგი ლეონიძეზე მიძღვნილ წერილში. აქ იგი საფუძვლიან ანალიზს უკეთებს გ. ლეონიძის არა მარტო პოეტურ შემოქმედებას, არამედ პროზაულსა და მეცნიერულ მემკვიდრეობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გ. ლეონიძის საყოველთაოდ აღიარებულ პოეტურ პროზას „ნატვის ხეს“, რომლის საფუძველზე ახლანდელ ბრწყინვალე ქართული მხატვრული ფილმი შეიქმნა, ერთ-ერთმა პირველმა ს. ცარიზილმა მიუძღვნა კრიტიკული წერილი, რომელშიც ფრიალ მაღალ შეფასებას აძლევდა პოეტის ახალ შემოქმედებით გაიწინათება.

კრიტიკოსი ს. ცარიზილი მაღალი პროფესიული გემოვნებით აანალიზებს თავისი კოლეგის, კრიტიკოს ოტია პაქოკიას წიგნს „დრო და სახელები“, რომლის შესახებაც ასეთ დასკვნას გეთავაზობს: „ოტია პაქოკიას წიგნი თანამედროვე კრიტიკული პროფესიის სასურველ დონეზე მეტყველებს“. ალბათ მართებული იქნება, ასეთივე დასკვნა თავად ზარბის ცარიზილის წიგნსაც მივუყენოთ.

რეზო ბახტაძე



### კარგი მოგელია

## ბრძოლა სპორტარ თავთან

სპორტის უყვარს ენთუზიუზები და მეტსახელები. ეს ფაზილარობა არ გეგონოთ, სათავეს იღებს გულშემოტივართა მრავალმილიონიანი აუდიტორიიდან. მას, ამ აუდიტორიას, შესაძლოა აუდიტის წუთებში შეცდომა მოუვიდეს, წონასწორობიდან გამოვიდეს და ზოგჯერ უსამართლოდ მოიქცეს. მაგრამ, ნურას უკაცრავად, საბოლოო სიტუვა მაინც მას ეკუთვნის და ეს სიტუვა ნაღდა, წყალი არ გაუვა. მიხეილ ქორქიასა და მასუტრებელთა შორის იმთავითვე ზედმიწევნით უცნაური ურთიერთობა გაიბა. ამ ურთიერთობას მე უშედავთო კონტაქტს ვუწოდებდა. ხომ ცნობილია, რომ ხშირად თვით გამოჩენილი სპორტსმენებიც კი გულშემოტივართა გავლენის ქვეშ ეშვებიან და ზოგჯერ მათი ნება-სურვილის აღმსრულებლებად გვევლინებიან. დროდადრო ეს გავლენა სასიკეთოა, სასარგებლო და მისაღები, ზოგჯერ ასეთი გავლენა ეწინააღმდეგება თამაშის შინაგან ლოგიკას და ახშობს სპორტსმენის ინდივიდუალურ მიდრეკილებას. ხდება პირიქითაც, როცა სპორტსმენი, დიდაც ქებულად და სახელოვანი, იხე აჯადოებს მასუტრებელს, რომ კრიტიკული დამოკიდებულებისაგან აღარაფერი რჩება. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენი „დაუსჯელად“ სჩადის იმას, რასაც მოისურვებს. არც ერთი და არც მეორე შემთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლიანად და ნორმალურად. მიხეილ ქორქიას, მართებულად თუ უმართებულად, მუდამ მიაჩნდა, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო ამიტომ მასუტრებელთა რეაქცია მასზე, რა თქმა უნდა, მოქმედებდა, მაგრამ საკუთარ სათამაშო პრინციპებზე ზელს ვერ აღებინებდა. თავისთავად ცხადია, ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სპორტსმენსა და მასუტრებელს შორის მუდამ როდი ქმნიდა იდილიურ ატმოსფეროს. ამიტომაც ქაბუკი ქორქია, გააფთრებული, ლამის აცრემლდებული, ზოგჯერ ტრიბუნებზეც კი აჭრილა, რათა „სამართლიანობა“ დაეშვარებინა. ასეთ საქციელს, უდავოა, მას ვერავინ მოუწონებდა და აკი არც უწონებდნენ. ასევე, მიხეილ ქორქიას სპორტულ პორტრეტში მკვეთრად იყო გამოხატული მსაჯებისა და პარტნიორების მიმართ ნიადავ ამხედრებული სპორტსმენი. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და „დინამოში“ რამდენიმე წლის თამაშის შემდეგ ქორქია, როგორც იტყვიან, დადგინდა. ენერგია, წრეგადასული ენთუზიზმი, მზორგავი ემოციები მან სპორტულ კალაპოტში მოაქცია და ერთიანად სასარგებლო გახდა კოლექტივისათვის. მხოლოდ ერთხელ, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ გაიღვიძებს მიხეილ ქორქიაში წინანდელი მეთამბონე, ოღონდ არა ჩხუბისათვის და ეს მას ძვირადღაც დაუჯდება. ამერიკელებთან ფინალურ მატჩში, მეორე ტაიმში იგი ვერ დაიოკებს მრისხანებას და მსაჯთა გადაწყვეტილებით, თავის აბეზარ, უხეშ მოწინააღმდეგესთან ერთად დატოვებს მოედანს. კარგია, რომ ის ისტორიული ფინალური მატჩი ჩვენებმა მოიგეს, თორემ ქორქიას აჯრე იოლადა არ შერჩებოდა წამიერი წონასწორობის დაკარგვა.

ეს, როგორც მოგახსენებ, მიხეილ ქორქიას წინანდელი, რეტროსპექტული პორტრეტის ერთი შტრიხია, თუმცა ზედმიწევნით დამახასიათებელი. მიუნხენის შემდეგ იგი მასუტრებელს ხუთ სხვა ქორქიად მოევიდინა. სულ სხვაო,



როცა ვამბობ, ეს ბოლომდე მართალი არ არის. ქორქია ისეც იმ მოთამაშედ დარჩა, როგორც იგი თავიდან იყო და ამ მოთამაშედ დიდად ერთადერთი განსაზღვრა შეიძლება მოენახოს — ექსტრა კლასი. დღევანდელ ქართულ კლასობურთს ასეთი მეორე მოთამაშე არა ჰყავს. ხაეცვა, ქორქიასთანა სპორტსმენი ბევრი დაიმუზნოს არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიოს საზოგადოებრივ კლასობურთშიც.

თავისთავად, მიხეილ ქორქია საეტაპო მოვლენა ჩვენს კლასობურთში. ჩვენ გვინახავს ერთნული კლასობურთის რამდენიმე თაობა, რომლებსაც ნიჭით, უნარით, ფანტაზიით გამოჩინული და აღიარებული წარმომადგენლები ამშვენებდნენ. ერთ თაობას სათავეში ედგა დიდი ოთარ ქორქია, მეორეს — გურამ მინაშვილი, მესამეს — ზურაბ სავანდელიძე. მიხეილ ქორქია მათი მემკვიდრეა. არა ამიტომ, თითქმის მისი თამაშის მანერა ჩამოგვადგეს მისი რომელიმე წინამორბედისას, არამედ თავის მნიშვნელობით, აშკარად გამოკვეთილი ლიდერობით. ამ აზრით, მიხეილ ქორქია სამოცდაათიანი წლები ქართული კლასობურთის თავისებურ ეტაპონად წარმოვადგებმა. იმედია, ზემოთ ნახსენებმა კლასობურთეთა თაობის სხვა შესანიშნავ წარმომადგენლებს საწყენად არ დარჩებათ, რომ თითო სპორტსმენით წარმოვადგინეთ ჩვენი კლასობურთის ცალკეული ეტაპები, მაგრამ ალბათ სწორად ვაგვიფიქრებ: ტიპური ლიდერი, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.

დაახ, ქორქია წინამორბედებს ჰგავს და არცა ჰგავს. იგი მათ სოცრად ჰგავს პასუხისმგებლობით, დაკისრებული მისიის შეგნებით, მეტაფორის, თავკაცის თანდაყოლილი თვისებებით, მაგრამ ტექნიკურ-ტაქტიკური არსებობის თვალსაზრისით სავსებით განსხვავდება მათგან. ესაა განსახიერება თანამედროვე კლასობურთელისა, რომელშიც შერწყმულია წინა თაობების მიერ დაროვილი გამოცდილება და მიდრეკილება იმპროვიზაციისაკენ, რომ ვარშეცქ ქართული კლასობურთის უმარტო კერძს დამოკავანდოდა და მანაც, მთავარი მ. ქორქიაში, როგორც სპორტსმენში, ისაა, რომ იგი მოედანზე მუდამ დამოუკიდებლად აზროვნებს და სწორედ ამ დამოუკიდებელი მიდგომის გამო შეუძლია ელვის სისწრაფით შეცვალოს გუნდის ტაქტიკური ნახაზი, ახლ იყო არ სჭერდება მარტოდონ მოთამაშის როლს და ნაწილობრივ მოთამაშემწვრთნელის ფუნქციასაც ასრულებს.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თბილისის „დინამო“ ბოლო წლებში ქორქიას გარეშე თამაშობს. ვერ ვიტყვი, რამდენად აისახებოდა ეს სპორტულ შედეგზე, მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენ საქმე ვეძინებოდა სულ სხვა გუნდთან, განსხვავებული სათამაშო პრინციპების მქონე კოლექ-

ტივთან. არც ერთი სხვა კლასობურთელის არ უყოფნა ასე არ დაეცუბოდა ჩვენი გუნდის მანის ნახაზს, სტილს.

ამდენად, ქორქია კოლექტივისათვის მხოლოდ სპორტულ ფაქტორად არ უნდა მივიჩნიოთ, იგი გუნდის ფსიქოლოგიური ბარომეტრიცა თუ სპორტსა და ფსიქოლოგიურ მომენტებ განცვალებაებთ, მაშინ ძნელია ითქვას, უფრო რომელი ქორქია სჭირდება კოლექტივის. პირადად მე ქორქია — კლასობურთელის უპირველეს ღირებულ სწორედ ფსიქოლოგიური მდგარობა მესახება. მშვიდი, აკადემიურად მოთამაშე ქორქია წარმოუდგენელია, მაგრამ ამ ემოციურობაში იგი არასოდეს არ კარგავს თავს: მიზნის მისაღწევად მისი თანდაყოლილი ემოციურობა და აღტყინება დამატებითი უპირატესობაა მეტოქესთან. ამ შემთხვევაში მისი სპორტების ეს შტრიხი მოგვაგონებს გურამ მინაშვილს, ოღონდ მინაშვილის ემოციურობას გარეგნულად უფრო ნაკლებად აგრესიული სახე ჰქონდა. აი, რას ფიქრობს ამის თაობაზე თავად ქორქია:

„კლასობურთში ეგრეთწოდებული იდეალი არა ყავს, მაგრამ თუ შემეცნებით, ვინ მომწოდება წინა თაობის სპორტსმენებიდან, პირველი რიგში გურამ მინაშვილს დავასახელებდი. მას ჰქონდა უდრეკი სპორტული ბუნება, იყო საოცრად შერეული და მობილიზებული. არ „ხუარდავდებოდა“ წვრილმანებზე, არ კარგავდა მთავარ მიზანს. აშკარად გამოკვეთილი კონსტრუქტორის მისდგამდა ერთი უფებარი თვისება, იგი ნიადაგ აზარტული იყო და ამ აზარტს გადასდებდა თანაგუნდელებს. სწორედ ამისთვის მიყვარდა გურამ მინაშვილის თამაშის მანერა. და კიდევ, მას ჰქონდა უნარი თამაშის პროცესში რამდენჯერმე შეეცვალა ტაქტიკა, რაც უდამ მოულოდნელი იყო მოწინააღმდეგისათვის. გულახდილად ვიტყვი, რომ წმინდა საკლასობურთის ნიჭით მე ჩამოყვარდები გ. მინაშვილს, ვუგრებელიძემს, ზ. საკანდელიძემს. ისინი კლასობურთისათვის იყვნენ დაბადებული და იოლად ექმლიოდნენ ყოველივე. მაგალითად, უგრებელიძესა და საკანდელიძის შექმლოთ გამოიტოვებინათ ვარჯიშები და ეს მათი თამაშის ხარისხზე იმდენად არ იმოქმედებდა. რას იხამ, ასეთია ხალხის ნიჭის ძალა. მე კლასობურთელთა სხვა კატეგორიას განვეყოფნებ: საკმარისი დავარდვიო რეიში, ვავადენო თუნდაც ერთი ვარჯიში და მოედანზე თავს ძველებურად ვედლარ ვგრძნობ. ამიტომ თანდაყოლილი ნიჭის უკმარობას ინტენსიური ყოველდღიური ვარჯიშით ვინაწაღურებ. წერთნა ბავშვობიდან ჩემთვის ღამის მოთხოვნილება გახდა. მე მიყვარს ვარჯიშებზე ოფლის დვრა, ბრძოლა საკუთარ თავთან, ვიცო, მხოლოდ ამ გზით შემიძლია თამაშო უმაღლეს დონეზე, ყველაზე დიდი მასტაბის შეტვირტებში. სხვათა შორის, დღევ-



დარული ამერიკული კალათბურთი სხვა არაფერია, თუ არა ქანცვამკლელი ვარჯიში თითქმის ბაღღობის ასაკიდან კალათბურთელის კარგობის დამთავრებამდე. სპორტში, ისევე როგორც ცხოვრების ნებისმიერ დარგში, ვარსკვლავები მეტად იშვიათად იბადებიან, მაშ, რაკვებავს ამერიკული პროფესიული და სამოყვარულო კალათბურთის უზარმაზარ ინდუსტრიას! პირველი რიგში, უმდიდრესი ტრადიციები, სწორი, მართებული და დასაჯის აპრობირებული სკოლა, შეერთებული გაუგონარ შრომისმოყვარეობასთან. დღევანდელი დღე კალათბურთში, ჩემი ღრმა რწმენით, ეკუთვნის იმ სპორტსმენებს, რომლებსაც თავი გადადებულნი აქვთ დამლდელი ვარჯიშისათვის და ნებაყოფლობით იტანენ უმცირეს ფიზიკურ-ფსიქიკურ დატვირთვას. ეს მუდამ ასე იყო, მაგრამ კალათბურთის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არა მარტო საქორთო, არამედ აუცილებელია“.

დაიხს, ქორქიას აქვს საკუთარი შეხედულებები და პრინციპები, ოღონდ მისი თვალსაზრისი არასდროს ემიჯნება უმაღლეს საკალათბურთო სტანდარტებს. აი, მისი ერთ-ერთი საკალათბურთო კრებო: არ განახსვას ერთმანეთისაგან თამაშისა და ვარჯიშის პროცესები. ვისაც წვრთნის სიყვარული ხელოვნურად კი არა, ბუნებრივად აქვს შეისისხლობრებული, იგი თამაშზეც ასეთივე იქნება და პირიქით. ვარჯიშის მოყვარულს იოლად გადააქვს ყველაფერ დაძაბული თამაშების ფიზიკური და ფსიქიკური სტრესი. რა დასანანია, რომ გულშემატკივრებს ქორქია ვარჯიშზე არ უნახავთ. თუმცაღა შეუძლიათ სიტყვაზე გვენდონ: იგი ისეთივეა წვრთნისას, როგორც თამაშის დროს; ისეთივე ადგუნებული, ბრძოლისთვის განსაზღვებული, მომთხოვნი საკუთარი თავისა და პარტნიორების მიმართ ასეთი კალათბურთელი გუნდს, როგორც ხედავთ, ერთნაირად სჭირდება თამაშისა და ვარჯიშის დროს.

აგერ თითქმის მეთუ წელია მიხედავ ქორქია მსოფლიო კალათბურთის დარჩაკვი იწრითა. უკან დარჩა ათასობით მატჩი, ასობით ტურნირი და სამატჩო შეხვედრა ამერიკელებთან და იუგოსლავიელებთან, ესპანელებთან და იტალიელებთან, ბრაზილიელებთან და კუბელებთან. სამოყვარულო კალათბურთში არ არის დღესდღეობით ისეთი გუნდი, რომელთანაც ქორქიას საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ძალა არ გამოეცადოს. ამერიკის კონტინენტზე სწორი გამოსვლების დროს იგი განსაკუთრებული გულსყურობით აკვირდებოდა ლეგენდარული პროფესიული კალათბურთელების თამაშს. ალბათ, იგი მათ პირიპირ ვეღარ შეხვედბა, მაგრამ მომავალში, ადრე თუ გვიან, პროფესიული და სამოყვარულო კალათბურთის გზები ერთმანეთს შეეერთება. ამის საფუძ-

ველს იძლევა პროფესიონალითა და მოყვარულთა გახშირებული შეტყობინება. სხვადასხვა სახეობაში, კერძოდ, ფეხბურთსა და ჰოკეიში, თანამედროვე სპორტის განვითარებაში მოითხოვა პროფესიული და სამოყვარულო სპორტის ეკრთ წოდებული „შვილობიანი თანახმობა“. თუ მითი პროფესიული ფეხბურთის, ჩოგბურთის, ჰოკეისა და სხვა სახეობების უძველესობის შესახებ დიდი ხანია გაქარწყულდა და თავისებურ ანაქრონიზებად იქცა, ამას ვერ ვიტყვით პროფესიული ამერიკული კალათბურთის შესახებ. და მანაც: არის თუ არა ისეთი დიდი სხვაობა პროფესიულ და სამოყვარულო კალათბურთს შორის, რომ მათი კონტაქტები სპორტული თვალსაზრისით უაზრო და უინტერესო იყოს?

„ალბათ, პროფესიონალები და მოყვარულების საუკეთესო გუნდების სავარაუდო შეხვედრები უდიდეს ინტერესს გამოიწვევს სპორტის მოყვარულთა შორის,—ამბობს მ. ქორქია, — მაგრამ სპორტული თვალსაზრისით ისინი ასევე საინტერესო არ იქნება. განსხვავებით ფეხბურთისა და ჰოკეისაგან, კალათბურთი კვლავ რჩება ამერიკელი პროფესიონალების მონოპოლიად. მიჭირს იმის თქმა, როგორ გამოიხატება ეს ძალთა სხვაობა ანგარიშში, მაგრამ პროფესიონალები უთუოდ გამიარტვენ და საკმაოდ დამაჩრებლად. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სხვაობა პროფესიონალებისა და მოყვარულების კლასში ფაშთა განმავლობაში არ შემცირდებოდა, მაგრამ როდის გაუთანბრდებიან ისინი ერთმანეთს, ამას ვერც მე ვიტყვი და ვერც ვინმე სხვა. ამიტომაც, ვისაც დიდი კალათბურთისაქვს აქვს ღიჯი, მან ურთაღებოთ უნდა ჩაიხედოს ამერიკული პროფესიული კალათბურთის წიაღში და ბევრი რამ ისწავლოს. ეს ეტება თამაშის ნებისმიერ კომპონენტს. ვიმეორებ, პროფესიული კალათბურთის ძალის მატებს მრავალწლიანი ტრადიციები, ამოუწურავი რტურებები, საუცხოო ტექნიკური ბაზა და, რაც მთავარია ის, რომ კალათბურთის ამერიკაში მისდევს წარმოუდგენლად მრავალრიცხოვანი მსხ. ალბათ, უკანასკნელ ადგილზე არ უნდა დავაყენოთ კომერციული-მერკანტილისტური ფაქტორი: პროფესიული კალათბურთელებს რომ ზღაპრულ მოწონარს უხდებოდ“.

პროფესიული კალათბურთი თავის თავს მოუვლის, ჩვენს კალათბურთს კი საკუთარი პრობლემები აწუხებს. უკვე მერამდენე წელია, რაც მსოფლიო ქუთაისი და კვებავს „დინამოს“ უმაღლესი კლასის კალათბურთელები. ფაქტი ფაქტად რჩება: რეპუბლიკაში მჭვრითიელ-სელექციონერებიდან თითქმის ერთადერთი ქუთაისელი სპეციალისტი სულიკო თორნიაძე

არჩილ გომელია  
ბრძოლა საკუთარ ტოპ



ფლობს ნაღდი კალათბურთელების გამოწრდის საიდუმლოს. მართლა მაგაური ნიჭითაა დაჯილდოებული ეს ღვთისნიერი კაცი, თუ რაშია საქმე? რატომ იბადებთან ქუთაისში საკანდელოძეები, ქორჭიები, დერაიუგინები, გრძელიძეები და სხვან ეს ვერ მოუხერხებოთ? იქნებ მიხეილ ქორჭიამ აგვანხანს, ბოლოს და ბოლოს, რაში მდგომარეობს მისი პირველი მწვრთნელის „ჯადოქრობა“?

„სულიკო თორთლაძე სასწაულოქმედი არ არის. იგი ჩვეულებრივი მწვრთნელია, როგორც უნდა იყოს კალათბურთის ნებისმიერი სპეციალისტი. „არაჩვეულებრივი“ იგი ვახდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა მწვრთნელები ვერ ეკადებოან თავიანთ საქმეს ისეთი სუპერულით, ვატაცებთ. ფანატოზმადე მისული მცდელობითა და მონდომებით, როგორათაც ღვაწლმოსილი ქუთაისელი მწვრთნელი. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სულიკო თორთლაძე თბილისში გამართულ არც ერთ მნიშვნელოვან მატჩს არ აცდენს. მას ხშირად ნახავთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქშიც, სადაც ჩვენი გუნდი თამაშობს. თუ ქუთაისშია, სავარჯიშო დარბაზი ღამის ბინად აქვს გადაქცეული. იგი ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვე კალათბურთის წინსვლას, არ გამოეპაროს თამაშის განვითარების ტენდენციები, პრაქტიკულად და თეორიულად აიმაღლოს კვალიფიკაცია. ასეთი თვისებებით დაჯილდოებულ მწვრთნელს წლების მანძილზე თითქმის თავისით უვითარდება ის იშვიათი აღლუ, რომელიც ეხმარება ნამდვილი ტალანტების შერჩევასა და გამოწრდაში. დიან, ოსტატობას ვერაფრით და მონდომებით იმაღლებენ არა მარტო სპორტსმენები, არამედ მათი მწვრთნელებიც. მწვრთნელიც ვარჯიშობს, მწვრთნელიც იზრდება, თუკი სულიკო თორთლაძესავით უსაზღვროდ უყვარს მინდობილი საქმე. აი, ესაა სულიკო თორთლაძის „ჯადოქრობა“. უმთავრესი, რასაც თორთლაძე უნერგავს თავის აღსაზრდელებს, ესაა უკიდურესი მომთხონელობა საკუთარი თავისადმი და თავმდაბლობა. მისი აღზრდილი დაზღვეულია ყო-

ყოჩობისა და ამპარტავნობისაგან სხვაწარმადე მისი აზრით, ნამდვილი კალათბურთელი ვერ გახდება. მასსოვს, როგორ გამოიყურა მწვრთნელი, როცა თავი დასრულებულ კალათბურთელად ჩავთვალე და ფიჭულტურის გავეთილიებზე დასწრება საქიროდ აღარ მივიჩნიე მასსენდება, როგორ მოსრიხა მან სავარტია, როცა თავილი შევასწარიტ, რომ ეწეოდა — ეს საწამლაღია, ახლა, უბრალოდ, კბილი მტკიავო. იგი ცდილობს, აღწევს კიდევ, რომ აღსაზრდელების თვალში დარჩეს შეუვალ ავტორიტეტად, სანამუშო მოქალაქედ. ასეთი მწვრთნელის გულიხათვის, რომ იტყვიან, წყალში გადავარდები. ვფიქრობ, ნათელია, რატომ მოდის ქუთაისიდან „ღინამოში“ ამდენი კალათბურთელი“...

წერილის დასაწყისში ვთქვი, სპორტს უყვარს ენათეტები და მეტსახელები-მეტეი. საამისო მაგალითები მრავალადაა და ისინი თითოეულმა ჩვენგანმა იცის. იმ „განსაკუთრებულ“ ურთიერთობის გამო, რომელიც თავიდანვე გაიბა მაყურებელსა და მ. ქორჭიას შორის, მისთვის მეტსახელი არავის შეურქმევი. მაგრამ, ჩემი აზრით, თუ მისი გვირის ვახწვივ რომელიმე ენითეტა უნდა დაიწეროს, იგი იქნება — იმედი. რადგან მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი დაუშრეტელი ფინითა და გამეტებით მიხეილ ქორჭია იმედს უნერგავს თანაგუნდელებსა და მაყურებლებს. ჩვენ ვინახავს ქორჭიას სუხტი თამაშიც, ადამიანი მანქანა არ არის და მუდამ არ შეუძლია ერთ გუნება-განწყობილებზე იყოს. მაგრამ მაშინაც კი, როცა ქორჭია სათადარიგო სკამზე დანჯდარა, ჩვენ უმად გავჩენია სურვილი მოედანზე მისი უსწრაფესი დაბრუნებისა, რადგან თავად ფაქტი მისი მოედანზე ყოფნისა, აატეცებს გუნდის ენთუზიანს. იგი ძალზე მომთხოვნია საკუთარი თავის, მეგობრების, მეტოქეების მიმართა, ვინაიდან სხვაგვარად გამარჯვება არ მიიღწევა. მიხეილ ქორჭიას კი კალათბურთში აქვს ერთადერთი მიზანი — იყოს უველგან და ნებისმიერ ვითარებაში მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებული.





# სატირა



## კაროდია

ბკთუ გელია

### ანტიკოდ ანტიფოს ძმ ანტიძის დახვავსიბთება

**გამომგჩენელი** ფულმალისტი და ღვარძლ-მოსილი მოღვარძლე, ფულოლოგიურ ბეც-ნიერებათ კვანტიტატი, შუმი შოენინისტი და ფულატელისტი, ნახალნაგლი **ანტიკოდ ანტიფოს ძმ ანტიძი**, დაბანდებული 1932 წელს, 1960 წლიდან 1972 წლამდე გულშავობდა გაზეთ „სამოთხის“ განყოფილების გამგის ქრთამამლებობაზე.

**ა. ა. ანტიძემ** 1949 წელს ქოთაკეცევაში ფრიალით, დაამთქნარა საშუალო სკოლა, შევირდა ფულოლოგიურ ფაკულტეტზე, მიიღო უნადღელსის ტვინლომბი და გავირდა ცლორების დიდ გზაზე.

1956 წელს წამადლებით დაიცვა საკვანტიტატო სხვისთხლეტაცია და გახდა ფულოლოგიურ ბეცნიერებათა კვანტიტატი.

**ა. ა. ანტიძის** სატირალ-იუმორისტული ნაწამოებები — ოხრობები, ქლესება, იგაფნაგაეები, მინიხალტურები, ნაკვენსები, თაქმანები, ფულეტონები, ბრაზები, აფიორიზმები, ნარქენები და გამოძალეები სისტემატურად კვენსდებოდა „სამოთხის“ ფურცლებზე და ტვინთხლეთა მიწონებას იმსახურებდა.

**ა. ა. ანტიძემ** თარგმნა ჩეხოვის „ჩელოვეკ ფულტრიალე“, ფულტონის, ფულკენრის, აგრეთვე უცხოელი ფულოსოფოსების, ფულანტროპებისა და ფულსიფიკატორების შრომები, დაწერა მხალტური ფულმის სცენარი.

**ა. ა. ანტიძემ** რამდენიმეჯერ იმოგზაურა საზღვარგარეთ: იყო ფულადელფიაში, ფულონში, ფულდაბექდში, ფულრენციაში, ფულგარეთში და ფულიბინებზე.

ქრთამამად შეიძლება ითქვას, რომ ნახალნაგლი **ა. ა. ანტიძე** პირაფთრად აესულებდა თავის თავსლავსხურებრივ მოვალეობას.


**ა. ა. ანტიძის** მთელი ძლომრება და მოღვარძლეობა გამსკვალულია ფულმალისტური ფულისკეთებით.

„სამოთხეში“ გულშავობის პერიოდში **ა. ა. ანტიძემ** თანამშოენელთა ფულითადი პატივისცემა მოიხვეჭა.

**ა. ა. ანტიძე** იყო დიდფული ქრთამადა. ცხეში წასვლამდე დიდი ხნით ადრე, **ა. ა. ანტიძე**, წავიდა ხელიდან. დახვავსიბთება ექლევა ცხვირიდან ძმრის წარსადენად.


# ფ რ ა ჯ ი ბ ი

- ცხოვრობდა. წერდა. უყვარდა... მარტო თავისი ნაწერი.
- სულ იმაზე დაობს, გეოგნებზე რატომ არ დაობენო.
- მითხარი, რას წერ და გეტყვი, რას დაწერ!
- მოკრატო-მოუკვდავოს ყველა ლექსი მოუკვდაო.
- ლიტმუშაკი ისე გათავხედდა, ნაწარმოებს არც კი გადახედა.
- წინა მწერალი უკანა მწერლის ბეწვის ხილია.



უბიძგტოდ

ნახ. ჯამალ ლოლუასი



# კულტურული ცნობები

## ქ რ მ ნ ი კ ა

### ამერიკა

#### კოსმოსის პირველი

ამერიკელი მეცნიერის, კოსმოსურ სივრცეთა მკვლევარის პატამერის წინასწარმეტყველებით, კოსმოსში პირველი ადამიანი სულ ახლო მომავალში დაიბადება.

„მიმაჩნია, — განაცხადა მეცნიერმა, — რომ კოსმოსში ადამიანის დაბადება ეპოქალური მოვლენა იქნება და ეს მოხდება 1995 წელს, ან ოდნავ მოგვიანებით“.

### ბულგარეთი

#### მოზაიკა 1500 წლისა

ბატონბაზის დროს ქალაქ დევნაში არქეოლოგებმა იპოვეს მოზაიკური სურათი, რომელიც 100 კვადრატული მეტრია. სპეციალისტებმა გამოარკვეეს, რომ სურათი შექმნილია ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის ბოლოსა და მე-4 საუკუნის დამდეგს. ხელოვნების ეს უძველესი ნაწარმოები შესრულებულია პატარა-პატარა კუბებისაგან მთლიანად სილუეტების მოტივებზე.

მაღე ამენდება საგანგებო შენობა, სადაც მოთავსებული იქნება მოზაიკური სურათი და სხვა არქეოლოგიური მონაპოვარი, თანამედროვე დევნის ხაუფაცხოვრებო სახეში და კულტურის ძეგლები.

### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

#### რუპანსი

#### რისტაპირიკაული

ზარზან შემოდგომაზე გაზეთები იტყობანებოდნენ,

რომ დახვედით გერმანიის მცხოვრებმა მანს-იოახიმ ბოლმანმა ქვეყნის რვა მუზეუმში დაწაინა ფერწერის ძველი ოსტატების ათზე მეტი სურათი, მათ შორის რუბენისა და რემბრანდტის უკვდავო შედევრები. პოლიციამ როგორც დაადგინა, ეს მანიაკი ტილოებს 98-პროცენტთან გოგირდმუქავს აშხეფებდა. მაგრამ სურათებმა, როგორც გამოიჩინა, გაუმღეს ამდგვარ „ქიმიურ დამუშავებას“. დიუსელდორფის ნატიფ ხელოვნებათა სარესტავრაციო ცენტრის რესტავრატორებმა განაცხადეს, საღებავი არ შელახულია. იგი მტკიცე, რამდენიმე საუკუნის მანძილზე გამარტებულმა ლაქმა დაიცვა, რითაც ეს ტილოები იყო დასარული.

ახლა რუბენის ყალბით დაწერილი ავსტრიელი ერცჰერცოგის ალბრეხტის პორტრეტი თითქმის რესტავირებულია.

### ესპანეთი

#### 48 საბატი დონ-პინოტთან ერთად

„დონ-პინოტის“ მრავალრიცხოვან გამოცემათა შორის ესპანეთში გამოჩნდა კიდევ ერთი — უძველესე უჩვეულო გამოცემა, რომელიც ოთხი ტომისაგან შედგება. გარეგნულად ეს ტომები არაფრით არ გამოირჩევა სხვებისაგან. თითოეული ტომი მოიცავს 12 მანეტოფონის კასეტს. 48 საათს იხმის ესპანეთის ტრადიციის ერთ-ერთი საუკეთესო მხანობის ტელიო სუროს ზმა. სურო „დონ-იხობის“ მთლიან ტექსტს კითხულობს.

### ინგლისი

#### ზანა ბაზერი რამ ჰინდით?

ინგლისში გამოიცა „უმეცრების ენციკლოპედია“. წიგნის 450 გვერდზე დახატულია მეცნიერების ის დარგები, სადაც განსაკუთრებით აშუაარა ჩვენი ცოდნის ხარვეზები.

ამ ენციკლოპედიის რედაქტორ-შემდგენლები ამტკიცებენ, რომ „ჩვენი ცოდნა მხოლოდ პატარა კუნძულია უმეცრებისა და უცოდინარობის უკიდურესო ოკეანეში“. ამის დასამტკიცებლად მათ სიტყვა მისცეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის 58 გამოჩენილ მეცნიერს. „უმეცრების ენციკლოპედიაში“, მაგალითად, აღნიშნულია, რომ ჩვენთვის საერთოდ უცნობია, საიდან წარმოიშვა გარესაშუარო? რად ვფიქროვებ? როგორ წარმოიქმნა გალაქტიკები? რა არის ცნობიერება? არ ვიცით ზოგიერთი ცხოველის, მაგალითად, მასტოდონტების გაღაშენების მიზეზი. ჩვენი უცოდინარობა ისე შორს მიდის, რომ ზანდაზან არც კი იცი, როგორ გამოხატო ეს სიტყვებით, ვინაიდან ხშირად გაურკვეველია, რა არ ვიცით.

და მინც მეცნიერებს სჭერთა, რომ ერთ ათილდე წელიწადში „უმეცრების ენციკლოპედიაში“ ნახსენები ბევრი პრობლემა გადაიჭრება.

### კომპიუტერმა გაშიცნო

დაბსლომებით ათი წლის წინათ მანჩესტერის ერთი ბიზნისოტიკიდან ინგლისელ მეცნიერებს ვადაუგზავნეს ექსპერტისზნათვის მუსიკალური პიესის სანოტო ჩანაწერები.



გაყვითლებულ ფურცლებზე მხოლოდ ერთი ხიტყვა ეწერა „ხერენადა“.

ვერავითარი ანალიზით ვერ ვარკვევს, ვინ იყო ნაწარმოების ავტორი. მაშინ კომპიუტერი მოიშველიეს. მანქანაში ჩადებული იყო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა წარსული საუკუნეების მრავალი კომპოზიტორის შემოქმედების ნიშანდობლივ თავისებურებებს. მანქანა მხოლოდ ერთ საათს მუშაობდა. ამის შემდეგ მან დაახლოებით ასეთი დასკვნა გამოიტანა: „შემოქმედებები ხელწერის ობიექტური თვისებების მიხედვით მხოლოდ ერთკაცს შეეძლება დაეწერა იგი. ნოტები გეორგ ფრიდრიხ ჰენდელისა ვახლავთ“.

ცნობილია, რომ ჰენდელმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ინგლისში გაატარა. სწორედ აქ შექმნა მან ვირტუოზული პიესა „ხერენადა“. ახლა ეს პიესა უკვე სრულდება კონცერტებზე.

**კოლუმბიძე**

**ბაირონების დედაპალატი**

ეს უძველესი ქალაქი სამი წლის წინათ აღმოაჩინეს, მაგრამ მასზე პრესაში მხოლოდ

ახლა დაიწერა. ლაპარაკია კოლუმბიელი ინდიელების — ტაირონების უძველესი დედაქალაქზე. 1975 წლამდე იგი დაკარგულად ითვლებოდა. არქეოლოგების წყალობით ამჟამად ამ ქალაქზე ვარკვეული წარმოდგენა გვაქვს. ქალაქი მდინარე ბურიტიკის ვახვარდორ კვადრატულ კოლომეტრზეა გადაქმნილი და 2000-მდე ტერასას მოიცავს. ყველაზე დიდი ტერასის ფართობი 880 კვადრატული მეტრია. ვარაუდობენ, რომ აქ იდგა ბელადებისა და ქურუმების სახლები.

**პერუ**

**ძველი ნეკროპოლი**

პერუს ქალაქის არევიპის ცენტრში, სადაც საცხოვრებელ სახლებს აშენებენ, აღმოჩნდა კოლუმბიელი ეპოქის უზარმაზარი ნეკროპოლი. მოკლედელია ასობით სამარხი და აღამიანის ნეშტი, საყოფაცხოვრებო ნივთები. პერუს კულტურის ეროვნული ინსტიტუტის არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ ნეკროპოლი აშენებული უნდა იყოს ინკების იმპერიის შექმნამდე ხუთი საუკუნით ადრე. ამას მოწმობს ნაპოვნი კერამიკული ნაქეთო-

ბა. ნეკროპოლის ფართობი დაახლოებით რვა ათასი კვადრატული მეტრია.

**სირიბა**

**„ილიადის“ უძველესი ილუსტრაციები**

ანტიქურ დროში ჯერ კიდევ არ არსებობდა ხელნაწერთა ილუსტრაციების ტრადიცია. სურათებს რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით ახატავდნენ ლარნაკებზე, სასახლეთა კედლებსა და სარკოფაგებზე. სწორედ ერთი ასეთი სარკოფაგის მფლობელი აღმოჩნდა დამასკოს არქეოლოგიური მუზეუმში. სარკოფაგი არხის მშენებლობის დროს ეპოვეს. იგი ათენში, მესამე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) არის გაკეთებული. გარდაცხადებულთა ანთის შემკული და გამოხატავს ხელჩართულ ბრძოლებს. სპეციალისტებმა ვარკვეეს, რომ ძველბერძენ მოქანდაკეებს აქ ვაშოყვანილი ჰყავს ჰომეროსის მიერ აღწერილი ტროას ომის თითქმის ყველა მთავარი გმირი. როგორც ფიქრობენ, სარკოფაგი ანტიკური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი შედეგია.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი სავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა ლაღიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-26-35, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პრესის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, ხაერეკტორო — 72-43-75.

გადეცა ასაწყობად 17.4.78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.6.78 წ., ქაღალდის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საადრ-საგ. თაბახი 15,35. შეკვ. № 1144. უფ. 00748 ტირაჟი 31.050.

646/105



3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

# «ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236